

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა
სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

ლაშა კუხიანიძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერ-ხელმძღვანელი ამირან მოსულიშვილი

სამართლის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი

2024

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე დისერტაცია - „უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“ ორიგინალურია. ნაშრომში არ არის გამოყენებული სხვა ავტორთა ისეთი მეცნიერული თვალსაზრისი, დებულება, თეორია თუ კვლევის შედეგი, რომელიც მითითებული არ არის დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკის ნორმები.

ლაშა კუხიანიძე

აბსტრაქტი

თემის აქტუალობა: სადისერტაციო ნაშრომში განხილულია დანაშაულებრივი უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები. მას თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალგამოყენების პროცესში.

კანონიერების პრინციპი მოითხოვს თითოეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დასაბუთება.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა და მათი ანალიზი. პრობლემა გაანალიზებულია, როგორც ქართული, ისე უცხოური პრაქტიკის განზოგადებისა და შესწავლის, ასევე სისხლის სამართლის დოგმატიკის შედარებით სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში მოცემულია სამართლებრივ პრობლემათა გადაჭრის გზები, შემოთავაზებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციები.

მეთოდოლოგია. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები:

შედარების, ანალიზის, სინთეზის, აბსტრაგირების, კონკრეტიზაციის, ინდუქციის, დედუქციისა და ანალოგიის.

კვლევის შედეგად შემუშავებულია რეკომენდაციები, ასევე გამოვლენილია იმ ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც გავლენას ახდენს უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა ფუნქციონირებაზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

1. პირველად არის ჩატარებული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სადისერტაციო კვლევა.
2. კვლევის სამეცნიერო სიახლეა ის, რომ იგი გვევლინება პირველ სამეცნიერო კვლევად, რომელშიც განხილულია უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები როგორც სისხლის სამართლებრივ, აგრეთვე კრიმინოლოგიური ასპექტების ფარგლებში.

3. ნაშრომში შემოთავაზებულია უმოქმედობის დეფინიციის ახლებური გააზრება, ჩამოყალიბებულია საკანონმდებლო წინადადებები.
4. დისერტაციაში ახლებურად არის გააზრებული უმოქმედობის უძრაობის ხასიათი ანუ ენერჯის არარსებობის აღქმა სრულიადაც ასახავს მის სისხლისსამართლებრივ არსს.
5. სამეცნიერო სიახლეა სისხლისსამართლებრივი პასიურობის ნორმატიულ-სოციალურ კონტექსტში განხილვა.
6. სამეცნიერო სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს პასიური დანაშაულებრივი ქცევის კრიმინოლოგიური ხასიათის განხილვა, ასევე უმოქმედობით ჩადენილდანაშაულთა ეტერმინაციის თავისებურებების კვლევა.

ABSTRACT

The dissertation work refers to the main cornerstone of the Crimes Committed through Omission of Criminal and Criminological Aspects.

Problematics to be studied and topicality of research - The modern system of public relations is a complex mechanism for strengthening and regulating the law and order.

The issue of criminal omission is one of the crucial issues of criminal dogma, which, along with the theoretical importance, also has great practical importance both in the process of lawmaking and law enforcement.

Research aims of the present work is to analyze and solve the essence of "criminal and criminology aspects of crimes committed through omission."

Research aims of the study is also to analyze "crimes committed through omission", as well as elaborate documented recommendations and develop preventive measures. The nature of crimes committed through omission should be explained on the basis of the study and analysis of criminal and criminology, sociological, philosophical, psychological sources.

Based on the research of quantitative, qualitative, structural and dynamic characteristic of passive crime, we can highlight a high-level, intrusive crime. The share of revealed passive criminal actions is minimal in the number of actually committed crimes.

In the present dissertation the following scientific innovations are offered:

1. It is the first time a dissertation study regarding the offenses committed through omission has been conducted.
2. It is the first time a social research regarding the offenses committed through omission has been conducted both through a quantitative and qualitative method.
3. The research of crimes committed through omission has been presented in criminal and criminology aspects.
4. The classic formula of criminal omission: it does not express the essence and nature of passive criminal behavior as a pure and mixed inactivity. The degree of fulfillment of special- legal obligations shall be the basis of the classification of crimes committed through omission: Omission (non-fulfillment of the obligation) and improper fulfillment of the obligation.
5. Non-compliance with the special legal obligations shall be considered as aggravating circumstances.

6. Every action must be an act of will, in which case the body movement may not have a form of "normative behavior", but in that sense, we consider the thesis to be appropriate that we cannot recognize motor act as a subjective act.
7. Partial or improper performance of the imposed legal obligation shall be treated as a criminal act (non-fulfillment of the obligation).
8. Individual and social-legal reasons for inactivated offenses include: lack of interest towards the imposed obligations, ineffectiveness of state control mechanisms, faith in impunity, formalism of controlling body, low level of professional training and so on.
9. Criminal law is not interested in the notion of omission, not only in physical and mental aspects. Criminal interest is caused by it as a psycho-physical category. The most important thing is not only the fact that omission coincides with the essence of activity, but the fact that omission and inactivity do not coincide with each other in both aspects and due to the fact that omission is characterized with the nature specific only for itself, uncommon to the activity essence, the independence of its criminal essence should not be doubtful.
10. The new provisions with scientific and practical significance are set out in the dissertation.
11. Analyzing the determination of the offenses committed through omission common factors such as: socio-economic differentiation of the population, lifestyle -are characterized.
12. The results of questionnaire survey strengthen the practical significance of the dissertation.
13. The novelty of the thesis is to discuss the crimes committed through omission in the criminological aspect.
14. In the work the individual issues of its composition that have not been discussed before are reviewed in the comparative-legal point of view.

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი | 1 |
| თავი I. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ- პრაქტიკული კონტექსტი..... | 8 |
| 1.1 ლიტერატურის მიმოხილვა და საკვლევითი თემის თეორიული კონტექსტი..... | 8 |
| 1.2 უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა მეთოდოლოგიური ასპექტები, ნებელობითი ქცევის არსი და მოქმედების არჩევანის თავისუფლება | 8 |
| 1.3 უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა არსი..... | 12 |
| 1.4 უმოქმედობის ცნება და მისი ნიშნები | 24 |
| 1.5 პასიური დანაშაულებრივი ქცევა და მისი ფორმები | 41 |
| თავი II. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა დოგმატური ასპექტები | 48 |
| 2.1. დანაშაულის მცდელობის საკითხი უმოქმედობით დელიქტებში | 48 |
| 2.2. შტრატენვერტის და პუპეს სწავლება გაზრდილი საფრთხის შესახებ | 52 |
| თავი III. უმოქმედობის მიზეზობრიობა | 56 |
| 3.1 უმოქმედობის დელიქტები და მათი თავისებურებანი..... | 56 |
| 3. 2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის პირობა | 59 |
| 3.2. უმოქმედობა, როგორც მიზეზობრივი კავშირის კომპლექსური ელემენტი..... | 61 |
| თავი IV. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ განვითარებული შეხედულებები...77 | |
| 4.1. ქმედების ნების უკუგდება..... | 77 |
| 4.1.2 გარანტის უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები | 77 |
| 4.1.3 გარანტის დანაშაული, როგორც ვალდებულების დარღვევა..... | 79 |
| 4.1.4 დანაშაულის ცნების საზღვრები..... | 81 |
| 4.1.5 ჰელმუტ მაიერის თეორია..... | 84 |

| | |
|---|-----|
| 4.1.6 ყოფიერების აღწერილობითი აღქმა არტურ კაუფმანთან და კლაუს როქსინთან (Die “beschreibende Wesenserfassung” bei Arthur Kaufmann und C. Roxin)..... | 89 |
| B. მაიჰოფერის სოციალური ქცევის ცნება..... | 91 |
| C. ე.ა. ვოლფის ინდივიდუალური მოქმედების ცნება..... | 95 |
| 4.1.7 „წარმატების საფუძველი“, როგორც ბ. შუნემანის თეორიის ძირითადი ხაზი..... | 96 |
| 4.2 უმოქმედობის ცნება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი..... | 103 |
| მოქმედების უნარი..... | 103 |
| A .დანაშაულის სისტემური ხასიათი..... | 103 |
| B. მოქმედების უნარის ინტელექტუალური წინაპირობები არმინ კაუფმანის თეორიის მიხედვით..... | 104 |
| I .უმოქმედობის მიზეზშედეგობრიობა..... | 106 |
| 4.3 გარანტის პრინციპის გამოყოფა..... | 108 |
| 4.4 სეკუნდარულობის (მეორადობის) პრინციპი შუნემანთან (Das Sekundaritätsprinzip bei Schunemann)..... | 109 |
| 4.5 წინასწარი განზრახვა და მიზანი..... | 112 |
| 1. მიზანდასახული უმოქმედობის საკითხი..... | 113 |
| 2. სამართლიანობის არგუმენტი არმინ კაუფმანთან..... | 114 |
| B. განზრახ უმოქმედობის უარყოფა გრიუნვალდთან..... | 117 |
| თავი V. დაუდევრობა და უმოქმედობა..... | 119 |
| 5.1 უმოქმედობის მომენტი დაუდევრობით დანაშაულში..... | 119 |
| 5.2 .გარანტის მოვალეობა და ზრუნვის ვალდებულება..... | 124 |
| A ზოგადი საკითხები..... | 124 |
| B. როქსინის კონცეფცია დაუდევრობით ჩადენილ დანაშაულებისთვის..... | 126 |

| | |
|---|-----|
| 5.3 უმოქმედობა წინარე ქმედების შემდგომ..... | 134 |
| ჩარევა და ნეგატიური მოქმედების ცნება | 135 |
| C.პასუხისმგებლობის სრული უარყოფა ბ.შიუნემანთან | 140 |
| 5.4. რეგრესის აკრძალვა ი. ველპის მიხედვით (Die Lehre vom Regreßverbot) | 145 |
| თავი VI . უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა კრიმინოლოგიური ასპექტები..... | 150 |
| 6.1. დანაშაულებრივი უმოქმედობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები..... | 150 |
| 6.2 პასიური დანაშაულებრივი ქცევის კრიმინოლოგიური ცნება და ხასიათი | 166 |
| 6.3 უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა დეტერმინაციის თავისებურება..... | 173 |
| 6.4. ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგები..... | 185 |
| თავი VII . უმოქმედობის დასჯადობა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში.... | 188 |
| 7.1 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობისათვის ა.შ.შ :კანონის მოკლე მიმოხილვა და კრიტიკა | 188 |
| A . უმოქმედობა, როგორც აუცილებელი მოქმედების შემცველი | 189 |
| კაუზალობის მოთხოვნა..... | 190 |
| მოვალეობის მოთხოვნა..... | 191 |
| სხვა ინტერესებისთვის ზიანის მიყენება მოქმედების მოვალეობის შესრულებისას..... | 195 |
| 7.2 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობისთვის ინგლისურ სამართალში | 196 |
| სახიფათო სიტუაციის შექმნა და გადარჩენის სამართლებრივი მოვალეობა :კეთილ სამართელთა კანონები | 200 |
| A.შემთხვევით მიყენებული ზიანი და ზედამხედველის ბრალეულობა..... | 202 |
| 7.3 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობისთვის ფრანგულ სამართალში | 204 |

| | |
|----------------------------------|-----|
| დასკვნები და რეკომენდაციები..... | 211 |
| ბიბლიოგრაფია | 221 |

შესავალი

საკვლევო პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა - საზოგადოებრივი ურთიერთობების თანამედროვე სისტემა წარმოადგენს მართლწესრიგის განმტკიცებისა და რეგულირების რთულ მექანიზმს.

თვით მართლწესრიგის განმტკიცება კი წარმოუდგენელია საზოგადოების ურთიერთკავშირის, მისი სოციალური პასუხისმგებლობისა და სამართლებრივი უფლება-მოვალეობების გარეშე. სწორედ ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული პიროვნების სპეციალური სამართლებრივი სტატუსი, მისი ნორმატიული მოვალეობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის პრობლემასთან. რადგანაც სწორედ დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის სათანადოდ შესრულება თამაშობს გადამწყვეტ როლს სახელმწიფო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაში, პასიური ქმედება კი განიხილება თავის მხრივ, როგორც პიროვნების წინააღმდეგობრივი სოციალური არსი, რომელიც არღვევს არა მარტო მართლწესრიგს, არამედ შეაქვს დისონანსი მთელ სოციალურ ორგანიზმში.

დანაშაულებრივი უმოქმედობის საკითხი სისხლის სამართლის დოგმატიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელსაც, თეორიულთან ერთად, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალგამოყენების პროცესში.

ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სამართლებრივი რეფორმების გატარების პროცესში, აუცილებელია სისხლის სამართალშიც ცვლილებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების გარანტიის შექმნას.

კანონიერების პრინციპი მოითხოვს თითოეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დასაბუთება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უმოქმედობის მართლწინააღმდეგობის განსაზღვრისათვის აუცილებელია სამი წინაპირობის არსებობა :

1. პირს უნდა ეკისრებოდეს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა.
2. მას უნდა ჰქონდეს მოქმედების შესაძლებლობა.
3. მოქმედებით შედეგი თავიდან უნდა იყოს აცილებული.

დანაშაულის ობიექტურ მხარეს წარმოადგენს ქმედება, როგორც შეგნებული და მიზანდასახული ქცევა. ქცევა კი შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში. თუ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების დროს ადამიანი თავის ნებას გამოხატავს აქტივობით, უმოქმედობის დროს კი მან მოქმედებისაგან თავის შეკავებით უნდა გამოავლინოს თავისი ნებელობითი იმპულსი.

სწორედ ამ მხრივ, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები, როგორც სპეციფიური სოციალური პასიური ქმედების ზოგადი სახე, დამსახურებლად იმსახურებს მეცნიერთა ყურადღებას და გააჩნია უცვლელი აქტუალობის დონე.

განვიხილავთ რა უმოქმედობას, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მას აქვს ღრმა სოციალური არსი, რომელიც თავის მხრივ გამოხატულია პასიური დანაშაულებრივი ქმედების ფენომენში.

ფორმალურად მოქმედებისა და უმოქმედობის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს ნორმის შინაარსში, რომლის რეგულირების ობიექტიცაა სათანადო ქმედება. ამკრძალავი ნორმის დარღვევა შესაძლებელია მოქმედებით, ხოლო მავალელები ნორმისა მხოლოდ უმოქმედობით ანუ გარკვეული მოქმედების შეუსრულებლობით.

აქედან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი აქტუალური, თუმცა დაუმუშავებელი და საკამათო თემაა. სწორედ ამიტომ, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით გაანალიზებულია ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე, კერძოდ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მისი არსი და ფორმები.

ნაშრომში კომპლექსურად არის გადმოცემული ძირითადი პრინციპული დებულებები. პრობლემის ანალიზი აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირებს გარკვეულწილად გაუადვილებს ამ მიმართულებით მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის უფრო ორიენტირებულად და დეტალურად წარმართვას.

შესაბამისად, უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობა ისაა, რომ იგი უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა კვლევის პირველი მცდელობაა ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

თავად პასიური დანაშაულობა, თუ დავესესხებით ა. ოვჩინსკის, უდავოდ ინტრუზიულ დანაშაულობას წარმოადგენს, რომელიც ბოლომდე არ არის საზოგადოების მიერ შეცნობილი, როგორც კრიმინალური მოვლენა და სწორედ ეს განაპირობებს მის ლატენტურ ხასიათს.

საკვლევი თემის მრავალსპექტიანობიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო ყველა საკითხის ამომწურავად განხილვა, მაგრამ ნაშრომში გადმოცემულია მისი ძირითადი დებულებები, რაც საშუალებას იძლევა საკითხით დაინტერესულ პირს შეუქმნას სწორი წარმოდგენა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებზე და პრაქტიკოს მუშაკებს დაეხმაროს ქმედების კვალიფიკაციის დროს წამოჭრილსაკითხთა გადაწყვეტაში.

მეცნიერებასა და კანონმდებლობაში დროთა განმავლობაში მიმდინარე პროცესები წარმოშობს ძველი დებულებების გადახედვის აუცილებლობას. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ნაკლებად დაუმუშავებელ თემად შეიძლება მივიჩნიოთ უმოქმედობის პრობლემა სისხლის სამართალში და კრიმინოლოგიაში. მასზე ქართულ სამეცნიერო სივრცეში თითქმის არ შექმნილა არავითარი კვლევა, ამიტომაც ქართველ მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს ხელმძღვანელობა ამ საკითხის შესახებ საბჭოთა სამართლის მიერ დამუშავებული რამდენიმე მონოგრაფიით უწევდათ. არადა მათში გამოხატული ძირითადი დებულებები არ შეესაბამება თანამედროვეობას და გადახედვას საჭიროებს, სწორედ აღნიშნული საკითხიც განაპირობებს სადისერტაციო კვლევის აქტუალურ მხარეს.

კვლევის მიზანი

1. გამოავლინოს დანაშაულებრივი უმოქმედობის ხელშემწყობი ფაქტორები და შემდგომიგაუმჯობესების მიზნით განისაზღვროს მათი დაძლევის გზები;
2. გაანალიზოს უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა თავისებურებები ქართულ დაუცხოურ ლიტერატურაში და წარმოაჩინოს მათი დამახასიათებელი ნიშნები;
3. შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები.
4. წარმოაჩინოს სამართლებრივი დაცვის გარანტის პრობლემატიკა და განისაზღვროს სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის არსი;
5. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა მიზეზ შედეგობრივი კავშირის თავისებურებების განსაზღვრა და დადგენა.

კვლევის ამოცანები

ძირითადი მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია:

- უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა არსის ანალიზი და მახასიათებლების განსაზღვრა;
- დანაშაულებრივი უმოქმედობის ზოგიერთი ძირითადი დეფინიციის განსაზღვრა;

- პასიური დანაშაულებრივი ქცევისა და მისი ნიშნების დადგენა;
- დანაშაულის მცდელობის საკითხის განსაზღვრა უმოქმედობით დელიქტებში;
- უმოქმედობის, როგორც მიზეზობრივი კავშირის, კომპლექსური ელემენტის განსაზღვრა;
- დანაშაულებრივი უმოქმედობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების დადგენა.
- უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი ასპექტების განსაზღვრა;
- უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა კრიმინოლოგიური ასპექტების განსაზღვრა.
- უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული მრავალფეროვანი და მრავალ წახნაგოვანი მიდგომების ახსნა;
- დანაშაულებრივ უმოქმედობასთან დაკავშირებით არსებული თეორიული ბაზისა და სამართალ გამოყენებითი პრაქტიკის კვლევა და შეფასება;
- უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობის განხილვა და შეფასება;
- გამოკვლეულ იქნას პასიური ქცევის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები და საზღვრები;
- პასიური დანაშაულებრივი ქმედების დეტერმინაციის სპეციფიკის განსაზღვრა;
- დანაშაულის მცდელობის შემადგენლობის თავისებურებების ანალიზი,

კერძოდ: თეორიები დანაშაულებრივი უმოქმედობის შესახებ, გარანტის მიერ უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის კონცეფცია, ჰელმუტ მაიერის თეორია, მაიჰოფერის სოციალური ქცევის კონცეფცია, შუნემანის თეორია, სეკუნდარულობის პრინციპი და ა.შ.;

- უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ არსებული სამეცნიერო კვლევითი ლიტერატურის მიმოხილვა და დამუშავება.

მეცნიერული ჰიპოთეზა

1. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა სათანადოდ ვერ ასახავს სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის არსს, რაც ხელს უშლის პასუხისმგებლობის საზღვრების განსაზღვრას და დაკისრებას;
2. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა ფარგლების დადგენა სისხლის სამართლებრივი ურთერთობის ფარგლებში.
3. უმოქმედობა ეს არის მართლსაწინააღმდეგო ქცევის, დროსა და სივრცეში

დამოუკიდებელი განკერძოებული აქტი (აქტების ერთობლიობა), რომელიც სპეციალურ-სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის შესრულებისაგან თავის არიდების ან არასათანადოდ შესრულების ხერხს წარმოადგენს.

4. პასიური ქცევის მრავალსპექტიანი ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც თავის თავში აერთიანებს მის როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ მომენტს, უმჯობესი იქნებოდა როგორც მართლსაწინააღმდეგო, ასევე მართლზომიერი უმოქმედობის არსებობის შესაძლებლობა.

სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის შესავალი მოიცავს შემდეგი საკითხების განხილვას: საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა, კვლევის მიზანი, კვლევის ამოცანები, მეცნიერული ჰიპოთეზა, სტრუქტურა, მეცნიერული სიახლე.

პირველი თავი ეთმობა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა მეთოდოლოგიურ ასპექტებს, უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა არსს და განხილულია უმოქმედობის ცნება და მისი ნიშნები.

მეორე თავში აღწერილია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა დოგმატური ასპექტები.

მესამე თავში განხილულია უმოქმედობის მეუზოზობრიობა და მისი თავისებურებები.

მეოთხე თავში მოცემულია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ განვითარებული შეხედულებები.

მეხუთე თავში საუბარია დაუდევრობასა და უმოქმედობაზე, გარანტის მოვალეობასა და ზრუნვის ვალდებულებაზე,

მექვსე თავში საუბარია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა კრიმინოლოგიურ ასპექტებზე. მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებსა და დეტერმინაციის თავისებურებებზე. ასევე საუბარია პასიური დანაშაულებრივი ქცევის კრიმინოლოგიურ ცნებასა და ხასიათზე.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია ის დასკვნითი დებულებები, რომლებიც ავტორის მიერ მიღებულია დასმული საკითხების შესწავლისა და სამეცნიერო დამუშავების შედეგად.

მეცნიერული სიახლე

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში შემდეგი მეცნიერული სიახლეებია შემოთავა-

ზებული:

1. პირველად არის ჩატარებული უმოქმედობით დელიქტებთან დაკავშირებით სადისერტაციო კვლევა.
2. კვლევის სამეცნიერო სიახლეა ის, რომ იგი გვევლინება პირველ სამეცნიერო კვლევად, რომელშიც განხილულია უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები, როგორც სისხლისსამართლებრივ, აგრეთვე კრიმინოლოგიური ასპექტების ფარგლებში.
3. ნაშრომში შემოთავაზებულია უმოქმედობის დეფინიციის ახლებური გააზრება. კერძოდ უმოქმედობის სისხლისსამართლებრივი, ობიექტური მახასიათებლების ვიწრო სოციალური შემადგენლობით შეცვლა მიუღებლად მიგვაჩნია. უმოქმედობის ფაქტიური მხარის საკითხი უნდა გადაწყდეს მისი შემადგენლობის პრიზმაში, რაც პირის შესახებ ქცევის მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს გულისხმობს.
4. დისერტაციაში ახლებურად არის გააზრებული უმოქმედობის უძრაობის ხასიათი ანუ ენერჯის არ არსებობის აღქმა სრულიადაც არ ასახავს მის სისხლისსამართლებრივ არსს. სრულ უმოქმედობაში გთავაზობთ ვიგულისხმობთ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა, რომელიც დაკავშირებულია მოვალეობის აბსოლიტურ იგნორირებასთან.
5. ნაწილობრივ უმოქმედობაში გთავაზობთ ვიგულისხმობთ მოვალეობის არასათანადოდ ან აუცილებელი მოცულობის ქმედებით შეუსრულებლობა.
6. საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება გამოიყოს წმინდა უმოქმედობის- სრული არაფრის კეთება-შემადგენლობები და შერეული უმოქმედობის-მოვალეობის სრული ან ნაწილობრივი შესრულება.
7. სამეცნიერო სიახლეა სისხლისსამართლებრივი პასიურობის ნორმატიულ-სოციალურ კონტექსტში განხილვა.
8. სამეცნიერო სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს პასიური დანაშაულებრივი ქცევის კრიმინოლოგიური ცნებისა და ხასიათის განხილვა, ასევე უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა დეტერმინაციის თავისებურებების კვლევა.
9. დისერტაციაში უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა დეტერმინაციის ანალიზისას დახასიათებულია საერთო ხასიათის ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია, ცხოვრების წესი და ა.შ;
10. სიახლეს წარმოადგენს შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით განხილული უმოქმედობის შემადგენლობის ცალკეული საკითხები, კერძოდ : დანაშაულის მცდელობის საკითხი უმოქმედობით დელიქტებში, უმოქმედობის მიზეზობრიობა,

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა მეთოდოლოგიური და დოგმატური ასპექტები და ა.შ.

11. კვლევის შედეგად გამოვკვეთეთ ევოლუციის ფენომენის თავისებურებები, რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ:

A. ქმედების პასიურ ფორმად აღიარება და მისი გამიჯვნა აქტიური დანაშაულებრივი მოქმედების კატეგორიისაგან.

B. პასიური ქცევის ცალკეული სახეების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია.

C. სისხლის სამართლით დასჯადი უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობის პერიოდულად გამკაცრება და ჰუმანიზაცია.

თავი I. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი

1.1 ლიტერატურის მიმოხილვა და საკვლევი თემის თეორიული კონტექსტი

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა პრობლემის არსს მრავალი მეცნიერი იკვლევდა, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს საკითხი შედარებით ნაკლებად არის დამუშავებული ქართულ სამართლებრივ სივრცეში, მაგრამ მის ცალკეულ ასპექტებს ვხვდებით: თ.წერეთლის, ო.გამყრელიძის, გ. ნაჭყებიას, მ.ტურავას, ლ.გ. კუტალიას და ქ. მჭედლიძე-ჰედრიხის ნაშრომებში.

შედარებით ფართოდ არის დამუშავებული აღნიშნული საკითხი უცხოენოვან ლიტერატურაში, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: Androulakis NK , Bar L, Baumann J , Beling E , Buri M , Busch R ,Engisch K , Frank R , Gallas W , Geilen G , Hardwig W , Jescheck HH , Kaufmann AR , Kohlrausch E , Luden H , Maihofer W , Maurach R , Mezger E , Nagler J , Radbruch G , Roxin C , Schwarz J , Welzel H, Тимеико Г.В , Антоняна Ю.М , Дурманова Н.Д , Кудрявцев В.Н , Наумов А.В , Тер-Акопов А.А , Боико А. И და სხვათაშრომები .

ნაშრომში ნორმატიულ ბაზად გამოყენებულია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საზღვარგარეთი ქვეყნების კანონმდებლობა.

შესწავლილი და გაანალიზებული იქნა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულების ამსახველი სასამართლო პრაქტიკა, ასევე ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში განხილული მასალები.

1.2 უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა მეთოდოლოგიური ასპექტები, ნებელობითი ქცევის არსი და მოქმედების არჩევანის თავისუფლება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, პასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ბრალის გარეშე დაუშვებელია. ბრალი კი პერსონალურ გასაკიცხაობას წარმოადგენს, როგორც გ.ნაჭყებია აღნიშნავს „ბრალი შეიძლება განისაზღვროს მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით“ (5,260), მაგრამ მისი დადგენისას ობიექტურ წანამდღვრებთან

ერთად სუბიექტურ წინაპირობებსაც უნდა მიექცეს ყურადღება, რადგანაც დანაშაულებრივი ქმედების პასუხისმგებლობის დასაბუთება წარმოუდგენელია თავისუფლების გარეშე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისას მხედველობაში მიიღება მოქმედების თავისუფლება (4,184) .

ნებისყოფის თავისუფლების საკითხი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური პრობლემაა, იმდენად, რამდენადაც ფილოსოფიის ინტერესის ერთ-ერთ საგანს სწორედ ადამიანი წარმოადგენს. მისი შესწავლა კი თავისუფლების გარეშე შეუძლებელია (4,10).

იმისათვის, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს, აუცილებელი პირობა სწორედ ისაა, რომ მას გააჩნდეს ნებელობითი ქცევის უნარი, რომლის ბუნებასაც ფსიქოლოგია იკვლევს. სამართლს, კერძოდ, სისხლის სამართალს, ნებისყოფის თავისუფლების საკითხი აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი წინაპირობაა.

ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს: ინსტინქტური, იმპულსური და ნებელობითი მოქმედება. ჩვენ მხოლოდ ნებელობითი ქცევა გვაინტერესებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართალმა ფსიქოლოგიისაგან განსხვავებული საკუთარი ქცევის ცნება შექმნა. ამ მხრივ მართებულია თ.წერეთელი როცა ბრძანებს, რომ „ ქცევის ფსიქოლოგიური ცნება არ გულისხმობს სამართლებრივშეფასებას “ (147,25).

ნებისყოფის თავისუფლების შესახებ გამოთქმულია უამრავი მოსაზრება, შექმნილია უამრავი ნაშრომი. ჩვენ მხოლოდ გარკვეულ მათგანს შევეხებით.

ზოგიერთი მეცნიერი საერთოდაც უარყოფს პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის ნებისყოფის თავისუფლების მნიშვნელობას, რადგანაც თუ ნებისყოფის თავისუფლება მდგომარეობს სოციალურ კანონზომიერებათა შეცნობასა და მოქმედების დაქვემდებარებაში საზოგადოებრივი

ინტერესებისადმი, მაშინ თავისუფლად მოქმედებენ მხოლოდ კანონმორჩილი ადამიანები და შესაბამისად დანაშაული არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნებისყოფის თავისუფლების გამოვლინება,რადგან დამნაშავე წინააღმდეგობაშია ობიექტურ კანონზომიერებასთან (136, 52-53). მსგავს მოსაზრებას ვ. ნომოკონოვიც გამოთქვამს. მისი მოსაზრებით დანაშაულებრივი ქცევა წინააღმდეგობაშია საზოგადოების სოციალურ კანონზომიერებასთან და ამ მხრივ ის არათავისუფალია. ის ასევე აღნიშნავს, რომ დანაშაული ეწინააღმდეგება დამნაშავეს ინტერესებსაც (120, 37-38).

ნებისყოფის თავისუფლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ე.ედელგაუზს. მას მიაჩნია რომ მოქმედების არჩევანი დამოკიდებულია პიროვნულ სტერეოტიპზე,

რომელშიც იგულისხმება მასში ჩამოყალიბებული დომინანტები და ნერვული სისტემის ტიპი, ასევე ტემპერამენტი, ფიზიკური კონსტრუქცია და ა.შ. ეს სტერეოტიპი კი თავის მხრივ განისაზღვრება სხვადასხვა გარემოებებით. მაგრამ ადამიანს ბრალად ვერ შევრაცხთ მის პიროვნულ სტერეოტიპს, ხოლო მოქმედებას შევრაცხთ. (213, 140-144) .

ნებისყოფის თავისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, საბჭოთა კრიმინალისტთა უმრავლესობა მას განიხილავდა, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ ნიშანს. პროფ. პ.დაგელის და დ. კოტკოვის აზრით სისხლის სამართალში ნებისყოფის თავისუფლება გულისხმობს პირის უნარს ანგარიში გაუწიოს საკუთარ თავს მოქმედებაში, გააცნობიეროს მისი ფაქტობრივი მხარე და მართოს იგი. სხვაგვარად რომ ვთქვათ ისინი გულისხმობენ შერაცხადობას (83,9). ი. სამოშენკოს აზრით ადამიანის ნება განპირობებულია ობიექტური სინამდვილით, მაგრამ განპირობებულია ცნობიერების ზემოქმედებით. სწორედ მასზეა დამოკიდებული თუ როგორ არჩევანს გააკეთებს ადამიანი. მისი აზრით, ნებისყოფის თავისუფლება ფილოსოფიურ კონტექსტში, არის გზა და წინაპირობა შედარებითი ნების თავისუფლების, როგორც ყველა გარემოების ცოდნა და შეგნებული ქცევის არჩევანი.

ნებელობითი მოქმედების ცნობიერებით კონტროლირებადი და არჩევითი ხასიათი არის პასუხისმგებლობის საფუძველი ვ. მაცაშვილის აზრით. ის აგრეთვე მიუთითებს, რომ შერაცხვის წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის უნარი იმოქმედოს სხვაგვარად, ვიდრე იგი მოქმედებდა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში (112,76).

პროფ. თ.წერეთლის აზრით ნებელობით აქტში მოქმედებს სუბიექტი, რომელიც შეგნებულად და მიზანმიმართულად არეგულირებს თავის მოქმედებას. ადამიანს ძალუძს არ დაემორჩილოს ამა თუ იმ მოტივებს და თავისი მოქმედება წარმართოს სხვა მიმართულებით. მას ძალუძს დათრგუნოს კონკრეტული სურვილები და წარმოშვას სხვა (147, 8-9).

პროფ.გ.ნაჭყებია აღნიშნავს, რომ ნებისყოფის თავისუფლება, თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკის ინდივიდუალური ფორმაა. ეს იმას ნიშნავს რომ სუბიექტმა კონკრეტულ ქცევაში უნდა გამოავლინოს მისი შინაგანი არსი (4,128).

ასევე უნდა აღნიშნოს ნებისყოფის თავისუფლებასთან დაკავშირებით - დეტერმინისტული და ინდეტერმინისტული მოძღვრებები, რომლებიც განსხვავებულად ასაბუთებენ თავისუფლების პრობლემას და მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს.

ინდეტერმინისტთა აზრით ნებისყოფის თავისუფლება არაფრით არ არის განპირო-

ბეზული, ის თავად განსაზღვრავს თავის თავს (4,43). მათი აზრით შეუძლებელია პასუხისმგებლობის და სასჯელის მიზანშეწონილობის დასაბუთება, არც დეტერმინიზმი იძლევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების სრულ სურათს, რადგანაც ადამიანი ცხადდება გარემო პირობების ბრმა იარაღად, თუმცა როგორც მართებულად აღნიშნავს თ.წერეთელი: “დეტერმინიზმი არ გამორიცხავს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას” (155,182). ასევე მართებულია ზ.კაკაბაძის მოსაზრება, რომ თავისუფლება არჩევანია, ის ყოფიერებაა არჩევანის საფუძველზე. არჩევანი კი ყოველთვის გულისხმობს საზომს (1,23). როგორც ვხედავთ, არჩევანის დროსაც ადამიანზე გავლენას ახდენენ სხვადასხვა ფაქტორები. ამიტომ უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანი თავისუფალია იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია იტვირთოს ეს თავისუფლება და შესაბამისადაც მოეთხოვება მას პასუხი.

ადამიანის ნებისმიერი აქტივობის ერთ-ერთი სახე არის დანაშაულებრივი მოქმედება. ჩვეულებრივი ქცევისგან განსხვავებით, იგი სამართლის ნორმის დარღვევაში გამოიხატება, როგორც წესი იგი ხორციელდება გარკვეული მოტივაციის საფუძველზე (5,12). მოტივაცია კი ადამიანის შინაგანი იდეალური მოქმედებაა, მაგრამ ადამიანს მართალია შესწევს თავისუფლად მოქმედების უნარი, მაგრამ გარკვეულ სიტუაციაში მისი მოქმედება არაა თავისუფალი. ეს მაშინ, როდესაც იგი იძულებით მოქმედებს, მაგრამ ადამიანს ახასიათებს მიზანშეწონილი ქმედება, რაც გარკვეული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება. მისი მოქმედება არ არის სრულად დეტერმინირებული გარემო პირობებით. მართალია იგი განიცდის გარემო ზემოქმედებას, მაგრამ იგი ამავედროულად იძულებულია ანგარიში გაუწიოს სოციალურ გარემოსაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანის ქცევა ცალსახადაა დეტერმინირებული, რადგანაც მას შეუძლია შინაგანი აქტივობის მეოხებით დაძლიოს გარეგანი ზეწოლა და იმოქმედოს მისი შეხედულებისამებრ (4,15). ადამიანის ნებელობითი ქცევა თავისუფალი და არჩევითია. გამონაკლისს წარმოადგენს ფსიქიკური იძულება, როდესაც ნება არ არის თავისუფალი.

ქცევის არჩევითობა თავისუფლების გამოვლენის ფორმაა და არჩევითობა და მოტივირებულობა არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ობიექტური ფაქტორები, რომლებიც უშვებენ არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების გამოხატვის შესაძლებლობას. მისი ალტერნატივის გარეშე შეუძლებელია ნების გამოვლენა, თავისუფლება და პასუხისმგებლობა (77,21-22). ადამიანი აცნობიერებს, რომ მისი არჩევანი სამართლის ნორმის დაცვა და მართლწესრიგის განმტკიცებაა, ან სამართლის ნორმის დარღვევა და დისონანსის შეტანა საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ამ არჩევანში ის შეუზღუდავია, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ რომ სამართლის დარღვევას მოსდევს სასჯელის მუქარა.

ნებისყოფის თავისუფლება წარმოადგენს სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს. იგი თავის თავში აერთიანებს სისხლის სამართლის დოგმატიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა: დანაშაულებრივი ქმედება, ქმედების შემადგენლობა (მოქმედება, უმოქმედობა), შერაცხადობა და ა.შ.

1.3 უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა არსი

საზოგადოების ფუნქციონირების თანამედროვე სისტემა წარმოადგენს მართლწესრიგის რეგულირების რთულ მექანიზმს. მართლწესრიგის განმტკიცება წარმოუდგენელია საზოგადოების ურთიერთკავშირის, სოციალური პასუხისმგებლობისა და გარკვეული სამართლებრივი უფლება-მოვალეობების გარეშე (73,31). სწორედ ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული პიროვნების სპეციალური სამართლებრივი სტატუსი, რომლიდანაც გამომდინარეობს გარკვეული მოვალეობები, რომელთა სათანადოდ შესრულებაც თამაშობს მთავარ როლს სახელმწიფო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაში. პასიური ქმედება კი თავის მხრივ განიხილება, როგორც პიროვნების სტატუსის წინააღმდეგობრივი სოციალური ხარისხი, რომელიც არღვევს მართლწესრიგს და შეაქვს დისონანსიმთელ სოციალურ ორგანიზმში (73,41).

სწორედ ამ მხრივ უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები, როგორც სპეციფიური სოციალური ქმედების ზოგადი სახე დამსახურებულად იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას. მას გააჩნია უცვლელი აქტუალობის დონე და ღრმა სოციალური არსი, რომელიც თავის მხრივ გამოხატულია პასიური დანაშაულებრივი ქცევის ფენომენში (89,35).

საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული“ (214,8). მოტანილი საკანონმდებლო დებულებიდან ნათელია, რომ უმოქმედობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა და შეეძლო კიდეც შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა.

პირის მოქმედების მოვალეობა შეიძლება პირობადებული იყოს სხვადასხვა საფუძვლით.

მათ დაწვრილებით ჩამოთვლას კვლევის პროცესში შევეცდებით, თუმცა ზოგიერთ ასპექტს მაინც გამოვყოფთ, ესენია:

- კანონისმიერი (მაგ. არასრულწლოვანი შვილისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდება);
- სამსახურებრივი ან პროფესიული მდგომარეობით განპირობებული (მაგ. ექიმის მოვალეობა დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს);
- წინა მოქმედებით, რომელმაც შექმნა მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა (მძლოლი, რომელმაც თუნდაც ბრალის გარეშე მიაყენა ზიანი ქვეითად მოსიარულეს მოვალეადახმარება აღმოუჩინოს მას).
- უმოქმედობა არ წარმოადგენს ნებელობით აქტს, თუ პირს არ ჰქონდა მოქმედების შესაძლებლობა (მაგ. რკინიგზის მეისრე ბოროტმოქმედებმა გათოკეს და ამიტომ მან ვერ შეძლო შეესრულებინა თავისი მოვალეობა) (2,304).

პირველად საკითხი დანაშაულებრივი უმოქმედობის შესახებ წამოყენებული იქნა 19 ს. ცნობილი გერმანელი იურისტის ანზელმ ფოიერბახის მიერ. იგი წერდა: „შესაძლოა არსებობდეს დელიქტები მოვალეობის შეუსრულებლობის თაობაზე (Delikta Omissionis) “ (143,24).

სწორედ ფოიერბახიდან დაიწყო უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულების პრობლემის შესწავლა და განსხვავების ძიება ქმედების შემადგენლობის სხვა ფორმებისაგან.

თავდაპირველად მათი განსხვავება მარტივად ხდებოდა : ამკრძალავი სამართლებრივი ნორმის დარღვევა მიიჩნეოდა აქტიური ქმედებით ჩადენილად, ხოლო მავალეულ-აღმჭურველი სამართლებრივი ნორმის - უმოქმედობით.

ფორმალურად მოქმედებისა და უმოქმედობის ძირითადი განსხვავება ნორმის შინაარსში მდგომარეობს, რომლის რეგულირების ობიექტიც სათანადო ქმედებაა(156,178). ამკრძალავი ნორმის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედებით და ეს კარგად დააფიქსირა ჯერ კიდევ 19 ს-ში. ანზელმ ფოიერბახმა, ხოლო მავალეული ნორმის-მხოლოდ უმოქმედობით ანუ გარკვეული დადებითი მოქმედების შეუსრულებლობით. ნორმის შექმნის პროცესში თავდაპირველად ირკვევა განსაზღვრული ქმედების აკრძალვის ან დავალდებულების აუცილებლობა და მხოლოდ აქედან გამომდინარეობს, რომ ეს ქმედება აკრძალვისა და დავალდებულების მიხედვით უნდა იყოს მოქმედებად და უმოქმედობად. მოქმედება იკრძალება არა იმიტომ, რომ ის მოქმედებაა, არამედ იმიტომ, რომ ეს მოქმედება სისხლისსამართლებრივად დაუშვებელია, ე.ი პირველადია ქმედების სისხლისსამართლებრივი შეუწყნარებლობა, ხოლო ქმედების ფორმა

(მოქმედებად ან უმოქმედობად) მეორადია(68,63). ამიტომ არა ქმედების ცალკეული სახე განსაზღვრავს ნორმის შინაარსს, არამედ თვით ნორმის ამკრძალავი და მავალეხელი ხასიათის მიხედვით უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან მოქმედება და უმოქმედობა. აკრძალვაა „ნუ დაფარავ გადასახადს!“ და მავალეხელი ნორმის დისპოზიციას „გადაიხადე გადასახადი!“. უმოქმედობა ამკრძალავი ნორმის რეალიზების, მისი პრაქტიკული არსებობის ფორმაა (73.105).

დანაშაულებრივი უმოქმედობა არის არა საკუთრად „უმოქმედობა“, არამედ სხვაგვარად მოქმედება. სუბიექტი ისჯება არა მის გამო, რომ მან არ იმოქმედა, არამედ იმის გამო, რომ მან იმოქმედა არასათანადოდ ანუ იმოქმედა სხვაგვარად (125,37). ამასთანავე, სხვადასხვა ობიექტის მიმართ ინდივიდი ერთდროულად შეიძლება მოქმედებდეს და უმოქმედობდეს კიდევ. იმისათვის, რომ სუბიექტმა ფიზიკურად გამოხატოს უმოქმედობა, ფსიქიკურად უნდა იმოქმედოს, ე.ი ფსიქოლოგიურად უმოქმედობაც მოქმედებაა, მაშასადამე, უმოქმედობა მხოლოდ ფიზიკურად (ობიექტურად) არის უმოქმედობა, ფსიქოლოგიურად (სუბიექტურად) კი მოქმედებაა, მაგრამ სისხლის სამართალს უმოქმედობა არ აინტერესებს არც მხოლოდ ფიზიკურ და არც მხოლოდ ფსიქიკურ ასპექტში. სისხლისსამართლებრივ დაინტერესებას ის იწვევს მარტოდენ, როგორც

ფსიქო-ფიზიკური კატეგორია. ამავე დროს, უმთავრესი მნიშვნელობის არის არა ის, რომ უმოქმედობა ერთ-ერთ ასპექტში ემთხვევა მოქმედების ცნებას, არამედ ის, რომ მოქმედება და უმოქმედობა არ ემთხვევა ერთმანეთს ორთავე ასპექტში: უმოქმედობაში მოქმედების ნაწილობრივი და არა აბსოლიტური გამოხატულება მეტყველებს სწორედ იმაზე, რომ უმოქმედობა განსხვავდება მოქმედებისგან, რომ უმოქმედობა მოქმედება არ არის და რამდენადაც უმოქმედობა გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, მოქმედების ცნების უცხო სპეციფიკით (125,57). ამ უკანასკნელისაგან მისი როგორც სისხლისსამართლებრივი ცნების დამოუკიდებლობა არავითარ ეჭვს არ უნდა ბადებდეს.

ა.ტერ-აკოპოვი აღნიშნავდა, რომ დანაშაულებრივი უმოქმედობა „ეს ცხოვრებისეული მოქმედების შექმნილი ფორმაა, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ გარკვეული სოციალური ურთიერთობის სისტემაში და აქტიურობას ავლენს სოციალურ დეტერმინიზმში“ (138,51). ასევე მიუთითებს ა. ნაუმოვიც, რომელიც აღნიშნავს, რომ: „პირის პასიური მდგომარეობა ეს მისი არა გარეგანი, არამედ სოციალური დახასიათებაა“ (121,317).

უმოქმედობა წარმოადგენს სუბიექტის მიერ ნორმიდან მომდინარე მოსალოდნელი მოქმედების შეუსრულებლობას, თუ მისი შესრულება სუბიექტის შესაძლებლობას არ აღემატებოდა. გარდა იმისა, რომ ამით უმოქმედობის ცნება გადმოიცემა, ამასთანავე აქ მოქმედების შესაძლებლობის ობიექტური და სუბიექტური ასპექტებიც თანაბრად არის

გათვალისწინებული. ფიზიკურად მოქმედების უნარი შეურაცხადსაც გააჩნია, ამიტომ აქ მთავარია ნებელობითი მოქმედების უნარი, რადგანაც ქმედების განხორციელების შესაძლებლობა და ნების თავისუფლება უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა დასჯადობის უმთავრესი წინაპირობაა (138,53).

სისხლისსამართლებრივი ნორმისა და სისხლისსამართლებრივი მოვალეობის სხვაობის დასტურია თუნდაც ის, რომ სუბიექტს ნორმიდან მომდინარე შესაძლოა ევალებოდეს გარკვეული მოქმედების განხორციელება, მაგრამ გამამართლებელ გარემოებათა არსებობით ეს მოვალეობა ქარწყლდება. „ობიექტური შესაძლებლობისას-წერს ე.შმიტი: ქმედების შესაბამისი ნება გამოირიცხება და უმოქმედობაც არ არსებობს და ის წარმოდგენებით განსაზღვრული ქმედებაა” (56,29). სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ უმოქმედობა, თუ ის ნების თავისუფლებასთან ერთად წარმოსახვითი განსაზღვრულობითაც არ ხასიათდება, არ შეიძლება იყოს დასჯადი ქმედება, როდესაც სუბიექტი სრულყოფილად იცნობს ნორმის შინაარსს, მაგრამ გარე სამყაროში მიმდინარე პროცესს ნორმაში აღწერილი ვითარების შესატყვისად არ წარმოიდგენს, მისი

უმოქმედობა ბრალეულად არ მიიჩნევა. ის შესაძლოა ხედავდეს, მაგრამ იმავდროულად არ წარმოიდგენდეს, რომ სხვა პირი სიცოცხლისთვის სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება და მისი ჩარევის გარეშე ვერ გადარჩება. თვითმხილველობა და წარმოდგენა ასეთ შემთხვევაში გაშუალებულია ბრალის გამომრიცხველ გარემოებასთან, რომელსაც სისხლის სამართალში ფაქტობრივი შეცდომა ეწოდება.

უმოქმედობის ნებელობით მხარეს თავისებურად გადმოგვცემს კ.ენგიში: „უმოქმედობა მოქმედების მსგავსად ნების შესაბამისობას მოითხოვს, რომელშიც სხვაგვარად მოქმედების ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობა იგულისხმება”¹ (29.44). კ.ენგიში ამით აიგივებს ქმედების თავისუფლებასა და ნების შესაბამისობას ანუ თავისუფლებას. ქმედებაში ნების გამოხატულებით ეს უკანასკნელი იქცევა ამ პირველის მხოლოდ კომპონენტად, ამიტომ ნება მოიცავს მხოლოდ იმის ნაწილს, რისი მომცველიც ქმედების შინაარსია. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ნება ფსიქიკური, ხოლო ქმედება ფსიქო-ფიზიკური კატეგორიაა. უმოქმედობის დროსაც დამნაშავის ქმედება უნდა იყოს ნებით დაუფლებული ან დაუფლებადი ფაქტი. პირი როდესაც მოქმედებს იძულების ზემოქმედებით, ვამბობთ, რომ ის მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ არა ბრალეულად, ხოლო როდესაც სუბიექტი იძულებით უმოქმედობს, ვამბობთ, რომ

¹ Engisch k..Der Handlungsbegriff ,in Probleme der Strafrechtserneuerung, FS Kohlrausch,1944 S.161.ციტ. KutaliaL.G.2011.Handlungslehre.S.44

სისხლისსამართლებრივად ის არ უმოქმედობს საერთოდ. არის თუ არა ეს ლოგიკურად სწორი და გამართული? დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ანალიზი მიმდინარეობს არა სუბიექტური ქმედებიდან დანაშაულის ფაქტამდე, არამედ პირიქით, ფაქტიდან სუბიექტურ ქმედებამდე. თუ ამ შებრუნებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარე სამყაროში მომხდარი მავნე ცვლილება განსაზღვრულ კავშირშია სუბიექტის ქმედებასთან, მაშინ მოცემული ქმედება, მიუხედავად იმისა, მოქმედებაშია ის გამომხატული თუ უმოქმედებაში, დაუყოვნებლივ იქმნება კვლევის მორიგ საგნად, მაგრამ უკვე არა როგორც ზოგადი ცნება, არამედ ცალკეული შემადგენელი ელემენტის სახით. ვერც მოქმედებისას და ვერც უმოქმედობისას გაერკვევი, რომ სუბიექტური აქტი იძულების შედეგია, თუ გამოძიებით დანაშაულის შესაბამისობისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპები განვლილი არ არის. ამ მხრივ უმოქმედობისათვის განხვავებული პროცედურის დაწესება აბსოლუტური უსაგნო იქნებოდა, რადგან საამისოდ არავითარი არგუმენტი არ მოგვეპოვება (29.44). ამასთანავე, იმ მიზეზით, რომ დანაშაულის შემადგენლობისა თუ მართლწინააღმდეგობის სფეროები სისხლის სამართლის სფეროებია, ფაქტობრივი უმოქმედობა ამ სივრცეებში შეღწევით სისხლისსამართლებრივ რეალობას უერთდება და მექანიკურად იქცევა სისხლის სამართლებრივ უმოქმედობად, ამიტომ სიმართლეს არ შეესაბამება იმ ავტორთა მტკიცება, რომლებიც იძულებით უმოქმედობას სისხლისსამართლებრივ უმოქმედობად არ განიხილავს (29.44).

აქტიური მოქმედების დროს ნებელობა ქმედების ცნებას განეკუთვნება, ანალოგიურად უნდა მოვითხოვოთ ეს მომენტი უმოქმედობისას. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივად სუბიექტი არ უმოქმედობს, თუ ნორმატიული მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო დროს ის ცნობამიხდილად იმყოფება. მართალია, რომ ნებელობა ნამდვილად არის დანაშაულებრივი ქმედების ცნების ნიშანი, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედება სისხლისსამართლებრივი ქმედების ერთადერთი სახე არაა. სისხლისსამართლებრივად ქმედება შეიძლება იყოს: დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულიანუ დანაშაულებრივი. ამის კვალობაზე უგონო მდგომარეობაში მყოფი პირიც სისხლისსამართლებრივად უმოქმედობს, თუმცა ეს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო და არაბრალეული ანუ დანაშაულებრივი უმოქმედობაა (8.306).

სირთულეებს ამ მიმართულებით ქმნის ქმედების ფინალური მოძღვრება. ფინალისტი რ.ჰონიგი აღნიშნავს: „ფაქტობრივ უმოქმედობას არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის მნიშვნელობა, თუ ის ჩადენილია სულიერი ავადმყოფობის ან ფიზიკური იძულების შედეგად, ანაც თუ სხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო მოქმედების შესაძლებლობა არ არსებობდა. შედეგის დადგომასთან მიმართებაში ჩვენ

მხოლოდ მაშინ ვსაუბრობთ უმოქმედობაზე (იმ შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც დამნაშავემ შედეგი განზრახ არ აიცვია) თუ სუბიექტს შეეძლო მისი გათვალისწინება და მართვა, ე.ი აცდენა და თუ შედეგის მიმართ უმოქმედოდ დარჩენა ფინალურად მოისაზრება² (29,39) .

სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ფინალური მოძღვრების თანახმად, ისეთი სუბიექტური მომენტი, როგორც განზრახვაა, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვლევის ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე პოვებს თავის ასახვას, თუ განზრახვა ქმედებაში იმთავითვე არ მოიცემა , ქმედება ვერ იქნება ვერც მართლსაწინააღმდეგო და ვერც ბრალეული (61.63). როგორც აშკარაა, ტრადიციული ანუ ბელინგისეული დანაშაულის შემადგენლობის ამგვარი „სუბიექტივირება“ ძირეულად უცვლის სახეს ქმედების შინაარსს. მისი სამივე სახის ერთნაირად აუცილებელ ნიშანს ფინალურობა შეადგენს, სამივე სახის ქმედება ფინალური ქმედებაა, ამიტომაც ჩვენ უკვე არ გვეთქმის, რომ ცნობამიხდილად ან სხვა მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირი

ფინალური მოძღვრების თანახმად, მხოლოდ სუბიექტური აქტის კონკრეტულად შესაძლო ან პოტენციურ-ფინალური დაუფლება გარდაქმნის უმოქმედობის ფაქტობრივ სახეს სისხლისსამართლებრივად რადგან უმოქმედობის კონსტიტუციური ნიშანი ქმედების პოტენციური ფინალური დაუფლებაა, ის (უმოქმედობა) მოითხოვს არა აქტუალურ, არამედ მხოლოდ პიროვნებისათვის შესაძლო ნებელობით აქტს (61.64) .

უმოქმედობის სისხლისსამართლებრივ შინაარსს აფუძნებს არა ფინალურად მოქმედების უნარი, არამედ მხოლოდ სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა. სისხლისსამართლებრივ უმოქმედობაზე ვერ ვისაუბრებთ მარტოდენ მაშინ, როდესაც სუბიექტს არ მოეპოვებოდა მოქმედების ობიექტური შესაძლებლობა, მაგრამ სუბიექტს შეიძლება მოეპოვებოდეს მოქმედების ობიექტური შესაძლებლობა, მაგრამ არ გააჩნდეს ფინალურად მოქმედების უნარი, რომლის გარეშეც, თვით ფინალისტების მტკიცებით დაუშვებელია ქმედების სისხლისსამართლებრივად აღიარება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ „სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა“ და ამ მოქმედების შესრულების ობიექტური შესაძლებლობა იდენტური ცნებები არ არის, ვინაიდან ეს პირველი ამ უკანასკნელთან ერთად თავად ფინალური მოქმედების უნარსაც მოიცავს. 3. ველცელი თავის შეხედულებებში ცხადქმნის, თუ რაზომ რთულია ფინალური მოძღვრების

² Honig R.Kausalitat und objektive Zurechnung,in :FG Frank, Bd.1 S.191. .ციტ. KutaliaL.G.2011.Handlungslehre.S.39

პრინციპთა უმოქმედობისათვის მისადაგება (61,174) .

3. ველცელის „პოტენციური ფინალურობა“ რომ განზრახვას არ უდრის, ეს თვით მისთვისაც ეჭვს ბადებს. „პოტენციური ფინალურობა“ ანუ „პოტენციური განზრახვა“ აქ პირობითად გაგებული გაუფრთხილებელი ბრალია (61.207). ამავე დროს, შეიძლება დავუშვათ გაუფრთხილებლობის გამოვლინება რა სახითაც არ უნდა იყოს იგი, რა ჟამსაც ვამტკიცებთ, რომ უმოქმედობის ინტელექტუალური მხარისათვის ცოდნის შესაძლებლობა საკმარისი არ არის? ცხადია, მსგავსი ურთიერთგამომრიცხავი ასპექტებით უმოქმედობისას ბრალის სრულყოფილად გრადირება, მისი შინაარსობრივი ზუსტი გადმოცემა და სტრუქტურირება ვერ მოხერხდება.

უმოქმედობის განმსაზღვრელ ორიენტირად შვეიცარიელი კრიმინალისტები სისხლის-სამართლებრივი მოვალეობის გამოყოფას ცდილობენ. ე. ჰაფტერი მიიჩნევს: “უმოქმედობის სისხლის სამართლებრივი შეფასება უნდა დაემყაროს იმას, რომ დამდგარი საზიანო შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო სუბიექტის მართლზომიერი, მოვალეობის შესაბამისი მოქმედების მეშვეობით” (23,76).

უმოქმედობა მხოლოდ მაშინ გაუტოლდება აქტიურ მოქმედებას, თუ სუბიექტს მოვალეობის შესაბამისი მოქმედებით შეეძლო მავნე შედეგის აცდენა. მართალია, შვეიცარიელი კრიმინალისტები ამტკიცებენ, რომ ისინი ამგვარად ვალდებულების მომენტს უსვამენ ხაზს, მაგრამ სინამდვილეში, რის აქცენტირებასაც ისინი ახდენენ, არის არა სისხლისსამართლებრივი მოვალეობა, არამედ სწორედ შედეგი. თუ უმოქმედობასთან მიმართებაში ვალდებულებას განვმარტავთ, როგორც პრიორიტეტულ ფაქტორს, მისი დარღვევა უნდა იყოს ბრალეული იმისდა მიუხედავად, შეეძლო თუ არა სუბიექტს მართლზომიერი, მოვალეობის შესაბამისი მოქმედებით საზიანო შედეგის თავიდან აცილება, უფრო მეტი, ე. ჰაფტერისა და ო. გერმანის დებულებებს ეწევი ჰიპოთეზურ შედეგთან დელიქტის ყოველმხრივ დეკრიმინალიზაციამდე მივყავართ (23,91). ჰიპოთეზურ შედეგიან დელიქტად სისხლის სამართალში ცნობილია ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული საზიანო შედეგი დადგებოდა სუბიექტის მართლზომიერი ქმედების შემთხვევაშიც.

ე. ჰაფტერისა და ო. გერმანის მიხედვით, მოცემული დელიქტი ვერ იქნება დასჯადი სწორედ იმის გამო, რომ მოვალეობის შესაბამისი მოქმედებით ან უმოქმედობით საზიანო შედეგის აცდენა არ მოხერხდება, რითაც ვალდებულების დარღვევა, როგორც ასეთი, პასუხისმგებლობის მიმართ კარგავს დამოუკიდებელმნიშვნელობას და ყოველივე ეს მაშინ, როდესაც ხაზი გაესმის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის პრიმატულობას.

ფ. ნოვაკოვსკი მიუთითებს: “უმოქმედობა არ არის წმინდად ნეგატიური ცნება, მის შინაარსს თვით შეუსრულებელი მოქმედება ავსებს ... ნების შესაბამისობა უმოქმედობისას (ისევე, როგორც მოქმედებისას) ბრალეულობის წინაპირობას არ უნდა წარმოადგენდეს³ (29,52) .

ფ.ნოვაკოვსკის მიერ მოტანილი „ნების შესაბამისობა“ უცილობლად სურვილის შესაბამისობის მცდარი ექვივალენტია, სხვაგვარად სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რა აზრის გადმოცემა სურს ავტორს. როგორც წესი, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისას სუბიექტს მართლაც არ სურს მავნე შედეგი, რადგან ჩვეულებრივ ის არის არა ამ შედეგის მიზეზთა შექმნის, მისი დაგეგმვის უშუალო ინიციატორი, არამედ მხოლოდ მისგან დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესების შემთხვევით თვითმხილველი, როგორც მარტივად მისახვედრია, უმეტეს შემთხვევაში იმავე მიზეზთა გამო ვერც ქმედება შეიძლება შეადგენდეს მისი სურვილის ობიექტს, ამიტომ არის, რომ ავტორთა უმეტესობა „უმოქმედობის განზრახვას“ წარმოუდგენელ ცნებად მიიჩნევს (30,105). მოქმედების შესაძლებლობა უმოქმედობის ცნების ნიშანი არ არის. უმოქმედობით ჩადენილი დელიქტების დროსაც ფიზიკური შესაძლებლობა მხოლოდ ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა. შესაძლებლობა ბრალის მთავარი პრინციპია. ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა. სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობაც ამგვარი ბრალის პრიციპის შემთხვევაა და ამიტომ მას მხოლოდ ბრალის საფუძურზე ვითვალისწინებთ. ევალება არა მართლსაწინააღმდეგო, არამედ ბრალეული ქმედების ჩაუდენლობა. მართლსაწინააღმდეგოა შეურაცხადის მიერ ჩადენილი მკვლელობა, სუბიექტური შეცდომის პირობებში მყოფი შეურაცხადი პირის მიერ ჩადენილი სხეულის განზრახ დაზიანება და ა.შ. მსგავს შემთხვევებში ინდივიდს არ შეიძლება დაევალოს სხვაგვარად მოქმედება, რადგან მას არ შესწევს ამის უნარი, მაგრამ თუ პირველ მაგალითში შეურაცხად პირს შეცვლით შეურაცხადით, ხოლო მეორეში გამოვრიცხავთ სუბიექტურ შეცდომას, ნაცვლად მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა, მივიღებთ ბრალეულ ქმედებას, სადაც სუბიექტს სავსებით შეიძლება დაევალოს და ევალება კიდევაც სხვაგვარად მოქმედება, ე.ი. სისხლისსამართლებრივი მოვალეობა სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას თავის თავშივე შეიცავს. ამრიგად, პირი არღვევს მოვალეობას არა მაშინ, როდესაც მას არ გააჩნია სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის ამ

³ Nowakowski F. Das Osterreichische Strafrecht in seinen Grundzigen. 155. s. 43.
ციტ. Kutalia L. G. 2011. Handlungslehre. S. 52

შესაძლებლობას ფლობს. აქედან გამომდინარე, ბრალი უნდა განვსაზღვროთ, როგორც სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ყოველგვარი და არა სპეციალური დარღვევა.

დასასრულს, შევეხებით 3. ველცელის თვალთახედვას. ის უმოქმედობისათვის დანაშაულის შემადგენლობის შემდეგ ფორმულას გვთავაზობს:

1. დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა: განსაზღვრული ვითარების არსებობა; განსაზღვრული მოქმედების შესრულებლობა: დახმარების აღმოუჩენლობა, დანაშაულის დაფარვა და სხვ; დამნაშავის მიერ მოქმედების შესრულების შესაძლებლობა.

2. დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტური შემადგენლობა: შესაბამისი სიტუაციის ცოდნა (ცოდნის შესაძლებლობა საკმარისი არ არის. უმოქმედობა შეიძლება მივიღოთ როგორც შეცნობილად, ისე შეუცნობლად) (61,174).

3. ველცელის მიერ წარმოდგენილ დანაშაულის შემადგენლობის სქემაში დანაშაულის შემადგენლობის შინაარსი არ უნდა იყოს ისეთი ვრცელი, რომ მან სუბიექტური ელემენტებიც მოიცვას, მაგრამ უშუალოდ ინტელექტუალური მომენტის სისწორეს ეს არ ეხება.

3. ველცელს უცდომლად ესმის, რომ მოქმედებისა და უმოქმედობის გაიგივება ამ მხრივ დაუშვებელია. მაგალითად, დანაშაულის განუცხადებლობისას დამნაშავეს უნდა სცოდნოდა არსებული დანაშაულებრივი გეგმის შესახებ და არა მხოლოდ ჰქონოდა ასეთი ცოდნის შესაძლებლობა (61,207). ამ მიზეზს შეადგენს ის, რომ ცოდნის შესაძლებლობასთან სისხლისსამართლებრივად პირდაპირ არის ასოცირებული წინდახედულობის ვალდებულება. მოქმედებისას სუბიექტი განმსაზღვრელად ზემოქმედებს გარე სამყაროზე, მოძრაობაში მოჰყავს გარეგან პროცესთა მთელი რიგი და ამიტომ მკაცრად უნდა უნდა წარმოდგენდეს თავისი ქმედების, მის ძირითად თუ თანამდევ შედეგთა მართვადობის ხარისხს, ე.ი ყოველი მოქმედების დროს მას სავსებით საფუძვლიანად ევალება წინდახედულობა. მაგრამ რის მომასწავლებელია წინდახედულობის მოვალეობა ყოველი უმოქმედობის დროს? პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ სუბიექტი წინდახედული უნდა იყოს ყოველ წამს და ყველა ვითარებაში, რასაც სისხლის სამართალი მას ვერ მოსთხოვს. როდესაც ველცელი უმოქმედობის როგორც შეცნობილად, ისე შეუცნობლად ჩადენის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს, ეს უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ მისთვის მართლწინააღმდეგობის შეგნება უმოქმედობის დასჯადობის პირობათაგანი არაა (61,208). ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მოქმედებასა და უმოქმედობას შორის არავითარი განსხვავება არ მოგვეპოვება. მართლწინააღმდეგობის შეგნების პასუხისმგებლობის წინაპირობად აღიარება უმოქმედობის დროსაც იგივე

მწიფად დასაძლევ დაბრკოლებებს ქმნის, როგორც ამას მოქმედების დროს ვხვდებით. შესაბამისად, დანაშაულებრივი უმოქმედობის სპეციფიურობა აქ ვერაფრით იქნება ნაკარნახევი. უმოქმედობის ობიექტური მხარე გულისხმობს ნორმატიული მოთხოვნით გათვალისწინებული მოქმედების შეუსრულებლობას, ხოლო სუბიექტური მხარე კი პირის უნარს ჩაიდინოს ეს ქმედება (214,11). მოქმედების რეალური შესაძლებლობა გულისხმობს იმ შექმნილ გარემოს, რომელშიც პირს უნდა მიეღო გადაწყვეტილება მოქმედებასა თუ უმოქმედობასთან დაკავშირებით. აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, როგორც გარემო პირობები, ასევე თავად პირის ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობა.

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა სოციალური არსის განვითარებისთვის კარგი იქნება, თუ მოკლედ მიმოვიხილავთ მისი განვითარების ისტორიას პოსტსაბჭოთა პერიოდში.

ეს პერიოდი შეგვიძლია ორ ნაწილად დავყოთ: დანაშაულებრივი უმოქმედობაასახული მეორე მსოფლიო ომამდე არსებულ კანონმდებლობაში და მის შემდგომ. შევეცდებით გავანალიზოთ თითოეული მათგანი.

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მის პირველ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეუტანია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თუმცა 1903 წ. დანაწესში მაინც მოხდა რეორგანიზაცია ახალი რეალიების გათვალისწინებით (132,27). ეს ეხებოდა ძირითადად: კონტრევოლუციურ, სამეურნეო და სამოხელეო დანაშაულებს, რომელთა ჩადენაც უმოქმედობით ხდებოდა. ასე, მაგ. სამეურნეო დანაშაულებს ეხებოდა

„გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება“, „დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა“ (132,41). მაგრამ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთათვის აპოგეას სისხლისსამართლებრივმა კანონმდებლობამ სწორედ სამამულო ომის პერიოდში მიაღწია. ამ პერიოდში დაწესებულ იქნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის თვითნებურად თავის არიდებისათვის, სამსახურის დროზე ადრე დატოვება, დისციპლინის დარღვევა და ა.შ. სწორედ ამ კატეგორიების დანაშაულებმა შეადგინეს 1940-1950წ. მეცნიერთა კვლევების თანახმად მთელი სისხლის სამართლის საქმეების 50% . ხელისუფლებამ ფართო მოვალეობები დააკისრა თავის მოქალაქეებს და პასუხისმგებლობაც გაამკაცრა მათ შესრულებაზე, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო კანონმდებლობის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა, ეს როგორც ნ.ბელიაევი აღნიშნავს განპირობებული იყო იმით, „რომ ხელისუფლება ამა თუ იმ ჯგუფის საზოგადოებრივი ურთიერთობების ღირებულებებს

განსაზღვრავდა კანონის მიღების დროს, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით და სოციალური სინამდვილის ასახვით“ (72,72). ამიტომაც კანონმდებელმა დაბლა დაწია ზღვარი გარკვეული კატეგორიის პასიური ქმედებით ჩადენილ დანაშაულთათვის, თუმცა, ამასთანავე სსრკ. 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსში განამტკიცა პასუხისმგებლობა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა იმ კატეგორიებისთვის, რომელსაც 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობდა, მაგალითად : „თავის არიდება ვენერიული დაავადები მკურნალობისთვის (მუხ.115), მშობლის დახმარებისათვის განზრახ თავის არიდება (მუხ.123)” (132,43).

ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა მასში ასახულიყო ისეთი ნორმებიც, როგორცაა: „სამთო, სამშენებლო ან წარმოების უსფრთხოების წესის დარღვევა (მუხ.214-216), რკინიგზის ან საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის, უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა“ (მუხ.85), რომელთა ჩადენაც სწორედ უმოქმედობით ხდება.

ზოგიერთი ქმედების შემადგენლობისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იყო დაწესებული, თუმცა შემდგომ გაუქმდა ან პირიქით, მაგ. სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსში არ იქნა შეტანილი პასუხისმგებლობა

„სამხედრო შეკრების თავის არიდებისათვის“, თუმცა 1968 წ. გაჩნდა მუხლი 198.1(თავის არიდება სამხედრო სავალდებულო და სასწავლო შეკრებისათვის). ეს კი იმის მანიშნებელია, რომ გარკვეული სოციალური ღირებულებები განიცდიან ცვლილებებს, და შესაბამისად სარგებლობს პასუხისმგებლობის დადგენისას კანონმდებელიც ანუ ნორმაში ასახული უნდა იქნას არა მარტო პასუხისმგებლობის ზღვარი არამედ ობიექტური რეალობაც (132,44).

მთლიანობაში განსაკუთრებული ნაწილის 206 მუხლიდან 124 მუხლი იქნა შევსებული და განახლებული, ან საერთოდაც ამოღებული, მათ შორის 1975 წ. ამოღებულ იქნა 209.1 მუხლი, რომელიც სსრკ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა 1970წ. (132,51).

რა თქმა უნდა, თანამედროვე კანონმდებლობაშიც გაჩნდა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა ახალი მანამდე უცნობი ნორმები, რომელთაც მოგვიანებით შევეხებით.

თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში მიღებულია, რომ ქმედება შედგება: მოქმედების (აქტიური მოქმედება) და უმოქმედობისგან (პასიური ქმედება).

კვლევის განხორციელების პროცესში ჩვენ ჩავატარეთ სოციალური კვლევა (ანკეტირება) უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა ცალკეული მუხლების თაობაზე (ამ კვლევის ანალიზს უფრო ფართოდ თანდათანობით შევეხებით), რესპოდენტებს

შევთავაზეთ კითხვარი, სადაც შეეძლოთ რამდენიმე შესაძლო პასუხებიდან აერჩიათ მათთვის მისაღები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სამედიცინო სფეროს მუშაკებმა.

როგორც ა. ტერ-აკოპოვი აღნიშნავს „ნებისმიერი დანაშაულის არსი მდგომარეობს მის წინააღმდეგობრივ ხასიათში სავალდებულო ქმედების მიმართ“ (137,38), თუმცა შეუძლებელია მხედველობაში არ მივიღოთ მოქმედებისა და უმოქმედების ერთმანეთისგან განსხვავება და სრულად წავშალოთ მათ შორის ზღვარი. როგორც მ. გრინბერგი მიუთითებს: „მოქმედება ეს ისეთი პროცესია, რომლის დროსაც ხდება ენერჯის გამოყოფა და ამ ენერჯის გადატანა გარკვეულ ობიექტზე, რომელიც განიცდის მის ზემოქმედებას“. ანალოგიურად მსჯელობს გ. ტიმეიკოც, რომელიც თვლის, რომ „ მოქმედება ყოველთვის სხეულის მექანიკურ აქტში გამოიხატება, რაც მრავალფეროვან გარდაქმნებს იწვევს“ (139,39).

ნ. კორჟანსკი აღნიშნავს, რომ „უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა განსხვავება მდგომარეობს სუბიექტის პასიურობაში (უმოქმედობაში) სამართლებრივად სავალდებულო მოქმედების მიმართ“ (96,35).

ა.ტერ-აკოპოვის აზრით „უმოქმედობის ფიზიკური მხარე უმნიშვნელოა“, ხოლო მ. კოვალიოვი მიიჩნევს, რომ „უმოქმედობის დროს სუბიექტი არასდროს არ გამოხატავს თავის შინაგან არსს გარეგანი მოქმედებით“ (97,39), თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უმოქმედობა, როგორც დანაშაულის ჩადენის ფორმა, ძალზედ იშვიათად გამოიხატება წმინდა პასიური ფორმით.

უმოქმედობის შეფასება, როგორც დანაშაულის ჩადენის ფორმა არ შეიძლება დაყვანილ იქნას მხოლოდ „სავალდებულო მოქმედებაზე“. უმოქმედობა ეს არის დროში განგრძობადი, სტატიკური მდგომარეობა და განხილულ უნდა იქნას, როგორც პირის გარკვეული პოზიცია , ხოლო მოქმედება ხასიათდება უფრო დისკრეტული, წყვეტილი ხასიათით, რომელიც უფრო მეტად უახლოვდება არამდგომარეობას, არამედ პროცესს.

ვ.ნ. კუდრიავცევი მიიჩნევს, რომ უმოქმედობის ცენებას არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცეს, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ მის არსს, რომელიც ქმედების პოზიტიურობაში მდგომარეობს“ (98,62).

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა მრავმხრივობით გამოიხატება და სპეციფიურობით ხასიათდება, თუმცა მათ აერთიანებთ ის ერთი, რაც გადამწყვეტია უმოქმედობის დადგენისათვის, ეს არის -დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა. თუ ვის ეკისრება ეს მოვალეობა და რა სუბიექტურ და ობიექტურ

ფაქტორებზეა ყურადღება გასამახვილებელი კვლევის პროცესში თანმიმდევრულად შევსებით, რომელთა ჩამოყალიბებაც უმოქმედობის ცნებისა და მისი ნიშნების გარეშე შეუძლებელია.

1.4 უმოქმედობის ცნება და მისი ნიშნები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული ანუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მისი ცნება კი აგებულია სამ საფეხურიან სისტემაზე. ამ სისტემის შემადგენელი ელემენტებია, როგორც ვიცით: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი (214,10).

შესაბამისად ქმედების შემადგენელი ნაწილია მისი ობიექტური მხარე, რომელსაც წარმოადგენს ქმედება, როგორც ადამიანის შეგნებული და მიზანდასახული ქცევა .

სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებლობა უკავშირდება მხოლოდ ნებელობით ქცევას, ანუ სიტუაციას, როდესაც ადამიანს შესაძლებლობა აქვს თავად განსაზღვროს დაემორჩილოს თუ არა საზოგადოებრივ ნორმებს. ადამიანის ნებელობითი უნარი შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში. თუ ადამიანი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედების დროს აქტიურად ქმნის შედეგის დადგომის წინაპირობას. უმოქმედობის დროს მან მოქმედებისაგან თავის შეკავებით უნდა გამოავლინოს თავისი ნებელობითი იმპულსი. შესაბამისად სწორედ ამიტომაც კრძალავს სისხლის სამართალი აქტიური ქმედებით მიზეზობრიობის დაფუძნებას .

სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს არა მხოლოდ (მკვლელობის, სხეულის დაზიანების და სხვ.) აკრძალვებს, არამედ მოიცავს განსაზღვრული ქმედების განხორციელების ვალდებულებასაც და ეს მოვალეობები გამოდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილიდან.

საქ-ოს. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად (214,11), უმოქმედობის მართლწინააღმდეგობის განსაზღვრისათვის აუცილებელია სამი წინაპირობის არსებობა:

1. პირს უნდა ეკისრებოდეს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა.
2. მას უნდა ჰქონდეს მოქმედების შესაძლებლობა.
3. მოქმედებით შედეგი თავიდან უნდა იყოს აცილებული (214,11).

დანაშაულებრივი უმოქმედობა სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ და სადავო საკითხს წარმოადგენს.

მოქმედება და უმოქმედობა ადამიანის ქცევის ორი სხვადასხვა ფორმაა, თუ ისინი ქმედების საერთო გვარეობით ცნებაში ერთიანდება? სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ დანაშაულის ძირითადი დამაფუძნებელი ნიშანი ქმედებაა (სსკ-ის. მუხ. 7). იგი გვარეობითი ცნებაა და მოიცავს: აქტიურ მოქმედებას და უმოქმედობას. უმოქმედობისას კი შესაბამისად კანონმდებელი ადამიანისგან განსაზღვრულ ქმედების განხორციელებას მოითხოვს და ამით პირის თავისუფლებას უფრო მეტად ზღუდავს, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ იმ შემადგენლობების მიმართ, რომლებიც მხოლოდ მოქმედებით შეიძლება განხორციელდნენ.

მოქმედებისა და უმოქმედობის გაერთიანებამ ქმედების შემადგენლობაში კრიმინალისტები მიიყვანა მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების კვლევისკენ. ასე, მაგ. ვ. კუდრიავცევი ამ ტერმინის საერთო ნიშნებს იკვლევდა (98,62). ვ. მალინინმა კი ყურადღება ქმედების განმასხვავებელ ნიშნებზე გააკეთა და აღნიშნა, „რომ ტერმინი ქმედება კანონმდებლის მიერ გამოყენებული იქნა არა მოქმედებისა და უმოქმედობის გამთლიანებისთვის ქმედების შემადგენლობაში, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისათვის“, მაშასადამე, კანონმდებლის მიერ სამართლებრივ ნორმაში „ქმედების“ აღნიშვნა, უთუოდ ამ ტერმინის განსაკუთრებულობაზე მიუთითებს. მათ შორის უმოქმედობაც, რომელიც „მოქმედების ტოლფას ნებისმიერი ქცევის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს“ (113,114). თუმცა, სანამ მის კვლევას შევუდგებით და ამის საფუძველზე შევეცდებით მისი ცნებისა და ნიშნების ფორმულირებას, უწინარეს ყოვლისა აუცილებელია მივიდეთ ერთიან ტერმინოლოგიამდე, რომელიც პასიურ დანაშაულებრივ ქცევას აღნიშნავს, ანუ აუცილებელია იმ ტერმინთა ანალიზი, რომლებიც პასიური-აზრობრივი დატვირთვის მატარებელნი არიან. ესენია: უმოქმედობა, პასიურობა, უძრაობა. საჭირო ხდება განვსაზღვროთ შესაძლებლობა და ზღვარი მათი ურთიერთობისა პასიურ დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით. დასმული ამოცანა კი მოითხოვს, რომ უმოქმედობის ფენომენი განვიხილოთ არამარტო სამართლებრივი დოგმატიკის ფარგლებში, არამედ შესაძლოა ნაწილობრივ განვიხილოთ: სოციალური და ფსიქოლოგიური კუთხითაც, რადგანაც უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული ეს მრავალწახნაგოვანი რთული ფენომენია, რომელიც მოითხოვს ობიექტური სინამდვილის გამდიდრებას ცოდნის ცალკეული მიმართულებებით (73,76).

თავდაპირველად განვიხილოთ ტერმინი „უმოქმედობა“. ეტიმოლოგიური კუთხით

კლასიკური უმოქმედობა განიხილება მოქმედების საპირისპიროდ, როგორც ფიზიკური ენერჯის გამოყოფის უარყოფა. ასე მაგ. გ. ტიმეიკო მიუთითებს, რომ „უმოქმედობის პროცესში ბუნებრივი ფიზიკური ძალა, რომელიც ადამიანის სხეულს ეკუთვნის იმყოფება მშვიდ, მოდუნებულ მდგომარეობაში“ (139,53). განმარტებითი ლექსიკონების უმეტესობაში უმოქმედობა განმარტებულია, როგორც „მოქმედებისაგან თავის შეკავება და ყოველგვარი მოქმედების არ არსებობა“.

სწორედ უმოქმედობის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მისი ფიზიოლოგიურ-ნორმატიული თავისებურება, რომელიც სისხლისსამართლებრივი ასპექტით განიხილება, როგორც სოციალურ-სამართლებრივი კატეგორია. ზუსტად ამ სოციალურ-სამართლებრივი კატეგორიით განიხილავს მას სისხლის სამართალი და ფიზიკური აქტივობის საფუძველზე არ დაიყვანება, ამიტომაც არის, რომ სოციალურ კატეგორიაში მოქმედებასა და უმოქმედობას შორისზღვარი იშლება, რადგანაც ორივე მათგანი არღვევს საზოგადოებრივი ურთიერთობების მიერ დადგენილ წესრიგს “ (139,13) . თუკი ჩვენ ჩამოვაშორებთ „პასიურ ქმედებას“ სოციალურ (იურიდიულ) ხასიათს და ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ

„უმოქმედობას“, მაშინ ჩვენ არავითარ წინააღმდეგობრივ არსს არ წავაწყდებით მასში. მაგრამ თუკი მივყვებით ცალკეული ნორმების სტრუქტურის შემადგენლობებს, მაშინ ჩვენ ადვილად აღმოვაჩენთ მასში პასიური ქმედების არსს, რომელიც მასში კანონმდებელმა ჩადო და ძირითადად ისეთი სიტყვებითაა გამოხატული, როგორიცაა: „დაუხმარებლობა, გადაუხდელობა, შეუსრულებლობა, დაუბრუნებლობა და ა.შ.

უმოქმედობა, როგორც ურთიერთობითი ცნება, ყოველთვის არ არის ხელსაყრელი კანონმდებლისათვის. ნორმის ახსნა-განმარტება ამ უკანასკნელისგან მოითხოვს მოვალეობათა კვინტესენციის ზუსტ და ლაკონურ დეფინიციას.

„პასიური მოქმედების“ საკითხი ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ცნებას წარმოადგენს სისხლის სამართალში, რომელიც თავის თავში აერთიანებს აქტიური ქმედების წინააღმდეგობრივ ხასიათს. უმოქმედობა ეს პირის პასიური მოქმედებაა, ჩაახშოს ის ნებელობითი იმპულსი, რომელიც მას სამართლებრივად ევალება (125,102). თვით პასიურობის კატეგორია უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც სუბიექტის ქმედების მრავალფეროვნება, არამედ პირველ რიგში, როგორც პირის შინაგანი „მე“-ს“ ხასიათი (მდგომარეობა), მისი ცნობიერებისა და აზროვნების განმსაზღვრელი ნიშანი და ურთიერთობის ფორმა გარესამყაროსთან, ანუ სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარესთან ერთად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ უმოქმედობის შემადგენლობის სუბიექტური მხარეც.

სამართლებრივი აზრით, წერდა გ.მატვევი „უმოქმედობა არ შეიძლება დაყვანილ იქნას სუბიექტის პასიურ მდგომარეობამდე“ (115,28). სწორედ იგივეს ეხმიანება ვ.მალინინიც, რომელიც აღნიშნავს, რომ „უმოქმედობა არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც პასიური მოქმედება მისი პირდაპირი მნიშვნელობით“ (114,172). აქედან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ უმოქმედობის კატეგორიის განმარტება ხშირად სწორედ სუბიექტურ ხასიათს ატარებს და პასიურობის ქვეშ გულისხმობენ ინერტულობას გარე სამყაროსთან მიმართებით (125,77).

ადამიანზე, როგორც სოციუმის სრულუფლებიან წევრზე დაკისრებულია განსაზღვრული უფლება-მოვალეობები და მათი მეშვეობით იგი ერთვება საზოგადოებრივ ურთიერთობაში. აქედან გამომდინარე სუბიექტის პასიური მდგომარეობა უფრო მეტად სუბიექტის ფსიქოლოგიურ-სუბიექტურ კონტექსტს გამოხატავს (მის მიერ კონტაქტის გაწყვეტა გარე სამყაროსთან), განსხვავებით სისხლისსამართლებრივი უმოქმედობისაგან, რომელიც შეგვიძლია აღვნიშნოთ, როგორც ასოციალური და მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა ჯერ კიდევ ურთიერთობაში გარე სამყაროსთან (137,11).

უმოქმედობის ანალიზი მოითხოვს აქტიური მოქმედების დახასიათებას. ეს იმის გამო, რომ კრიმინალისტთა გარკვეული ნაწილ ვერ ხედავს განსხვავებას „პასიურ და აქტიურ“ მოქმედებებს შორის. ასე, მაგ. ა. ტერ-აკოპოვი ხაზს უსვამს და მიუთითებს, რომ მოქმედება და უმოქმედობა მხოლოდ ფიზიკური (ფიზიოლოგიური) მონაცემების საფუძველზე შეიძლება იქნან შეპირისპირებულნი ერთმანეთთან (137,15), მაგრამ ჩვენ გვინტერესებს უმოქმედობის არა ფიზიოლოგიური, არამედ მისი სოციალური არსი, რადგანაც სწორედ სოციალურ ურთიერთობებში იკარგება ზღვარი მოქმედებასა და უმოქმედობას შორის.

ზოგიერთი იურისტი გამოთქვამს აზრს, რომ მოქმედებასა და უმოქმედობას შორის განსხვავება უნდა ვეძიოთ ამკრძალავი და მავალეული ნორმის დარღვევაში, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი შეხედულებები იმსახურებს კრიტიკულ შეფასებას. ასე მაგ. ფიზიოლოგიური კუთხით განსხვავების მიება მოქმედებასა და უმოქმედობას შორის შეიძლება მისაღები იქნას ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივი კუთხით (137,15). უმოქმედობის კატეგორია სამართლებრივი აზრის განვითარების შედეგია, რომელსაც საფუძველი ა. ფოიერბახმა ჩაუყარა. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული აღნიშნული პრობლემის პირველად დამუშავებისა და ანალიზის ცდა. როგორც იგი აღნიშნავდა „მოქმედება და უმოქმედობა ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ძირითად და მის ცაკლუელ ნიშანს წარმოადგენს, რომლის გარეშეც დანაშაული ვერ

განხორციელდებოდა“. იმ აზრობრივი დატვირთვით, რომ უმოქმედობა განვიხილოთ, როგორც „უძრაობა“ და „მოქმედების არარსებობა“, მაშინ ჩვენ დავკარგავთ მისი სისხლისსამართლებრივი გაგების ძირითად ბირთვს, რომელიც სრულყოფილად ვერ განმარტავს მის არსს. მაგრამ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ უმოქმედობის მატერიალური ნიშნით დახასიათება შეცდომა არის და იგი ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ, ამასთანავე არც მარტო ნორმატიულ-სამართლებრივი ნიშნით განსაზღვრა არაა საკმარისი მისი არსის გამოისახატავად, რადგანაც მას უცილობლად ნორმატივიზმისკენ მივყავართ. უმოქმედობა ეს არის სინთეზი პასუხსიმგებლობისა და ქმედების, რომელშიც იმყოფება პირი არა უბრალოდ „უმოქმედო“ მდგომარეობაში, არამედ განსაზღვრულ ნებელობით დისკურსში, რომელიც ხასიათდება როგორც სამართლებრივი, ასევე მატერიალური ნიშნით (137,41). მაგრამ ამასთანავე ლოგიკურად ჩნდება კითხვა უმოქმედობის, როგორც „ნორმატიული კატეგორიის“ განსაკუთრებულობისა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერ-კრიმინალისტთა გარკვეული ნაწილი წინააღმდეგია უმოქმედობის ნორმატიული ნიშნით გაგების (193,61). თუმცა დღევანდელ პირობებში პასიური ქმედების განხორციელების ფორმა იმთავითვე უკავშირდება მის სამართლებრივ დახასიათებას, ხოლო რაც შეეხება მის სოციალურ-სამართლებრივ ასპექტს, ამ შემთხვევაში ის სრულიად ცვლის უმოქმედობის გამოვლინების ნიშანს, რაც უთუოდ არასამართლებრივია. აქედან გამომდინარე მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ცდილობს ილაპარაკოს უმოქმედობის უნივერსალურ ნიშნებზე. ასე მაგ. ა. რაროგი უპირატესობას ანიჭებს „სოციალურ-სამართლებრივ კატეგორიას“ . რომლის შემადგენელი ნიშნებიც არის „აქტიური და პასიური ფსიქიკური მოქმედება“ (129,120).

უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის არსი ტრადიციულად გამოიხატება პირის მიერ დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ ამ მოვალეობის შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ.

სისხლის სამართალში გავრცელებულია დეფინიცია, რომლის თანახმადაც:

„მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოიხატება დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვნად შესრულებაში, რომელმაც მძიმე შედეგი გამოიწვია“ (133,35). მაგრამ შეგვიძლია კი ჩვენ ვამტკიცოთ, რომ უმოქმედობის არსი გამოიხატება სწორედ „სავალდებულო ქმედების“ განუხორციელებლობაში? ვფიქრობ, რომ არა. ნებისმიერი გამოვლინების ფორმა და მათ შორის ისეთიც, როგორც უმოქმედობაა პირველ რიგში გამოხატავს პიროვნების სუბიექტურ საწყისს გარე სამყაროში, რომელიც ფიზიკური მოქმედების ან უმოქმედობის განხორციელების

საფუძველი ხდება. აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა უმნიშვნელო ჩანდეს ინდივიდის ქმედება, არ შეიძლება მისი მოწყვეტა აბსტრაქტული რეალობიდან. ვფიქრობთ, რომ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა საკითხის პრობლემა უცილობლად უნდა დაუკავშირდეს მის სამართლებრივი ნიშნით შეფასებას, რომელმაც არ უნდა გამორიცხოს პასიური ქმედების ხასიათიც. აუცილებელია, რომ მხედველობაში იქნას მიღებული ორივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორი. უმოქმედობის პრობლემა დაკავშირებულია

სამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში ყველა სავალდებულო მოვალეობების აღწერის შეუძლებლობაში, მაგრამ აქედანაც შეგვიძლია ვნახოთ გამოსავალი, როგორც თავის დროზე მიუთითებდა ვ. კუდრიავეცი: „თუკი არ შეგიძლია აღწერო ნიშნები რაც ვერ ჩაიდინა დამნაშავემ, შეგიძლია უბრალოდ მიუთითო თუ რა ევალებოდა“ (99,55). ზემო აღნიშნული მსჯელობა სამართლიანი ჩანს, თუმცა ქმედების ფაქტიური ცვლილება სამართლებრივ მოვალეობებზე, არც ესაა გამოსავალი. რადგანაც ეს უფრო იძულებით ღონისძიებას წარმოადგენს, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება კონფლიქტი დანაშაულის შემადგენლობისა და უმოქმედობის ობიექტურ მხარესთან, რადგანაც სწორედ ამ უკანასკნელის მიზანია, რომ აჩვენოს ადამიანის შინაგანი მხარე და ქმედების (მოქმედება, უმოქმედობა) საფუძველზე ახსნას პირის დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტური ხასიათი.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სამართლებრივ ნორმებში არ არის სრულყოფილად ასახული სრული მოცულობით საზოგადოებრივი ურთიერთობები. განსაკუთრებით ეს ეხება უმოქმედობას, რომელიც ძალზედ რთულია აღწერო მხოლოდ მოქმედების შეუსრულებლობით, მით უმეტეს როდესაც იგი შეზღუდულია სოციალურ-სამართლებრივი (ნორმატიულ) კატეგორიის ჩარჩოებში.

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში მისი ფაქტიური მხარის შემცირება, როგორც წესი გამოწვეულია სამართლებრივად სავალდებულო და აუცილებელი მოქმედების არ არსებობით, ანმხედველობაში არ მიღებით (137,41). მისი ფაქტიური მხარე კი შეგვიძლია ჩამოვავალიბოთ შემდეგნაირად: ამგვარი ქმედებები ჩვენ გვაწვდიან ინფორმაციას თვით ფაქტის შესახებ-მაგალითად, სპეციალურ სამართლებრივი მოვალეობების შესრულებისგან თავის არიდება, როდესაც პირს ჰქონდა მოქმედების ვალდებულება.

სისხლისსამართლებრივ დონეზე ეს ფაქტიური მხარე შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ ჩადენილი ქმედების სრული სურათი და შევაფასოთ ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე.

ფაქტიური მხარე შესაძლებლობას გვაძლევს ჩავწვდეთ უმოქმედობით ჩადენილ

დანაშაულთა სუბიექტურ მხარეს : მოტივს, ემოციას, მიზანს და ა.შ.

კანონიერების პრინციპის დაცვა მოითხოვს უპირველეს ყოვლისა ფაქტიური მხარის ყოველმხრივ ანალიზს და შემდგომ სასჯელის დაწესებას.

უმოქმედობა, როგორც კრიმინალისტები აღნიშნავენ „ეს ადამიანის მიერ სხვადასხვაგვარი ზემოქმედებაა ობიექტურ პროცესებზე“ (194,22). თავის დროზე ნ. ტაგანცევი წერდა: „სისხლის სამართალს მხედველობაში მხოლოდ ის გამოვლენილი ქმედებები აქვს, რომლებიც სამართლებრივად სავალდებულოა, თუმცა ამ შემადგენლობის სრულყოფისათვის ის ქმედებებიც ივარაუდება, რომლებშიც საბოლოო შედეგს მნიშვნელობა არა აქვს“ (140,89). ანუ ამ უკანასკნელში როგორც ჩანს ტაგანცევს მხედველობაში საფრთხის შემქმნელი დელიქტები აქვს.

„მოქმედების შეუსრულებლობა“ არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც პასიური ქმედების ობიექტური მხარის სრულყოფილი დახასიათება, რადგანაც ის არ ეხება ნებელობით ქმედების ფაქტიურ საწყისებს, რომელიც ნებისმიერი ქმედების საფუძველია და მათ შორის უმოქმედობისაც. ქმედების შემადგენლობის სრულყოფისათვის აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული მისი ობიექტური მხარის მატერიალური ელემენტიც, მნიშვნელობა არა აქვს ეს იქნება:

„პასიური დანაშაულებრივი ქმედება“ თუ „აქტიური დანაშაულებრივი მოქმედება“. ეს უპირველეს ყოვლისა განაპირობებს სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას პასიური ქმედების კონტექსტთან დაკავშირებით (137,51).

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა განსაზღვრება უნდა გამოხატავდეს არა მარტო მის ნორმატიულ-სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც ეფუძნება სოციალურ მოვალეობას, არამედ უნდა გამოხატავდეს მის ფაქტიურ მხარესაც. შესაბამისად, დანაშაულებრივი უმოქმედობა წარმოადგენს: დროსა და სივრცეში დაფუძნებულ მართლსაწინააღმდეგო აქტს (ან ქმედებების ერთობლიობას), რომელიც შედგება მთელი რიგი ქმედებათა ერთობლიობისაგან და წარმოადგენს სპეციალურ სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტს. რაში მდგომარეობს პასიური ქმედების განსხვავების თავისებურება დანაშაულებრივი მოქმედების კონტექსტთან მიმართებით? აღნიშნული საკითხის განხილვა მოითხოვს ქმედების ორივე ფორმის თანაფარდობას. ვინმეს შეიძლება ეჭვიც კი შეეპაროს მასში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ნ. ტაგანცევი მიუთითებდა : „ასეთი ურთიერთობის არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ მნიშვნელობაზეც“ (140,89). თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკა შესაძლებლობას გვაძლევს

ვილაპარაკოთ მოქმედებისა და უმოქმედობის იმ საერთო მახასიათებლებზე, რომლებიც მათ აერთიანებთ. თავის დროზე ამ საკითხზე მუშაობდა ვ. კუდრიავეცი, რომელმაც შემდეგი მახასიათებლები გამოყო: საზოგადოებრივი საშიშროება, მართლ-წინააღმდეგობა და ნებელობითი ხასიათი (98,243). რაც შეეხება დანაშაულებრივ ქმედებებს შორის განსხვავებებს, ამ მიმართებით ისინი უმეტეს შემთხვევაში არ ემთხვევიან ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში დაშაულის ფაქტიური მხარის მახასიათებლები (მათ შორის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობა) ხშირად გამოიყენება ამ ორი ფორმის ურთიერთთანაფარდობისათვის.

ჩვენს შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ დანაშაულებრივი უმოქმედობის შემდეგ განმასხვავებელ ნიშნებზე:

1. პირველი განსხვავება განსახილველ კატეგორიებს შორის შეგვიძლია დავინახოთ სოციალურ დონეზე. უმოქმედობა, რომელიც მაღალი სოციალური აქტივობით ხასიათდება, უფრო ნაკლებად არის დაკავშირებული თავის ფაქტიურ მხარესთან ვიდრე თვით მოქმედება. ამასთანავე სისხლის სამართალი დოგმატურ დონეზე უპირატესობას ანიჭებს მის სამართლებრივ საფუძველს (ნორმატიულს) არა ფიზიკურ მდგომარეობას ანუ ნორმატიულ-სამართლებრივ შეფასებას, ხოლო აქტიურ დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით საკითხი უკვე საპირისპიროდ წყდება ანუ პასუხისმგებლობა დაკავშირებულია მატერიალურ საფუძვლებთან.

ა. პრუსაკოვი „სამართლებრივად მნიშვნელოვან“ ქმედებასთან დაკავშირებით ჩამოთვლის ზემო აღნიშნულ მახასიათებლებს და აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს ახასიათებს : „შინაგანად გამოხატული სხეულებრივი ფორმა , რომელშიც პირის ნება გამოიხატება“. უმოქმედობა კი თავის მხრივ სამართლებრივი ნორმის რეგლამენტირებაში განიხილება ანუ სპეციალურ სამართლებრივი მოვალეობის დაწესებაში. ამ შემთხვევაში, როგორც არა ერთხელ უკვე აღვნიშნეთ პირის ქმედება (უმოქმედობა) უკავშირდება არა მის სხეულებრივ პარამეტრებს, არამედ მის სოციალურ ფაქტორს. უმოქმედობის შემთხვევაში უკვე ანტი-სოციალურ ფაქტორს (125,10).

2. ქმედება ეს არის თავისი შინაარსით ამკრძალავი ნორმის დარღვევა. ამკრძალავი ნორმის დარღვევა კი შესაძლებელია მხოლოდ მოქმედებით, მავალელები ნორმის უმოქმედობით ანუ გარკვეული დადებითი მოქმედების შეუსრულებლობით. ნორმის შექმნის პროცესში თავდაპირველად ირკვევა განსაზღვრული ქმედების აკრძალვის ან დავალდებულების აუცილებლობა. მოქმედება იკრძალება არა იმიტომ, რომ ის მოქმედებაა, არამედ იმიტომ, რომ ეს მოქმედება სისხლისსამართლებრივად დაუშვ-

ბელია, ე.ი პირველადია ქმედების შეუწყნარებლობა, ხოლო მეორედია ქმედების ფორმა (მოქმედებად და უმოქმედობად), ამიტომ არა ქმედების ცალკეული სახე განსაზღვრავს ნორმის შინაარსს, არამედ თვით ნორმის ამკრძალავი და მავალელებელი ხასიათის მიხედვით უნდა განვასხვავოთ ერთი მეორისაგან.

უმოქმედობით დანაშაული შესაძლებელია ჩადენილ იქნას, როგორც სამართლებრივად აკრძალული წესების დაცვით, ასევე დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობით (125,11). კანონმდებელს ხშირად არ მოეთხოვება კონკრეტული ქმედების შემადგენლობის ნიშნების დაწვრილებით აღწერა სამართლებრივ ნორმაში, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში კანონის რედაქტირება და ნორმის ხასიათი შესაძლოა არ შეესაბამოს მის შინაარსს. განსაკუთრებით ეს თავისებურება სწორედ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში ვლინდება. პრაქტიკაში არა ერთხელ გვხვდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ძნელია მკაფიო ხაზი გაავლო: მოქმედებასა და უმოქმედობას შორის.

3. ქმედების შემდეგი თავისებურებაც სოციალური ობიექტების კომპონენტებს ეფუძნება. თუმცა იგი მარტო სამართლებრივ ასპექტთან არ არის კავშირში. ჩვენ ვსაუბრობთ თვით სოციალური აქტივობის გამოვლენის ფაქტზე. ტრადიციულად უმოქმედობა ასეთი აქტივობის არ არსებობით არის განსაზღვრული. „სუბიექტის სოციალურად სასარგებლო ურთიერთქმედების განვითარება სამოქალაქო და სახელმწიფო ინსტიტუტებთან მიმართებით, სწორედ სოციალური პასიურობით არის დეტერმინირებული” (101,3). განსახილველი ქმედების ფორმა არ არის მის ფიზიკურ (მოქმედება) მხარესთან კავშირში, არამედ ის განიხილება მის „სოციალურ კონტექსტში”. თუმცა ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული კატეგორია ჩვენი აზრით არა სრულყოფილად არის კორელაციაში კვლევის ობიექტთან მიმართებით. ასე, მაგ. ნ. გალუსტიანს სოციალურ-სამართლებრივი აქტივობა ესმის, როგორც „ინდივიდის სუბიექტური ურთიერთობა და ფსიქოლოგიურ მზაობა სამართლებრივი რეგულირების სფეროში” (79,11). ვთვლით, რომ აქტიური და პასიური სამართალდარღვევა განხილული უნდა იქნას როგორც ასოციალური მოქმედება. შესაბამისად პასიური და ინერტული ქმედება შესაძლოა განვიხილოთ, როგორც სოციალური ურთიერთობის საშუალება.

4. ქმედების ფორმის მომდევნო მახასიათებელს ჩვენ ირიბად მივყავართ მისი განსხვავების მომდევნო თავისებურებისკენ. ჩვენ ვსაუბრობთ დანაშაულებრივი მოქმედების საშუალებებზე, თუკი ჩვენ მივყვებით ამ შეხედულების განვითარების ხაზს, მაშინ ჩვენ ვერ შევხვდებით მის საერთო მახასიათებლებს. მეცნიერთა ნაწილი საერთოდაც უარყოფს უმოქმედობის ყოველგვარ საშუალებას : „უმოქმედობით ჩადენილ

დანაშაულებში არა და არ შეიძლება არავითარი საშუალება გვქონდეს” აღნიშნავს ნ. მიხაილოვი (116,14). მიუხედავად ამისა, ავტორი „საშუალების” არსის ანალიზისას მაინც საწინააღმდეგო დებულებას აყალიბებს, რომ: „მოქმედება და უმოქმედობა მეთოდს გავს და მისი გამოყენების მექანიზმს“.

მ. ატალიანცი თვლის, რომ „დანაშაულის ჩადენის საშუალება ... შესაძლოა გამოიხატოს, როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში, ან საერთოდაც წარმოადგენდეს ქმედების სისტემათა ერთობლიობას ” (67,57). ავტორის ამ მოსაზრების თაობაზე შეგვიძლია ეჭვი გამოვთქვათ და მასშირამდენიმე შენიშვნა შევიტანოთ: უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის საშუალება გამოიხატება სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვნად შესრულებაში, როდესაც პირს ჰქონდა ასეთი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. უმოქმედობის დროს საშუალება შესაძლოა გამოვლინდეს ცალკეული დამოუკიდებელი მოქმედებებით, როგორც დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შესრულება, მაგრამ არაჯეროვნად. ვფიქრობთ, რომ სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ეს უფრო უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულების სოციალური დახასიათებაა, ვიდრე პასიური ქმედების კონკრეტული საშუალება. თავის მხრივ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება ყველა მეცნიერის მიერ არ განიხილება, როგორც უმოქმედობის ფორმით ჩადენილი დანაშაულის კატეგორია ან თუნდაც მისი სახესხვაობა.

5. ტრადიციულად ქმედების განხორციელების საშუალებას მის გარე სამყაროზე ზემოქმედებას უკავშირებენ. აქედან გამომდინარე კი მიიჩნევა, რომ ამის მიღწევა მხოლოდ აქტიური მოქმედების ფორმით არის შესაძლებელი. თავის დროზე ნ.კორჟანსკი მიუთითებდა, რომ „ მოქმედება თავისი არსით ეს განსაზღვრული ზემოქმედებაა რაიმე რეალურსა და მატერიალურზე” (96,35). ამ დებულებიდან თუ

ვიხელმძღვანელებთ შეგვიძლია ლოგიკურად დავასკვნათ, რომ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში არ გვხვდება რეალური და მატერიალური ზემოქმედება. ეს უკანასკნელი კი იმას აღნიშნავს, რომ სუბიექტმა არ განხორციელა მასზე დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობა და არ მოახდინა მატერიალურ ობიექტზე გარკვეული ზემოქმედება, თუმცა მას ეს ევალებოდა და ვალდებულიც იყო მოეხდინა დადებითი ზეგავლენა სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე. უმრავლეს შემთხვევაში შეგვიძლია დავეთანხმოთ აღნიშნულ მსჯელობას, მაგრამ პრაქტიკაში მსგავსს შემთხვევებს ადგილი არა აქვს. უმეტეს შემთხვევებში თავის არიდების მიზნით სუბიექტი აქტიური მოქმედების ფორმით ზემოქმედებს მატერიალურ საგნებზე. ამ პრობლემის გადაწყვეტის არსი სწორედ თვით საგანსა და ობიექტში მდგომარეობს, რომელიც უმოქმედობის დროს

საკმაოდ აქტუალურია. ვფიქრობთ, რომ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სამართლებრივად დაცვის საგნები და ობიექტები და ასევე ის საგნები და ობიექტები, რომელზეც დამნაშავე ზემოქმედებს და ზრდის შესაძლებლობას თავი აარიდოს დაკისრებულ მოვალეობას.

6. უმოქმედობის მომდევნო განმასხვავებელი თავისებურება შეგვიძლია დავინახოთ მისი შინაგანი შემადგენლობის არსში. თავისი ბუნებით უმოქმედობა მნიშვნელოვნად განსხვავდება მოქმედებისგან. აქტიური მოქმედება შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც შინაგანი არსის და სტრუქტურის ერთგვარი შემადგენელი ნაწილი. სხვაგვარი ვითარებაა უმოქმედობის დროს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გამოყოფდნენ მის ისეთ ცნებებს, როგორიცაა: „უმოქმედობა, დაუხმარებლობა, უარყოფითი ქმედება” და ა.შ.

7. ნ. ტაგანცევი წერდა: „დანაშაულებრივი უმოქმედობის შემთხვევაში ...ის იგივე განვითარების საფეხურებს გადის, როგორც აქტიური მოქმედების დროს“ (140, 265-268). ტაგანცევი ამ განვითარების საფეხურის ქვეშ უმოქმედობით დელიქტებში დანაშაულის მომზადებას და მცდელობას გულისხმობდა, მაგრამ გ. ტიმეიკო თვლის, რომ „უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მხოლოდ აქტიური ფორმით, ხოლო მცდელობა - პასიური” (139,94).

უმოქმედობით დანაშაულის მცდელობა, ისევე როგორც მცდელობა მოქმედებით, სუბიექტური და ობიექტური ელემენტებისაგან შედგება. ეს ელემენტებია: კანონით გათვალისწინებული ქმედების განუხორციელებლობა (უმოქმედობის ობიექტური მხარე) და შედეგის დადგომის ცოდნა, სურვილი და და მართლწინააღმდეგობის შეგნება (უმოქმედობის სუბიექტური მხარე). მოქმედება მაშინაა მიმართული დანაშაულის განსახორციელებლად, როდესაც სუბიექტი

მასზე დაკისრებული მოვალეობის დარღვევას იწყებს. პირის მიერ სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულება მაშინ ირღვევა, როდესაც სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად მისი ჩარევაა საჭირო, ე.ი როდესაც სავალდებულო ქმედების განუხორციელებლობა საფრთხეს ქმნის ან აძლიერებს მას.

საინტერესოა, როდის არის უმოქმედობა მიმართული დანაშაულის ჩასადენად? როდის არღვევს პირი მასზე დაკისრებულ მოქმედების მოვალეობას? როდის იწყება უმოქმედობით მცდელობა?

ეს საკითხები სისხლის სამართლის მეცნიერებაში სადავოდ ითვლება, ამიტომ მათ დაწვრილებით ანალიზზე ამ თავში არ შევჩერდებით და მათ შემდგომ მივუბრუნდებით.

8. მოქმედებასა და უმოქმედობას შორის განსხვავების დანახვა შეგვიძლია მათ სუბიექტურ მხარეშიც. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა სუბიექტური მხარე ყოველთვის შინაგანი საწყისებით ხასიათდება. ერთში ეს შეიძლება უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი ვიდრე მეორეში. პირის სუბიექტური საწყისი თანდათან გადადის ობიექტურ განხორციელებად სტადიაზე, მაგრამ უმოქმედობის შემთხვევაში შეუძლებელია წარმოვიდგინოთ იგი, მხოლოდ როგორც დანაშაულებრივი ქმედების შინაგანი აქტი (138,87).

აქტიური და პასიური დანაშაულებრივი ქმედების ურთიერთობების განხილვის დასასრულს შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის პრობლემის საკითხი განპირობებულია სამართლის მეცნიერებაში არამარტო საკვლევი ობიექტის სპეციფიურობით, არამედ აგრეთვე მისი გადაწყვეტის საშუალებითაც. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა სამართლებრივმა ანალიზმა გვიჩვენა არსებული კონფლიქტი ობიექტის ფაქტობრივ და სოციალურ მხარეებს შორის. აუცილებელია ასევე აღვნიშნოს, რომ „პასიური კატეგორიის“ ევოლუცია დამოკიდებულია, როგორც შინაგან (სტრუქტურულ) ასევე გარეგან (გარემო) ფაქტორთა ურთიერთკავშირზე (73,45).

კლასიფიკაცია ეს არის საგნის, მოვლენის, ცნებების დანაწილება კლასებად და ქვეკლასებად რაიმე ნიშნის საფუძველზე. იგი მოვლენის არსის შემეცნების მეთოდს წარმოადგენს, რომელიც საყოველთაოდ მიღებულია მეცნიერებაში და საკმაოდ ხშირად გამოიყენება. სწორედ ამიტომ ჩვენი მომდევნო ანალიზი უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა კლასიფიკაციას შეეხება.

სისხლის სამართალში და ასევე ცალკეული მიმართულების სამართლისდარგებში უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა საკმაოდ დიდი რაოდენობის კლასიფიკაცია არსებობს. ზოგიერთი მათგანი ფუნქციონალურ ხასიათს ატარებს, ზოგი დამხმარე ხასიათს და გამოიყენება კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად (125,43). სხვები მხოლოდ საკვლევი პრობლემატიკის მრავალასპექტურობის დახასიათებისთვის იწარმოება. შედარებით დიდი მნიშვნელობა იმ კლასიფიკაციებს აქვთ, რომლებიც უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა არსს შეეხება და მათი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ყველაზე ხშირად ამ უკანასკნელის ფარგლებში წარმოებს დისკუსია კლასიფიცირების თაობაზე, რადგანაც სწორედ მის ფარგლებში ხდება თეორიული საკითხების ერთიანობის მიღწევის აუცილებლობა.

ზოგადად უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები კლასიფიცირდება, როგორც წმინდა და შერეული უმოქმედობა. პირი უმოქმედობისთვის სისხლის სამართლებრივად პასუხს აგებს ან წმინდა უმოქმედობით, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში სპეციალურად

გათვალისწინებულ შემთხვევებში, ანდა შერეული უმოქმედობის დროს, რომლის წინაპირობაც სსკ-ის მე-8 მუხლშია მოცემული. თუმცა უმოქმედობის ამგვარი კლასიფიკაცია არ გახლავთ ყველასთვის მისაღები ჭეშმარიტება და მკვლევართა ძალისხმევა მიმართულია მის დეტალურ ანალიზზე, ასე მაგალითად, ი. ესიპოვი ამგვარად ცდილობს მათ კლასიფიცირებას :

- შიდა-სამართლებრივი და შიდა სახელმწიფოებრივი.
- გარეგანი გამოხატვის სირთულის მიხედვით .
- ხასიათის მიხედვით (ნებადართული ქმედების შეუსრულებლობა ან მავალებელი ნორმის დარღვევა).
- შედეგების მიხედვით.
- გაცნობიერების ხარისხის მიხედვით და ა.შ (88,45).

ი. ისტომინა კი შემდეგ კრიტერიუმებს გვთავაზობს უმოქმედობის დროს:

- საშუალების მიხედვით, ანუ რა ფორმით იქნა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული (გულგრილობა, შეუსრულებლობა, თავის არიდება და ა.შ);
- ნებელობითი ქმედება გარემოებიდან გამომდინარე;
- მოცულობის მხრივ (სრული ან ნაწილობრივი) და ა.შ (94, 96-99).

უმოქმედობის კლასიფიცირება ხდება არა მარტო სამართლის მეცნიერების ფარგლებში, არამედ ფილოსოფიაშიც, ასე მაგალითად ლ. იანოვა უმოქმედობის შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

- პოზიტიური;
- ნეგატიური;
- ნეიტრალური;
- სიტუაციური (პოზიტიური სინამდვილიდან გაქცევა);
- აპათიური უმოქმედობა;
- კვაზი უმოქმედობა (152,82).

ზოგად თეორიულ სამართლებრივ კვლევებში „უმოქმედობის“ ცნება გამოიყენება არა მარტო სუბიექტის ქმედების დასახასიათებლად, არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც. მის კლასიფიკაციას ადგილი აქვს სამოქალაქო- სამართლებრივ კვლევებშიც. ასე მაგ. რ. ხანანოვი

მას აკლასიფიცირებს, როგორც განზრახ სამართლებრივ და განზრახ მართლსაწინააღმდეგოდ (გადასახადებისგან თავის არიდება). ასევე ხანაოვი მიუთითებს გაუფრთხილებლობით სამართლებრივ (უცოდინარობა) და მართლსაწინააღმდეგო გაუფრთხილებელ უმოქმედობას (210,51), მაგრამ ჩვენი კვლევის ინტერესს მხოლოდ უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულების კლასიფიკაცია წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი მეცნიერებების ფარგლებში.

ასევე ჯ. ფლეტჩერი გამოყოფს უმოქმედობის შემდეგ ფორმებს:

- კონკრეტული მოქმედების შეუსრულებლობა.
- ბანალური უმოქმედობა ანუ დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა (20,25).

ხოლო ა. ნაუმოვი გვთავაზობს შემდეგ კლასიფიკაციას:

- განზრახ უმოქმედობით დანაშაულის ჩადენა;
- უმოქმედობა, რომელიც განსაცდელში მიტოვებით ან დაუხმარებლობით გამოიხატება, რომლებიც გაუფრთხილებლობით იქნა ჩადენილი;
- პირის მიერ სპეციალურ სამართლებრივი მოვალეობის დარღვევა.

ჩვენს ყურადღებას ასევე იმსახურებს უმოქმედობის კლასიფიკაცია ზიანისმიყენების კონტექსტში, რომელიც ს. ზემლიკოვმა შემოგვთავაზა. იგი უმოქმედობის 4 სახეს გამოყოფს:

- საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგის არ დადგომა, რომელიც გამოწვეული იქნა კონკრეტული დადებითი მოქმედების არ შესრულებით.
- მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა და ქმედების განუხორციელებლობა (რომელმაც გამოიწვია ზიანი ან შექმნა საფრთხე);
- საზოგადოებრივად სასარგებლო ქმედების განუხორციელებლობა .

ა. ბოიკო გვთავაზობს „უმოქმედობის დელიქტებს, რომლებიც საზოგადოებრივ საფრთხეს ქმნიან და უმოქმედობის დელიქტებს პოსტკრიმინალურ დონეზე“ (განსაცდელში მიტოვება). ავტორის თქმით ხშირად კანონმდებელი უმოქმედობის ამ ორ სახეს აერთიანებს ერთიან ნორმაში (განსაცდელში მიტოვება) (73,112).

ასევე დეტალურ ანალიზს მოითხოვს უმოქმედობის დანაშაულთა კლასიფიკაცია : წმინდა და შერეულ უმოქმედობებად (Delictum Ommissionis, Delictum Commissionis Per Delictum Ommissionem).

წმინდა უმოქმედობის დროს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას

სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მოცემულ დანაშაულის შემადგენლობაში გათვალისწინებული მოქმედების სპეციალური მოვალეობა აფუძნებს. ქმედების შემადგენლობა ამგვარ დელიქტებში დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების ვალდებულებას არ მოიცავს. საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით, წმინდა უმოქმედობის კლასიკური დელიქტია სსკ-ის 376-ე მუხლი (დანაშაულის შეუტყობინებლობა), სსკ-ის 129-ე მუხლი (დაუხმარებლობა) და ა.შ. (2,282).

შერეული უმოქმედობის დელიქტების ამსრულებელი - გარანტია. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები დეტალურად არის ჩამოთვლილი და აქედან გამომდინარე ეს დელიქტები შედეგიან ანუ მატერიალურ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნებიან. დასჯადობის საფუძველი შერეული უმოქმედობის დროს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილთან ერთად არის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ის შემადგენლობა, რომელიც შედეგის გამოწვევას ითვალისწინებს. ასეთი შედეგის გამოწვევად კი აღნიშნული მუხლი, მხოლოდ მაშინ თვლის დანაშაულად, როდესაც პირს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა ეკისრებოდა, ასეთი მოქმედების შესაძლებლობა ჰქონდა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა

აცილებული (214,11). სწორედ ამას მიუთითებდა თ. წერეთელი თავის მონოგრაფიაში. იგი წერდა, რომ „დასჯადობის საფუძველი შერეული უმოქმედობისათვის მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც საზოგადოებრივად დასაბუთებული ვარაუდი არ მართლდება იმის შესახებ, რომ პირი დაწყებულ მიზეზობრიობის ჯაჭვში ჩაერთვება და შედეგს თავიდან აიცილებს“ (8,304).

სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული აზრის თანახმად „შერეული უმოქმედობა“ ეს ისეთი დელიქტია, რომლის ჩადენა, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით შეიძლება. მაგრამ რისთვის არის საჭირო ასეთი კლასიფიკაცია? თუ დავუკვირდებით მივხვდებით, რომ ფაქტიურად დუბლირება ხდება, ქმედების შემადგენლობას და უმოქმედობის სპეციფიკას იგი ვერ გამოხატავს (73,87). ამ ლოგიკას თუ მივყვებით, მაშინ მოგვიწევს ანალოგიურად ქმედების დაყოფაც წმინდა და შერეულ ფორმად, რაც რა თქმა უნდა არ ხდება. ა. ბოიკოს თანახმად უმოქმედობით ჩადენ დანაშაულთა კლასიფიკაცია არ უნდა ხდებოდეს შედეგის გათვალისწინების მიხედვით. ავტორს მხედველობაში აქვს დანაშაულის ფორმალური და მატერიალური მხარე.

გ. ტიმეიკო გამოყოფს „შერეული უმოქმედობის“ ორ სახეს:

- როდესაც ზიანის აღკვეთა ვერ მოხერხდა, რომელიც წარმოიქმნა დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზით;

- როდესაც ზიანის აღკვეთა ვერ მოხერხდა დამნაშავე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე (139,18).

3. გრიშაევის აზრით კი შერეულ უმოქმედობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა პირი ნაწილობრივ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ხოლო მეორე მხრივ ან საერთოდ არ ასრულებს ამ დაკისრებულ მოვალეობას ანდა არაჯეროვნად ასრულებს (80,7). იგი ასევე გამოყოფს სისხლისსამართლებრივ უმოქმედობას, რომლის დროსაც სუბიექტი თავს არიდებს მასზე დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შესრულებას და ახორციელებს განსაზღვრულ აქტიურ მოქმედებებს.

სხვა მოსაზრებას გამოთქვამს ვ. მალინინი. „შერეული უმოქმედობის“ ტერმინის ქვეშ, წერს ავტორი-უნდა გავიგოთ მოქმედებისა და უმოქმედობის კომბინაცია. ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი მის მიერ გამოწვეულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს წინ არ აღუდგება, ანუ არ განახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას (113,116). ობიექტური მხარე ამ შემთხვევაში წარმოადგენს მოქმედებისა და უმოქმედობის კომბინაციას. მაშასადამე ავტორი „შერეულ უმოქმედობას“ განაკუთვნებს მის მიერ გამოწვეულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მოვალეობის შეუსრულებლობას, ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება მაგალითად :დაუხმარებლად მიტოვება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში (სსკ 128 მუხ.). ავტორის აზრით „შერეული უმოქმედობა“ უნდა გამოხატავდეს ისეთ აქტივობას, რომელიც მოგვცემს ჩვენ საფუძველს ვილაპარაკოთ ქმედების ერთდროულად ორი ფორმის არსებობის შესახებ ერთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში. რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, რომლებიც პასიურ ქმედებაშიშედიან აქტიური ელემენტის სახით, ასეთ დროს მხოლოდ მოქმედების ერთი ფორმა-უმოქმედობა გვაქვს. მოქმედებას ამ დროს არა აქვს დამოუკიდებელი სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა. მოქმედებაც და უმოქმედობაც ჩადენილ უნდა იქნან ერთდროულად- ერთმანეთისგან განუყოფლად. სუბიექტური მხარე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მიმართულია მხოლოდ ერთ მათგანზე- უმოქმედობა. ფაქტიურად ვ. მალინინის აღნიშნული მსჯელობა ახალი არ არის სისხლის სამართლის მეცნიერებაში და ფაქტიურად იმეორებს იმ თეორიულ შეხედულებებს, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს-ში. გამოთქვა ს.პოზნიშევმა. იგი „შერეულ უმოქმედობად“ მხოლოდ იმ შემთხვევებს განიხილავდა, როდესა სუბიექტმა თავისი დადებითი მოქმედებით შექმნა საშიში მდგომარეობა სხვა პირის მიმართ და შემდგომ ამ მდგომარეობაშივე ტოვებს დაუხმარებლად (126,135-140). აღნიშნული შემთხვევები ბელოგრიც- კოტლიარევსკის აზრით განხილული უნდა იქნან ორგვარად:

1. როგორც თანაფარდობა ანუ სუბიექტური ბრალეულობა წარმოიშობა პირველი

ქმედების ჩადენის მომენტიდან (პირმა განზრახ უბიძგა ხელი მეორე პირს და ჩააგდო წყალში, შემდგომ განზრახ არ გაუწია დახმარება).

2. როგორც უმოქმედობა, ანუ სუბიექტური ბრალეულობის წარმოშობა ხდება უკვე ქმედების დამთავრების შემდგომ (პირი, რომელმაც შემთხვევით ჩააგდო შეჯახების შედეგად მეორე პირი წყალში და დახმარებას არ აღმოუჩინა უეცრად წარმოქმნილი განზრახვის საფუძველზე) (74,198).

აღნიშნული მსჯელობისა და თვალსაზრისის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ კლასიფიკაციის შემდეგი სახეები:

- „წმინდა უმოქმედობა“: წარმოქმნილი უშუალოდ პასიური ქმედებიდან გამომდინარე (მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომიდან დამოუკიდებლად ანუ ფორმალურინაწილი);
- უმოქმედობა აქტიური მოქმედების ელემენტებით, ა) დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება. ბ) აქტიური ქმედების განხორციელება დანაშაულის უმოქმედობით ჩასადენად, მაგ. პირიალიმენტის გადახდის თავის არიდების მიზნით ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს;
- „შერეული უმოქმედობა“ (როდესაც ერთდროულად გვაქვს, როგორც მოქმედება, ასევე უმოქმედობა).

დამოუკიდებელ ანალიზს მოითხოვს „მოვალეობის არაჯეროვნად“ შესრულების ცნების სისხლისსამართლებრივი გაგება. ცალკეული მკვლევარების აზრით „არაჯეროვანი შესრულება“ უნდა მივაკუთვნოთ უმოქმედობის კლასიკურ ფორმას (94,78). სხვები კი მიიჩნევენ, რომ „არაჯეროვნად შესრულება“ უნდა მივიჩნიოთ მართლსაწინააღმდეგო ქმედების მესამე ფორმად (89,77). მაგრამ „არაჯეროვნად შესრულება“ გამოიხატება, როგორც უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის ხერხი (სსკ 130-ე მუხლი-ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება) და არა როგორც ქმედების დამოუკიდებელი ფორმა, ამიტომაც ყველა აღნიშნულ ავტორთა მსჯელობა ჩვენი აზრით იმთავითვე მცდარია.

გარკვეულ სამეცნიერო ინტერესს იწვევს უმოქმედობის კლასიფიცირება გარეგანი გამოხატვის ფორმისგან დამოუკიდებელი სახით. ვ. მალინინს მიაჩნია, რომ „უმოქმედობით დანაშაულების კლასიფიცირება ფორმებად საერთოდ შეუძლებელია, იმდენად რამდენადაც იგი წარმოადგენს ერთიან კონცეფციას და შესაბამისად უნდა განიხილებოდეს როგორც თეორია“ (114,181).

მიმნებლობას, როგორც უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულის დამოუკიდებელ ფორმას გამოყოფს ასევე გ.ტიმეიკოც (139,7). ავტორის აზრით მიზანშეწონილი იქნება გამოვყოთ უმოქმედობის გამოხატვის 3 ფორმა:

a. უმოქმედობა- დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა. ამ შემთხვევაში საფრთხე ავტორის აზრით თვით სუბიექტის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობაში მდგომარეობს, რითაც საფრთხე სისხლისსამართლებრივად დაცულ სიკეთეს ექმნება და ის კავშირში არ არის გარე ფაქტორებთან.

b. უმოქმედობა- ჩაურევლობა, დაუხმარებლობა (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება).

c. უმოქმედობა- მიმნებლობა, რომელიც წარმოადგენს დაუხმარებლობის კერძო სახეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა კვლევის დროს აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მისი გამოხატვის და გამოვლენის თავისებურება და მისისპეციფიურობა.

1.5 პასიური დანაშაულებრივი ქცევა და მისი ფორმები

სამართლებრივი გაგებით პასიური ქმედება წარმოადგენს რთულ და მრავალასპექტურ კატეგორიას, რომელიც თავის თავში აერთიანებს მის სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ, აქსიოლოგიურ და სოციალურ მომენტებს, როგორც დადებითი კუთხით, ასევე ნეგატიური ფაქტორის გათვალისწინებითაც (89,4-5).

სწორედ ამ უკანასკნელთან კავშირში შეგვიძლია ვილაპარაკოთ : მართლზომიერ და მართლსაწინააღმდეგო (სისხლისსამართლებრივ) უმოქმედობაზე. პირველი შეხედვით თითქოს ყველაფერი ეს ალოგიკურია. უმოქმედობა აქტიური მოქმედებისგან განსხვავებით ტრადიციულადგანიხილება ნეგატიურ კონტექსტში. რა თქმა უნდა, ზოგადად ტექნიკურმა და სოციალურმა პროგრესმა პროფესიათა მრავალფეროვნება განაპირობა და მათგან მომდინარე და უშუალო კავშირში გარკვეული უფლება-მოვალეობები, რომლებიც მათი სოციალური არსიდან გამომდინარეობს. ამიტომაც გარკვეული სოციალური სტატუსი მოითხოვს სპეციალურ სამართლებრივ მოვალეობას, რომელთა შესრულებაც უშუალოდ გამომდინარეობს პირის სამსახურებრივი მოვალეობიდან (მაგ. ექიმი, მეხანძრე, მაშველი და ა.შ).

უმოქმედობა ტრადიციულად კანონის დარღვევასთან ასოცირდება, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ დონეზე მაინც. ჩვენს შემთხვევაში ეს არის ამკრძალავი და მავალეხელი ნორმის დარღვევა, რომელიც პასიური ქმედების ანალიზს მოითხოვს. ერთი შეხედვით ეს არც თუ ისე იოლია, თუ როგორ უნდა მოახდინო კლასიფიკაცია იმ ცნებისა, რომელიც თავის თავში ყოველგვარ ნეგატიურს მოიცავს. სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერდა ვ. მალინინი, რომ : „არ შეიძლება

უმოქმედობის ფორმებად დაყოფა. უმოქმედობა-ეს არის ერთი მთლიანი კონსტრუქცია და თეორიულადაც ასეთად განიხილება“ (131,45). თუმცაღა ჩვენ უმოქმედობის სახეებად დაყოფა სრულებით შესაძლებლად მიგვაჩნია. ერთეულ შემთხვევებში ხდება უმოქმედობის კლასიფიცირება მისი შინაგანი ფენომენის საფუძველზეც, სხვა შემთხვევებში- მისი შემადგენლობის მიხედვით, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მხედველობაში მიიღება პასიური ქმედების ცალკეული თავისებურებები. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ პირის ნაწილობრივ ან სრულ უმოქმედობაზე, აქედან გამომდინარე კი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ გარკვეული დეფინიციები:

სრული უმოქმედობის დეფინიციის არსი შეგვიძლია მოვიაზროთ პირის მიერ მასზედ დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის სრულ იგნორირებაში, ხოლო ნაწილობრივ უმოქმედობასთან გვაქვს საქმე, როდესაც პირი მასზედ დაკისრებულ სამართლებრივ მოვალეობას ასრულებს არაჯეროვნად ან არასრულყოფილად.

თავის სადისერტაციო ნაშრომში ვ. მალინინი აღნიშნავს: „შერეული უმოქმედობის დროს წარმოიშობა მისი მოქმედებისგან განსხვავების საკითხი. უმოქმედობა მოქმედებით ეს არის უმოქმედობის რეალიზაციის საშუალება. მას აქვს დამოუკიდებელი სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა. მოქმედებაც და უმოქმედობაც ერთდროულად უნდა იქნან ერთმანეთისგან განუყოფლად ჩადენილნი. შერეული უმოქმედობის დროს, არც მოქმედება წარმოადგენს უმოქმედობის ჩადენის საშუალებას და, არც უმოქმედობა შეადგენს მოქმედების ნაწილს“ (114,190).

მიუხედავად ავტორთა მტკიცებისა, რომ კანონმდებლის ყურადღება ქმედების აღწერისას გამახვილებულ უნდა იქნას ხელყოფის საშუალებაზე, ხოლო უმოქმედობის პასუხისმგებლობის ფორმულირებისას კი-სამართლებრივ მოვალეობაზე, სისხლის სამართალი მაინც შეიცავს მითითებებს უმოქმედობით ჩადენის საშუალებების შესახებ (131,45).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ სამართლებრივი მოვალეობის შესრულებისგან თავის არიდების გარკვეული კრიტერიუმები, ესენია:

- I. უმოქმედობის შემადგენლობა სამართლებრივ ნორმებში თავისარიდების მითითების გარეშე.
- II. უმოქმედობის შემადგენლობა სამართლებრივ ნორმებში, კონკრეტული ნიშნების აღწერით.
- III. უმოქმედობის შემადგენლობა სამართლებრივ ნორმებში, რომელშიც პირველიც და

მეორეც აღწერილია.

უმოქმედობის შემადგენლობა, რომელშიც მითითებული არ არის მისი ჩადენის ნიშნები, ძირითადად წარმოდგენილია კლასიკურ უმოქმედობით დელიქტებში ანუ პასიურ ქცევაში. ამგვარ ნორმებში არ არის მოცემული უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის ნიშნები აღწერილი. თავის მხრივ უმოქმედობით დანაშაულის შემადგენლობის მექანიზმის რეალიზაციის განსაზღვრისას, რომელიც ქმედების კონკრეტული ფორმით ჩადენას მოითხოვს, ჩვენ ვხვდებით აქტიური მოქმედებით უმოქმედობით დანაშაულს. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ სსკ-ის 390-ე მუხლი „სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარი მოტყუებით“. ამ მუხლში მოცემულია არა მარტო ქმედებისა და უმოქმედობის სინთეზი, არამედ თვით სიტყვათა კომბინაცია გამოიყურება ალოგიკურად. მ. კოვალიოვი აღნიშნავს: „სისხლის სამართლისთვის უმოქმედობის ფენომენისარსი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ სამართლებრივი უმოქმედობის ფარგლებში დგება“ (97,229). მაგრამ მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტი სამართლებრივი აზრიდან გამომდინარე ჩვენ სწორად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ უმოქმედობაზე აქტიური მოქმედების მეშვეობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც პასიური ქმედების ანტიპოდს წარმოადგენენ - პასიურ და აქტიურ მოქმედებათა ელემენტების რთულ კომბინაციას, მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ საქ-ოს. სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლი, რომელიც „გადასახადისათვის თავის არიდებისათვის“ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს (214,118). ამავე მუხლის მე-3 ნაწილში საუბარია: „ქონების ან მისი ნაწილის გასხვისებაზე გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით“. აღნიშნული მუხლი პირდაპირ მიუთითებს გადასახადის თავის არიდების საშუალებაზე ანუ დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა შეიძლება ჩადენილი იქნას, როგორც წმინდა უმოქმედობის გზით, ასევე 218-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც უმოქმედობის აქტიური ფორმით განხორციელებას გულისხმობს.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ უმოქმედობა შესაძლოა დაკავშირებულ იქნას მოქმედების ხერხთანაც, ანუ დანაშაულის ჩადენის ხერხთან (137,87). მაგრამ უმოქმედობის მიჩნევა მოქმედების ხერხად ანგრევს დანაშაულის ჩადენის კლასიკურ კონცეფციას. იგი თავის თავში უნდა მოიცავდეს სისხლისსამართლებრივი არსის საერთო მახასიათებლებს. ჩვენს შემთხვევაში ეს არის არამარტო საშუალება, არამედ მიზეზ-შედეგობრივი კავშირიც, თუმცა უმოქმედობის მიზეზობრიობას დაწვრილებით

ცალკე თავში შევეხებით, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ რთულია უმოქმედობა მიიჩნიო მოქმედების საშუალებად, მაშინ როცა ადგილი აქვს განსაზღვრული ხერხისა და მეთოდის ერთიანობას, რომლითაც ხელყოფა ხდება სისხლისსამართლებრივად დაცულ ობიექტზე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვილაპარაკოთ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შემდეგ ფორმებზე:

- პასიური ქმედება ანუ კლასიკური უმოქმედობა;
- აქტიური უმოქმედობა ანუ უმოქმედობა მოქმედების მეშვეობით;
- პასიურ და აქტიურ ფორმათა კომბინაცია.

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობას მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება შეადგენს. წმინდა უმოქმედობის ფორმით დანაშაულების ჩადენა ძალზედ იშვიათად გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში. ამიტომაც ყურადღებას გავამახვილებთ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებაზე.

ტრადიციულად სისხლის სამართალი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას დაკისრებული მოვალეობის არასრულყოფილად (არაჯეროვნად) შესრულებას უკავშირებს, რომელიც შესაძლოა შერეული უმოქმედობის სახითაც იყოს წარმოდგენილი (94,103). ხშირ შემთხვევაში უმოქმედობა სწორედ მოქმედებას უკავშირდება და სრული პასიური მდგომარეობა იშვიათია.

მოქმედების უმოქმედობისაგან განსხვავების დროს ყურადღების ცენტრშია მოქცეული არამართო სხეულებრივი მოძრაობის არსებობა - არ არსებობა, არამედ ქმედების ემპირიული შინაარსი და მისი ნორმატიული მომენტიც. აქტიური მოქმედება პასიური დანაშაულებრივი ქმედებისგან ქცევის გარეგანი ფორმით და ვალდებულების ხასიათით უნდა გავმიჯნოთ. როგორც უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ, მოქმედება მაშინ გვაქვს, როცა პირი შედეგს სხეულებრივი მოძრაობის აქტიური გამოხატვის ფორმით იწვევს, მაშინ როდესაც უმოქმედობა მაშინ გვაქვს, როცა პირი მოვლენათა მსვლელობაში არ ერევა და დანაშაულებრივ შედეგს თავიდან არ აიცილებს, თუმცა ვალდებული იყო ეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი თავიდან აეცილებინა (214,11). შესაბამისად ქმედების ან უმოქმედობის ძირითადი კრიტერიუმი არის არა სხეულებრივი ძალა, არამედ ქმედების სოციალური არსი და ხასიათი.

კანონი პირისგან არ მოითხოვს იმ ქმედების განხორციელებას, რომელიც მის ძალებს აღემატება. მოქმედების შესაძლებლობის ფარგლები უფრო მეტად მინიმალურ ზღვარს მოიცავს. ამასთანავე ამ მოქმედების შესაძლებლობის ფარგლები უნდა

შეფასდეს ქმედების განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში.

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა ანალიზმა დაგვანახა, რომ არსებობს ორი ძირითადი პრობლემა, რომელიც მოითხოვს ყურადღების გამახვილებას. პირველი პრობლემა მდგომარეობს უმოქმედობის ერთიანი ფორმის საერთო კრიტერიუმების არ არსებობაში. მეორე პრობლემა მდგომარეობს ტერმინოლოგიის გამოყენებაში. ცალკეული ფორმულირებები უნდა ვცნოთ არა საკმარისად. ეს უკანასკნელი არა მარტო ინტერპრეტირდება სხვაგვარად, არამედ ყოველთვის არ გამოხატავს კვლევის ობიექტის ძირითად შინაარსს. უმოქმედობის კატეგორიის სამართლებრივი შეფასების ფარგლებში მოქცევა არ არის საკმარისი და იგი სრული მოცულობით უნდა იქნას შეფასებული, როგორც ნორმატიულ-სოციალური ასპექტი. ამასთანავე უმოქმედობის ცალკეულ სახეს არა აქვს საკმარისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა. უმოქმედობის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს კვლევის პრაქტიკულ მხარესთან და საკანონმდებლო სფეროსთან ურთიერთკავშირის ფარგლებში.

ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი ამომწურავად არ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა ეკისრებათ (214,11). კანონმდებელი ამ საკითხის გადაწყვეტას სისხლის სამართლის დოგმატიკას და სასამართლო პრაქტიკას აკისრებს. შესაძლებელია იმის მტკიცებაც, რომ აღნიშნული მუხლი არაა ზუსტად განსაზღვრული.

ამასთანავე, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ სადავოა ის საკითხი, ეკუთვნის თუ არა მოქმედების საშუალება თვით მოქმედების ცნებას, თუ იგი მოქმედების ცნებაში არ შედის. პროფ. ნ. დურმანოვის აზრით: „დანაშაულებრივი ქმედების ცნება მოიცავს არა მარტო ადამიანის სხეულებრივ მოძრაობას, არამედ იმ ძალებს და კანონზომიერებებს, რომლებითაც იგი სარგებლობს“. (84,49). ამავე შეხედულებას იზიარებს ა. პიონტკოვსკიც, მისი აზრითაც : „მოქმედება არ ამოიწურება სხეულის მოძრაობით. სხეულებრივი მოძრაობა მოწყვეტილი გარემო პირობებს და იმ საშუალებებს რომელიც პიროვნებამ გამოიყენა, წარმოადგენს ლიტონ აბსტრაქციას“ (127,173).

კრიმინალისტების მეორე ნაწილი, ერთის მხრივ უდავოდ აღიარებს იმ დებულებას, რომ რამდენადაც ადამიანის ქცევა გამოიხატება ადამიანის ობიექტურ გარე სამყაროზე ზემოქმედებაში, ამდენად მას არ შეუძლია იმოქმედოს ისე, რომ მხედველობაში არ მიიღოს ამ გარეგანი პროცესის კანონზომიერებანი, მაგრამ მეორეს მხრივ, სწორად არ მიაჩნიათ გარე კანონზომიერებათა და მოქმედების საშუალებათა შეტანა ქმედების ცნებაში (67,37). ადამიანის მოქმედება მის ნებაზეა დამოკიდებული, - წერს ნ.

კუზნეცოვა, ხოლო გარე სამყაროს კანონზომიერება ადამიანის ნებისგან დამოუკიდებელია (106,27). დანაშაულებრივი ქმედების საშუალებანი, თუმცა დანაშაულის განხორციელების პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ თავისთავად მოქმედების ცნებაში არ შედიან. ნებელობითი ქცევის უნარის წყალობით ადამიანს შეუძლია დაუსხლტეს უშუალო სიტუაციის იმპულსთა ზეგავლენას და თავის მოქმედება ნორმათა მოთხოვნებს დაუმორჩილოს. ამდენად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებულ იქნას სწორედ ადამიანის ნებელობით ქცევასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაკავშირებულ იქნას რეფლექტორულ მოქმედებასთან, რომელიც ადამიანის შეგნებული კონტროლის გარეშე ხორციელდება. გადამწყვეტია ამ შემთხვევაში არა ამ პროცესების შემთხვევითი გარეგანი ფორმა, არამედ ის, რომ აღნიშნული პროცესების შედეგად ადამიანის გარეგანი მოძრაობა განპირობებული არ არის მისი საზრიანი საქმიანობით (77,27).

ეკუთვნის თუ არა ნებელობით აქტს დადებით მოქმედებასთან ერთად მოქმედებისგან თავის შეკავება? თუ ნებელობითი აქტი, მხოლოდ ადამიანის დადებით მოქმედებას გულისხმობს და შესაბამისად პასიურ ქცევას გამორიცხავს? ეს საკითხიც სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადავოდ ითვლება.

გ. რადბრუხი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა მოქმედების პრობლემას სისხლის სამართალში, ამტკიცებდა, რომ დადებითი მოქმედება და მოქმედებისგან თავის შეკავება არ შეიძლება გაერთიანებულ იქნენ ნებისყოფის აქტის ერთ საერთო გვარეობით ცნებაში და ამიტომ დანაშაულის ცნება არ შეიძლება აგებულ იქნას მონისტურად, არამედ მხოლოდ დუალისტურად. სინამდვილეში კი განსაზღვრული მოქმედებისგან თავის შეკავება, ისევე შეიძლება იყოს ნებელობითი იმპულსის გამოვლინება, როგორც აქტიური მოქმედება. ხშირად მოქმედებისგან თავის შეკავება ნებელობის გაცილებით მაღალ დონეს მოითხოვს, ვიდრე დადებითი მოქმედება (137,45).

როდესაც სისხლის სამართალში უმოქმედობაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ არა სუბიექტის აბსოლიტური პასიურობა, არამედ თავის შეკავება განსაზღვრული მოქმედებისგან, რომელსაც ამ სუბიექტისგან მოელოდნენ. ასეთ უმოქმედობაში შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილება, არამედ განსაზღვრულ პირობებში იგი შეიძლება წარმოადგენდეს ისეთსავე ზემოქმედებას ობიექტურ გარესამყაროზე, ისეთსავე პირობების შექმნას განსაზღვრული შედეგის განხორციელებისათვის, როგორც დადებითი მოქმედება (73,83). მაგრამ არც იმის

უარყოფა შეიძლება, რომ ასეთი უმოქმედობაც არ გამორიცხავს სუბიექტის განსაზღვრულ დამოკიდებულებას თავისი ქმედებისადმი. ეს დამოკიდებულება იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტის მიერ შეუსრულებელი მოქმედება მისი შესაძლებლობის სფეროში იყო. ნამდვილი ნებელობითი აქტის ადგილს აქ ამგვარად შესაძლებელი ნებელობითი აქტი იჭერს. უმოქმედობა კი ნებისყოფის არა საკმარისად დამაბვის პროდუქტს წარმოადგენს.

თავი I I. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა დოგმატური ასპექტები

2.1. დანაშაულის მცდელობის საკითხი უმოქმედობით დელიქტებში

დიდი ხანია სისხლის სამართალში სადავოდ ითვლება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის საკითხი წმინდა და შერეულ უმოქმედობით დელიქტებში. წმინდა უმოქმედობით დელიქტებშია დასჯადია მოქმედებისგან თავის შეკავება, შედეგის დადგომის მიუხედავად, აქედან კი შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის მომზადება, მცდელობა კი გამოირიცხება (2,343).

მეცნიერებაში გაბატონებული აზრის მიხედვით, შერეული უმოქმედობისას შესაძლებელია, როგორც დანაშაულის მომზადება, ასევე მცდელობაც (2,345). შესაბამისად მისი მომზადება შესაძლებელია, როგორც აქტიური მოქმედებით, ასევე უმოქმედობით.

კანონმდებლობაში ზოგიერთი შემადგენლობა ისე არის კონსტრუირებული, რომ ძალზედ პრობლემატურია ასეთ შემადგენლობებში მცდელობის დასაბუთება. ეს შეეხება, როგორც შედეგარეშე, ასევე შედეგიან შემადგენლობებს, მაგრამ თანამედროვე დოგმატიკაში ზოგიერთი სახის ფორმალურ დანაშაულებში მიჩნეულია, რომ წმინდა უმოქმედობის დანაშაულებში დანაშაულის მცდელობის დასაბუთება შეუძლებელია, რადგანაც ასეთ დანაშაულებში ქმედებისშემადგენლობის დაწყების და დამთავრების დრო ერთმანეთს ემთხვევა (2,343). მ.შ დამნაშავე როგორც კი თავს აარიდებს დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის შესრულებას, ქმედება უკვე დამთავრებულად ითვლება. მაგ. სსკ-ის 176-ე მუხლი. ამ მოქმედების საპირისპიროდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ წმინდა უმოქმედობით დანაშაულებში, შესაძლებელია მცდელობის დასაბუთება. ამ კონცეფციის თანახმად, დანაშაულის მცდელობას ადგილი აქვს კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც ობიექტურად დასაძრახი განზრახი ქმედება დამნაშავის მიერ სამართლებრივისიკეთის დაზიანების მუქარაში გამოიხატა და ადექვატურობის ზღვარს გადააბიჯა და ამით დაირღვა საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეთიკური წესრიგი. მაგალითად, სსკ-ის 390-ე მუხლის თანახმად პასუხისმგებლობა იმ სამხედრო მოსამსახურეს დაეკისრება, რომელიც სხეულის თვითდაზიანების ან სხვა ხერხებით თავს არიდებს სამხედრო სამსახურს. მაგალითად, ა. სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით ფეხების მიმართულებით გაისვრის მეგობრების დასწრებით, მაგრამ ტყვია ასცდა ა-ს და მას ხელმეორედ გასროლის ნება აღარ მისცეს. ამ შემთხვევაში ამ აქტიური მოქმედებით წმინდა უმოქმედობითი დელიქტი განახორციელა, ამიტომ მისი ქმედება სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების მცდელობად უნდა შეფასდეს (სსკ-ის. მე-19, 390-ე

მუხლი) (214,224).

ამის გარდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ისეთი წმინდა უმოქმედობითი დელიქტები არის, რომლებიც შედეგზე არის ორიენტირებული, მაგ. სსკ-ის. 383-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმ ხელქვეითისათვის, რომელიც უფროსის მიერ გაცემულ ბრძანებას არ ასრულებს, რამაც სამხედრო ინტერესი არსებითად დააზიანა (214,221). მ.შ აზრი, რომლის თანახმადაც, წმინდა უმოქმედობით დელიქტებში შეუძლებელია მცდელობის დასაბუთება, არ შეიძლება გავიზიაროთ.

შესაძლებელია, რომ სხვათა მოქმედებამაც განაპირობოს მცდელობის დაწყება უმოქმედობით დელიქტში.

შერეული უმოქმედობის დროს მცდელობა ისევე არის შესაძლებელი, როგორც დანაშაული აქტიური მოქმედებით (2,345). უმოქმედობის მცდელობა, ისევე როგორც მოქმედებით მცდელობა, სუბიექტური და ობიექტური ელემენტებისაგან შედგება. ეს ელემენტები კანონით გათვალისწინებული ქმედების განუხორციელებლობაა (უმოქმედობის ობიექტური მხარე), შედეგის დადგომის ცოდნა, სურვილი და მართლწინააღმდეგობის შეგნება (უმოქმედობის სუბიექტური მხარე). უმოქმედობის შერეულ და წმინდა დელიქტებად დაყოფას პირველად ლუდენტან ჰქონდა ადგილი. სამართლებრივ დოგმატიკაში არსებობდა ზრი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა უმოქმედობით მცდელობის დასჯადობას, რადგანაც უმოქმედობა არ წარმოადგენს აქტიურ მოქმედებას, ამიტომ ადრეული პერიოდის დოგმატიკა დასჯადობის დაწესებას უმოქმედობის დელიქტისთვის ანალოგიის აკრძალვის პრინციპის დარღვევად განიხილავდა (74,105).

შერეული უმოქმედობით დელიქტებში მცდელობის შესაძლებლობის საკითხი დავას არ იწვევს, მაგრამ სადავოა საკითხი, თუ როდის იწყება შერეული უმოქმედობით დანაშაულებში მცდელობა (2,345). ამის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს:

- მცდელობას დაზარალებულის გადარჩენის პირველივე შანსის ამოწურვისთანავე აქვს ადგილი;
- მცდელობა დაზარალებულის გადარჩენის ბოლო შესაძლებლობის გაშვებისთანავე იწყება;
- მესამეს ყურადღება გადააქვს გარანტზე, ეს ნიშნავს იმას, რომ უმოქმედობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავის წარმოდგენით უმოქმედობა მომეტებულ საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სიკეთეს, მომეტებული საფრთხე კი მაშინ ვლინდება, როდესაც მოვლენებზე ბატონობას კარგავს დამნაშავე;
- მეხუთე შეხედულების თანახმად, მთავარია სახეზე იყოს დამნაშავის

წარმოდგენა და იქნება თუ არა საფრთხე, ამას უმოქმედობის მცდელობისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ამის გარდა, უმოქმედობით დანაშაულებში სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობებს შორის განსხვავების გაკეთება, როგორც ამას მოქმედებით ჩადენილ დელიქტებში აქვს ადგილი (2,90). ამ პრობლემასთან დაკავშირებით განვითარდა თეორიები, რომლებიც თავისებურად ასაბუთებენ აღნიშნულ საკითხს.

მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს დაუმთავრებელი მცდელობა მიუღებლად მიაჩნიათ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში. ისინი აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ უმოქმედობის დროს პიროვნება ყოველთვის დამთავრებული მცდელობის სტადიაზე იმყოფება და ამიტომაც ასეთი დაყოფა მნიშვნელობას კარგავს (27,609). ამიტომ „დამთავრებული მცდელობის თეორიის“ მიხედვით დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობებს შორის განსხვავების გაკეთება შერეული უმოქმედობის დროს ან საერთოდ შეუძლებელია, ან აუცილებელი არ არის. ამასთან განვითარდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შერეული უმოქმედობის დროს არსებული მცდელობა აქტიური ქმედების დროს დამთავრებული მცდელობის მსგავსია (2,349).

პირის მიერ სამართლებრივი სიკეთის დაცვის მოვალეობა მაშინ ირღვევა, როდესაც სამართლებრივი სიკეთის დასახმარებლად მისი ჩარევაა საჭირო, ე.ი როდესაც სავალდებულო ქმედების ჩაუდენლობა საფრთხეს ქმნის ან მას აძლიერებს (2,282). ზემოთ განხილული თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ უმოქმედობით ჩადენილი მცდელობა დამთავრებული ფორმით მხოლოდ დოგმატურად არსებობს, ასევე განვითარდა ისეთი შეხედულებაც, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს უმოქმედობის დროს დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობებს და, ამასთან ერთად იგი შეფასებისას საკუთარ დასაბუთებას აფუძნებს. ეს შეხედულება გამიჯვნის შედეგს უმეტესად იმაში ხედავს, რომ დამნაშავე დამთავრებული მცდელობის სტადიაზე არის მხოლოდ შედეგის თავიდან აცილების რისკის მატარებელი.

უმოქმედობით დანაშაულებში მცდელობის დიფერენცირება: დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობებზე საკმაოდ ეფექტურია და მათი დაყოფა აჩვენებს, რომ აქ შესაძლებელია სხვასხვა მაშტაბს ჰქონდეს ადგილი.

„დიფერენცირებული მოძღვრება“ სათავეს შრიოდერიდან და ლიონიდან იღებს (51,339-341). მისი შეხედულებით უმოქმედობით დანაშაულებში დაუმთავრებელ მცდელობას ადგილი მაშინ აქვს, როდესაც დამნაშავეს შედეგის თავიდან აცილება ჯერ კიდევ

შეუძლია, ისე რომ შედეგის დადგომისათვის თავისი მხრიდან უმოქმედობა აუცილებელია, ხოლო რაც შეეხება დამთავრებულ მცდელობას, იგი სახეზე მაშინ არის, როდესაც დამნაშავეს ჰგონია, რომ მისი ჩარევის გარეშე შედეგს თავიდან ვეღარ აიცილებს. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი უკვე ზედმეტია. შრიოდერისეული მცდელობის გარკვეული მოდიფიცირება ლიონმა მოახდინა (27,637).

„დიფერენცირებული თეორიის“ თანახმად თანამედროვე დოგმატიკა უმოქმედობით დანაშაულებში მცდელობას მაშინ აღიარებს, როდესაც დამნაშავეს აზრით სამაშველო მოქმედებებით შედეგის დადგომა თავიდან აცილებული იქნება. რაც შეეხება უმოქმედობით დანაშაულებში ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყებას ადგილი უკვე მაშინ აქვს, როდესაც გარანტის აზრით დახმარების აღმოჩენის პირველივე შესაძლებლობამ უკვე გაიარა, თუმცა ზოგჯერ ხდება ისეც, რომ დამნაშავემ არც კი იცის რამდენი ხნის შემდეგ შეექმნება საფრთხე დაზარალებულს. ამ თეორიის მიხედვით, როგორც ჩანს შესაძლებელი ქცევა, რომელსაც სამართლებრივი სიკეთისათვის არ შექმნია საკმარისი საფრთხე შესაძლოა გადაიქცეს სისხლის-სამართლებრივად რელევანტურ უმოქმედებად. ამ შეხედულებამ ვინაიდან დასჯადობა ძალიან ადრეულ ეტაპზე გადასწია მეცნიერებმა იგი არ გაიზიარეს. აშკარაა ეს თეორია უახლოვდება ე.წ აზრის სისხლის სამართალს (23,637-638).

უმოქმედობით დანაშაულებში „ბოლო შესაძლო აქტის თეორიის“ თანახმად, მცდელობას მაშინაქვს ადგილი, როდესაც გარანტის წარმოდგენით დახმარების აღმოჩენის ბოლო შესაძლებლობა უკვე გასულია. ამ შეხედულებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ უმოქმედობით დელიქტებში არასდროს არ არის დაუმთავრებელი მცდელობა. აქ ყოველთვის ადგილი აქვს დამთავრებულ მცდელობას, რადგანაც მცდელობის დაწყება და დამთავრება ერთმანეთს ემთხვევა (27,637).

ამ შეხედულებამ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, რადგან იგი ზედმეტად ავრცობს უმოქმედობის დროით არეალს და, ამის შედეგად გვიან იწყებს სამართლებრივი სიკეთის დაცვას, ანუ იგი არ ჩქარობს მცდელობის დაწყებას და ელოდება სამართლებრივი სიკეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის ბოლო მომენტს. სწორედ ეს არის აღნიშნული შეხედულების კრიმინალურ-პოლიტიკური ნაკლი. გარანტს არა მხოლოდ შედეგის თავიდან აცილება მოეთხოვება, არამედ აგრეთვე შედეგთან ახლოს მდგომი საფრთხის აცილებაც. ამ თეორიის ნაკლი იმაშიც არის, რომ მას უმოქმედობიდან ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებლად მიაჩნია. თავის მხრივ ეს კი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას, რომელიც მცდელობის

დროს ნებაყოფლობით ხელის ადების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

სისხლის სამართალში განვითარებულია ასევე შეხედულება, რომელიც უმოქმედობით დანაშაულებში მცდელობის დაწყების ერთადერთ კრიტერიუმად დაზარალებულისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას ასახელებს, მისი ავტორია ფოგლერი.

ამ კონცეფციის მიხედვით, თუკი ავტოსატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევით მძღოლი დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს და მძიმე ზიანი მიაყენა მას და ამის შემდეგ მას გაუჩნდა მისი მოკვლის განზრახვა და ადგილიდან მიიმალა, სახეზე იქნება მკვლელობის მცდელობა არა მაშინ, როდესაც დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან უკვე წავა, არამედ მხოლოდ მაშინ როდესაც დაზარალებულს დაუზარალებლობის შედეგად სიკვდილის საფრთხე შეექმნება (51,427).

სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობა შერეული უმოქმედობის გარდა, ასევე ე.წ წმინდა უმოქმედობით დელიქტებშიც დასაშვებად მიაჩნიათ, როგორც ვარგისი, ისე უვარგისი მცდელობის სახით (158,218). ვარგისი მცდელობის დროს მხდველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ თუკი უმოქმედობით ჩადენილი დელიქტის შემადგენლობა შედეგზე არ არის დამოკიდებული, მაშინ ვარგის მცდელობაზე საუბარი დაუშვებელია, რადგანაც უმოქმედობა უკვე დამთავრებულ დელიქტს წარმოადგენს.

წმინდა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში უფრო შესაძლებელი არის უვარგისი მცდელობის არსებობა (158,219). სწორედ უმოქმედობით ჩადენილ დელიქტებში უვარგისი მცდელობის საკითხი არის სადავო. ზოგიერთ მეცნიერ იურისტს მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში დასჯადობის გამოყენება გავს „აზრის სისხლის სამართალამდე“ დაყვანას (137,65). რადგანაც საფრთხე ობიექტურად არ არსებობს და დამნაშავეს სამართლებრივი სიკეთის დამაზიანებელი მოქმედება არა აქვს გადაწყვეტილი, ამიტომ მხოლოდ მისი აზრი რჩება, როგორც დასჯადობის საფუძველი, მაგრამ უმოქმედობით ჩადენილ უვარგის მცდელობის დაუსჯელობის მიზანშეუწონლობის შესახებ წამოყენებული არგუმენტი, არაფერს არ ამტკიცებს, რადგანაც უვარგისი მცდელობა უმოქმედობით ისევე საშიშია, როგორც აქტიური მოქმედებით ჩადენილი მცდელობის დროს.

2.2. შტრატეგერტის და პუპეს სწავლება გაზრდილი საფრთხის შესახებ

შტრატეგერტმა პირველმა განმარტა გაზრდილი საფრთხის პრინციპი, რომელიც განიხილებოდა იმ განსჯების ეპისტემოლოგიური შესწავლით, რომლის საშუალებითაც

შესაძლებელია საფრთხის კონკრეტული გამართლების რეალობის გაგება და დადგენა (57,227). მას ასევე ესმის საფრთხის ზრდა, როგორც რეალური კავშირი კონკრეტულ, უკანონო დარღვევასა და კანონიერი ინტერესების ხელყოფად განსაზღვრულ შედეგს შორის. თუმცა, ვინაიდან მხოლოდ რეტროსპექტულად შეიძლება განისაზღვროს, მოხდა თუ არა დაზიანება და შეიქმნა თუ არა საფრთხე, რომლის შექმნა ან გაზრდა დაუშვებელია და, შესაბამისად პასუხისმგებელია მოქმედი პირი, საფრთხის კონკრეტული ზრდა აუცილებლად უნდა შეფასდეს (57,228).

თუმცა შეფასება არ ნიშნავს, რომ შესაძლო დარღვევები ან კანონიერი ინტერესის პერსპექტივები, რომლებიც დაკავშირებულია ჰიპოთეტურ კანონიერ ქმედებებთან, გამონაკლისის გარეშე უნდა დაფიქსირდეს აუცილებლობის სახით. უფრო მეტიც, ნახსენები შესაძლებლობები და პერსპექტივები შეიძლება ამოიციონ მხოლოდ ძირითადი ალბათობით. ასეთი მსჯელობები არ ეფუძნება ეჭვებს შესაძლო მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით (57,229). მაგრამ ძირითადად უნდა გაკეთდეს მხოლოდ შესაძლებლობის განცხადების სახით. ისინი ასევე ეფუძნება ფაქტორებს, რომელთა შესახებაც არ არსებობს პრაქტიკული დარწმუნება ადამიანის ცოდნის ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით (57,229). თუ ამ პრინციპებს გავითვალისწინებთ, გაზრდილი საფრთხის პრინციპზე დაფუძნებული დარღვევის ობიექტური შერაცხვა ვარაუდობს, რომ გაზრდილი საფრთხე შეიძლება დადასტურდეს ზემო აღნიშნული ძირითადი ალბათობითი განჩინებით.

საფრთხის გაზრდის შესახებ მსჯელობა ძირითადად ადამიანის ქმედებებთან დაკავშირებით მოვლენების ჰიპოთეტურ განვითარებას შეეხება, რადგან ის მიუთითებს მიმართულებაზე, რომელზედაც უნდა იყოს ორიენტირებული საფრთხის ზრდის პრინციპის შემდგომი გაღრმავება (57,230). მაგრამ როგორც საკმარისი დასაბუთება გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ მარტო ეს ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს განსხვავებად ძირითად განსხვავებულ შესაძლებლობებს შორის (57,231).

სწორედ აქ მოდის პუპეს ნაშრომი, რომელმაც წარმოადგინა განსხვავება ცოდნის სფეროებს შორის, რომელიც ეფუძნება განსაკუთრებით მეცნიერულ თეორიას (180,595). ამ განსხვავების საფუძველია, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიული განსხვავება ადამიანის ქმედებასა და რეალობაში არსებულ მიზეზობრივ ცვლილებებს შორის. როგორც მოვლენა, რომელიც ექვემდებარება თავისუფალი ნების პოსტულატს, ადამიანის ქმედება ფუნდამენტურად არ არის განსაზღვრული მიზეზობრივი კანონით და, შესაბამისად, არ შეიძლება იყოს გაგებული აუცილებლობის მკაცრი წესების მიხედვით (180,595). გარდა ამისა, სტატისტიკური ალბათობის წესები ასევე დაიკავებს მიზეზობრივ კანონებს რეალობის სხვა სფეროებში, რომლებიც უნდა ჩაითვალოს როგორც მიზეზობრივად განსაზღვრული, მაგალითად,

მედიცინაში ავადმყოფობისა და ქირურგიული შედეგის ახსნაში. ეს აუცილებელია იქ, სადაც მიზეზობრივი ახსნა პრაქტიკულად შეუძლებელია მიზეზობრივი პროცესისა და მისი კანონების არა ზუსტი ცოდნის გამო. თუმცა, მეორე მხრივ, ის ასევე შეიძლება ეფუძნებოდეს ცოდნის იმ შესაძლებლობების შეზღუდვას, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ცოდნის საშუალებების შეზღუდვასთან (181,290). ეს იწვევს სამი სხვადასხვა ტიპის ძირითადი ალბათობის განსჯას: განსჯა, რომლებშიც მოსალოდნელი მოვლენა განისაზღვრება ადამიანის ქმედებებით და, შესაბამისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მიზეზობრივი დეტერმინაციის გამო შესაძლო მიმდინარეობად. განსჯები, რომლებიც დაკავშირებულია მიზეზობრივი კანონებით განსაზღვრულ რეალობის სფეროებთან, მაგრამ რომლებიც გასასამართლებელი მოვლენების სირთულის გამო შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ ალბათობის წესების მიხედვით, და მესამე ისეთი განცხადებები, რომელთა პოტენციური ხასიათი გამომდინარეობს ცოდნის საზღვრებიდან, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიების საშუალებების სამართლებრივ შეზღუდვასთან (182,287). თუ ვინმე ამ განსხვავებებს კანონმდებლობას უკავშირებს, ჩნდება შემდგომი კითხვა იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება ადამიანს დაეყრდნოს ზემოთ დიფერენცირებულ სავარაუდო განსჯის ტიპებს ტრავმის შედეგების ობიექტურ მიკუთვნებასთან დაკავშირებით (182,287. აქედან გამომდინარეობს, რომ გარემოება ფაქტების საერთო ნაკრებიდან უნდა ჩაერთოს ინდუქციური ალბათობის წინაპირობების დადგენაში, თუ ის ზრდის ალბათობის კანონით განსაზღვრულ მოვლენათა მავნე მიმდინარეობის ალბათობის ხარისხს. ტრავმის შედეგი გაიზრდება, და ეს არის ზუსტად საფრთხის ზრდის თეორიის მიკუთვნების პრინციპი (182,288).

მოვალეობის დარღვევასთან კავშირის მახასიათებელი არ უნდა იყოს აქტორის მიერ „ნებადართული საფრთხის შექმნის“ მოპოვება, რომელიც ასევე შეიძლება შეიცავდეს მიზეზობრივ ქმედებას, რომელიც არღვევს ზრუნვის მოვალეობას (180,595), არამედ მიზეზობრიობის კონკრეტული განსაკუთრებული შემთხვევა. შედეგად საჭიროა თავად მიზეზობრიობის სტრუქტურის უფრო ზუსტი გაგება. ეს გაგება მიღწეულია ობიექტური შერაცხვის გაბატონებული თეორიის სიღმისეული განხილვისას: თავიდან აცილების პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ დოქტრინას, თავდაპირველად შეიქმნა მკაცრი მიკუთვნების მოთხოვნები (180,596).

თავიდანვე ყველა კონკრეტიზაცია, რომელიც შედის სისხლის სამართლის შედეგის ცნებაში, მოითხოვს ნორმატიულ დასაბუთებას. ამის გათვალისწინებით „დანაშაულებრივად შესაბამისი შედეგი...უნდა განისაზღვროს, როგორც ფაქტობრივად აღწერილი არასასურველი ცვლილება სამართლებრივი ინტერესის ობიექტში“ და ასეთი ცვლილებების მიზეზი

უნდა იყოს ყოველი „აუცილებელი კომპონენტი შედეგის ახსნაში, რომელიც საკმარისია მიზეზობრივი კანონების მიხედვით და ასევე ჭეშმარიტი“. გათვალისწინებულია (მინიმალური პირობის ე.წ თეორია) (181,293). მიზეზობრიობის ეს კონკრეტული სისხლისსამართლებრივი დოქტრინა ასევე უნდა იყოს საფუძველი გაუფრთხილებლობით ჩადენილ შემთხვევაში მზრუნველობის მოვალეობის დარღვევის. მოქმედების ის პარამეტრები, საიდანაც შეიძლება მომდინარეობდეს მზრუნველობის დარღვევა, სრულად უნდა გამოჩნდეს მიზეზშედეგობრივ ახსნაში და შეიძლება გამოჩნდეს მასში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აუცილებელია დასკვნისთვის (181,295).

ნეგატიური კონტექსტი, როგორც მიზეზობრივი კავშირის ახსნის ნაწილი პუპემ ცალსახად ასახა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მიზეზობრიობის კვლევასთან დაკავშირებული კითხვებით. იგი ზოგადად განმარტავს უმოქმედობებს, როგორც მოვლენების უარყოფით პირობებს (180,599), ან ასევე „უარყოფით ფაქტებს“. ქმედება უნდა გავიგოთ, როგორც რეალობის ცვლილება, რომელიც დაფუძნებულია ავტონომიურ ნებაზე, მიზეზობრიობის, საბოლოო ან თავისუფლების პრაქტიკული გამოყენების გზით, როგორც მოქმედი სუბიექტის მიერ გააზრებული სტრუქტურული პრინციპები.

სისხლის სამართლის ნორმები აუცილებლად უნდა ეხებოდეს მოქმედების ფორმებსა და მათთან დაკავშირებულ ცვლილების შესაძლებლობებს. ეს ურთიერთობა შეიძლება სხვადასხვაგვარად წარმოვიდგინოთ. ამ გზის ქცევის ნორმების შეიძლება თავდაპირველად იყოს იზოლირებული, როგორც განმსაზღვრელი ნორმები, რომლებიც მოითხოვენ აღწერილ ქცევას. თუ სისხლის სამართლის ნორმებს ასე მივიღებთ, ისინი სხვა არაფერი იქნება, თუ არა თვითნებური ბრძანებების ერთობლიობა (66,84).

სისტემურ-თეორიული თვალსაზრისით უნდა იყოს ნორმებისადმი ზოგადი ნდობის შენარჩუნება კანონმდებლობის შესაბამისად პრაქტიკის მეშვეობით (28,383).

თავი III. უმოქმედობის მიზეზობრიობა

3.1 უმოქმედობის დელიქტები და მათი თავისებურებანი

დანაშაულებრივი უმოქმედობა სისხლის სამართლის ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. მას რიგი სპეციფიური თავისებურებანი გააჩნია. ეს თავისებურებანი შეეხება არა მარტო უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს, არამედ მის მართლწინააღმდეგობასაც (114,61).

მიზეზობრივი კავშირი მატერიალური დანაშაულის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანია. მის გარეშე შეუძლებელია პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი აუცილებლად მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ჩადენილ დანაშაულთან (7,89).

იგი სისხლის სამართლის დოგმატიკის ერთ-ერთი კლასიკური პრობლემათაგანია. ერთი მხრივ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფილოსოფიური საკითხი, მეორე მხრივ დიდია მისი სამართალგამოყენებითი მნიშვნელობა. მისი დადგენის გარეშე შეუძლებელია შედეგიანი დელიქტის და კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების დამთავრებულად გამოცხადება.

საკითხის აქტუალობას ხაზი გაუსვა საქ-ოს. მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა, რომელმაც წინა კოდექსებისა და ამ მხრივ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისაგან განსხვავებით ნორმატიულად განსაზღვრა მიზეზობრივი კავშირი, სსკ-ის მე-8 მუხლით: „მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა, ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა“ (7,90). აღნიშნულ დეფინიციაში ასახულია თ. წერეთლის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თუ პირის მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, ე.ი თუ მან სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო მართლსაწინააღმდეგო შედეგის წარმოშობას საკმარისია ვცნოთ ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი. სწორედ ეს თვალსაზრისია ასახული საქ-ოს. სსკ მე-8 მუხლში, მაგრამ როგორ უნდა დადგინდეს ადამიანის მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელი პირობა იყო თუ არა? ამ შემთხვევაში თ. წერეთლის მოსაზრებით: „ადამიანის ქცევა მაშინ უნდა ჩაითვალოს ასეთი შედეგის აუცილებელ პირობად, როდესაც ქმედების გარეშე შედეგი არ დადგებოდა. იმის დასადგენად, განხორციელდებოდა თუ არა შედეგი, შეიძლება გამოვიყენოთ აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი, ე.ი ჩვენს წარმოდგენაში დავუშვათ, რომ ეს ქმედება ადამიანს არ ჩაუდენია. თუ ასეთი აზრობრივი გამორიცხვისას აღმოჩნდება, რომ შედეგი მაინც დადგებოდა, თანაც

დადგებოდა სწორედ იმ დროს და იმ სახით, როგორც იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მოქმედება არ ყოფილა მიზეზობრივ კავშირში შედეგით, ხოლო პირიქით თუ აღმოჩნდება, რომ მოქმედების არ არსებობის შემთხვევაში შედეგი ან სრულად არ დადგებოდა ანსხვა დროს თუ სხვა წესით დადგებოდა, ვიდრე იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს ადასტურებს იმას, რომ ადამიანის მოქმედება იყო საზოგადოებრივი შედეგის აუცილებელი პირობა“ (8,266).

ქმედება, როგორც ობიექტური მხარის ელემენტი, შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ორი ფორმით: მოქმედებისა და უმოქმედობის სახით.

დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარის კონსტრუქცია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში მნიშვნელოვნად განსხვავდება მოქმედებით ჩადენილ დანაშაულთა კონსტრუქციისაგან (114,189). განსხვავება მდგომარეობს ორ ასპექტში, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ მაინც შესაძლებელია საზღვრის გავლება მათ შორის:

- ქმედების გამოვლინების გარე აქტი.
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველი.

მათი განსხვავების დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს გარემოებაც, ის რომ უმოქმედობა არ წარმოადგენს აბსოლიტურ პასიურ მდგომარეობას, არამედ ის არის მოქმედების სახე, რომლის დროსაც პირი არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ გარკვეულ მოქმედებას, მაშინ როდესაც იგი ვალდებული იყო ეს განეხორციელებინა (114,190). სისხლის სამართლის ფარგლებში ინდივიდის მიერ ქმედების გაცნობიერებულად განხორციელების ფორმის არჩევას, ჩვენ სამართლის რეგულატიურ და დაცვითი ფუნქციის პრიზმაში ვუყურებთ. უმოქმედობის სამართლებრივად განსაზღვრისათვის სწორედ მარეგულირებელი ფუნქცია წარმოადგენს ძირითად ინდიკატორს. დაცვითი ფუნქცია მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთვება, როცა რეგულატიურმა ფუნქციამ არ იმუშავა. სწორედ ამიტომაც სახელწოდება „უმოქმედობა“ მიეკუთვნება იმ ქმედების (უ) უარყოფას, რომლის განხორციელებასაც მისგან მოელის კანონმდებლობა.

როგორც აღნიშნავს ი. კოზაჩენკო „რეგულატიური ფუნქცია არის საზოგადოებრივი ურთიერთობების აქტიური ფორმით დაცვა, რომელიც უნდა გამოიხატებოდეს ექსტრემალურ სიტუაციებში, სწორედ ამ უკანასკნელში განიცდის რეგულატიური ფუნქცია ტრანსფორმაციას დაცვით ფუნქციად“ (103,13).

ვ.ფილიმონოვის გაგებით „სწორედ ნორმები, რომლებიც ადგენენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დანაშაულებრივი ქმედებისათვის, განკუთვნილია

საზოგადოებრივი ქმედების რეგულირებისათვის, ...რადგანაც მოხდეს საზოგადოების შებოჭვა დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად“ (144,43).

სისხლისსამართლებრივი აზრით მოქმედება დაუმოქმედოა წარმოადგენენ ერთმანეთის ანტიპოდს. შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მოქმედება იმ შემთხვევაშია დასჯადი, როცა პირისგან მოსალოდნელია უმოქმედობა ანუ იმ მოქმედებების განუხორციელებლობა, რომლებიც აკრძალულია რეგულატიური ფუნქციიდან გამომდინარე და ასევე უმოქმედობა, რომელიც იმ შემთხვევაშია დასჯადი, როცა სუბიექტისგან აქტიურ მოქმედებას მოელიან (75,115).

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქმედება უნდა იყოს: ნებელობითი, გაცნობიერებული და დამოუკიდებელი, ანუ ყოველგვარი იძულების გარეშეუნდა იქნას ჩადენილი (4,21-22).

სისხლის სამართლებრივი აზრით ქმედების ქვეშ მოიაზრება არა რეფლექტორული, ინსტიქტური და გაუცნობიერებელი მოქმედება, არამედ პირის ნებელობითი მოქმედება, რომელიც რეგულირდება კოგნიტური და ვოლუნტატური ელემენტებით.

1. ქმედების გამოხატვის ფორმა ობიექტურ სინამდვილეში

მოქმედება მექანიკური სხეულებრივი მოძრაობებისაგან შედგება, უფრო კონკრეტულად კი მოძრაობათა ერთობლიობისაგან, მათ შორის ჟესტების და არტიკულაციისგანაც.

უმოქმედობა როგორც უკვე აღვნიშნეთ წარმოადგენს სუბიექტის მოქმედების შეუსრულებლობას, იმ მოქმედებისას რომელსაც მისგან მოელიან (სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა), ასე მაგალითად სსკ-ის. 218-ე მუხლი „გადასახადისათვის თავის არიდება“, ასევე სსკ-ის. 279-ე მუხლი გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას: „იმისა, ვინც ზღვაში ან სხვა წყალსავალ გზაზე იღუპებოდა, თუ კაპიტანს შეეძლო მისი დახმარება გემის, ეკიპაჟის ან მგზავრისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე“. აღნიშნული მუხლი გემის კაპიტნის ნორმატიულ მოვალეობას ადგენს და განსაზღვრავს იმ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს, რომელიც მანუნდა განახორციელოს. სწორედ აღნიშნულ ობიექტურ გარემოებაში აღმოჩენის და სუბიექტური ფაქტორიდან გამომდინარე (დახმარების შესაძლებლობა) წარმოეშობა გემის კაპიტანს სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც ის სამართლებრივად აგებს პასუხს.

ამდენად, სისხლის სამართლის კანონში აღწერილია ყველა იმ პირობათა ერთობლიობა, რომელიც სუბიექტის ქცევის სამართლებრივ შეფასებას განაპირობებს,

როგორც დანაშაულებრივი ხასიათის მატარებელს.

მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით დგინდება იმ დანაშაულთა მიზეზობრიობის და სუბიექტურ მხარეთა პოზიციის გათვალისწინებით, რომლებიც დეტალურად აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის მატერიალურ ნაწილში. თუკი პირის მიერ ჩადენილი აქტიური მოქმედება მიმართული იყო მასზე დაკისრებული სამართლებრივი მოვალეობის ანუ რეგულატიური ფუნქციისკენ, მაგრამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი მაინც დადგა და პიროვნებამ სამართლებრივი სიკეთის დაცვა ვერ მოახერხა, თუმცა ობიექტური და სუბიექტური მხარე იძლევა უდანაშაულობის პრეზუმფციის ყველა ნიშანს, მაშინ თავისთავად ქმედების შემადგენლობის საკითხი გამოირიცხება (104,97).

3. 2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის პირობა

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის პირობის დროს მოქმედება ხასიათდება იმით, რომ მხედველობაში მიიღება სისხლის სამართლის ნორმატიულ - ვალდებულებათა ანალიზი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში აუცილებლად მოცემულია ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის აღწერა. სხვა ელემენტთა შემადგენლობა კი ყოველთვის არ არის პირდაპირ აღწერილი. დანაშაულის ობიექტი ხშირად არ არის დადგენილი არა თვით კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით, არამედ მოცემულია უშუალოდ ამ მუხლის დასახელებაში, კოდექსის კერძო ნაწილის კარში ან თუნდაც რომელიმე თავში. მუხლის დისპოზიციაში ობიექტზე მითითება, მაშინ ხდება აუცილებელი, როდესაც დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს დამატებით ან ფაკულტატურ ობიექტს (75,33). დანაშაულის სუბიექტის ზოგადი მახასიათებლებიც ასახვას პოულობს საქ-ოს. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში და ასევე სსკ-ის. კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, რომელიც ძირითადად სპეციალურ-სამართალ სუბიექტობას ეხება. რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, ძირითადად აღნიშნული დანაშაულების ჩადენა განზრახ ხდება, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა კვალიფიკაცია, თუ ეს პირდაპირ იქმნება მოცემული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში.

სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ობიექტური მხარე, რომ არ იყოს მოცემული

შეუძლებელია, რადგანაც სწორედ ობიექტური მხარე წარმოადგენს გარეგანი ქმედების გამოხატვის საფუძველს, თუმცა დანაშაულის ობიექტური მხარე შეიცავს მთელ რიგ სავალდებულო ნიშნებს ქმედების შემადგენლობისთვის, რომლებიც ყოველთვის არ არის ნორმატიულად დისპოზიციაში დიქსირებული. ასე მაგ. საქ-ოს. სსკ-ის 108-ე მუხლი „განზრახ მკვლელობა“-ობიექტურ მხარეში მოცემულია მითითება საბოლოო შედეგზე-მკვლელობა, ხოლო სუბიექტურ მხარეში წერია აღნიშნული მუხლის სათაურში განზრახ მკვლელობა ანუ განზრახვა (214,52).

მაშასადამე, პასუხისმგებლობის დადგომისათვის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო (აქტიური მოქმედებით) ობიექტურ მხარეში აუცილებელია მოცემული იქნას აკრძალული მოქმედების ჩადენა (რა თქმა უნდა ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშნის გათვალისწინებით, მათ შორის დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულებიც და ა.შ), ხოლო უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომისათვის აუცილებელი პირობაა სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის ქონა და ასეთი მოქმედების შესაძლებლობა, ხოლო სამართლებრივი მოვალეობა კი შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც კანონმდებლობიდან (ნორმატიული აქტი), ასევე კანონქვემდებარე აქტებიდანაც, სხვადასხვა სახის ხელშეკრულებიდან, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებიდანაც, წინარე ქმედებიდან, ნათესაური ურთიერთობიდან და სხვა ზოგად სოციალური ნორმებიდანაც კი (2,303-304).

ვ. პროხოროვი გამოთქვამს აზრს, რომ: „ობიექტური კრიტერიუმები შეგვიძლია დავყოთ სუბიექტის სავალდებულო მოქმედების ფაქტიურ და ნორმატიულ საფუძველად (124,103). თავისთავად სავალდებულო მოქმედების ობიექტური აუცილებლობა უნდა გამომდინარეობდეს კანონის ნორმიდან“, მაგრამ უმოქმედობისთვის პასუხისმგებლობის შესარაცხად ობიექტური კრიტერიუმები არ შეიძლება იყოს საკმარისი. აუცილებელია ასევე სუბიექტური კრიტერიუმებიც, რომელიც გამოხატავს სუბიექტის რეალურ შესაძლებლობას შეასრულოს მასზედ დაკისრებული მოვალეობა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე.

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში ქმედების ობიექტური მხარე შეგვიძლია დავყოთ- მატერიალურ და ფორმალურ ნაწილად. ასევე ამ ობიექტურ მხარეში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს, როგორც მატერიალური, ასევე ფორმალური შემადგენლობებიც წმინდა და შერეული უმოქმედობის სახით.

მ. შარგოროდსკი უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა კლასიფიცირების შემდეგ

სახესგვთავაზობს:

1. მოქმედების შეუსრულებლობა, რომელიც სპეციალურ სამართლებრივ ხასიათს ატარებდა და სუბიექტი ვალდებული იყო შეესრულებინა ყოველგვარი შედეგის დადგომის მიუხედავად- ე.წ. Delictum Omissionis.

2. ქმედების შეუსრულებლობა, რომელიც სუბიექტს უნდა შეესრულებინა კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, ე.წ. Delicta Comissiones per Omissionem. ამ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვყოთ დანაშაულის ორი კატეგორია:

- ზოგადი დანაშაულები ჩადენილი უმოქმედობის გზით (მაგ. მკვლელობა);
- სპეციალურად განსაზღვრული შემადგენლობები (მაგ. დაუხმარებლობა, დანაშაულის შეუტყობინებლობა და ა.შ) (149, 67-68).

მ. შარგოროდსკის მიერ მოცემული კლასიფიკაცია მეტნაკლებად უფრო დეტალურია, თუმცა მისი აღნიშნული ცდა სხვა არაფერია, თუ არა უმოქმედობის დაყოფა წმინდა და შერეულ შემადგენლობებად, რაც შეეხება უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირის საკითხს Delicta Comissiones per Omissionem -ანუ ფორმალურ დანაშაულებში, მისი აზრით საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგი სახით : მიზეზობრივი კავშირი, ისევე როგორც შედეგი ტოლფასია და ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებში არ წარმოადგენს სავალდებულო ნიშანს (149,61).

3.3. უმოქმედობა, როგორც მიზეზობრივი კავშირის კომპლექსური ელემენტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ ადიამიანის ქცევა შეიძლება განხორციელდეს, როგორც პოზიტიური მოქმედებით, ასევე ნეგატიური ანუ მოქმედებისგან თავის შეკავებით. მოქმედებისგან თავის შეკავება, ე.ი უმოქმედობა თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა : წმინდა უმოქმედობად და შერეულ უმოქმედობად.

წმინდა უმოქმედობის - Delicta Ommissiva-ს დროს სუბიექტი არღვევს მავალეხელ ნორმას, ხოლო შერეული უმოქმედობის -Delicta Commisiva per Ommissionem-ს დროს დამნაშავე არღვევს, როგორც ამკრძალავ, ასევე მავალეხელ ნორმას.

თავისთავად ცხადია, დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა, მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როცა მოქმედების შესრულება პირისათვის შესაძლებელი იყო (2,282).

შერეული უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ერთგვარ სიძნელეს

წარმოადგენს, რადგანაც იგი მიზეზობრივი კავშირის პრობლემურ საკითხთან არის დაკავშირებული. თეორიული მხრივ ეს მეტად რთული საკითხია : სახელდობრ, არის თუ არა უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, თუ ეს უმოქმედობა მხოლოდ წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით არის გათანაბრებული დანაშაულებრივი შედეგის მოქმედებით წარმოშობასთან?

აღნიშნულ ქვეთავში სწორედ უმოქმედობის მიზეზობრიობის პრობლემის ანალიზს შევეცდებით და მისი ზოგადი კომპლექსური ელემენტის ჩამოყალიბებას, მაგრამ აღნიშნული პრობლემის საფუძვლიანად განხილვა ჩვენს ამოცანაში არ შედის, იგი ცალკე დამოუკიდებელ კვლევას საჭიროებს.

დანაშაულებრივი უმოქმედობა სისხლის სამართლის ერთ-ერთი ურთულესი ცნებაა. მას მთელი რიგი სპეციფიური თავისებურებები გააჩნია. ეს შეეხება არა მარტო უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს, არამედ მის მართლწინააღმდეგობასაც.

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა მიზეზობრივი კავშირის საკითხის თეორიული დამუშავება სისხლის სამართლის აღმოცენებიდან იწყება. კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია უმოქმედობის მიზეზობრივი კავშირის აღიარების ან უარყოფისკენ (150,31). აღნიშნული საკითხის ფილოსოფიური ასპექტით გადაჭრა წარუმატებლად დამთავრდა, რადგანაც პასუხისმგებლობის არეალი ძალზედ გაფართოვდა, ამიტომაც ყველა თეორიული კვლევა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შეგვიძლია პირობითად სამ ჯგუფად დავყოთ:

1. უმოქმედობის მიზეზობრიობის სრული უარყოფა.
2. მოქმედების მსგავსად უმოქმედობის მიზეზობრიობის შესაძლებლობის არსებობა.
3. უმოქმედობის მიზეზობრიობის სპეციფიური მექანიზმის არსებობა დანაშაულებრივ შედეგში (114,190).

უმოქმედობის მიზეზობრიობის ყველაზე ცნობილ მოწინააღმდეგედ ცნობილია მ. შარგოროდსკი. მისი აზრით: “ უმოქმედობას, როგორც სტატიკას არაფრის გამოწვევა არ შეუძლია. პასუხისმგებლობა წარმოიშვება არა უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათის გამო, არამედ იმის გამო, რომ პირმა მასზედ დაკისრებული მოვალეობა არ შეასრულა. ეს მოვალეობის ცნება წარმოადგენს ნორმატიულ კატეგორიას, ცვალებად ასპექტს, ანუ ერთი და იმავე გარემოების დროს მოქმედებით გამოწვეული მიზეზი შეიძლება მიჩნეული იქნას პასუხისმგებლობის საფუძვლად, ხოლო სხვა დანარჩენი კანონმდებლობის საფუძველზე ურთიერთ საწინააღმდეგოდ გადაწყდეს“ (150,50). ავტორი უმოქმედობის მიზეზობრიობას საერთოდ არ განიხილავს სამართლებრივ კატეგორიად.

პროფ. მ. შარგოროდსკი აღიარებს, რომ: “თუ უმოქმედობას განვიხილავთ არა იზოლირებულად, არამედ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან კავშირში, სადაც უმოქმედობას ადგილი ჰქონდა, მაშინ უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათი უდავო აღმოჩნდება, მაგრამ საქმე ის არის, რომ მიზეზი და შედეგი მხოლოდ მაშინ არსებობენ, როცა ორი მოვლენა ერთმანეთის ზემოქმედებიდან გამოთიშულია, ამ შემთხვევაში უმოქმედობა არაფერს არ იწვევს“ (150,51). შარგოროდსკის ყველა აღნიშნული მსჯელობა უმოქმედობის მიზეზობრიობის უარყოფისაკენ არის მიმართული, რადგანაც მისი აზრით მიზეზობრივი კავშირის წარმოშობა სწორედ გარკვეულ მატერიალურ შედეგს უკავშირდება, მაგრამ მიზეზისა და შედეგის იზოლირება არ ნიშნავს იმას, რომ მიზეზს შეუძლია ადგილისა და პირობის გარეშე იმოქმედოს. უმოქმედობა, ისევე როგორც დადებითი მოქმედება, მოძრაობის განსაზღვრული ფორმაა, მაგრამ მისი შეხედულებით უმოქმედობაზე, როგორც მოძრაობის ფორმაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, როდესაც უმოქმედობას განვიხილავთ არა იზოლირებულად, არამედ მოვლენათა საერთო ურთიერთქმედობაში.

აღნიშნულ მოსაზრებას უმოქმედობის მიზეზობრიობის მეორე მოწინააღმდეგე მეცნიერი მ. კოზლოვიც გამოთქვამს, რომელიც უმოქმედობას შედეგის პირობითად განსაზღვრულ გარემოებას უკავშირებს. იგი უმოქმედობას მიიჩნევს არა მიზეზად, არამედ დამდგარი შედეგის პირობად (150,164).

პროფ. მ. შარგოროდსკის დასკვნით „განსაზღვრული დამოკიდებულება შედეგიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს, იქიდან რომ ადამიანი თავის მოქმედებით განსაზღვრულ შედეგს იწვევს ან თავისი უმოქმედობით მის დადგომას უშვებს, რომ სუბიექტის მოქმედება ყველა იმ დაბრკოლებას სპობს, რომელიც წინ ეღობება მის განხორციელებას“ (150,188).

უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს უარყოფენ ასევე: მ. კოვალიოვი და პ. ვასკოვი. მათი მოსაზრებით: “ არსწორია მიზეზის ძებნა უმოქმედობის შიგნით, მხოლოდ დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგში, რადგანაც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე უმოქმედობის დროს სუბიექტს არ შეუძლია რაიმე ობიექტური მიზეზის გამოწვევა“ (97,38).

ა. გორელიკის თანახმად, რომელიც ასევე უარყოფს უმოქმედობის მიზეზობრიობას, აღიარებს კავშირს უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის, თუმცა უმოქმედობისგან განსხვავებულად.

საბჭოთა სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების თანახმად, უმოქმედობასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის შეიძლება არსებობდეს

მიზეზობრივი კავშირი, მაგრამ უმოქმედობის მიზეზობრიობის ხასიათის უარყოფა განპირობებულია მიზეზობრივი კავშირის გაიგივებით

მექანიკურ მიზეზობრიობასთან (113,91). აქედან გამომდინარე თუკი მივიჩნევთ მიზეზობრივ კავშირს მექანიკურად, მაშინ უმოქმედობა ყოველთვის უნდა განვიხილოთ, როგორც სიცარიელე, რომელსაც არ შეუძლია რაიმე წარმოქმნას. სინამდვილეში კი უმოქმედობა გულისხმობს ფინალური აქტივობის განუხორციელებლობას. ადამიანი მიზანმიმართულად წარმართავს თავის უმოქმედობას იმ შედეგის განსახორციელებლად, რომელიც მას სურს რომ დადგეს (8,288). უმოქმედობის ობიექტური მხარე ნორმატიული მოთხოვნით გათვალისწინებული მოქმედების შეუსრულებლობას გულისხმობს, ხოლო სუბიექტური მხარე კი პირის უნარს განახორციელოს ეს ქმედება. სწორედ მოქმედების შესაძლებლობაა მოცემული სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში და მთავარი კითხვა იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედების შესაძლებლობა უმოქმედობის მიზეზობრიობის მაფუძნებელ კატეგორიას წარმოადგენს თუ ბრალისას?

თ. წერეთლმა თავის მოძღვრებაში პირველი მათგანი უარყო სისხლის სამართალში ცნობილი მისრის კლასიკური მაგალითით. მაგრამ როგორ უნდა გადავწყვიტოთ პრობლემა, როდესაც ვინმე დადებითი მოქმედებით სპობს იმ ძალას, რომელიც მიმართულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის ასაცდენად ? ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთი ადამიანის მოქმედება იწვევს მეორის შეზღუდვას და მას უქმნის ისეთ სიტუაციას, სადაც არ აქვს მოქმედების შესაძლებლობა, თუ მივიჩნევდით, რომ შესაძლებლობა მიზეზობრიობის დამფუძნებელია, მაშინ ამ შემთხვევაში გადაწყდებოდა მიზეზობრივი კავშირი. შესაბამისად საქ-ოს. სისხლის სამართლის კოდექსში სუბიექტის „შესაძლებლობის“ არ არსებობა არა მიზეზობრიობას, არამედ ბრალს გამორიცხავს.

პრობლემატურია აღნიშნულ მუხლში, ასევე მოვალეობის ცნებაც, ხომ არ არსებობს უმოქმედობის მიზეზობრიობა სპეციალური მოვალეობის გარეშე და რამდენად ამოწურავს იგი უმოქმედობის მიზეზობრიობის შემთხვევებს?

უმოქმედობა მექანიკური თვალსაზრისით ნულია „არარაობა“ და რაიმე შედეგს ვერ წარმოშობს (150,27). მიუხედავად ამისა, მექანიკის კანონების თანახმად, აბსოლუტურად უმოქმედო სხეული არ არსებობს და იგი აუცილებლად მოძრაობს ათვლის რომელიმე სისტემის მიმართ. სპეციალურ მოვალეობაზე მსჯელობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მექანიკური და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და პირის უმოქმედობას შორის. შეუძლებელია ამომწურავად გვქონდეს იმ პირთა სია, ვისაც მოქმედების სპეციალური მოვალეობა ეკისრება. გარკვეულ სიტუაციებში, ეს მხოლოდ

კონკრეტული შეფასების საგანია. ზოგიერთ შემთხვევებში უმოქმედობამ შეიძლება წმინდა მექანიკური მიზეზობრიობა წარმოშვას. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კოდექსით პირი, რომელსაც სპეციალური მოქმედების მოვალეობა არ ჰქონდა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტი არ არის (150,53).

საქართველოს სსკ-ის. მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: “ მიზეზობრივი კავშირი არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა“ (214,10). აღნიშნულ დეფინიციაში გამოხატულია ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის ექვივალენტური თეორიის მთავარი იდეა, როცა ქმედება შედეგის უშუალო მიზეზია და ამ შედეგის დადგომის ყველა პირობა თანაბარი მნიშვნელობისაა, მაგრამ ქმედება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის ერთადერთ პირობად კი არ მიიჩნევა, არამედ პირიქით ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, რომლის გარეშე ეს შედეგი ამ სახით არ დადგებოდა. ამ თეორიის ნაკლი კი ის არაა, რომ იგი ქმედებას შედეგის აუცილებელ პირობად მიიჩნევს, არამედ ის, რომ ის ამპირობებს ერთმანეთთან ათანაბრებს. ეს დასკვნა სავსებით ბუნებრივია, რადგან ადამიანის ქმედება მიმართულია გარესამყაროზე, რომელშიც მიზეზ- შედეგობრივი კავშირ-ურთიერთობანი საკმაოდ რთულია, ამიტომ ადამიანის ქმედება ერთადერთი კი არ იწვევს შედეგს, არამედ სხვა პირობების თანხლებით იკვალავს გზას და იწვევს ამ შედეგს (8,260).

მიზეზი შედეგში პირდაპირი ლოგიკური გზით არ გადადის. ეს ბუნებრივია, რადგან მიზეზობრივი კავშირის ფილოსოფიური პრობლემა მიზეზისა და პირობის ცნებათა გამიჯვნას მოითხოვს. მიზეზი მხოლოდ პირობითი ცნებაა, რომელიც შედეგის დადგომის გარკვეულ პირობებს მოიცავს, თუმცა მიზეზი შედეგის დადგომის პირობათა მექანიკური ჯამი როდია (8,265). ეს იმიტომ, რომ მიზეზი არაერთგვაროვან პირობებს აერთიანებს: ზოგი მათგანი შედეგის დადგომაში უფრო აქტიურია, ზოგი-ნაკლებად აქტიური. აქედან გამომდინარე, მიზეზისა და პირობის ცნებათა გამიჯვნა საშუალებას გვაძლევს, უფრო თვალსაჩინოდ დავადგინოთ შედეგთან მიმართებაში უფრო აქტიური პირობის როლი, ხოლო თუ ეს მოცემულ შემთხვევაში ადამიანის ქმედებას მიეწერება, მაშინ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს ქმედება ამ შედეგის დადგომის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე ეს შედეგი არ დადგებოდა, აქედან გამომდინარე: „მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ

განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა“ (214,10). ასევე უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს.

პროფ. გ. ტყეშელიაძე წერდა: „დასაბუთებულად მიგვაჩნია თ.წერეთლის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ადამიანის ქმედება დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყოს, ესეი იგი, თუ მან სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო მართლწინააღმდეგობის წარმოშობას, ეს სრულიად საკმარისია ვცნოთ მიზეზობრივი კავშირი ადამიანის ქმედებასა და შედეგს შორის“ (6,103-104). თუ ქმედება შედეგის დადგომის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაშინ ის საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიმართაც ვრცელდება და, მაშასადამე კვლავ ძალაში რჩება ექვივალენტური თეორიის ძირითადი დებულება - *Conditio Sine Qua Non* - ე.ი ქმედება შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

უმოქმედობის ცნება გამოირჩევა მთელი რიგი თავისებურებებით. სოციალური წესრიგი შეიძლება დაირღვეს სხვადასხვაგვარი მოვლენების შედეგად, მაშინ როდესაც თვით ეს დარღვევები ექვემდებარებიან ნეგატიურ შეფასებას. ყველა ის მოვლენა, რომელიც ამ დარღვევებს აღკვეთს, პოზიტიური შეფასების ობიექტია. დადებითი შეფასების აუცილებლობაზე მიგვითითებენ აგრეთვე ის პროცესები, რომლებიც მხოლოდ ქმნიან და სრულყოფენ სოციალურ წესრიგს, ისე რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ იყოს რეალიზებული, რადგან სულაც არ არის აუცილებელი, რომ სამართლებრივად სასურველი მდგომარეობა მოიცემოდეს ყველა თავისი შემადგენელი ნაწილის სახით (113,77). ის განეკუთვნება იმ მდგომარეობათა კატეგორიას, რომლებიც „უნდა იყოს“. შეფასებითი მსჯელობისგან წარმოსდგება ჯერარსობის მსჯელობა. მოქმედების არსებობის საჭიროება იქცევა ამავე მოქმედების შესრულების ვალდებულებად ანუ მოქმედება გარდაიქმნება მოვალეობის საგნად. მოვალეობა, როგორც ნორმა, რომლითაც სუბიექტს მოეთხოვება გარკვეული მოქმედების განხორციელება, წარმოადგენს აბსტრაქტული აზროვნების ფორმას აქტიური ქცევის სამართლებრივ მოვალეობად გარდასახვისა (138,27).

მიუხედავად ნორმის მავალეობელი შინაარსისა, დამნაშავე მოქმედებს და არა უმოქმედობს, თუ დავესესხებით არმ. კაუფმანს: „იმისათვის, რომ სუბიექტმა ფიზიკურად გამოხატოს უმოქმედობა, ფსიქიკურად უნდა იმოქმედოს, ე.ი ფსიქოლოგიურად უმოქმედობაც მოქმედებაა. მაშასადამე უმოქმედობა მხოლოდ ფიზიკურად არის უმოქმედობა, ფსიქოლოგიურად კი მოქმედებაა“ (30,48-75). მაგრამ სისხლის სამართალს უმოქმედობის ცნება არ აინტერესებს, არც მხოლოდ ფიზიკურ და არც ფსიქიკურ

ასპექტში. მას აინტერესებს მარტოდენ როგორც ფსიქო-ფიზიკური კატეგორია, ხოლო უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათის უარყოფა განსაზღვრულია მის მექანიკურ მიზეზობრიობასთან გაიგივებით.

პირის უმოქმედობა განსაზღვრული პირობების არსებობისას არ არის „არარაობა“, არამედ განსაზღვრულ ქცევას წარმოადგენს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაზღვრული გარემოებების არსებობისას უმოქმედობამ შეიძლება წარმოშვას მეტად სერიოზული შედეგები, მაგრამ როდის წარმოადგენს უმოქმედობა განსაზღვრულ ქცევის წესს და სცილდება მის სტატიკურ მდგომარეობას? როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ის როდია არარაობა, სიცარიელე, არამედ განსაზღვრული შინაარსის მატარებელია, მაშინ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს ხდება მაშინ, როდესაც პირი არ ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც აუცილებელი იყო გარკვეული სოციალური კანონზომიერების თვალსაზრისით და ამიტომ მოცემულ პირობებში მისგან მოსალოდნელი იყო (114,133). იგი შეიძლება წარმოადგენდეს მოტივს, რომელმაც განსაზღვრა სხვა პირების ყოფაქცევა. ამასთანავე უმოქმედობას შეიძლება ჰქონდეს მიზეზობრივი ხასიათი არა მარტო იმ მხრივ, რომ მოტივაციური ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის მოქმედებაზე, არამედ იგი შეიძლება ჩაერთოს მიზეზობრიობის საერთო ჯაჭვში, რომელიც ობიექტურ გარემოში მომდინარეობს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირის უმოქმედობა გარესამყაროში გამოწვეული ცვლილებების მექანიკური მიზეზია. არამედ კონკრეტულ გარემოებაში, რომელშიც ადგილი აქვს უმოქმედობას, პირი განსაზღვრავს აქტიური მოქმედებისათვის თავის არიდებით ზემოქმედებას, მიზეზობრივი კავშირის განვითარებაზე (114,189). უმოქმედობის დროს პირი აუცილებელი მოქმედების შეუსრულებლობით ქმნის პირობას იმისათვის, რათა განსაზღვრულმა პროცესმა ზიანი მიაყენოს ან საფრთხე შეუქმნას სამართლებრივად დაცულ სიკეთეს. ინდივიდის კონკრეტული მდგომარეობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში აკისრებს მას განსაზღვრულ ფუნქციებს და ამოცანებს მის შესასრულებლად (114,191).

საზოგადოებრივი ფუნქციები თავის გამოხატულებას პოულობენ სპეციალურ სამართლებრივ მოვალეობაში, რომელსაც მათ მართლწესრიგი აკისრებთ, ამიტომაც სავალდებულო სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, იმავდროულად ნიშნავს იმ მოქმედების შეუსრულებლობას, რომელსაც მისგან სამართლებრივი მართლწესრიგი მოელოდა.

გ. მატვეევი თავის მხრივ მიიჩნევს, რომ: „თეორეტიკოსთა ძირითადი პრობლემა მათ პოზიციაში მდგომარეობს, რომლითაც ისინი შესაძლებლად მიიჩნევენ უმოქმედობის მიზეზობრიობას და მის ფარგლებს მართლწინააღმდეგობაში საზღვრავენ. საკმარისია ეს

ჩარჩო მოვხსნათ და უმოქმედობა განვმარტოთ მატერიალური პოზიციიდან...წერს გ. მატვევი, მაშინვე გამოჩნდება საკითხის გადაჭრის სწორი გადაწყვეტილება“ (201,64). ავტორს მაგალითი მოჰყავს თავის მოსაზრების დასადასტურებლად ალპინისტების ჯგუფთან დაკავშირებით, სადაც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი დახმარებას არ უწევს სხვა წევრს, რადგან თვითონაც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება, რომლის შედეგადაც ეს უკანასკნელი იღუპება. სხვაგვარ გარემოებაში საფრთხეში მყოფ ალპინისტს დახმარებას არ აღმოუჩენს თვით ჯგუფის ინსტრუქტორი, რომლის მოვალეობაშიც სწორედ დახმარების აღმოჩენა შედის, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის საფრთხის ფასად. ორივე ამ შემთხვევაში, როგორც ვარაუდობს გ. მატვევი სახეზე გვაქვს ანალოგიური შედეგი, მაგრამ პასუხისმგებლობა მხოლოდ მეორე შემთხვევაში დგება ანუ აქედან გამომდინარე უმოქმედობა შეიძლება მიზეზი გახდეს სამართლებრივი რეგლამენტაციისგან დამოუკიდებლად, ამა თუ იმ სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ თუკი უფრო კონკრეტულები ვიქნებით ამ მაგალითში, მაშინ უმოქმედობა საფრთხეში მყოფი ალპინისტის მიმართ უნდა მივიჩნიოთ არა მიზეზად, არამედ შედეგის დადგომის პირობად, მაგრამ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით აღნიშნულ პირობას შესაძლოა მიეწეროს მიზეზის მნიშვნელობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე შედეგის დადგომის შემდეგ, და სწორედ მართლსაწინააღმდეგობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა სპეციალურ-სამართლებრივ მოვალეობასთან გვაქვს საქმე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი აღნიშნული მოვალეობის მატარებელი, მხოლოდ ინსტრუქტორი იყო, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს უმოქმედობის მიზეზობრიობის ნორმატიულ ხასიათს (201,81).

შეიძლება ისევ მოხდეს, რომ საფრთხე გამოწვეულია გაუფრთხილებლობით, ხოლო პირს უმოქმედობის დროს განზრახვა ჰქონდა. ასეთ შემთხვევაშიც მოქმედების კვალიფიკაცია ბრალის იმ ფორმის მიხედვით იქნება, რომელიც მას უმოქმედობის დროს ჰქონდა. მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის დასაბუთებულია იმით, რომ პირს კანონის, ან სხვა პირობის საფუძველზე მოქმედების სპეციალური მოვალეობა ჰქონდა, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, როცა პირს ასეთი სპეციალური მოვალეობა არ აკისრია, მაშინ ჩვენ მიზეზობრივ კავშირზე ვერ ვილაპარაკებთ (201,73).

სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც პირი ისჯება მოქმედების შეუსრულებლობისათვის, იმისგან დამოუკიდებლად, დადგა თუ არა მძიმე შედეგი. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ: სსკ-ის 129-ე მუხლი „დაუხმარებლობა“ ან „დანაშაულის შეუტყობინებლობა“ (სსკ-ის. 376-ე მუხლი), როგორც ცნობილია ორივე შემთხვევაში დანაშაული განიხილება, როგორც წმინდა

უმოქმედობა. ასე მაგალითად, დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია, ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანუ ისჯება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, როგორც დამოუკიდებლად ჩადენილი უმოქმედობითი დელიქტი.

უმოქმედობის დროს მიზეზობრივი კავშირის დასაბუთებისთვის აუცილებელია თ. წერეთლის მოსაზრებით შემდეგი გარემოებების არსებობა:

1. მოქმედების სპეციალური მოვალეობის არსებობა
2. მოქმედების განხორციელების შესაძლებლობის არსებობა
3. სუბიექტური და ობიექტური გარემოებების გათვალისწინება ანუ პირის შესაძლებლობა და გარემოება იქნებოდა თუ არა საკმარისი შედეგის თავიდან ასაცილებლად (8,304-305).

თავისთავად ცხადია, აღნიშნულიდან გამომდინარე პროფ. თ. წერეთელი ფაქტიურად ცნობს უმოქმედობის მიზეზობრიობის ნორმატულობას, სწორედ აღნიშნულმა მოსაზრებამ ასახვა ჰპოვა საქ-ოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში.

ანალოგიურ მოსაზრებას მიზეზობრივ კავშირსა და უმოქმედობის თაობაზე პროფ. ა. ტერ-აკოპოვიც გამოთქვამს. მისი აზრით „უმოქმედობასა და დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირს მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, თუ სუბიექტზე მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა იყო დაკისრებული და არსებობდა დადებითი და უარყოფითი შესაძლებლობა, რომ პირს თავისი აქტიური მოქმედებით შედეგი თავიდან აეცილებინა“ (138,343). თეორეტიკოსებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვ. კუდრიავცევის მოსაზრება უმოქმედობის აკაუზალობის თაობაზე. მისი აზრით უმოქმედობის მიზეზობრიობის დაყვანა ორ ძირითად მომენტზე ხდება:

1. უმოქმედობის მიზეზობრიობაში აქტიური როლის უარყოფა
2. მიზეზობრიობის დაყვანა მხოლოდ აქტიური მოქმედების ცვლილებების როლზე. იგივეთავაზობს გამოვყოთ მიზეზობრივი კავშირის 4 სახე:
 - a. აქტიური მოქმედება-აქტიური შედეგი (A-A).
 - b. აქტიური მოქმედება-პასიური შედეგი (A- π).
 - c. პასიური ქმედება-აქტიური შედეგი (π-A).
 - d. პასიური ქმედება-პასიური შედეგი (π-π) (98,186).

განსაკუთრებულ ინტერესს ვ. კუდრიავცევის მიერ წარმოდგენილ მიზეზობრიობის

სახეებში ბოლო ორი ტიპის ურთიერთქმედება წარმოადგენს, სწორედ π - A ურთიერთქმედების თაობაზე ავტორი მიუთითებს, რომ „ინფორმაციის თვალსაზრისით უმოქმედობა-პასიური ენერჯის მხრივ განსაზღვრულ აქტიურ თავისებურებებს ფლობს“. უფრო რთულად არის წარმოდგენილი π - π მიზეზისა და შედეგის ურთიერთქმედების ტიპში. ვ. კუდრიავეცი ამ შემთხვევაში მიდის დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს მიზეზი ამ სიტყვის სპეციფიური მნიშვნელობით. „მიზეზობრიობა წარმოიქმნება“ პირობათა ერთობლიობის შედეგად. ამ შემთხვევაშიც ვ. კუდრიავეცი იწყებს „პასიური გარემოს“ ტერმინით ოპერირებას და მიიჩნევს, რომ მიზეზობრიობა უნდა წარმოშვას სწორედ პირობათა ერთობლიობამ, კერძოდ კი იმ პირთა ქმედებებმა, რომლებიც რეალურად იყვნენ იმ სისტემის აუცილებელი შემადგენელი ელემენტი (98,197).

ასევე ტერმინ „პასიურ გარემოს“ იყენებს გ. მატვევიც. ანალოგიურად მისი აზრითაც მიზეზობრიობას წარმოქმნის კონკრეტულ გარემოებაში პირთა უმოქმედობა, რომელთა პასიურმა მდგომარეობამაც ხელი შეუწყო მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას (115,114). „ნებისმიერი სისტემა შესაძლოა დარღვეულ იქნეს აქტიური მოქმედებით, როგორც შინაგანად, ასევე გარეგანი მოქმედებით“ - წერს ვ. კუდრიავეცი, მაგრამ პასიური მდგომარეობა საშიშია სისტემისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი განხორციელება შინაგანად ხდება, ე.ი როდესაც უმოქმედობს სწორედ ამ სისტემის შემადგენელი ელემენტი, რომელსაც უნდა ემოქმედა“ (98,86). ამდენად ვ. კუდრიავეცი ვერ გასცდა ვალდებულების კატეგორიას და შესაბამისად მისი თეორიით შეუძლებელი ხდება უმოქმედობის მიზეზობრიობის ნორმატიული თეორიის გაბათილება. ამასთანავე ნებისმიერი მიზეზობრივი კავშირი ფუნქციონირებს განსაზღვრულ სისტემაში, ამიტომ არ შეიძლება მხოლოდ „გარემოს“ ცნებით ოპერირება უმოქმედობის მიმართ. მისი პოზიციის ღირებულება მდგომარეობს მის ნათელ დასაბუთებაში მიზეზობრიობის ინფორმირებულობის თაობაზე, რადგანაც უმოქმედობის მიზეზობრიობის დაყვანა მის მხოლოდ მექანიკურ საფუძველზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ფარგლებს სცილდება და უბრალო სტატიკურ მდგომარეობად გარდაიქმნება და სწორედ ამიტომაც არის მიზეზობრიობის ინფორმირებულობა მოვალეობით განპირობებული, რადგანაც მოხდეს უმოქმედობის და მიზეზობრივი კავშირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ჩარჩოში მოქცევა. უმოქმედობა თავის თავად წერს ა. ტერ-აკოპოვი „არ გამოხატავს არც ენერჯიას, არც სტრუქტურას. ის მხოლოდ სუბიექტის ქცევის ცვლილებას წარმოადგენს, რომელიც სისტემის ცვლილებას იწვევს, ხოლო დამდგარი

შედეგი წარმოადგენს ამ სისტემის შემადგენელი ელემენტის (სუბიექტის) სავალდებულო ქცევის ფარგლებიდან გასვლის შედეგს“ (29,21). შემდგომ იგი მსჯელობას აგრძელებს და აღნიშნავს, რომ სისტემა მრავალი ელემენტისგან შედგება, რომელთა ცვლილებასაც მივყავართ ნეგატიურ შედეგებამდე, სადაც ეს ელემენტები სუბორდინაციულ ურთიერთობაში არიან უპირატესი როლის გათვალისწინებით, რომელმაც უმოქმედობით ჩაიდინა დანაშაული.

ა. ტერ-აკოპოვი მსგავსად ვ. კუდრიაცევიც მსჯელობს უმოქმედობით დანაშაულების მიზეზობრიობის ინფორმაციულ ხასიათზე. კერძოდ, ის მიიჩნევს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის არა საფუძველს, არამედ მის შემცველობას, სტრუქტურას, რომელიც მის ცვლილებებს გადმოსცემს (129,112). სწორედ ამ მიზეზით უმოქმედობა ენერგეტიკულ შემცველობას მოკლებულია, რომელსაც ძალა შესწევს გამოიწვიოს მატერიალური შედეგი. ამასთანავე ა. ტერ-აკოპოვი მუთითებს, რომ უმოქმედობასა და შედეგს შორის ინფორმაციულ კავშირს ახორციელებს სამართლებრივი ნორმა.. ეს გარემოებაც სწორედ უმოქმედების ნორმატიულ ხასიათს ადასტურებს, რაზეც თვით ავტორიც მიუთითებს (129,113).

ამასთანავე, ა. ტერ-აკოპოვის მსჯელობის თეორიული ღირებულება მდგომარეობს მის მიერ გამოყოფილ პასიური ქმედების ურთიერთობიდან. სამართლებრივ რეალობაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც პირის უმოქმედობა წარმოადგენს ნეგატიური პროცესის წყაროს (ა. ტერ-აკოპოვი) და შემთხვევები, როდესაც უმოქმედობა მავნე შედეგის აღკვეთის ხელის შეშლასთან არის კავშირში (129,127).

სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირის საკითხი გადაწყვეტილ უნდა იქნას უშუალოდ სისხლის სამართლებრივი მეცნიერების ფარგლებში, რადგანაც დიალექტიკის კანონები და კატეგორიები სამართლებრივ მეცნიერებაში ხასიათდება სპეციფიური, კონკრეტული მახასიათებლებით და არა ისე, როგორც ის არის უშუალოდ წარმოდგენილი ზოგად ფილოსოფიურ დოქტრინაში. ამასთან მიმართებით ბ. სოტკოვეი გამოყოფს სისხლის სამართლებრივი მიზეზობრიობის ორ ძირითად მიზანს :

1. ემპირიული მასალების მტკიცებულების საფუძველზე დაფუძნება (საგამომიებო - სასამართლო პრაქტიკა) და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა უშუალოდ დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგის ფარგლებში და ამ შედეგის გამოწვევის ჩარჩოში.
2. წარმოვადგინოთ კაუზალური ურთიერთობის ამსახველი რეალური კონსტრუქცია, რომელიც სამართლებრივ სინამდვილეს ასახავს.

ცნობილია, რომ ადამიანის ქცევა არასდროს არ არის ერთადერთი მიზეზი დამდგარ შედეგის მიმართ, არამედ ის წარმოადგენს მხოლოდ ერთადერთ ფაქტორს, რომელთა ერთობლიობაც იწვევს მოსალოდნელ შედეგს, თუმცა სოციალურ-სამართლებრივ დონეზე ადამიანის ქმედება სწორედ ერთადერთ დამდგარ მიზეზს წარმოადგენს (89,53).

ა. კაშელიოვა ანალოგიურად ბ. სოტკოვეისა მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი ქმედება სწორედ მიზეზს წარმოადგენს მისი სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობით, მაგრამ ეს არ უნდა იქნას განხილული, როგორც მიზეზი მისი ფართო გაგებით მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში. უმოქმედობის დროს მიზეზ- შედეგობრივი კავშირის აღწერისას ა. კაშელიოვა გამოყოფს:

- ემპირიული მიზეზობრიობის მექანიზმი;
- მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქცია;
- მიზეზობრივი კავშირი ვიწრო მნიშვნელობით ანუ სისხლისსამართლებრივი მიზეზობრიობა.

უმოქმედობა ამკრძალავი ნორმის რეალიზების, მისი პრაქტიკული არსებობის ფორმაა. უმოქმედობის ცნებაში მოცემულია მოქმედების კაუზალობის ანალოგიური ნიშანი, მაგრამ არა თვით კაუზალობა. როგორც აღნიშნავს ლ. ტრაგერი: „უმოქმედობა ნორმის სუბიექტის მიერ მისგან მოსალოდნელ მოქმედების შეუსრულებლობას წარმოადგენს, თუ მისი შესრულება სუბიექტის ნებელობით უნარს არ აღემატებოდა ან მოკლედ: ეს მოსალოდნელი შესაძლო მოქმედების შეუსრულებლობაა“ (61,8). გარდა იმისა, რომ პარალელურად დანაშაულთა ცნება შეუმცდარად გადმოიცემა, აქ მოქმედების სუბიექტური და ობიექტური ასპექტებიც არის გათვალისწინებული, თუ დანაშაული მოქმედებაა, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ აქტიურ მოძრაობას და პირიქით : თუ მოქმედება მხოლოდ სხეულებრივი მოძრაობაა, მაშინ დანაშაული უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ მოქმედებას (61,23).

კაუზალობის შესახებ ლისტი აღნიშნავს, რომ ის: „დანაშაულებრივი შედეგის სხეულებრივი მოძრაობის შედეგია, ე.ი მის მიზეზს წარმოადგენს. მოქმედება მუდმივად უნდა იმყოფებოდეს შედეგთან მიზეზობრივ- კავშირში“. შემდგომ კი ლისტი ცდილობს დაასაბუთოს ტრადიციულად გაგებული კაუზალობა უმოქმედობას და შედეგს შორის. აქედან გამომდინარე ის არაპირდაპირ ცნობს უმოქმედობასაც, როგორც სხეულებრივ მოძრაობას.

თავისთავად, ზოგჯერ უმოქმედობა შესაძლებელია გამოიხატოს სხეულებრივ მოძრაობაში, მაგრამ ამ შემთხვევაში პირის სხეულებრივი მოძრაობანი მოკლებულია

ღირებულებას და ამის გამო არ გამოდგება პასუხისმგებლობის საფუძვლად. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ პირმა არ შეასრულა ნორმატიულად სავალდებულო სხეულებრივი მოძრაობა, და სავსებით უმნიშვნელოა ის ჩაიდინა ეს მან სხვაგვარი სხეულებრივი მოძრაობის საშუალებით თუ უამისოდ (137,29).

სუბიექტური ქცევის ყოველი კონკრეტული სახე ნებელობის შესაბამისი ვერ იქნება. გარე სამყაროში გამოწვეულ ცვლილებას სუბიექტური ნება დაუკავშირდება მაშინ, თუკი ეს ცვლილება შესაბამისობაში მოდის სუბიექტის წარმოდგენასთან (98,65).

ამრიგად, სისხლის სამართალში სუბიექტური ნება არაერთგვაროვანად არის აღწერილი, რის გამოვლინებასაც წარმოდგენს შემდეგი ნიშნები:

- A. ნებისა და სურვილის ურთიერთ განუსხვავებლობა.
- B. ნებაში სურვილისა და ფსიქოლოგიური იძულების გაერთიანება (ლისტი).
- C. ნების წარმოდგენისაგან განცალკევება (კ. ბინდინგი).

ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლისტის დამოკიდებულება დანაშაულის სისტემის სტრუქტურული ელემენტებისა და მათი ურთიერთობის ფორმისადმი. ამით შეიცნობა კაუზალური მოძღვრების არსი. მასთან დანაშაულისცნება აიგება მოქმედების, მართლწინააღმდეგობისა და ბრალისაგან, სადაც მოქმედება ნატურალისტურადაა გაგებული.

ფონ ლისტმა მოქმედების ცნებიდან დანაშაულის შემადგენლობაში ნებელობითი ქცევის ყველა გარეგანი გარემოება გადაიტანა: ხერხი, შედეგი, ობიექტი, მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, მოქმედების ცნება, მაგრამ ამის თაობაზე თვით ე. ბელინგი მიგვითითებს: „იქ, სადაც დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს კაუზალურ ურთიერთობას, ის უნდა მდგომარეობდეს არა მხოლოდ შედეგში, არამედ შედეგსა და მოქმედებაში ერთობლივად. მოქმედება მსგავს შემთხვევებში, როგორც მიზეზის შედეგი ერთმნიშვნელოვნად ექცევა დანაშაულის შემადგენლობაში“ (14,30). მაგრამ ე. ბელინგი კრიტიკის შედეგად ცვლის მოძღვრებას დანაშაულის შემადგენლობის შესახებ და აყალიბებს მას იმგვარად, როგორადაც ის დღესაც განაგრძობს თავის უპირობო დომინირებას.

ლისტი და ბელინგი სწორად ასახავენ არსებულ რეალობას, როდესაც ისინი ცდილობენ დანაშაულის შემადგენლობის, ერთი მხრივ ყოველივე სუბიექტურისა და, მეორე მხრივ, ყოველივე შეფასებითისაგან გამოყოფას. ლოგიკურია ის თანმიმდევრულობა, რომლითაც დანაშაულის შემადგენლობას მართლწინააღმდეგობა მოსდევს, როგორც ობიექტური

მხარის შეფასება და ბრალი, მაგრამ ვ. ჰარდვიგი დანაშაულის სტრუქტურის კაუზალისტურ დაყოფას ნეგატიურ შეფასებას აძლევს (25,71). დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ანალიზის შემდეგ ის აღნიშნავს:

“გაუფრთხილებლად რომ იმოქმედო, უნდა დაარღვიო გარკვეული მოვალეობა. ასეთ მოვალეობად კი გვევლინება შესაბამისი მზურნველობის და წინდახედულობის გამოჩენის მოვალეობა, მაგრამ როდესაც სუბიექტი არ არღვევს მოვალეობას, არც ის შეიძლება დადგინდეს, რომ მან იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ შესაძლოა, რომ ქმედება ერთდროულად იყოს მართლსაწინააღმდეგოც და მართლზომიერიც? მზურნველობისა და წინდახედულობის შესახებ მოვალეობაც ხომ ობიექტური სისხლისსამართლებრივი მოვალეობაა“ (25,80). ჰარდვიგი არასწორად მსჯელობს, როცა მართლწინააღმდეგობის წინაპირობად სამართლებრივი მოვალეობის დარღვევას აცხადებს.

ის, ვინც მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, არღვევს მხოლოდ სხვის სამართლებრივად დაცულ სიკეთეს და არა საკუთარ მოვალეობას, რადგანაც ასეთი მოვალეობა მას შესაძლებელია არ გააჩნდეს საერთოდ. მაგალითად, შეურაცხად პირს არ ეკისრება არანაირი სახის სისხლისსამართლებრივი მოვალეობა, მაგრამ მას შეუძლია მართლსაწინააღმდეგოდ იმოქმედოს- მოკლას, გაქურდოს და ა.შ. ყოველთვის, როდესაც სისხლისსამართლებრივი უფლების ხელყოფა ხდება, ირღვევა სისხლის სამართალიც, იმისდა მიუხედავად, სდევს თუ არათან ამ უფლების დარღვევას საპირისპირო მოვალეობის შეუსრულებლობა.

კაუზალური მოძღვრების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ე. მეცგერის შეხედულებებს, რომელმაც მნიშვნელოვნად განავითარა აღნიშნული მოძღვრება (38,109).

მასთან დანაშაულის შემადგენლობის არსი გარე სამყაროში მომხდარი ცვლილებების ობიექტურ აღწერაში მდგომარეობს, მაგრამ მის შიგნით შეაქვს შეფასებითი მომენტი. იგი განასხვავებს დანაშაულის ორ ძირითად ჯგუფს: პირველში გაერთიანებულია დანაშაულთა ის სახე, რომლისთვისაც კანონმდებელი მოითხოვს „გარეგანი მოქმედების მარტივ ნდომას“, მეორე რიგის დანაშაული კი მიიღება გარეგანი მოქმედების ინტელექტუალურად რთულ ნდომით (38,248).

„ინტელექტუალურად რთულ ნდომას“ ის შემდეგგვარად განგვისაზღვრავს:

„უმრავლეს შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონი არ კმარობს იმას, რომ დამნაშავემ ცნობიერად და ნების შესაბამისად განახორციელოს დანაშაულის გარეგანი შემადგენლობა. დასჯადობის მთავარ წინაპირობად გვესახება სხვა თანამდევნი

ფსიქიკური პროცესები. გარეგანმა მიმდინარეობამ უნდა წარმოაჩინოს განსაზღვრული ფსიქიკური მიმართულება, განსაზღვრული გონებრივი შინაარსი ანუ განსაკუთრებული სუბიექტური „აზრი“ (39,200). მეცგერი იქვე განასხვავებს ამ სახის დელიქტთა სამ ქვესახეს :

- a. მიზნით დაფუძნებული დელიქტები, როცა დამნაშავეს დანაშაულებრივი ქმედება სურს, როგორც სუბიექტური ხერხი სხვა ქცევის განსახორციელებლად;
- b. ტენდენციით დაფუძნებული დელიქტები, როცა ქმედება გვეკლინება, როგორც ტენდენციის რეალიზება;
- c. გამოვლინებით დაფუძნებული დელიქტები, რომლის დროს ქმედება წარმოდგენილია, როგორც მიმდინარე სულიერი პროცესის გამოვლინება (39,201). მაგრამ ის დანაშაულის შემადგენლობის არსს ხედავს მის აღწერაში ე.ი გარე სამყაროში მომხდარი ცვლილების აღწერაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ვერც წარმოვიდგენდით კაუზალური მოძღვრების მიმდევრად.

მიზეზობრივი კავშირის განხილვისას ყურადღებას იმსახურებს ასევე ი. ბაუმანის შეხედულებები. იგი ქმედებას უწოდებს ნებით განსაზღვრულ ქცევას, რის თანახმადაც მოქმედების ცნების მიღმა ექცევა: ა) ბუნებრივი მოვლენები, ბ) ცხოველური ქცევის სახეები და გ) ნებით განუსაზღვრელი ინდივიდუალური ქცევა. ბაუმანი წერს: „რომ გარეგან ქცევას თან უნდა ერთვოდეს სუბიექტური ნებაც, Vis Absoluta-ს დროს ან მსგავს პირობებში შესრულებული მოძრაობა, როდესაც არ გვაქვს ნება, ის სისხლისსამართლებრივ მოქმედებას არ წარმოადგენს.

სხეულებრივ მოძრაობას სისხლისსამართლებრივ მოძრაობად აქცევს სუბიექტური ნება“ (13,171) ანუ როგორც ჩვენ ვხედავთ, ი. ბაუმანთან ქმედების განმსაზღვრელი სუბიექტური ფაქტორი მხოლოდ ნებაა და ის არ არის დამოკიდებული დამნაშავეს შემდგომ ან საბოლოო მიზნებზე.

იგი ორდინალურად განსაზღვრავს ქმედებისა და შედეგის ურთიერთობას დასჯადობასთან მიმართებით: „სისხლისსამართლებრივად დასჯადია გარეგნულად გამოვლენილი შედეგის გამომწვევი ქცევა ან უბრალო საქმიანობა“ (13,171). უბრალო საქმიანობად კი უნდა გავიგოთ დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა, რომელშიც შედეგი თავის მნიშვნელობას კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ ი. ბაუმანი შედეგს უარყოფს, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას, მას კაუზალური დოგმის უარყოფის მიზეზად ეს სულაც არ მიაჩნია (13,173). მის წინამორბედ კაუზალისტთა მსგავსად ი. ბაუმანთანაც მოქმედებისა და შედეგს შორის მიზეზობრივი

კავშირი, არავითარ კრიტიკულ განხილვას არ ექვემდებარება. სწორედ ამიტომაც ეს პოზიცია ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც სისტემატიკური ანუ სისხლისსამართ-
ლებრივი სუბიექტივიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომლის გამოვლინების სფეროა
სისტემატიკა.

თავი IV. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ განვითარებული შეხედულებები

4.1. ქმედების ნების უკუგდება

სამართლებრივი თვალსაზრისით ქცევა დანაშაულებრივ უმოქმედობად ჩაითვლება, თუკი ის ფსიქიკური თვალსაზრისით შეზღუდულ აქტივობას მიეკუთვნება. განვითარდა თეორიები, რომლებიც აღნიშნულ „შინაგან მიზეზშედეგობრივ კავშირს“ უმოქმედობის გაგების გასაღებში ხედავდნენ (8,210). ერთ-ერთი ასეთი თეორია: “ინტერფერენციის თეორია” (Interferenz Theorien), რომლის წარმომადგენლებსაც განეკუთვნებოდნენ: ბური, ბერგერი და ჰელმნერი (64,45).

აღნიშნულ თეორიაში იმთავითვე გათვალისწინებული არ იქნა, რომ ერთ ხაზზე ყოფილიყო განლაგებული სულიერი კავშირი ფიზიკურ ქმედებასთან ერთად, რომელთან კავშირიც თავისი შედეგებით სწორედ შემოქმედებას იქონიებდა მასზე (64,46). მიუხედავად იმისა, რომ სიკეთისკენ ბიძგის მიმცემი ნებელობითი აქტივობის ჩახშობა ფიზიკურ რეალობასთან არის დაკავშირებული-ის თითქმის არასოდეს არ უნდა გაიმიჯნოს გადაწყვეტილების ამოცანიდან, უპირველეს ყოვლისა უსამართლობა იქნებოდა, რომ ჩვენ მხოლოდ აქ გაგვევლო გამყოფი ხაზი. ის ვინც გადარჩენის იმპულსს ახშობს, გაცილებით ნაკლებ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე ის ვინც იმთავითვე გულგრილია, თუმცა მასთან გაცილებით ახლოს დგას, ვიდრე ფიზიკური ჩართულობის შედეგად შედეგის გამომწვევ პირთან (8,12).

ამგვარად შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ: წინამდებარე მიდგომა შემოიფარგლება ქმედების მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. ქმედებები, რომლებიც გულგრილობას მხოლოდ დროში შემოფარგლავს, და ნებელობითი აქტივობები, რომლებიც მართალია მიზეზ-შედეგობრივია, მაგრამ არა მხოლოდ ფიზიკური და ნებელობითი უნარით შემოიფარგლება.

4.1.2 გარანტის უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები

აღნიშნულ ქვეთავში ჩვენ შეხება გვექნება გარანტის მოძღვრების გამოყენების სფეროსთან. გარანტის განსაზღვრა საჭირო ხდება იქ, სადაც საქმის გარემოებები ძალზედ

შორს მიდის. ეს წმინდა უმოქმედობით დელიქტებში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, ხოლო შერეული უმოქმედობის დროს კი დამკვიდრებულ წესს.

კანონით განსაზღვრული საქმის გარემოებების დადგენა მხოლოდ გარეთა წრიდან არის შესაძლებელი, ხოლო შიდა წრიდან ჩვენ თავად უნდა განვსაზღვროთ ქმედების შემადგენლობა. შესაბამისად გარანტიის პრობლემა შესაძლებელია დადგეს იქ, სადაც კანონი ორივე წრეს ფარავს. ეს თეორიულად ორგვარად არის შესაძლებელი (13,595). პირველ რიგში, შიდა წრე შესაძლებელია გაფართოვდეს გარეთა წრემდე. ასეთ შემთხვევებში, მიუხედავად გარანტიის ვალდებულებისა, დამნაშავე იქნებოდა ყველა, რომელიც შესაძლო დადებითი შედეგის დადგომის მიზნით არ განახორციელებდა ქმედებას, თუმცა აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია იმთავითვე, ისევე გაქარწყლდეს. მართალია, დანაშაულებრივი უმოქმედობის ცვლად დოგმატურ ისტორიაში არ აღინიშნებოდა ხმათა სიმცირე, რომლებიც ამ გზით მთლიანი პრობლემატიკის გაქარწყლებას ცდილობდნენ, თუმცა ისინი არ იყო დამაჯერებელი და არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენია თუნდაც ცალკეული დანაშაულის გარემოებების ინტერპრეტაციაზე, როდესაც საქმე უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ სიკეთეს ეხება, კანონს პასუხისმგებელი პირების წრეში შემოჰყავს არა მონაწილე პირები, მაგრამ ის ამისთვის ირჩევს სპეციალურ ბრალეულ უმოქმედობის გზას (სსკ მუხლი 376) და კმაყოფილდება სასჯელით, რომელიც შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობაზე ზემოქმედებასთან მიმართებაში-ძალზე უმნიშვნელოა (214,215).

აღნიშნული გარემოება კი ერთხელ და სამუდამოდ ყველა ან ცალკეული ქმედების, დანაშაულის ქმედების, დანაშაულის გარემოებების განმარტებას შეუძლებელს ხდის.

მეორე მხრივ, შესაძლებელია ასევე გარეთა წრის მოცულობა შემცირდეს შიდა წრემდე. ასეთ შემთხვევაში, მოქმედების პირობებშიც კი დანაშაულში თანამონაწილეობა გარანტიის მიცემაზე იქნებოდა დამოკიდებული, და ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა დანაშაულის შემადგენლობაში დამნაშავის სპეციალური წინაპირობები უნდა დაადგინოს, რაც დანაშაულის განხორციელების ორივე ტიპისათვის დანაშაულის გარემოებების შესასრულებლად იქნებოდა საჭირო, თუმცა არა საკმარისი. ამგვარი დანაშაულებისათვის შეგვეძლო გვეწოდებინა გარანტიის დანაშაულები, ვინაიდან პოზიტიური ქმედების შემთხვევაშიც კი განხორციელება შემოიფარგლება მოქმედების მქონე გარანტზე (13,595).

4.1.3 გარანტიის დანაშაული, როგორც ვალდებულების დარღვევა

ჩვენ დავიწყებთ გულგრილობის დანაშაულის დეტალურ განხილვას. სისხლის სამართლის კოდექსის 220¹ მუხლის თანახმად გულგრილობის ფარგლებში დამნაშავე შეიძლება იყოს ის, ვინც არღვევს მასზე დაკისრებულ სპეციალურ მოვალეობას, ესე იგი საწარმოში ან ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო. კანონი ამ ქმედების შემადგენლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში სჯის, თუკი მან გამოიწვია სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა. ეს კი შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ 220¹ მუხლის შემთხვევაში არ წარმოიქმნება სპეციფიკური გარანტიის პრობლემა.

ფაქტობრივად ყოველივე იმდენად ბუნებრივია, რომ დასაბუთების აუცილებლობა არც იკვეთება, თუმცა საინტერესოდ მიგვაჩნია განვიხილოთ შრიოდერის და როქსინის შეხედულება „ნდობის ბოროტად“ გამოყენების თაობაზე (54,2578). აღნიშნული განმარტების თანახმად: „ბოროტად გამოყენება შესაძლებელია მდგომარეობდეს ვალდებულების დარღვევით თმენისა და გულგრილობის შემთხვევებში. ქმედების ვალდებულება გამომდინარეობს დამნაშავეს პოზიციიდან, როგორც ეს საქ-ოს. სსკ-ის 220¹ მუხლითაა განმარტებული. შროდერი უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ აღნიშნავს, რომ ამგვარ ქმედებას ასევე უნდა მივაკუთვნოთ გულგრილობა (54,2578). უმოქმედობასთან დაკავშირებით ერთგულების დარღვევისას როქსინი აყენებს საკითხს:

„შერეული უმოქმედობის შესაბამისი ქმედების დანაშაულს, შემადგენლობით თუ დამოუკიდებელი გარანტიის მოთხოვნის მიხედვით უნდა მიეცეს სამართლებრივი კვალიფიკაცია“ (52,460). იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქნება გაგებული „ დანაშაულის შემადგენლობა“, მისთვის პასუხიც სხვადასხვაა: იმ შემთხვევაში, თუკი დანაშაულის შემადგენლობის ქვეშ „სასჯელის განსაზღვრა მოიაზრება“, მაშინ ქმედებისა და უმოქმედობისათვის მოქმედებს ერთი და იგივე დანაშაულის შემადგენლობა და პირიქით, თუ სახეზეა ორი დამოუკიდებელი ნორმის დისპოზიცია, როდესაც საქმე გვაქვს „სისტემატურ ძირითად ცნებასთან“ გადამწყვეტია ინკრიმინირებული ქცევის სტრუქტურა. „თუმცა საქმე სხვაგვარადაა იქ, სადაც ჯერ კიდევ პოზიტიური ქმედება დასჯადია, როგორც სავალდებულო დანაშაული. მოცემულ შემთხვევაში.....

ქმედებასა და უმოქმედობას შორის არ არსებობს სტრუქტურული განსხვავება, რის შედეგადაც ქცევის ორივე ტიპს ცნების მეორე გაგებითაც უნდა მიეცეს ერთიანი ნორმის დისპოზიციის და სამართლებრივი კვალიფიკაცია. არანაირი განსხვავება არ არის, მე როგორც ქონებაზე ზრუნვის ვალდებულების მქონე პირი, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულება მეკისრება, ზიანს იმით მივაყენებ, რომ საჭირო ქმედებას განზრახ არ განვახორციელებ, თუ ზიანის მომტან ქმედებას განვახორციელებ“ (52, 460).

როგორც საყოველთაოდ არის მიღებული, საბოლოო შედეგის თვალსაზრისით ეს მართებულია. საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი: როდესაც კანონმდებელი ქონების აქტიურ დაზიანებას მხოლოდ იმ შემთხვევაში სჯის, თუ კი არსებობს განსაკუთრებული ვალდებულებითი ურთიერთობები, მაშინ არ არის იმის განხილვა საჭირო, თუ რატომ უნდა წარმოადგენდეს იგივე ვალდებულებითიმართება დასჯად ქმედებას უმოქმედობის შემთხვევაში. შესაძლებელია მოხმობილი იქნას არგუმენტი, რომ აღწერილი პასუხისმგებლობის პოზიციები საჭიროა, რათა ამგვარი სოციალურად ადეკვატური ქონების დაზიანება დასჯადობის ჭრილში იქნას განხილული და ამასთან შენარჩუნებული იქნას ქმედებასა და უმოქმედობას შორის არსებული სხვაობა (52.351).

აღნიშნული პირობები შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ფორმით აღწერილ სპეციალურ ვალდებულებებს, ისე რომ პოზიტიური შედეგის დადგომის შემთხვევაში ვერავინ ვერ იქნება დამნაშავე (52,352). ერთგულების ვალდებულების დარღვევისგან განსხვავებით კანონმდებელი ცალსახად აცხადებს, რომ მას წარმატების დადგომისათვის აქტიურ მონაწილეობას და პასიურ უმოქმედობას შორის განასხვავების მოძიება არ სურს: ის ვინც მეთვალყურის პოზიციიდან პატიმარს „გაქცევის შესაძლებლობას“ მისცემს, იგივენაირად აგებს პასუხს, როგორც ის, ვინც „ამგვარ გათავისუფლებას“ ხელს შეუწყობს. ამგვარი დანაშაულები, ისევე როგორც ბევრი სხვა სამოხელეო დანაშაული, კანონმდებლის მიერ უმოქმედობის ალტერნატივის მეშვეობით შესაძლებელია აღნიშნული იყოს, როგორც გარანტის დანაშაულები, თუმცა მათი ხასიათიდან გამომდინარე, ისევე როგორც დარღვევა, შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის შემდეგ, თუმცა ყოველთვის საქმე ეხება ნორმებს ადრესატების შეზღუდული წრით. ამ წრეში შედის სპეციალური მოვალეობის მქონე პირები. ამის გამო, ყველა გარანტის დანაშაულები წარმოადგენს (სპეციალურ) ვალდებულებით დანაშაულებს (52,352). ის, რომ აღნიშნული წინადადება ასევე პირიქითაც შეიძლება იკითხებოდეს, არ არის დამტკიცებული და გადასაწყვეტად

საჭიროებს, თუმცა იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ინვერსია, როგორც გამოცდილების წესი, ყველა შემთხვევაში შეიძლება იყოს მართებული. იმ შემთხვევაში, თუკი როქსინთან ერთად დავუშვებდით სტრუქტურულ კანონს, რომლის თანახმადაც ვალდებულებითი დანაშაულის შემთხვევაში წარმატების არიდების მიზნით განხორციელებული ყველა უმოქმედობა სავალდებულოდ წარმატების დადგომისათვის აქტიური ნაბიჯების გადადგმას გაუთანაბრდებოდა, მაშინ ამ პრინციპის დაცვის კვალდაკვალ დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ანალიზის შესაძლებლობას მოვსპობდით, თუმცა ამან ყოველთვის უნდა იქნას ბოლო სიტყვა.

გრიუნვალდის მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის გარემოებები მხოლოდ „ქმედებებზე არის მორგებული, იმგვარად წარმოუდგენელი, რომ მათი შესრულება უმოქმედობის გარეშე შეუძლებელია“, მცდარია იმ შემთხვევაში, თუკი ის გარანტის დანაშაულებს შეეხება (165,412).

4.1.4 დანაშაულის ცნების საზღვრები

როქსინმა კანონიდან გამომდინარე განსაზღვრა სპეციალური ვალდებულებისა და სპეციფიკური უმოქმედობის პრობლემატიკის კონტექსტი. წარმოდგენილი მოსაზრების შესაბამისად, ყოველი ვალდებულებითი დანაშაული ასევე გარანტის დანაშაულსაც წარმოადგენს (52,66-68).

ის გარემოება, რომ კანონმდებელი გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფალია და რამდენად შეავიწროვებს შესაბამის წრეს არ ხდება სადავო, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოდ, რომ პოზიტიური ქმედების შედეგადაც კი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება გარკვეულ შეზღუდვებზე მიგვითითებს, რომლებიც ისე შორს არ მიდიან, რომ დაიფაროს უმოქმედობით დანაშაულის ჩამდენთა წრით (52,461). ასეთი დანაშაულის გარემოებები იქნებოდა ვალდებულებითი დანაშაული, თუ იგი სასჯელს გაითვალისწინებდა არა ყველასათვის, არამედ სპეციალური მოვალეობით აღჭურვილ ცალკეულ პირთა წრისათვის, მაგრამ ამავდროულად ის ვერ იქნებოდა გარანტის მიერ ჩადენილი დანაშაული, რადგან მხოლოდ გარანტს არ შეუძლია მისი განხორციელება, როგორც ვლინდება, ამგვარი ტიპის ვალდებულებითი დანაშაულები მნიშვნელოვნად მცირეა, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს სულ ცოტა ერთ მაგალითს: სსკ-ის. 377² მუხლი „მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით

დაკისრებული იმ მოქმედების შეუსრულებლობა, რომლის შესრულება მხოლოდ მას შეუძლია“. მოცემულ ნორმაში საქმე გვაქვს ვალდებულებით დანაშაულთან. აქ ყველა პირი არ მოიაზრება დამნაშავეთ, რომელიც მასზედ დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს, აქ დამნაშავე პირი შესაძლოა იყოს ის მოვალე, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს კონკრეტული მოქმედების შესრულება.

არსებობს კიდევ ერთი სფერო, რომელშიც ვალდებულებითი დანაშაულის ცნება არ იფარება გარანტიის დანაშაულის ცნებით. ამის თვალსაჩინოდ წარმოდგენა შესაძლებელია კანონის ერთი საინტერესო მაგალითით: სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი დასჯით ემუქრება პირს, რომელიც დაუხმარებლად მიატოვებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირს, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა ზომები მიეღო თავის დასაცავად, თუკი მიმტოვებელს ევალეობდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება (214,60). მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ვალდებულებით დანაშაულთან. უმწეო პირის განსაცდელში მიტოვება იმ პირის მიერ, რომელიც ამ პიროვნებაზე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ატარებს. მაგრამ სახეზე გვაქვს გარანტიის მიერ ჩადენილი დანაშაული? გარანტიის მიერ ჩადენილ დანაშაულს ჩვენ ვუწოდებთ უმწეო პირის მიტოვებას მხოლოდ მაშინ, თუკი ინკრინინირებული შედეგის, კერძოდ იმის, რომ დახმარების საჭიროების მქონე პირი დარჩეს დახმარების გარეშე. ნებისმიერი შედეგის დადგომა და მისი თავიდან არ არიდება დაცვის ვალდებულების მქონე პირისათვის დანაშაულის გარემოებებს შექმნიდა. აღნიშნული შეხედულება ფართოდ არის გაზიარებული. შრიოდერი უშვებს, რომ საკმარისი იქნებოდა, თუკი „დამნაშავე მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის არაფერს გააკეთებდა, თუკი ის უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა...თუ მაგ. მედდა არ ზრუნავს ავადმყოფზე, მაშინ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ის ოთახს დატოვებს თუ ოთახში დარჩება და დახმარებას არ აღმოუჩენს“ (16,221). იგივე მოსაზრებას იზიარებენ: ბლაი და მაურახიც (42,592).

დანაშაულის შემადგენლობაში დამნაშავის განსაკუთრებული ნიშნების შეტანა ჩვენ არ აგვარიდებს იმ ტვირთს, რომ გამოვიკვლიოთ დანაშაულის შემადგენლობის შესაძლო განსაკუთრებული მხარეები. კანონმდებელს შეუძლია სასჯელი შეზღუდოს ქმედების ჩადენის სპეციალური სახეებით, და ეს არაფერს არ ცვლის ვალდებულებითი დანაშაულის შემადგენლობის ხასიათის თვალსაზრისით. განვიხილოთ კიდევ ორი მაგალითი, რომელიც გერმანელმა კრიმინალისტმა როქსინმა მოიყვანა. ის ვალდებულებითი დანაშაულის რიცხვს ასევე მიაკუთვნებს მძღოლის მიმალვას, თუმცა მხოლოდ ამით ვერ მივიღებთ გადაწყვეტილებას უმოქმედობით დანაშაულთან

დაკავშირებით. პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად ვდგებით ამ პრობლემის წინაშე (52,385) . ამგვარად უნდა დავადგინოთ შემდეგი: არსებობს ვალდებულებითი დანაშაულები მათი ჩადენის სპეციფიკური წესით. იმ შემთხვევაში, თუკი ერთ- ერთი ეს კატეგორია სახეზე არ გვაქვს, მაშინ ეს არ იქნება გარანტიის დანაშაული, ე.ი უმოქმედობის პრობლემატიკა არ ქრება კანონის დადგენილების შედეგად, დამნაშავის შემთხვევაში შედეგის თავიდან არ არიდების ყოველი შესაძლებლობა განხილული უნდა იქნას დანაშაულის შემადგენლობაში. იმ შემთხვევაში, თუკი გარანტიის შესახებ მოძღვრება მოცემულ შემთხვევაში არ დაკარგავს გამოყენების სფეროს იმ მიზეზით, რაც ვრცელდებოდა მის დარღვევასა და სამოხელეო დანაშაულის უმეტესობაზე, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის სხვა მიზეზის გამო ვერ იქნება გამოყენებული (13,595). დღეისათვის დიდი დისკუსიის საგანს წარმოადგენს იმის შესაძლებლობა, რომ უმოქმედობის დანაშაულების ჩადენაზე დანაშაულის სპეციალიზებული შემადგენლობა უნდა ვრცელდებოდეს, თუმცა ეს არ წარმოადგენს ვალდებულებითი დანაშაულით შემოფარგლულ პრობლემას, ამიტომაც ყოველივე უნდა გავიტანოთ ვალდებულებითი დანაშაულის ფარგლებიდან და მთლიანობაში უნდა განვიხილოთ, რასაც შევეცდებით შემდეგ პარაგრაფებში.

გარკვეულწილად სუბსტრაქციის პროცესში წარმოიქმნება მისი ლეგიტიმური გამოყენების სფერო. ის მოქმედებს, როდესაც გამოსაკვლევი დანაშაულის გარემოება აქტიურ ქმედებას აღწერს, თუმცა მისი განხორციელება ასევე უმოქმედობითაც არის შესაძლებელი. კანონმდებლობის მიერ არ არის შეზღუდული გარანტიით (არ წარმოადგენს გარანტიის მიერ ჩადენილ დანაშაულს), და მისი ჩადენის ტიპთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე სპეციალური მოთხოვნები (ე.ი სახეზე არ გვაქვს მოქმედებასთან დაკავშირებული დანაშაული) (13,599).

ვფიქრობთ, ჩვენს მიერ აღწერილმა ფაქტებმა, მართალია დაამტკიცა, რომ უმოქმედობის დანაშაული გარანტიის მიცემით განისაზღვრება. თუმცა პროტესტი შესაძლებელია სხვა მხრიდან მოდიოდეს და სხვა მიმართულებას ისახავდეს მიზნად. შეიძლება დაისვას შეკითხვა, თუ რატომ არ ვრცელდება ზიანის მიმყენებელ დანაშაულებზე იგივე? მათ შემთხვევაში არ არსებობს შედეგობრივი უმოქმედობის ფენომენი და, თუკი ასეა, უმოქმედობის დანაშაულის ამსრულებლობა ამგვარი უმოქმედობის შემთხვევებით უნდა შემოიფარგლებოდეს? ჩვენ დავინახავთ, რომ აღნიშნული შეკითხვა სინამდვილეში კვლევის ძალზედ მარგინალიზებულ სფეროს შეეხება. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ამ სფეროში შესვლას არ ვაპირებთ. ამ თვალსაზრისით გაცილებით დიდი მნიშვნელობა

ენიჭება იმ თეორიასთან დაკავშირებულ კამათს, რომელიც ჩვენს მიერ არჩეულ ქცევასთან დაკავშირებულ დანაშაულების გზას თანმიმდევრულად მიჰყვება და ამგვარად გარანტის თეორიის სრულიად ჩამოშორებას ცდილობს.

4.1.5 ჰელმუტ მაიერის თეორია

ჰელმუტ მაიერი - რომლის წამოყენებულ თეორიასაც შევხებით მოცემულ ნაშრომში, ისე როგორც არავინ, სრულად პასუხობს ქცევასთან დაკავშირებულ დანაშაულებს. ის მათ უწოდებს „დანაშაულებს კონკრეტულად აღწერილი საქმიანობებით“ (Verbrechen mit bestimmt beschrieben Tätigkeit) (40,153) და მათ შესახებ გვამცნობს შემდეგს: მათ შემთხვევაში „თითქოსდა უმოქმედობა მოქმედების აღწერით ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არის მოცემული“ (40,152).

მაიერის ხედვით მას შეეძლო ამ მიგნებების განზოგადება, რადგან: „დანაშაულის სურათის შესაბამის შემთხვევაშიც კი არ წყდება შერეული უმოქმედობის პრობლემა ტელეოლოგიურად გაგებული სასიცოცხლო ენის გამოყენების მეშვეობით, სირთულეების გარეშე“ (40,152). ზემოაღნიშნული გარემოება სრულად არის დასაბუთებული სხვა ადგილასაც: „ფიზიკური უმოქმედობა... სამართლებრივი თვალსაზრისით გაგებული უნდა იქნას, როგორც ნამდვილი ქმედება. დანაშაულის ჩადენა, თუკი ამგვარი არანამდვილი უმოქმედობა იგივე ზომით საჭიროებს მართლსაწინააღმდეგო ნებელობით ენერგიას, როგორც პოზიტიური ქმედებები. აქედან გამომდინარე, ბავშვის დედა, რომელიც შვილს საკვებზე და მოვლაზე უარის თქმით მოკლავს, როგორც მინიმუმ იგივე ენერგიას ხარჯავს, რასაც იგი მაგალითად ბავშვის დახრჩობისას დახარჯავდა. წმინდა უმოქმედობა, სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, არა თუ უთანაბრდება, არამედ უფრო მეტიც, სამართლებრივი თვალსაზრისით ის რეალურ ქმედებას წარმოადგენს, ამიტომ იქნა სამართლებრივ ენაში იმთავითვე შემოტანილი ასეთი შერეული უმოქმედობები დანაშაულის შემადგენლობის აღწერისას... რამდენად ერთიანდება ამგვარი უმოქმედობები იმ წარმოსახვით სურათში, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის აღწერით გამოისახება, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ენის ბუნებრივი გამოყენება“ (40,75).

პროტესტი, რომელსაც ზემოაღნიშნული აზრთა მსვლელობა იწვევს, გამოთქმულია მაიერის მიერ, რომ: „შესაძლებელია დედა, რომელიც საკვების არ მიცემით შვილს კლავს,

ან ექიმი, რომელიც ოპერაციის კეთებას წყვეტს, იმგვარად იყვნენ გამოზრდმედილნი, რომ მათ ყველა ადამიანში ბუნებრივად წარმოქმნილი დახმარების ნებელობითი იმპულსის ჩახშობა არც კი სჭირდებოდათ“. მაიერის მსჯელობის შესაბამისად ასეთი დამოკიდებულება უნდა შეფასდეს, როგორც „საყოველთაო ნების წინააღმდეგ აქტიური გალაშქრება“ (40,113).

მაიერის თეორია ძირითადად შეეხება პრობლემებს, კერძოდ კი უმოქმედობის დოგმატიკის ფუნდამენტურ კითხვას: ერთიანდება თუ არა ერთი საერთო ცნების ქვეშ მოქმედება და უმოქმედობა, და დაიყვანება თუ არა ისინი ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობაზე? აღნიშნული საკითხი მოცემულ შემთხვევაში ჯერ კიდევ არ განიხილება. უფრო მეტიც, ჩვენ გვინდა, რომ ჰელმუტ მაიერის გადაუმოწმებელი დოგმატური პოზიციიდან ჩვენი პროტესტი გამოვთქვათ, რასაც ის შემდეგი სიტყვებით ასაბუთებს: „თუ სინამდვილეში ისე იქნებოდა (რომ დანაშაულის ჩადენის გარემოებები მხოლოდ პოზიტიურ მიზეზ-შედეგობრივ ქმედებად აღინიშნებოდა), მაშინ კონსტიტუციით განსაზღვრული ანალოგიის აკრძალვა იმთავითვე გააჩენდა შესაძლებლობას, რომ დასჯილი ყოფილიყო შერეული უმოქმედობა, რადგანაც არ არის საჭირო სერიოზული დავა იმაზე, რომ შერეული უმოქმედობის დასჯადობა ყველა შემთხვევაში უნდა დაეფუძნოს ცალკეული სასჯელის ვერბალურ განსაზღვრებას, ან ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას“ (40,76).

კრიტიკა

აღნიშნული წინადადებები, როგორც ამას მოგვიანებით დავინახავთ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მართებულია, თუმცა სადავოა ის, რომ ისინი ამართლებს ჰელმუტ მაიერის „ზუსტი ტექსტის თეორიას“ (Wortlauttheorie).

თეორია მცდარია ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. პირველად მაიერი გვაწვდის „ენის ბუნებრივი გამოყენების“ ცნებას. ამით მაიერს სამართლიანად მიაჩნია, რომ დედა, რომელიც შვილის, ქირურგი რომელიც პაციენტის, სიკვდილს აყენებს, და მეისრე, რომელიც მატარებლის უბედურ შემთხვევას თავიდან არ აიცილებს, ყველა შემთხვევაში უნდა დაისაჯონ, როგორც უმოქმედობით დანაშაულის ჩამდენნი. მათი უმოქმედობა, მიუხედავად იმისა, მათ საკუთარ თავში წარმოშვეს თუ არა გადარჩენის იმპულსები, „შეფასებული უნდა იქნას, როგორც საყოველთაო

ნების წინააღმდეგ გალაშქრება“ (40,113).

2. ის, რასაც აღნიშნულის საპირისპიროდ გარანტიის თეორია ამტკიცებს, სინამდვილეში მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. ისიც არ მოითხოვს იმგვარი უმოქმედობის დასჯას, რომელიც კანონში მოცემული დანაშაულის შემადგენლობის სიტყვის შესაძლო მნიშვნელობის მიღმა არის მოცემული, და ის ეთანხმება რა გარანტიის დაყენებას, უმოქმედობას „აფასებს“, როგორც ნორმის წინააღმდეგ „აქტიურ გალაშქრებას“, თუმცა ჰ. მაიერისგან განსხვავებით ის შესაძლებლად არ მიიჩნევს, რომ კანონის რედაქციიდან გარანტიის პოზიციების განსაზღვრისა და შემოფარგვლისათვის მნიშვნელოვანი დასკვნები უნდა გაკეთდეს, და ამაში ის მართალია. ისეთი ცნება, როგორცაა მაგალითად „სიკვდილი“, რომელიც დანაშაულის ჩადენის განსაკუთრებულ მოდალობას არ მოიაზრებს კანონუპირატეს-სოციალურ სივრცეშია, კერძოდ „ცხოვრებისეული ენის გამოყენების“ სფეროში, ამავედროულად ძალზე არა მკაფიოდ კონსტრუირებულია, რომ კანონის ინტერპრეტატორი მას ვერ დაეყრდნობა. რა თქმა უნდა, პოზიტიურად შეიძლება ითქვას რომ ადამიანი, რომელიც დამოუკიდებლად და საკუთარი ხელით სხვას კლავს, ყველა თვალსაზრისით და მათ შორის კანონის თვალსაზრისით „მკვლელობის ჩამდენები უნდა“ იყვნენ (40,152).

„კანონი შექმნილია არა ხელოვნური ენით, არამედ იმ საერთო ენით, რომლის გაგებაც ენობრივი სივრცის ფარგლებში ყველას შეუძლია. სწორედ ამის გამო ყველა ორიენტაციას იღებს კანონებზე, შეუძლია მათგან ინფორმაციის მიღება“ (33,301). ამიტომაც სამართლებრივი ცნების „ძირი“ უნდა ცხადყოფდეს ენის ზოგად გამოყენებას.

ამ შემთხვევაში სიტყვის აზრის გაგება მხოლოდ და მხოლოდ ინტერპრეტაციის ზღვარზე გადის, იქ სადაც სამართლის განვითარება იწყება და რაც სისხლის სამართალში მხოლოდ შეზღუდულად არის შესაძლებელი. მკვლელობის ცნებას ყოველდღიური ენის გამოყენებისას შემოფარგლავს უმოქმედო პირის უუნარობა, გადაარჩინოს სიცოცხლე.

დახმარება, რომელსაც კანონი ურთიერთობის ენის გამოყენებაზე ხანგრძლივობას უწევს, ქცევასთან დაკავშირებული დანაშაულობებისგან განსხვავებით ძალზე მწირია. ენის წინარე სამეცნიერო გამოყენება ცხადყოფს, თუ რას უნდა მოიცავდეს სამართლებრივი ცნება და რას არ უნდა მოიცავდეს ის არავითარ შემთხვევაში, თუმცა პრობლემები მთლიანად განთავსებულია შიდაწრის გარეთ და გარეთა წრის შიგნით. იმ „სახელმძღვანელო პრინციპის“ ქმედითობა, რომელსაც ჰ. მაიერი გვთავაზობს, იქ

წყდება, სადაც ის საერთოდ ყველაზე მეტად არის საჭირო (40,153). ამიტომაც არ არსებობს არანაირი მეთოდური გზა გარდა გარანტის თეორიისა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა უმოქმედობით დანაშაულის ამსრულებლის ცნება იქ შემოიფარგლოს და განისაზღვროს, სადაც მის მიმართ ეჭვი ჩნდება. როქსინის თანახმად „ყველა ეს იმ სამართლებრივი ცნების შემთხვევაშიც ასეა, რომლებიც გამოყენებისათვის ვარგისი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კანონიერ, სამოსამართლეო და სამეცნიერო ცნებათა წარმოქმნასთან, რომლებიც არ წარმოადგენენ არა- სამართლებრივ საწყის ფორმების გამოსახულებას, არამედ მეცნიერულად მომართული გონების პროდუქტს და არ ადასტურებენ უშუალო შესაბამისობას არსებულ სოციალურ სტრუქტურის სფეროში“ (52,23).

ასევე არ იქნებოდა მართებული მაიერის მიერ „შემოთავაზებული თეორიის... განსაკუთრებულ ნაწილში ვერიფიცირება“, თუკი კითხვა, როდის აღწევს შედეგს უმოქმედო პირი სამართლებრივი თვალსაზრისით უპასუხოდ დარჩება, მაშინ ვერ გადაიჭრება სისხლის სამართლის მიერ დასმული პრობლემა, როდის უნდა იქნას შეფასებული უმოქმედობა სიკვდილის განმაპირობებელ მიზეზად. უმწეობა, რომელიც სუფევს აბსტრაქციის მაღალ დონეზე, დაბალ დონეზე თავისთავად უკან ბრუნდება. ამას ცხადყოფს მაიერის პირადი მოსაზრებები. ამგვარად ის ქმნის შემთხვევას, როდესაც ბებია შვილიშვილს განზრახ სიცივით კლავს. მიუხედავად იმისა, რომ აქ საქმე ეხება მკვლელობას, მაშასადამე სპეციალური ნაწილის საკითხს, მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მთავარი ზოგადი პასუხის გაცემა, რომელიც სამართლებრივ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. მნიშვნელოვანია ის, მოიმოქმედა თუ არა ბებია რაიმე „რასაც მის ადგილას ნებისმიერი სხვა გააკეთებდა“ და მან გასწია თუ არა დახმარება იქ „სადაც დახმარების აღმოჩენის ბუნებრივი მოლოდინი არსებობდა და ამის გაკეთება სირთულეს არ წარმოადგენდა“ (40. 80-153).

სინამდვილეში ჰ. მაიერი მიუთითებს არანამდვილ (შერეულ) უმოქმედობის დანაშაულის პრობლემაზე არა განსაკუთრებულ ნაწილში, არამედ იმ მოსამართლის შეფასებით მიდგომაში, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კონკრეტულ შემთხვევაში. „ის, რომ გარანტის თეორიის მეშვეობით ვერ მოხერხდება დანაშაულის შემედგენლობების კონკრეტული აღწერა, მ.შ დანაშაულის შემადგენლობების კანონიერი პოსტულატის დაკმაყოფილება“, ეს როგორც ამას სრული სიცხადით ვხედავთ, წარმოადგენს პრეტენზიას, რომელიც სრულიად სამართლიანადარის მიმართული ჰ. მაიერის მოძღვრების წინააღმდეგ (40,85). რადგან ის ყველაფერს სამართლის გამომყენებლის

შეხედულებისამებ გადასაწყვეტად ტოვებს და უარს ეუბნება მას დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტიზაციაზე და დაზუსტებაზე, რასაც სამართლის მომხმარებელი სრულიად სამართლიანად მეცნიერებისაგან მოელის. ჰ. მაიერის დოგმატიკა წყდება იქ, სადაც იწყება ის ამოცანა, რომელიც დგას მეცნიერების წინაშე. რუდოლფი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ „საჭიროა სწორედ ცარიელი კაზუსტიკიდან გასვლა... ადამიანური უმოქმედობის სოციალური გამოვლინების უამრავი ფორმიდან მიმართულების მომცემი ღირებული შეხედულებების ჩამოყალიბება, და ასევე კანონიდან გამომდინარე შეფასებების იმგვარად კონკრეტიზირება, რომ ერთის მხრივ რეგულირების მატერიაში არსებული განსხვავებები ცნებაში გაერთიანდეს, მეორეს მხრივ კი შევეცადოთ შემთხვევათა ჯგუფებისა და გადამოწმებადი ძირითადი საორიენტაციო დებულებების შექმნას“ (53,71).

ჰ. მაიერის მეორე მცდარი პოზიცია არის მისი „ერთნაირი ღირებულების დანაშაულებრივი ნებელობითი ენერგიის „ფორმულა, რომლის მეშვეობითაც მას სურს ბუნებრივი ვერბალიზაციის დამატებითი დაზუსტების შესაძლებლობის მიღება. ბუნებრივია ამ შემთხვევაში ვერ შევჩერდებით მხოლოდ და მხოლოდ საქმის რეალურ ფიზიკურ არსზე (40,91). უფრო მეტიც, ყოველივე შემდეგნაირად უნდა გამოიყურებოდეს : ზიანის მიმყენებელი დანაშაულის ჩამდენი უმოქმედოქნება, თუკი ის „თავის ნებას თრგუნავს იმისათვის, რომ მოქმედება არ განახორციელოს“, ან თუკი „ყველა ნორმალურ, მის ადგილას მყოფ ადამიანს საკუთარი ნება უნდა დაეთრგუნა იმისათვის, რომ მოქმედება არ განხორციელდინა“, მაგრამ არის ეს განხორციელებადი ? სრულიად რაციონალურად ჰ. მაიერი აკეთებს შედარებას ყველაზე უმნიშვნელო ნების ენერგიასთან, რომელიც საკმარისი იქნებოდა აქტიური ქმედებისათვის (40,125). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გამვლელს, რომელიც გზად შეეჩეხება სისხლიან ადამიანს, იმაზე მეტად უჭირს საკუთარი სპონტანური დახმარების იმპულსის ჩახშობა, ვიდრე პროფესიონალ დამნაშავეს და საჭირო არ არის ზოგადად აღვნიშნოთ, რომ კეთილსინდისიერად ადამიანს უფრო მეტი ნებელობითი ენერგიის დახარჯვა სჭირდება იმისათვის, რომ არაფერი გააკეთოს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის, ვიდრე ადამიანის სახის მქონე ცხოველს, რომელსაც ამისათვის არანაირი სულიერი დაბრკოლებების გადალახვა არ სჭირდება. ამგვარად ფორმულას, რომელიც მაიერის შეხედულების თანახმად, სასჯელის შემზღუდავი ზემოქმედება უნდა ჰქონდეს, უკიდევანოდ აფართოვებს სასჯელს, თუკი მას თანმიმდევრულად გამოვიყენებთ(40,145). თუმცა შესაძლებელია, ასევე იმგვარად გავიგოთ მაიერის თეორია, რომ მას მხოლოდ

შესაბამისი შედარება სურს. კონკრეტულ შემთხვევაში, კი დაისმებოდა შეკითხვა. თუმცა ამოსავალი თეზე ეჭვის ქვეშ დგება არა მხოლოდ მისი შედეგების გამო. ის თავად ეყრდნობა ცალსახა ლოგიკურ შეცდომას. რადგანაც მოქმედებასა და უმოქმედობას შორის კონტრადიქტორული დაპირისპირება მხოლოდ იმ წინაპირობის არსებობისას წარმოიქმნება, რომ ხდება ქმედების (A) შედარება ამ, იგივე ქმედების არ განხორციელებასთან (Non-A). უმოქმედობა, რომელიც ამგვარად ექცევა მხედველობის არეში, აუცილებლად წარმოადგენს იმგვარ უმოქმედობებს, რომლებიც საინტერესო არ არის (40,23).

იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე აქტიურ ქმედებას სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია, ამით ამავედროულად დგინდება ის, რომ აღნიშნული ქმედების არ შესრულება სისხლისსამართლებრივი ასპექტით არ იქნებოდა მნიშვნელოვანი. უმოქმედობა, რომლის მიერთებასაც თავისი ცნებების სისტემაში სისხლის სამართლის მეცნიერება ცდილობს, ყოველთვის წარმოადგენდა იმ ქმედებების შეუსრულებლობას, რომლებიც დანაშაულის აქტიურ განხორციელებას გარკვეულწილად შეაფერხებდა (40,132). მოკლედ და კონკრეტულად, რომ ვთქვათ : A- Non-A არგუმენტი შეესაბამება ისეთ ანტაგონიზმს, როგორცაა მოკვლა-არ მოკვლა. რადგანაც ცნებათა წყვილი მოკვლა-არ მოკვლა არ არსებობს. ამ უკანასკნელისათვის, რაც ჩვენი ერთადერთი ინტერესის საგანს წარმოადგენს, შეიძლება დადასტურდეს ერთიანი ცნების არ არსებობა. ამ მხრივ რადბრუხის „აღმოჩენას“ მეცნიერული მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია. დამაჯერებლობა მან შეიძინა ცნებათა მარტივი აღრევის შედეგად.

4.1.6 ყოფიერების აღწერილობითი აღქმა არტურ კაუფმანთან და კლაუს როქსინთან (Die “beschreibende Wesenserfassung” bei Arthur Kaufmann und C. Roxin)

კონტრადიქტორულ თეორიასა და განსახილველ თეორიებს შორის ზომიერი პოზიცია უჭირავთ არტურ კაუფმანსა და კლაუს როქსინს. ისინი თავდაპირველად იზიარებენ რადბრუხისა და მისი მიმდევრების მოსაზრებას. რაც შეეხება საწყის პუნქტს, რადბრუხის აღმოჩენა ვერ იქნება დადასტურებული-მიაჩნია როქსინს და ასევე არტურ კაუფმანიც „ლოგიკურად შეუძლებლად“ თვლის იმას, რომ ქმედება და უმოქმედობა, რომელიც უნდა ავხსნათ, როგორც A და Non-A

„სიტყვის ქცევი“-ს ქვეშ გაერთიანდეს (51,288). მაგრამ ორივე აქედან ასკვნის არა ცნების კავშირზე უარის თქმის აუცილებლობაზე, არამედ ისინი გაუვალ გზად მიიჩნევენ

„განმარტებადი ცნების“ აბსტრაქციას. ამრიგად როქსინი გვასწავლის, რომ მისი განხილვის შუქზე „მოქმედების დეფინიციის აქამდე შრომატევადი ძიების ფონზე მეთოდურად თეორიაშივე არ იქნა დადასტურებული“.

„შესაძლებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სხვადასხვა ქცევის ტიპების გამოსახვა, რომელთაც საერთო მხოლოდ ის შეიძლება ჰქონდეთ, რომ ისინი პიროვნებას შეიძლება დაუკავშირდეს“, ეს შესაძლებლობას მოგვცემდა, „პიროვნების ქცევის აბსტრაქტული აღნიშვნისათვის“, რასაც მხოლოდ „ნორმატიული სახელმძღვანელო პრინციპის მნიშვნელობა მიენიჭებოდა“ (40,87).

იგივე მოსაზრებებს გამოთქვამს არტ. კაუფმანიც : „იმთავითვე ეკლიან გზაზე ვიყენებთ თავს, როდესაც მოქმედების მკაცრად დეფინირებულ (იზოლირებადი ნიშნებით შემოსაზღვრულ) სახეობის ცნებას ვქმნით. განხილვას საჭიროებს მხოლოდ საგნის მოკრძალებული (აღწერილობითი) განმარტება, მოქმედების არსის ფენომენოლოგია, ე.ი მისეული თვისებების ჩამოთვლა საბოლოო დეფინიციაზე უარის თქმით“. ამ ფონზე დანახული უნდა იქნას კაუფმანის „პერსონალური ქმედების ცნება : ადამიანური ქცევა წარმოადგენს ნებას დაქვემდებარებულ (აქედან გამომდინარე მოქმედი პირის კუთვნილ) კაუზალურ შედეგებს (ფართო გაგებით), სინამდვილის პასუხისმგებლურ გონივრულ ფორმირებას“ (31,116).

ასეთი ფორმალური არსის აღწერის მიმართებით საგნობრივი ეჭვის გამოთქმა შეცდომაში შეყვანა იქნებოდა. როგორც ჩანს, არც ერთ ავტორს არ სურს დავა, რომ მათი შემოთავაზებები საკითხის გარკვეულ ექსტრემალურ გადაწყვეტას წარმოადგენენ, რამაც თავის მხრივ სწრაფადვე გვერდზე უნდა გადაინაცვლოს, როგორც კი მოძიებული იქნება დეფინირებადი, მკაფიო სუბსუმციისათვის გამოსადეგი ქმედების ცნება და ჩვენ გვეძლევა ამ იმედის არსებობის საფუძველი, რადგან შეუსაბამო აღმოჩნდა, როგორც მინიმუმ ერთი მიმართება (A-Non-A მოსაზრება), რომელსაც თავის მხრივ ეყრდნობა ორივე თეორია (40,148).

თუ გამოვალთ მსჯელობიდან, რომ რადბრუხის თვალსაზრისით, ქმედება და უმოქმედობა რეალურად ასეთ მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც პოზიცია და ნეგაცია, მაშინ აბსოლიტურად უპერსპექტივო ხდება მოქმედების ზოგადი დეფინიციის ძიება, მაგრამ ძალზედ გონივრულია ფორმულის შედგენა, რომელიც როგორც ნორმატიული სახელმძღვანელო ხაზი, ყველა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების სახეს შემოფარგლავდა? თუ მეტი სიზუსტით დავაკვირდებით, როქსინი და არტურ კაუფმანიც

თავის მხრივ ამბობენ, რომ როგორც აქტიურ ქმედებას, ასევე გარანტის უმოქმედობას ერთიანი ზოგადი დასახელება, კერძოდ, „პირადი ქცევის“ ან სინამდვილის პასუხისმგებლურ-გონივრული ფორმების“ სახელწოდება უნდა მივანიჭოთ. არსებულ ვითარებაში, ჩემთვის არ არის ნათელი, აბსტრაქციის კლასამდე აყვანის აზრის ამოკითხვა, ყოველ შემთხვევაში იმგვარი მკაფიო აზრის ამოკითხვა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამოუხსნელი კონტრადიქციის არსის მოცვა (31,117).

ამრიგად, იმ შემთხვევაში თუ გ. რადბრუხის მოსაზრებებს მართებულად მივიჩნევთ, რთულია სირთულეებს უზუსტობაში გაქცევით დავაღწიოთ თავი. მოცემული ფორმულაც კი, თუკი ის ყველაფერს საკუთარ თავში გააერთიანებს, მაინც რჩება ზოგად ცნებად, რომელიც ერთმანეთთან შეუთავსებელ ცნებებს რეალობაში ვერ გააერთიანებს.

B. მაიჰოფერის სოციალური ქცევის ცნება

მაიჰოფერის თეორია არსებითად ვითარდება სხვა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი მოქმედების ცნების კრიტიკული ანალიზიდან (41, 156- 157).

მაიჰოფერი როგორც „ბუნებრივ“ (მიზეზ-შედეგობრივ), ისე ფინალურ და მისგან წარმოშობილ მოქმედების ცნებაში აღმოაჩენს „ნატურალისტური მიდგომის ნარჩენებს“ : მიზეზ-შედეგობრივი ქმედების ცნებაში „მატერიალურობისა და ნებელობის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ნიშნებს“. ამავდროულად სინამდვილეში მატერიალურობას მოკლებულია უმოქმედობის დანაშაულები, როგორც მინიმუმ წმინდა უმოქმედობის დანაშაულები, რადგანაც ყველა ამ შემთხვევაში ცალსახად ვერ იქნება უარყოფილი მოქმედების არსებობა სისხლის სამართლის თვალსაზრისით. რჩება მხოლოდ ის გამოსავალი, რომ მატერიალურობისა და ნებელობის ელემენტები გამოვრიცხოთ მოქმედების ცნებიდან (41,160).

აზრთა ამგვარმა მსვლელობამ მაიჰოფერი თავდაპირველად მოქმედების ძალზე სუსტ დეფინიციამდე მიიყვანა : „მოქმედება სოციალური სიკეთის დარღვევისკენ მიმართული ქცევაა“. ამ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით შეკითხვას, რომელიც დასვა ლანგ-ჰინრიხსენმა, კერძოდ „გააჩნია თუ არა ამგვარ ფერმკრთალ მოქმედების ცნებას მეცნიერული არსებობის უნარი?“ შეკითხვის დამსმელი თავად სცემს პასუხს თავისსავე კითხვას, „განზოგადების გარკვეული ხარისხიდან ცნებები თავიანთ ღირებულებას კარგავენ და უერთდებიან ნომინალიზმს“(41,159). აღნიშნული პროტესტი იმდენად გამართლებულია, რამდენადაც ახლო დაკვირვებით. ერთადერთ შედარებით უფრო

კონკრეტულ ელემენტს, რომელიც შეიცავს სოციალური სიკეთეების დაზიანებისკენ მიმართვის დეფინიციას, უარყოფილი უნდა იქნას, როგორც შეუსაბამო დეფინიცია. ასე მაგ. სხვისი სახლის საღებავით შეღებვა, ნივთის დაზიანების გამო დასჯადია. ეს განხილული უნდა იქნას სისხლისსამართლის ქმედებად მაშინაც კი, როდესაც მეპატრონე თანახმაა, თუმცა მღებავის შესახებ ვერ ვიტყვით, რომ ისინი მიზნად ისახავენ სოციალური სიკეთეების დაზიანებას. ამიტომ მაიჰოფერი სწორად მოიქცა, როდესაც მისი თეორია რევიზიას დაუქვემდებარა. მისი მოქმედების ცნება ერთდროულად ფრთხილად და შინაარსიანად გამოიყურება: მოქმედება სისხლის სამართლის თვალსაზრისით არის „ობიექტურად ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც მიმართულია სხვებისთვის ობიექტურად განჭვრეტადი შედეგების დადგომისკენ“. მიუხედავად ამისა ეხლა შესაძლებელია დაისვას შეკითხვა, მოცემული ნიშნებიდან რომელი შეიძლება აღმოჩნდეს ზედმეტი, იმ შემთხვევაში თუ მათ კრიტიკული პოზიციიდან გავაანალიზებთ (41,110).

პირველ რიგში, განუხორციელებადი უნდა იყოს შეზღუდვა „სხვებისათვის სოციალური შედეგების დადგომის“ ნიშნით, რომლებიც მიმართულია სხვებისათვის სოციალური შედეგების მიყენებისკენ, და მაინც, საქმე გვაქვს სისხლის სამართლებრივ ქმედებებთან (41,160). ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა იწვევს სისხლისსამართლებრივ შედეგებს, ან გააჩნია მინიმუმ სოციალური მნიშვნელობა, თუმცა მოცემულ კონტექსტში არ თავსდება. არსებობს ასევე შესაძლებლობა, რომ სისხლისსამართლებრივი შედეგების მქონე მოქმედებები, სოციალურად სრულიად არა რელევანტურია, რადგანაც იურისტ-კრიმინალისტის სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია გამოიხატოს დიდაქტიკური მიზეზებიდან, როგორც დანაწევრებული და ეტაპობრივი აზროვნების პროცესი. ამიტომ უნდა იქნას მიჩნეული სისხლის-სამართლებრივ ქმედებად ის სამართლებრივად გამართული ქმედება, რომელიც ამავდროულად დანაშაულის შემადგენლობას (ძირითად სურათს) მთლიანად ან ნაწილობრივ ავსებს, სხვა შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის ასპექტიდან გამომდინარე შეუძლებელი იქნებოდა მასთან პირველი შეფასების დაკავშირება (41,171).

ასევე შეზღუდული მიდგომაა მაიჰოფერთან, როდესაც ის მოითხოვს, რომ ქმედება მიმართული უნდა იყოს „ობიექტურად განჭვრეტად“ თანმიმდევრობაზე. განჭვრეტადობის არ არსებობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ის ასახელებს ცრუ რწმენის ცდას (41,181). თუმცა უსარგებლო ცდიდან გადასვლის გამო, არ არის გონივრული, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოხდეს მოქმედების ხასიათში გაერთიანება.

გარდა ამისა, მოცემული გარემოება არ არის მიზანშეწონილი იმის გამოც, რომ შეუძლებელია კონკრეტული შედეგებისაკენ სწრაფვა და იმ შედეგების მიზნად დასახვა, რომელთა განჭვრეტაც ფაქტობრივად შეუძლებელია. მაგალითისთვის, როდესაც ცრუმორწმუნე პიროვნება თვითმფრინავის ჩამოვარდნაზე ოცნებობს და ამის შემდეგ იგი თვითმფრინავში საკუთარი სურვილით ჩაჯდება.

ერთი ცალკე აღებული გარემოება ბუნებრივია ვერ შეცვლის იმას, რომ თვითმფრინავი რეალობაში ჩამოვარდა. მაიჰოფერის მსჯელობის თანახმად, პირის გათავისუფლება იმ გარემოების გამო, რომ მას მოქმედება არ შეუძლებელია, წარმოადგენს მართებულ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველია მცდარი მოსაზრება. მეტად მართებული იქნებოდა დასაშვები რისკის მოხმობა (41,163-168).

მაიჰოფერის მსჯელობის შესაბამისად, ყველა შემთხვევაშია შესაძლებელი ქცევა დახასიათებული იქნას, როგორც „შედეგისკენ მიმართული“. მაგრამ ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ცარიელ ფორმულას (უმჯობესია მისი თავიდანვე უარყოფა), რადგან შერეული უმოქმედობის დელიქტების შემთხვევაში „შედეგი“ უნდა გვესმოდეს, როგორც მდგომარეობის გარეშე განგრძობადობა (41,160).

ენგიშის კვლადაკვალ მაიჰოფერს სურს მოქმედების ცნების „დამნაშავეს პიროვნების სუბიექტური შეზღუდვისაგან“ გათავისუფლება. მას მიაჩნია, რომ საზღვრები ადამიანურ „ქმედებასა“ და „უმოქმედობას“ შორის სისხლისამართლებრივი თვალსაზრისით იმაში არ შეიძლება მდგომარეობდეს რისი განჭვრეტა და ფლობა შეუძლია კონკრეტულ ადამიანს : რათა მან შეძლოს „გაკეთება“ (ჩადენა). უფრო მეტიც, ის იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს „რისი განხორციელება და რისი განუხორციელებლობა შეუძლიათ საერთოდ ადამიანებს“. გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია „ადამიანისათვის შესაძლებელის მასშტაბს“. ამის შედეგად შესაძლებელი იქნება იმის თავიდან არიდება, რომ „ნებისმიერი მოვლენის მოქმედებად ჩათვლისათვის ბრალეულობის ან ბრალის არ ქონის რეალური და პერსონალური კუთვნილების მასშტაბების ყოველი გამოყენება, უპირველეს ყოვლისა კი, კონკრეტული დამნაშავეს ქმედების სუბიექტური შესაძლებლობის მოხმობა, განსაზღვრული იქნას მისი პირადი მსოფმხედველობითა და უნარებით“ (41,168).

თუ სწორად შევაფასებთ, მაიჰოფერს მოცემულ შემთხვევაში მას სრულად არ აქვს გაცნობიერებული. კერძოდ მას სურს რეფლექსური მოძრაობები მოქმედების ცნებიდან ზოგადი მოსაზრებით ამოიღოს. მისი პოზიციიდან გამომდინარე კი

ზემოაღნიშნულის მიღწევა შეუძლებელია რადგანაც „ადამიანისათვის შესაძლებელია“ ხდომილებების რეფლექსური მსვლელობების ფლობა. პაციენტი, პატერალური რეფლექსიის გასინჯვისთვის ექიმს ფეხს ადგამს, შემფოთებული, რომელიც ლარნაკს ტეხავს, უმწეო ხანდაზმული, რომელიც ვიტრინის წინ ეცემა, ყოველი მათგანი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად „მოქმედებს“, რადგან ძლიერი ნების ან უგრძნობ ან მოხერხებულ ადამიანს, იდენტურ ვითარებაში, მისი სხეულის ფლობა შეეძლებოდა, ასევე Vis absoluta-ს, რომლის მოქმედების გამომრიცხველი მოქმედება არასოდეს ყოფილა საკამათო, ასეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგანაც ძალადობის მსხვერპლის ადგილას ყოველთვის მოვიაზრებთ შედარებით ძლიერს, რომელის იძულების განმახორციელებელს მარტივად თავიდან მოიშორებდა (41,156).

არანაკლებ საკვირველია უმოქმედობის სფეროს შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ მაიჰოფერი მისი შედეგებისგან სრულიად იზოლირებული არ არის. ხელ-ფეხ შეკრული შვილი, რომელიც უბედური შემთხვევის შემდეგ იძულებულია უყუროს, თუ როგორ იხრჩობა მამამისი- მაიჰოფერის თანახმად ჩადის დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის და ამასთანავე შესაძლოა მართლსაწინააღმდეგო მკვლელობას, რადგანაც ის, რაც ხელ არ ეწიფება შვილს არის ის რომ „შეუძლებელი არ არის“ ბორკილების ახსნა (41,181).

აღნიშნულ შედეგებს ვერ გავითვალისწინებთ. თვით მაიჰოფერსაც ხომ ეს სურდა. ასევე ქცევის დახასიათება ობიექტური, ადამიანურ ძალაში არსებული ზემოქმედების მოხდენით უნდა შეიცვალოს სხვა მახასიათებლებით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაიჰოფერი „ადამიანის ძალაში არსებული“-მახასიათებლის მეშვეობით რაღაც არსებითზე მიუთითებს. მაგრამ მოქმედების ცნებად არ გამოდგება „ზემოქმედების პირობებში გამოხატული ქცევა“. ის ისევე, როგორც ქცევის სხვა ფორმულები, მოძიებულ სიდიდეს მხოლოდ სახელს დაარქმევდა, ისე რომ მას თავად ვერ მოძიებდა (41,151). ქმედებასა და უმოქმედობას შორის უფსკრულის ამოვსება შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ მისი დაფარვა. ეს ფორმულა იმასაც კი ვერ ახსნიდა მკვლელობის კონკრეტულ შემთხვევაში და დანაშაულის შემადგენლობის შემცველი ქმედება, მხოლოდ იმ ადამიანების მიერ, თუ შეიძლება ყოფილიყო ჩადენილი, რომელთაც გარანტის ვალდებულება გააჩნიათ. ბოლოს და ბოლოს ამგვარი ფორმით მოცემული ცნება უსაზღვროდ ფართო იქნებოდა (41,157).

ც. ე.ა. ვოლფის ინდივიდუალური მოქმედების ცნება

ჩვენი ინტერესი ასევე მიმართულია ე. ა. ვოლფის მოქმედების ცნებისკენ. ვინაიდან აღნიშნული ავტორი მის თეორიას იგივე მიმართულებით ავითარებს, როგორც ჩვენ. მისი ნაშრომი, რომლის სახელწოდებაცაა „მოქმედების ცნება დანაშაულის თეორიაში“, უმეტესად ეფუძნება „ქმედებისა და უმოქმედობის მიზეზშედეგობრიობის“ ავტორის ნაშრომს, რომელშიც შერეული უმოქმედობის დანაშაულების შედეგის კუთვნილების პრობლემა, როგორც ასეთი, გაანალიზებულია მიზეზ შედეგობრიობის პრობლემით (63,41).

ვოლფის მოქმედების ცნება წარმოადგენს მცდელობას, რომ გარანტის უმოქმედობა შედეგის თვალსაზრისით მიზეზს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ, და ის აქტიურ ქმედებასთან ერთად უნდა შეუერთდეს მოქმედების საერთო ცნებას (62,17).

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ არსებითად უნდა შემოვიფარგლოთ შედეგით. „მოქმედება“, როგორც გადაწყვეტილების შედეგად განპირობებული რეალობა ვოლფის მიხედვით წარმოადგენს „ცალკეული ღია შესაძლებლობის თავისუფალ გააზრებულ გამოყენებას“ (62,19). აღნიშნული ფორმულა, რომელიც იემუკმა შინაარსობრივად დაადასტურა და მიიღო, ყოველთვის შეესაბამება აქტიურ დანაშაულს, ხოლო უმოქმედობებს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სხვისი მიმართულებით რაიმე მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა „საერთო ნორმას შეესაბამება, რომელსაც სხვაც ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებლობა, რომელთან დაკავშირებითაც ერთი იღებს გადაწყვეტილებას, ასევე სხვათა შესაძლებლობასაც წარმოადგენს“ (63,36). დამაკავშირებელი ნორმა, საერთო მაქსიმა, რომელიც უმოქმედობაზე ზემოქმედების წინაპირობას წარმოადგენს, არ შეიძლება გაგებული იქნას, როგორც რაიმე აბსტრაქტული. უფრო მეტიც, ის დამახასიათებელია ერთი ადამიანის მეორეზე დამოკიდებულებისათვის.

არსებულ ვითარებაში ექვექვემ არ უნდა დადგეს მოსაზრებების ღირებულება და სისწორე, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად უდევს ვოლფის მოქმედების თეორიას. საკმაოდ ვრცლად და განსხვავებული მიდგომით აღწერა ვოლფმა ერთი ადამიანის მეორეზე დამოკიდებულების მიდგომა, რომელიც ცალკეული ადამიანის სოციალურ სიახლოვეს, შერეული უმოქმედობის დანაშაულის აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს (63,17-23). მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქმე კომპრეტულად ამ გარემოებას არ ეხება. მოცემულ შემთხვევაში ყურადსაღებია განმარტებული ცნების ქმედითობა, რომელიც

როგორც დანაშაულის სისტემის უმთავრესი ელემენტი უმოქმედობის გამოვლინებას ახსნის და რომელმაც შეიძლება გაამყაროს დანაშაულის შემადგენლობის შესახებ დაკითხვის პრაქტიკა (62,25). ზემოაღნიშნული შესაძლებლობა შეთანხმებული უნდა იქნას, ასევე ვოლფის „ინდივიდუალური“ მოქმედების ცნებასთან, კერძოდ, ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, ადგილი არა აქვს რადბრუხის „კონტრადიქტორული“ თეზისის გადალახვას. რა თქმა უნდა ცნობილია, რომ არსებობს სიტყვები, რომლებიც კარგად ერგება, როგორც ქმედებებს, ასევე კვალიფიციურ უმოქმედობას და ამასხშირად ვიყენებთ ჩვენს სასარგებლოდ, როდესაც ნომინალურ უმოქმედობის დანაშაულის შემადგენლობას მოქმედების შემადგენლობას ვუქვემდებარებთ, როგორც „უმოქმედობაზე ზემოქმედების მოხდენას“, თუმცა მხოლოდ დასახელებები პრობლემებს ვერ გადაჭრის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვრიცხავთ ვოლფის ჩარევის მეტაფორას. სახეზეა ძირითადი ცნებით-ლოგიკური სირთულეები, რომლებსაც ვერ მართავს უმოქმედობის დოგმატიკა (62,29).

მეორე რიგში, „ინდივიდუალური მოქმედების ცნება“, როგორც ჩანს, ზემდგომ ცნებას წარმოადგენს, როდესაც ვოლფი მას ისეთ ფუნქციას ანიჭებს, რომ უმოქმედობის შიგნით მკვეთრი გამყოფი ხაზი იქნას გავლებული გარანტსა და არაგარანტს შორის (62,23). ასევე არა გარანტებსაც ხელეწიფებათ სხვათა ბედით მანიპულირება და შესაძლებელია ისინი მორალურად და სამართლებრივადაც კი ვალდებული იყვნენ გადაარჩინონ ადამიანები, რომლებიც მათზე არიანდამოკიდებულნი. იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ამას ნებით არ აკეთებენ, მაშინ ისინი ამგვარი გადაწყვეტილებით რეალობის ფორმირებას მოახდენენ და საფრთხის ქვეშ მყოფის მიმართ ნეგატიურ პოზიციას დაიკავებენ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობების თავისუფლად გამოყენების შედეგად (62,35). ის, რომ აღნიშნული ფორმულა, „საერთო მაქსიმასთან“ დაკავშირებული გარანტის მეშვეობით, მხოლოდ დაზარალებულს შეეხება, არ არის მართალი. ვოლფს გადამწყვეტი მნიშვნელობის გამყოფი ხაზის ჩვენება იმიტომ კი არ შეუძლია, რომ ის სინამდვილის ფორმირებისა და ხელთ არსებული შესაძლებლობების თავისუფალი გამოყენების ცნებებში ჩადებულია და მისი მოძიება ობიექტურად შესაძლებელი არის, არამედ იმიტომ, რომ ის იცნობს გარანტის პრინციპს და ცნებებში მასზე მიუთითებს (62,30).

4.1.7 „წარმატების საფუძველი“, როგორც ბ. შუნემანის თეორიის ძირითადი ხაზი

ამკარაა, რომ მოქმედების ცნება, რომელიც ჩვენ გარანტს არსებით ნიშნად დავურთეთ, უმოქმედობის დოქტრინის პრაქტიკული თვალსაზრისით ძირეულად

არაფრის შემცვლელი არ არის.

უმოქმედობის დოგმატიკის ახალი და უახლესი შრომები ძირითადად უფრო ორიენტირებულია კარგად ცნობილი თეორიის ძირითადი საფუძვლებისკენ და შესაბამისად სირთულეს წარმოადგენს გაბედო იმის მტკიცება, რომ იმ ავტორებს შორის, რომლებიც ცალსახად არ იღებენ ამგვარ კრიტიკას, ფეხს იკიდებს ზრდადი დისკომფორტი უმოქმედობის სფეროში პენალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მიმართებით (55,140).

ზემოაღნიშნულ მსჯელობას მივყავართ დაპირისპირებამდე შუნემანის თეორიასთან, რომელიც მან გააშუქა საკუთარ ნაშრომში „შერეული უმოქმედობის დანაშაულების საფუძვლები და საზღვრები“ და რომელიც უპირისპირდება უმეტესად ყველა ანტითეზისს (55,180).

თავის მეთოდურ მიდგომაში შუნემანიც ასევე ეძებს „გათანაბრების პრობლემის“ ამოხსნის გასაღებს ზოგად და საერთო აზრის გამომხატველ ცნებაში. ის ამ გასაღებს პოულობს „წარმატების საფუძვლის ფლობით“, რომელიც, როგორც გათანაბრების სახელმძღვანელო პრინციპი, გადამწყვეტი უნდა იყოს მხოლოდ „შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის“ ტიპისათვის (55,235). მოსაზრება, რომელსაც ის აქამდე მიჰყავს, სათავეს იღებს სისხლის სამართლის კოდექსის არანამდვილი უმოქმედობის დანაშაულების არსებობიდან და იმ თეზისიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში განიხილება მხოლოდ „დანაშაულის ჩადენის ტოლფასი“ უმოქმედობები (55,210). ამგვარად, თუკი დასჯისათვის საკმარისი შეიძლება იყოს უმოქმედობის მხოლოდ ისეთი ნიშნები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მსგავსი ნიშნებით ხასიათდება, მაშინ ჩადენასა და არანამდვილ უმოქმედობას შორის მოძიებული უნდა იქნას Tetrium Comparationis. შუნემანი ამას „დასჯადობის (წინარე სისხლისსამართლებრივ) მიზეზში“ ხედავს. შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულების შემთხვევაში ზოგადად შედეგის მიწერასთან გვექნებოდა საერთო. საერთო ნიშნები გამოვლინდება მხოლოდ მაშინ, თუკი დაისმებოდა შეკითხვა: რატომ მიეწერა დამნაშავეს რომელიმე ერთი ქმედების გამო შედეგი? ამის მიზეზი მდგომარეობს არა მხოლოდ მოქმედების საბუნებისმეტყველო მექანიკურ მიზეზ-შედეგობრიობაში, რაც უმოქმედობას არ ახასიათებს. მიზეზშედეგობრიობა მხოლოდ შედეგის მოქმედებისადმი მიკუთვნებას ხსნის და არა პიროვნებისადმი კუთვნილებას, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვანია (55,235-236). ასევე მითითება იმაზე, რომ ადამიანს შეუძლია მიზეზშედეგობრივი პროცესის საბოლოო მართვა, არა

საკმარისი იქნებოდა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ეს შეიძლება ყოფილიყო ის, ვინც შესაძლო გადამრჩენი ქმედების ნაცვლად უმოქმედობას აჩვენებდა, და ასევე დადგინდებოდა, რომ მიზეზ შედეგობრივი პროცესი, რომელზეც გავლენის მოხდენა შესაძლებელია, ყველა მოქმედების არ განმახორციელებელ პირს არ მიეწერება (55,238). „ამგვარად ჩვენ უნდა დავსვათ შეკითხვა, თუ რაში მდგომარეობს სხეულის მოძრაობის განსაკუთრებულობა, რომლითაც საბუთდება დამნაშავეზე მისგან გამომდინარე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. აღნიშნული განსაკუთრებულობა წარმოადგენს პერსონალური მართვის ცენტრსა და შედეგის განმაპირობებელ სხეულის მოძრაობას შორის მიმართებას: პიროვნების მიერ სხეულის აბსოლიტურ ფლობას. მოქმედების საფუძველზე პიროვნებისათვის შედეგის მიწერა საკუთარი სხეულის ფლობა-შუნემანს ესმის, როგორც „ზოგადი პრინციპის განსაკუთრებულობა, რათა შედეგი მიეწეროს იმ პიროვნებას, რომელიც შედეგის ფლობას ახორციელებს“ (55,236).

შუნემანი პირველ რიგში სხეულის მოძრაობის ფლობის ანალოგიიდან იღებს იმას, რომ ახლანდელმა, უმოქმედობასთან დროში თანმხვედრმა ფლობის მიმართებამ შესაძლებელია შედეგის მიკუთვნება დაასაბუთოს ისევე, როგორც ამას ადგილი უნდა ჰქონდეს მოქმედების დროს. როგორც ის მოგვიანებით გვიჩვენებს : არ არსებობს გარანტიის მიცემა წინარე ქმედებიდან (55,241).

„უმოქმედობის ფლობა ზემოქმედების შემთხვევაში მთლიანად წარსულშია მოქცეული და აქედან გამომდინარე ჩვენი მოსაზრებების თანახმად არ მიუთითებს მომავლისკენ მიმართულ აქტუალობაზე. უმოქმედობის მომენტში მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება არაფრით არ განსხვავდება Quivis ex populo-სგან, ორივე მათგანს გააჩნია მხოლოდ ერთი შესაძლებლობა გავლენის მოხდენისა პოტენციურ ხდომილებაზე ... როდესაც მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება მოულოდნელად ბოროტი განზრახვით გამოიყენება (Dolus Malus), მაშინ განზრახვა ზემოქმედების და ნების გარეშე ვერ განხორციელდება (55,281). ზემოქმედების მოხდენას სჭირდება მატერიალური სუბსტრანტი, რომელშიც ის მოქმედებს, სამაგიეროდ მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი მიზეზ-შედეგობრიობა ვერ იქმნება განხილვის საკითხი, თუკი ადგილი არა აქვს შეცდომებს, რომლებიც გათანაბრებული უნდა იქნას გავლენის მოხდენაზე თავიდან აცილების (პოტენციური) შესაძლებლობით“ (55,285).

შედეგის მიზეზის კონკრეტიზაციისათვის შუნემანი მიმართავს მის ორად გაყოფას. მას შესაძლებელია წარმოადგენდეს, როგორც „თავად მიზეზ-შედეგობრივი კავშირის

რომელიმე ეტაპი“ (არსებითი მიზეზი) ან „მსხვერპლის განსაკუთრებული უმწეობა“ (55,311). „აქედან გამომდინარე შედეგი უმოქმედოს შეიძლება მიეწეროს, მაშინ თუკი ის აქტუალურად ე.ი მოცემულ მომენტში ფლობს ან დაზიანების შესაძლებლობას ფლობს. აღნიშნული დაყოფა ეფუძნება გარანტის საფრთხის წყაროს კონტროლის ვალდებულებისა და სამართლებრივი სიკეთის ჩვეულ გადაკვეთას, თუმცა მისი ახსნის ღირებულება სცდება ამ ფარგლებს. ასევე ამ დასკვნასაც მივყავართ რევოლუციურ დასკვნამდე : თვით უახლოესი ნათესაური ურთიერთობებიც კი არ წარმოადგენს Eo ipso სისხლისსამართლებრივ გარანტის მიმართებებს. ისინი არ განისაზღვრება სისხლისა და ქორწინების კავშირებით, რაც როგორც ასეთი, მნიშვნელოვანია ოჯახური ურთიერთობებისათვის, არამედ იგი განისაზღვრება იმით, რომ ვიღაც მსხვერპლს „კონსტიტუციონალური“ ან „ნაწილობრივი“ უმწეობის გამო ეგზისტენციალური მოცემულობების (დედა-შვილის ურთიერთობა) ან საკუთარი ჩარევის ძალით ან სხვისი ნდობის საფუძველზე (თანხმობის საფუძველზე მზრუნველობის აღება) ფაქტიურ დაცვით მფლობელობას ახორციელებს. „ბუნებრივი კავშირის საფუძველზე გარანტიის მიცემა“ ამის საპირისპიროდ ნიშნავს ინდივიდუალურ და სოციალურ მორალზე სისხლის სამართლის აუტანელ წვდომას, რაც უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ ჩაგდების გზაზე უნდა დარჩეს (55,358).

ყოველივე ზემოაღნიშნულის მკაფიოდ წარმოდგენისათვის, მაგალითის სახით წარმოდგენილი უნდა იქნას, თუ როგორ აფასებს შუნემანი გარანტის ასპექტს „მჭიდრო ცხოვრებისეული ურთიერთობით“. მის თანახმად „ცხოვრებისეული ურთიერთობით განპირობებული გარანტის ვალდებულებები“ მდგომარეობს „მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებასთან მიმართებაში არსებულ საფრთხეებში, რომლებიც უპირველეს ყოვლისა საფრთხეს წარმოადგენენ ერთობლივი ოჯახის ფარგლებში“ (55,361). ამგვარად ცნება „თანაცხოვრება“ აღნიშნავს „კონკრეტული ნდობის ძლიერ კავშირს, რომელიც ინტეგრაციის პროცესში ყოველ ჯერზე თავიდან თამაშდება“. გადამოწმებას საჭიროებს საკითხი „შესაძლებელია თუ არა, რომ გაგებულ იქნას თანაცხოვრება, როგორც აღნიშნული კონკრეტული საფრთხის თავიდან არიდების გონივრულ წყაროდ, თუ ზოგადი რისკი კონკრეტულ შემთხვევაში თანაცხოვრების ფარგლებს გარეთ რეალიზდება? მორალური ვალდებულება პარტნიორს ყველანაირ ცხოვრებისეულ ვითარებაში დახმარება გაუწიოს არ საჭიროებს მოქმედების ექვივალენტობის დასაბუთებას. საჭიროა დისპოზიციის აქტით დასაბუთებული ძალა-

უფლება, რომელიც ზოგადად მხოლოდოჯახის ან თანაცხოვრების ფარგლებში მოიძიება (55,356). მოძღვრება, რომელიც ამგვარ მოთხოვნებს აყალიბებს და ამდენად, როგორც ჩანს შერეული უმოქმედობის შემცირების სურვილს ოპტიმალურად შეესაბამება.

რა შეიძლება მივიჩნიოთ დამაჯერებლად შუნემანის კონცეფციაში? აშკარაა, რომ ეს არის იდეური თეორია, რომ შესაძლებელი უნდა იყოს შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტში აქტიურ ქმედებასა და შერეულ უმოქმედობას შორის „შინაარსით სავსე საერთო ნიშნების“ მოძიება (55,358). იმ შემთხვევაში თუ ეს გარემოება ასე არ იქნება, შესაბამისად ორივე მათგანი ვერ მოექცევა დანაშაულის ერთი და იგივე შემადგენლობის ფარგლებში. შუნემანი ისეთი ფორმით მოქმედებს, რომ იგი ნაწილობრივ აღიარებს მოქმედების პრიმატს და შემდგომ სვამს კითხვას, თუ რატომ მიეწერება სხეულის მოძრაობის დროს მისგან მომდინარე მიზეზშედეგობრივი პროცესი მის წამომწყებს, რომ შემდგომ გამოვლენილი კუთვნილების პრინციპი სპეციფიკური განზოგადებით გარკვეულ უმოქმედობის მიმართ იქნას გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილ გზას უკუ მიმართულებას აძლევს (55,357). მე გამოვდივარ შერეული უმოქმედობის დანაშაულის წინაპირობად მიჩნეული კუთვნილების პრინციპიდან, გარანტის პრინციპიდან და შესაბამისად შევეცადე მისი გამოყენება ქმედებებზე, რადგანაც ასეთი ფორმითაც შესაძლებელი იყოს ჭეშმარიტების გამოვლინება (55,356). საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირის მიკუთვნება ინიციატორ პირზე ადეკვატურად იქნას დასაბუთებული და ის გონივრული ფორმით იქნას განზოგადებული, მაგრამ შეძლო ეს შუნემანმა? ზემოაღნიშნული ეჭვის ქვეშ უნდა დავაყენოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ის აუცილებელ დასკვნად წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რაც სინამდვილეში ინტრასისტემური შეფასების შემთხვევაში, მხოლოდ დეციზიონისტურ დადგენილებას წარმოადგენს. ქმედების დროს მიკუთვნების მიზეზი უნდა იყოს საკუთარი სხეულის, როგორც „შედეგის არსებითი მიზეზის“ აქტიური ფლობა (55,336). ვინაიდან აღნიშნული ფორმულა, თუკი ის გამოყენებული უნდა იქნას შერეული უმოქმედობის დანაშაულებზე, ბუნებრივია ვერ შენარჩუნდება, მაშინვე იბადება კითხვა იმ ორიენტირების პუნქტებთან დაკავშირებით, რომლებიც შუნემანისათვის მისი ვარიაციის სისწორეს უზრუნველყოფს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ის კი არ განმარტავს, არამედ ეყრდნობა იმას, რომ მოდიფიცირებისთვის მის მიერ შერჩეული ზომა თავად არისდამაჯერებელი (55,342). ამასთან ის ამას არავითარ შემთხვევაში არ აკეთებს, რადგან, როგორ შეიძლება ერთის მხრივ მხოლოდ

აქტუალურობის ნიშნით იქნას დადგენილი ის, რასაც ახსნილი ახლავს, რომ ძველი, ძირითადად აქამდე ეჭვშეუტანელი მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის რისკის ქვეშ მოქცევის პასუხისმგებლობა მთლიანად უნდა იქნას გაზიარებული და როგორ არის შესაძლებელი მეორეს მხრივ ის, რომ მისი ადგილი ასევე შეიძლება დაიკავოს „მსხვერპლის უმწეობამ“? შუნემანს ასევე წარმატებით შეეძლო გამოეყენებინა მესამე პირის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ რისკის ჩაგდება, თუკი ის დაკმაყოფილდებოდა ქმედებების იმ მსგავსებით, რომ უმოქმედომ წარსულში არსებული აქტიური ქმედება არსებითი წარმატების მიზეზად დააყენა, რომელიც პოტენციური ფლობისათვის (არიდების შესაძლებლობისათვის) გაქარწყლდა (55,344). მისი მეთოდის ფარგლებში, ასევე შესაძლებელი იქნებოდა პირიქითაც, რომ დამცველი გარანტის მთლიანი კომპლექსი სრულად არიდებული ყოფილიყო, რადგან „მსხვერპლის თვალშისაცემი მომენტის კონტროლი“ სრულიად სხვა რამ არის, ვიდრე საკუთარი სხეულის კონტროლი ან „მიზეზშედეგობრივი პროცესის“ სხვა პუნქტის კონტროლი, და ამასთან არ არსებობს საკმარისი მსგავსება (55,355).

გარდა ამისა უკვე საეჭვოა, შუნემანი „შედეგის მიზეზს“ საერთოდ სათანადოდ შეიგრძნობს თუ არა. ამ ეჭვს მივყავართ იმ ფუნდამენტამდე, რომელზეც შუნემანმა დააფუძნა მისი ნაშრომის პრაქტიკულად მთლიანი დოგმატური ნაწილი. პირველივე შეხედვაზე სკეპტიკურად განგვაწყობს ის, რომ შუნემანი აქტიური დანაშაულის ანალიზიდან მიღებულ საორიენტაციო პრინციპს მის მიერ სახელდებული ე.წ „დაცვის მფლობელობის“ მოხმობით ფარავს (55,342).

გარკვეული ტერმინოლოგიის ფონზე არსებობს მცდელობა, შუნემანს დაუპირის-პირონ ის, რასაც თავად ის მსგავს კონტექსტში ველპის წინააღმდეგ გამოთქვამს (55,351). იგივე სიტყვების შენარჩუნება ბუნდოვანს ხდის იმ მიგნებას, რომ ცნებათა შინაარსი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ მათი ერთ ლექსიკურ ერთეულში მოქცევას არანაირი სარგებელი არ მოაქვს. ცნება „კონტროლის ქონა“ ვერ გამოდგება ორ ძმას შორის არსებული დაცვისა და თანადგომის ორმხრივ ურთი-ერთობაზე. თუკი ამ ცნებას მაინც გამოვიყენებთ, მაშინ შესაძლებელია კრიტიკული აზროვნების არ მქონე მკითხველი შეცდომაში იქნას შეყვანილი იმასთან დაკავშირებით, რომ საერთო მხარეების ძიება არასათანადო სიბრტყეში ხდება და მხოლოდ ნომინა-ლურად, ცნების დანაწევრებით წარმოსდგება. ვინაიდან შუნემანი თავის ძირითად პრინციპში ფლობის მომენტს „ნორმატიული დატვირთვის“ გარეშე განიხილავს, მაგრამ,

როგორც ჩანს, ამგვარი მეტი ფაქტობრივი ძალა არ არის საჭირო და არ წარმოადგენს ცენტრალურ საკითხს (55,321).

ამგვარი კრიტიკა შუნემანისათვის გასაკვირი სულაც არ არის. ის თავად აღნიშნავს, რომ სისულელე იქნებოდა იმის უარყოფა, რომ მფლობელობის პრინციპის გამოყენებისას „ნორმატიული-შეფასებითი“ აქტით სავალდებულო მოქმედება შესასრულებელი დარჩენილიყო (55,335). თუმცა ის ვერ გვიხსნის იმ მთავარ პოზიციას, თუ რას აჩვენებს კონკრეტული საქმის გარემოებების ეგზემპლარული გაშუქება. ამგვარად შუნემანისრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ დაცვის (მეურვეობის) აღება, რაც გარანტიის მოვალეობის აღების ნაწილია უნდა განსხვავდებოდეს ამ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისგან (55,337).

აქტიური მოქმედების დროს წარმატების უფლება ეფუძნება არა უშუალოდ ფაქტიურ მფლობელობით გარემოებებს, არამედ იმას, რომ ინდივიდუალური ვალდებულების და სოციალური ღირებულებისათვის საკუთარი სხეულის ფლობით წარმოიშვება მომატებული პასუხისმგებლობა განპირობებულ შედეგზე. აღნიშნული წინარე რწმენის გარეშე სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შემადგენლობის მეშვეობით ვერ მიაწერდა დამაზიანებელ შედეგს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ვერავინ გაიგებდა და არ აღიარებდა სასჯელთან დაკავშირებულ მორალურ შეცდომას (55,341).

დასკვნის სახით ვადგენთ, რომ შუნემანის მიერ მიღებული უმოქმედობის პრობლემატიკა, რომელსაც ასევე ეფუძნება ნეგატიური მოქმედების ცნება, არ არის დამკვიდრებადი. შუნემანმა მთლიანისათვის აიღო მხოლოდ ერთი ნაწილი. მართალია ის წარმატების მიწერის საფუძველში მეთოდურად სწორად იძიებს შერეული უმოქმედობის საერთო მხარეებს, თუმცა ძალზე სწრაფად ახდენს მის დეკლარირებას ისე, რომ არ სვამს კითხვას, საჭიროებს თუ არა ეს კიდევ დამატებით „ნორმატიულ აბსტრაგირებას“, რათა წარმოჩენილი იქნას დანაშაულის შემადგენლობის ყველა ფორმისათვის საერთო მიკუთვნების ჭეშმარიტი საფუძველი (55,347).

ჩადენა არ შეიძლება სარგებლობდეს დოგმატური უპირატესი უფლებით და მისი მეშვეობით არ შეიძლება წინასწარ განისაზღვროს. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ისე, რომ დანაშაულის ერთნაირ შემადგენლობამდე უნდა დავიდეთ. საკუთარი შვილის უმოქმედობით სიკვდილითგამეტება არ შეიძლება გათანაბრებული იქნას სხვის აქტიური ფორმით მკვლელობასთან და ეს არ არის ერთმანეთის საპირწონე, არამედ ორივე მათგანი წარმოადგენს „მკვლელობის“ სხვადასხვა სახესხვაობას.

4.2 უმოქმედობის ცნება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

მოქმედების უნარი

A .დანაშაულის სისტემური ხასიათი

სადავო გარემოებას წარმოადგენს ის, თუ რა დოგმატური მნიშვნელობა აქვს უმოქმედო პირის „მოქმედების უნარის“ არ ქონას : მაგ. დაბმულმა შვილმა უნდა უყუროს, თუ როგორ იხრჩობა მისი მამა. იმ დროს, როცა მოქმედების თეორია, ასეთ შემთხვევაში უმოქმედობას უარყოფს, უბრალოდ მოქმედების ცნებას ვერ ხედავს, რომელიც ნაწილობრივ დანაშაულის შემადგენლობის არსებობას უარყოფს. ნაწილობრივ კი გამართლებულ მიზეზს აღიარებს ან საბოლოოდ უმოქმედოს განიხილავს, როგორც ბრალის არ მქონე პირს, მაგრამ იმისათვის, რომ მოცემული გარემოება ავხსნათ, შეიძლება მოვიშველიოთ ბაუმანის რეკლიკა, რომელიც მიმართული იყო როქსინის წინააღმდეგ და რომელიც ამბობს, რომ მოქმედი თეორია თავისი პოზიციიდან თანმიმდევრულად „მოქმედების ცნებასთან უნდა მოითხოვდეს ჩადენილი დანაშაულის უმოქმედობის შესაძლებლობას“ (15,223). რეალობაში საქმე გვაქვს ძირითად პუნქტთან. ბაუმანი არ აღიარებს, რომ მის მიერ მოყვანილი არგუმენტი თავად მის წინააღმდეგაა მიმართული. ვინაიდან მოქმედებით ჩადენილი დანაშაულისათვის ყოველთვის მოთხოვნილია „უმოქმედობის შესაძლებლობა“ (15,227). ის, ვინც Vis absoluta-ში მოქმედებს, ვინც ჰიპნოზის ქვეშაა, ის არ სჩადის სისხლისსამართლებრივ ქმედებას. არასწორი ახსნა კეთდება ნებელობის არ არსებობასთან დაკავშირებით, თუმცა კონსტრუქციულად არასწორ გზას სწორ შედეგამდე მივყავართ. აღნიშნული დავა დამაჯერებლად უნდა იქნას გადაწყვეტილი ნეგატიური მოქმედების ცნებით, ვინაიდან ნეგატიური მოქმედების ცნება არის ის, რასაც ნების მომენტის პირობებში თავიდან არიდების დაფარული მოთხოვნა სააშკარაოზე გამოაქვს, რაც უპირობოდ აქტიური მოქმედების კონსტრუქციულ ელემენტს წარმოადგენს და სწორედ ის არის, რაც მოქმედების ცნებას სისტემურ კომპლექსში მართებულ ადგილს მიუჩენს (15,224). ასევე ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება მაიჰოფერისა და იეშეკის მიერ წარმოდგენილ შეხედულებას, რომელიც უმოქმედობის შემთხვევაში მოქმედების ხარისხს მხოლოდ მაშინ უარყოფს, როდესაც უმოქმედოს არ გააჩნია მოქმედების უნარი და „ეს უნარი ასევე არ ექნებოდა მის ადგილას მყოფ არცერთ სხვა ადამიანს“. არსებული იმიტომ არ არის სწორი, რომ სხეულის მოძრაობის შესრულების დროს, უდავოდ და მხოლოდ მის თავიდან არიდების

ინდივიდუალურ შესაძლებლობაზევერჩებით. ის, ვისაც არ შეუძლია ცურვა, ის დახრჩობის საფრთხის ქვეშ მყოფი ადამიანის გადარჩენისას არ იმოქმედებს, იმიტომ, რომ სხვა პირებს შეუძლიათ ცურვა (15,225).

B.მოქმედების უნარის ინტელექტუალური წინაპირობები არმინ კაუფმანის თეორიის მიხედვით

რადგან უმოქმედობა, უმოქმედო პირის ქმედებას წარმოადგენს, ამდენად უმოქმედობის წინაპირობას მისი თავიდან არიდება და უმოქმედო პირის უნარი წარმოადგენს (30,33). შესაძლებელია ითქვას, რომ ზემოაღნიშნული დადგენილია. მაგრამ როდის გვაქვს კონკრეტულად მოქმედების უნართან საქმე? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ერთის მხრივ მარტივი არაა. განვიხილოთ ორი მაგალითი, რომლებსაც თავიდანვე მეცნიერული კონტროლერის ცენტრში შევყავართ: A ღამის საათებში ტბის ნაპირას სეირნობს. ის ახლოს ჩაუვლის B-ს, რომელსაც თავის მხრივ დახრჩობა ემუქრება. პირველი შემთხვევა: A დაინახავს B-ს, რადგანაც მას ცურვა არ შეუძლია, ეძებს საგანს, რომლის საშველად გადაგდებაც მას სურს B-სთვის. ერდაერთ გამოსადეგ საგანს სამაშველო რგოლი წარმოადგენს, რომელიც A-სგან რამდენიმე ნაბიჯით არის მოშორებული, მაგრამ A ვერ ამჩნევს მას, რადგანაც ბუჩქებშია დამალული ამის შედეგად B წყალში დაიხრჩობა (30,41).

შესაძლებელია აღნიშნული გარემოება ობიექტური შეფასების საფუძველზე ხორციელდება, რაც ნიშნავს იმის დადგენას, რომ საფრთხის ვითარების აღმოფხვრისათვის საჭირო ქმედების განხორციელება უმოქმედო პირს ობიექტურად შეეძლო. ამის საპირისპიროდ იგი ეფუძნება მხოლოდ დაუდევრობას. არმინ კაუფმანი და მასზე დაყრდნობით ველცელიც ამ შეკითხვას უარყოფითად უპასუხებდნენ (61,201). ორივენი მართებულად მიიჩნევენ მხოლოდ უმოქმედობის ვიწრო ცნებას, როდესაც მოქმედების უნარი ჩათვლილი იქნება მოცემულობად, თუკი „ობიექტური შესაძლებლობისათვის“ „მოქმედების მიზნის გაცნობიერების“ სუბიექტური ელემენტები, ასევე „განხორციელების გზის ერთმნიშვნელოვნება“ იქმნება. კაუფმანი თავის თეორიას შემდეგნაირდ აფასებს: საბოლოო ქმედების უნარი ცოდნის ბაზად საჭიროებს მის მართვას, მის შესაძლო მოქმედების მიმართულების (მოქმედების მიზნის, ზემოქმედების ობიექტის) აღქმას (30,47).

1.ქმედების განხორციელების შეცნობადობა

როდესაც გვსურს დავადგინოთ კონკრეტულად ადამიანს შეეძლო თუ არა გარკვეული ქმედების განხორციელება, ამის გაკეთება თითქოს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულ- ფსიქიკური მხარის გათვალისწინების მასშტაბით. როდესაც ვიღაცას სეიფის გახსნა სურს, მას ეს შეუძლია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ხელები მოქნილი და ძლიერია იმისათვის, რომ ყველა საჭირო ციფრი შეიყვანოს. არამედ ის, ვინც არ იცის სწორი კომბინაცია ან სეიფის გახსნა, ის ვერ გახსნის მას. მაშასადამე, ჩვენი საწყისი შემთხვევის ალტერნატივაში კაუფმანთან და ველცელთან ცნების კუთხით უარი უნდა ვთქვათ უმოქმედობაზე (30,40).

2. ქმედების შემადგენლობის შესაბამისი სიტუაციის ამოცნობა

ამის საპირისპიროდ, „აღნიშნულ ავტორებს უნდა შევეწინააღმდეგოთ, თუკი ისინი მოქმედების შესაძლებლობის ინტელექტუალურ წინაპირობად „ცოდნის საფუძველს“, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი სიტუაციის (როგორც მინიმუმ ამგვარი სიტუაციის შესაძლებლად მიჩნევას) ამოცნობაში მოითხოვენ. პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე ამგვარი ცნების შექმნა არ არის რეკომენდირებული. ვინაიდან ის იმთავითვე გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ უმოქმედობა ცოდნის საფუძველის გარეშე დაისაჯოს, როგორც დაუდევრობითი უმოქმედობა.

ნეგატიური მოქმედების ცნებით აქტიური მოქმედების შესაძლებლობა კაუფმანის თეზისს ორაზროვანს ხდის, მაგრამ სისტემატურად არა თანმიმდევრულია, როდესაც უმოქმედობა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი სიტუაციის აღქმას მოქმედების ცნების კრიტერიუმად აქცევს (30,67). თუმცა იგი ზედმეტად არ უნდა დავტვირთოთ აქტიურ ქმედებასთან პარალელებით. რადგანაც არსებობს სრულიან სხვა სიტუაცია, როდესაც აქტიურ მოქმედ პირს ყოველთვის შეუძლია ბევრი შესაძლებლობა ჰქონდეს, რომელთა გამოყენებაც შედეგის დადგომის თავიდან არიდების ტოლფასი იქნებოდა. ეს შესაძლებელს ხდის შედეგის განპირობება თავიდან არიდებად მივიჩნიოთ (30,71). ალბათობის არსებობა, რომელიც გაცილებით მეტია ვიდრე უბრალო სხვაობა, აუცილებელს ხდის უმოქმედობის ცნებაში ზღვარი გავავლოთ, რითაც ისევ ვუახლოვდებით კაუფმან-ველცელის თეორიას. აღნიშნული ზღვარის გავლება შესაძლებელია „ამოცნობადობის“ კრიტერიუმით: უმოქმედო პირის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ამოიცნონ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი სიტუაცია. მოქმედების მიზნის მოძიება უნდა წარმოადგენდეს ქმედებას და მისი წინაპირობა არ უნდა იყოს ბრმა შემთხვევითობა.

როგორც ჩვენი თავდაპირველი მაგალითიდან: A-ს რომ შესძლებოდა სამაშველო რგოლის ხელში ჩაგდება, რომ ყოფილიყო საკმარისი საბაზი მოცემული ადგილის დათვალეირებისათვის, მას შეეძლებოდა B-ს გადარჩენა. ამგვარი საბაზის წინაპირობას, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ნორმა, არა აუცილებელი, თუმცა სამართლებრივი (30,41). ამგვარი ნორმა შესაძლებელია, რომ წინასწარ იყოს განსაზღვრული. ლარენცი წერდა „რომ ცოდნა წარმოადგენს თავისუფლების ქმედებას. აქედან გამომდინარე მე შეიძლება მომეწეროს ის, რაც ჩემთვის არ არის ცნობილი, არ ცოდნა ჩემთვის არის არა შემთხვევითობა, არამედ ჩემი თავისუფლების შედეგი, როდესაც გარემოებათა ცოდნა ჩემთვის შესაძლებელი იყო...მხოლოდ იქ, სადაც მთავრდება ცოდნის შესაძლებლობა და არა იქ. სადაც მთავრდება ცოდნა, მთავრდება დანაშაულის მიკუთვნებაც და იწყება შემთხვევითი ხდომილების სფერო“ (35,157)“.

I. უმოქმედობის მიზეზშედეგობრიობა

შევეცდებით აღნიშნული საკითხი განსახილველად წარმოვაჩინოთ მაგალითის საფუძველზე. მაგ. იმ შემთხვევაში თუკი A ესვრის B-ს, რომელიც C-მ უკვე სასიკვდილოდ დაჭრა, მაშინ A არ იქნება სიკვდილის გამომწვევი მიზეზი (64,167).

შედეგის თავიდან არიდების ნიშანი ორი ერთგვაროვანი ელემენტისაგან შედგება. პირველ რიგში, ეს არის თავშეკავების უნარი, მეორე რიგში შედეგის არ დადგომის მიღწევა აქტიური მოქმედებით (64,166). იმ შემთხვევაში, თუკი სახეზე არ გვაქვს პირველი ფაქტორი, მაშინ ადგილი არა აქვს მოქმედებას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი სახეზე არა გვაქვს მეორე ფაქტორი, მაშინ ადგილი არა აქვს სპეციფიური ქმედების შემადგენლობის შესაბამის მოქმედებას. ჩვენს მაგალითში მართალია A-მ განახორციელა გასროლა, მაგრამ მას არ განუხორციელებია მოკვდინება. მაგრამ ვინაიდან სისხლის სამართალში ყოველთვის საქმე გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედებასთან, ნეგატიური მოქმედების ცნების თვალსაზრისით შესაძლებელია მოქმედების ზოგადი ხარისხი და მიზეზ- შედეგობრიობა თავიდან არიდების კუთხით გავაერთიანოთ. აღნიშნული შეკითხვის დასმა ხდება შედეგზე ორიენტირებული დანაშაულის შემთხვევაში: შეეძლო თუ არა პიროვნებას შედეგის თავიდან არიდება თავის შეკავების გზით? ამ კითხვის დასმისას მნიშვნელობა არა აქვს იყო თუ არა დამნაშავე მიზეზის შედეგი (64,168).

თუკი A ხედავს, როგორ კვდება B, რომელსაც თავს დაესხნენ, რომლისთვისაც ის

წარმოადგენს გარანტს ან რომლის მიმართაც მას გააჩნია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მაშინ Causa efficiens-ი არც მასშია და არც მისი პასუხისმგებლობის სფეროში. ამ მოსაზრებით მიზეზ- შედეგობრიობა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს A-ს ტვირთს (64,170).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არ არის საჭირო იმის ახსნა, თუ რატომ ხდება მიზანს მოკლებული ის მუდმივი დავა, რომელსაც ადგილი აქვს უმოქმედობის მიზეზ- შედეგობრიობასთან დაკავშირებით (64,166). მიზეზშედეგობრიობასთან დაკავშირებით საქმე იმგვარადვეა, როგორც ნებელობასთან დაკავშირებით. ორივე მათგანი აქტიური ქმედების შემთხვევაში მხოლოდ მოჩვენებით ელემენტს წარმოადგენს. ის ფარავს თავიდან არიდების პრინციპის ერთ ნაწილს. აქედან გამომდინარე არსებობს ორი გზა: ან შედეგის თავიდან არიდების უნარის მქონეს ვუწოდებთ „გამომწვევს“ და ასეთ შემთხვევაში უმოქმედობის კაუზალობა იგივე აზრით არსებობს, როგორც მოქმედებით ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში, ან კიდევ მიზეზშედეგობრივ კავშირს ვიგებთ, როგორც Causa efficiens. ასეთ შემთხვევაში გამოწვევა, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩადენილი დანაშაულებისთვის ჩვეულია, მაინც არ წარმოადგენს მოთხოვნას, ვინაიდან მხოლოდ უმოქმედოდ არასოდეს არ არის ზემოქმედების საგანი. სირთულეები წარმოიქმნება, როდესაც Causa efficiens-ს მიზეზს მიაწერენ და მიუხედავად ამისა შედეგის დადგომას დამნაშავესგან მოითხოვენ (16,449). აღნიშნულს ბუნებრივია მივყავართ იმ წერტილამდე, რომ უმოქმედობა ვერ დააკმაყოფილებს დანაშაულის ჩადენის (გამოწვევის) შემადგენლობას, თუმცა კანონი არ უნდა გახდეს გაკიცხვის ობიექტი, ვინაიდან ის არანამდვილი (შერეული) უმოქმედობის დანაშაულებისათვის დამოუკიდებელ დანაშაულის შემადგენლობას კი არ შეიცავს, არამედ საკუთარ წინასწარი დამოკიდებულების შეცვლას მოითხოვს, ვინაიდან ისინი არ არის ნამდვილი. არ არის მართალი, რომ ჩადენილი დანაშაულები შედეგის განპირობებით აღიწერება. ისინი აღწერს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე პირის მიერ იმ შედეგების თავიდან არ არიდებას, რომლებიც არიდებადია. შედეგის წინ წამოწევა იმ ადამიანის მიერ, რომელსაც შეეძლო ამ შედეგების თავიდან არიდება, მართალია ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე თვალში საცემია, მაგრამ ის არ წარმოადგენს მის ერთადერთ ფორმას (16,451).

4.3 გარანტის პრინციპის გამოყოფა

შერეული უმოქმედობის, ანუ როგორც მას მეორენაირად უწოდებენ არანამდვილი უმოქმედობის დანაშაულის ჩამდენი, სრულებით არ ხასიათდება შედეგის თავიდან არიდების სამართლებრივი ვალდებულებით. ამის ნაცვლად მას საფუძვლად უნდა დაედოს სისხლის სამართლის ექსპერტების მიერ შემუშავებული სამართლებრივი ვალდებულებისაგან სრულად განთავისუფლებული გარანტის პრინციპი (51,684).

სამართლებრივ ვალდებულებასთან მიმართებაში ის ქმნის წრეს, რომელიც სხვა წრეს კვეთს, და მისი მატერიალური შინაარსის მიხედვით ეს ნიშნავს, რომ ის სოციალურ ცხოვრებაში აღიარებული განსაკუთრებული პასუხისმგებლობისათვის გადამწყვეტია, რაც ადამიანს ზიანის თავიდან არიდებისათვის ევალება (51,685). აღნიშნული სოციალური პასუხისმგებლობა სამართლებრივი ვალდებულება ხდება-თეზისი, რომლისთვისაც აქტიური დანაშაულის შემთხვევაში არავის მიუძღრთავს. გარანტის პრინციპი კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებებისათვის ამბობს შემდეგს: ძმის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დის მიმართ არ შესრულების შემთხვევაში, მაშინ გამოიყენება, როდესაც საქმე გვაქვს დაუდევრობით (გაუფრთხილებლობით) მკვლელობასთან, „მკვლელობის პირობების შექმნა“ სამართლებრივი თვალსაზრისით იმთავითვე ნიშნავს ასევე იმას, რომ ის და-ძმური პასუხისმგებლობის ფარგლებში თავიდან უნდა იქნას არიდებული (51,773). ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ამგვარი უმოქმედობა აკრძალულია და სისხლის სამართლის კოდექსი მორალურ, სოციალურ ვალდებულებას სამართლებრივ ვალდებულებად აქცევს. რა თქმა უნდა, გარდა ამ პირობებისა და ვალდებულებების დამადასტურებელი ხელშეკრულების არსებობისა, არსებობს გარანტის აღიარების სხვა მნიშვნელოვანი საწყისებიც. სამართალი წარმოადგენს სოციალური სინამდვილის შემადგენელ ნაწილს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს განაჩენის დადგენაში, რომ არსებობს თუ არა გარანტი (51,774). საბოლოოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სპეციფიურ საკითხებს, რადგანაც ამოცნობისა და შეფასების პროცესი იმთავითვე იმ სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობების მიმოხილვით იწყება, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ და რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივუდგეთ ისე, რომ ის მხოლოდ იმ უმოქმედობებს სჯის, რომლებიც ყველა შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობებად განიხილებოდა. რადგანაც, თუკი შესაძლებელი იქნებოდა ამის

დამტკიცება, ეს იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ სისხლის სამართლის გამოყენების შემდეგ დარჩენილი ნაწილი სამართლებრივი ვალდებულებების უხარვეზო სისტემის შემცველია. თუმცა ამაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი. სისხლის სამართალი თავისი ძალაუფლების სრულყოფილებიდან გამომდინარე ქმნის, როგორც მოქმედების ვალდებულებებს, ისე უმოქმედობის ვალდებულებებსაც (51,776).

სამართლებრივი ვალდებულების დოგმიდან გარანტიის პრინციპის მოხსნით არ უნდა ველოდოთ კარდინალურად ახალ მიდგომებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუმცა საბოლოოდ დამაზიანებელი შედეგი შეიძლება ჰქონდეს იმას, თუკი სამართლებრივი ვალდებულებიდან ამოვალთ და შემდგომ მისგან გადავუხვევთ, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს იმპერატიულად (13,595). ასეთ შემთხვევაში გარანტიის დოგმატიკა მომდინარეობს არა მისი აზრობრივი ცენტრიდან და ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, რომ საორიენტაციო სიდიდე არ არის მოთხოვნილი იმ შემთხვევებში, როდესაც სამართლებრივი ვალდებულება და გარანტიის მიწოდება ერთმანეთს არ ფარავს (13,599).

გავრცელებულ თეორიაზე მეტ ეჭვს ის თეორია იწვევს, რომელიც „უკუ გააზრების“ შესახებ გვაფრთხილებს და საგნობრივი გადაწყვეტილების მკაცრად მიმართვა იქითკენ სურს, არსებობს თუ არა წმინდა-ნამდვილი სამართლებრივი ვალდებულება ან როგორც მინიმუმ „სამართლებრივად გამყარებული“ გარანტიის ვალდებულება (166,151). გაილენი მოითხოვდა, რომ „უნდა ჩავეჭიდოთ გარანტიის-სამართლებრივი ვალდებულების მოთხოვნას და ის ვადიაროთ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ სამართლებრივად პოზიტიური ეტიკეტირების თვალსაზრისით, ასევე შინაარსობრივად შესაბამისად შემოვსაზღვროთ ვალდებულება“ (166,153).

თუკი გაილენის მოსაზრებას სერიოზულად მივუდგებით, ეს ნიშნავს იმას, რომ შეუსაბამობები, რომლებსაც მეცნიერული შრომები სამართლებრივ ვალდებულებასთან დაკავშირებით ავლენენ და პრაგმატული გადაწყვეტილების გამო ყოველთვის დაცული იყო, კვლავ წინა პლანზე წამოიწევს.

4.4 სეკუნდარულობის (მეორადობის) პრინციპი შუნემანთან (Das Sekundaritätsprinzip bei Schunemann)

შიუნემანმა სამართლებრივი ვალდებულების მოთხოვნის ახლებური დასაბუთებასცადა (55,210). მისი მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს „სისხლის სამართლის

სეკუნდარული (მეორადი) ბუნება“ (55,217), რისი არსებობის დამტკიცებასაც ის ცდილობს. ქვეყნის კანონთან წინააღმდეგობრიობა ძირითადად განისაზღვრება „აღნიშნულ სფეროში ვიწრო სამართლებრივი წესრიგით“ და მათ შორის სისხლის სამართალი ირჩევს იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც სასჯელს იმსახურებენ. „მოქმედებები, რომელთა კანონთან წინააღმდეგობრივი ხასიათი არ ეფუძნება სპეციალურ სამართლებრივ რეგულირებას ...პრინციპში მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს პენალიზებული, თუკი ისინი (წინარე სისხლისსამართლებრივი მიდგომით) სამართლებრივ ვაკუუმში ხორციელდება“ (55,221).

შიუნემანის შეხედულების თანახმად სისხლის სამართლებრივი გარანტი არ იმყოფება ამგვარ სივრცეში და ის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებიდან იღებს ფესვებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივ წესრიგშია მოქცეული და გამომდინარეობს გარანტისვალდებულებიდან და ფორმალური სამართლებრივი მოვალეობიდან. „ქმედებები (ან მოცემულ შემთხვევაში უმოქმედობები), რომლებიც სპეციალური სამართლებრივი წესრიგის თანახმად ნებადართულია, დაუშვებელია დაისაჯოს, როგორც არანამდვილი უმოქმედობის დანაშაულები“ (55,222).

სეკუნდარულობის (მეორადობის) პრინციპს „თანასწორობის პრობლემატიკისათვის“ მხოლოდ „ნეგატიური მნიშვნელობა“ ექნება და ამგვარად შუნემანი საგნობრივად ეთანხმება მოცემულ მიდგომას. სასჯელი დაუშვებელია იქ, „სადაც ვიწრო სამართლებრივი წესრიგის თანახმად სამართლებრივი ვალდებულება გამოირიცხება“. მეტა-სისხლისსამართლებრივი ვალდებულების არსებობა კი პირიქით, დასჯადობის საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება“ (55,223).

აღნიშნული მოსაზრებები საჭიროებს დამატებითი პოზიციების დაფიქსირებას, რადგანაც შიუნემანის თეორია მიმართულია სამართლებრივი ვალდებულების თეორიის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი ნორმებით შემოკლებულ მართლწესრიგს, რაც თავის მხრივ, სხვა არაფერია თუარა სამართლებრივი ვალდებულებების აწ უკვე არასრულყოფილი სისტემა, ჩვენი ძირითადი პრეტენზიისაგან დაცული რჩება. როგორც ჩანს ის მას გაურბის, რასაც სისხლის სამართლის კანონმდებლისთვის ცალსახ „სამართლისგან თავისუფალი სივრცის გამოყოფით ახერხებს. სეკუნდარულობის (მეორადობის) პრინციპი შედარებით სიფრთხილით-სისხლის სამართლისათვის ვალდებულებების შემავსებელ ფუნქციას სადავოს ხდის, რომელშიც სამოქალაქო სამართლით წესრიგი უკვე

დამყარებულია“ (55,227).

ამასთან ეს წარმოადგენს ძალზე შორს მიმავალ და არც თუ ისე მდგრად თეზისს, თუკი ამ ხაზს გავუყვებით და შეუძლებელია ის გახდეს სადავო, რომ ის სამოქალაქო სამართლის წინაპირობას წარმოადგენს, მაშინ თავად მას ქონებრივი ინტერესის დაბალანსების სფეროში სისხლის სამართალი დამატებით ვალდებულებებს უყენებს (55,231). იმ შემთხვევაში, თუკი A შეუმჩნეველი ნაკლის მქონე საქონლის მიწოდებით G-ს სხვა პირისათვის სარგებლის განზრახვით აკეთებინებს იმას, რომ S-ს მიმართ არსებული მოთხოვნა დაუთმოს B-ს, მაშინ პირველადი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის კოდექსის ნორმას, რომელიც აღნიშნულ ქმედებას ვალდებულების საწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ხასიათს ანიჭებს. სამოქალაქო სამართალი მიმართავს სისხლის სამართალს, იმასთან დაკავშირებით აღიარებდა თუ არა ის უსამართლოდ გარკვეულ ქცევას, რომელიც „ამ სფეროში არსებული ვიწრო სამართლებრივი წესრიგის“ თანახმად არ არის ნეგატიურად ან ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად არ არის შეფასებული და სისხლისსამართლებრივ საფუძველზე სამოქალაქო კოდექსის მეშვეობით აყენებს ანაზღაურების მოთხოვნას (55,235).

რაც შეეხება კერძოდ უმოქმედობის პრობლემატიკას, შიუნემანი მზადაა სამართლებრივი ვალდებულების თავისი კონცეფცია დაცვის საკუთარ თავზე აღების ბათილი ხელშეკრულების კონსტელაციაზე მოსინჯოს. შიუნემანი შესაბამისი კრიტიკის აცხადებს იმით ცდილობს, რომ გარანტის საკითხისათვის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არა სახელშეკრულებო სამართალს, არამედ სამოქალაქო სამართლებრივ დელიქტურ სამართალს. სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების მოქმედება მართალია სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებობის პირობას წარმოადგენს, მაგრამ ის არ წარმოადგენს მისგან გასამიჯნ დელიქტური ვალდებულების არსებობის პირობას, რომელიც ჯერ კიდევ ფაქტიური მზრუნველობითი ურთიერთობის ძალით წარმოიშვება (55,237).

თუმცა დელიქტურ სამართალზე შეჩერება მეორადობის პრინციპის თავისთავად შეწყვეტას გამოიწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ შიუნემანს ეს არ სურს. როგორც საერთო ცნება „დელიქტი“ და მისი თანაბარი შემადგენელი კატეგორიები (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი) გვეუბნება, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ დელიქტურ ნორმებს შორის დოგმატური თვალსაზრისით ნამდვილი განსხვავება არ არსებობს. სამოქალაქო კოდექსის თანახმად ეს სხვა

არაფერია, თუ არა უხეშად წარმოდგენილი სისხლის სამართალი, რომელშიც რეაქციის საშუალება სასჯელი ჩანაცვლებულია ანაზღაურების ვალდებულებით (55,239). ამიტომაც სამართლებრივი ვალდებულების კრიტერიუმს ორივე სფეროში ერთი და იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართლებრივ დოგმატიკასთან, რომელიც აღნიშნული საკითხებით ნაკლები ინტენსივობით დაინტერესების გამო ფორმალური სამართლებრივი ვალდებულების ჩარჩოში რჩება (55,341).

შუნემანი ვერ ამჩნევს, რომ მას ამით სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციის პროცესში ცარიელი საფეხური შეაქვს, რადგანაც ის დელიქტურ ვალდებულებებზე თანმიმდევრულად არ რჩება. მას მიაჩნია, რომ ამგვარად მისი სეკუნდარულობის (მეორადობის) პრინციპის ზემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, იმით წარმოჩინდება, რომ „ზოგიერთი...ექსცენტრული გარანტიის მიცემა საოჯახო სამართლის ვიწრო წესრიგში მარცხს განიცდის“ (55,228). მაგრამ რეგულაცია საბოლოოდ არაფერს ამბობს, ასევე საოჯახო სამართალი არ იძლევა უმოქმედობის ნებართვასთან დაკავშირებით დასკვნის გაკეთების საშუალებას. ცხადია შუნემანი ორივე შემთხვევაში უარყოფდა სამოქალაქო კოდექსის პირობის დარღვევას, რადგანაც ფლობის კრიტერიუმი, ისე როგორც ეს მას ესმის, კრძალავს გარანტიის მიღებას. თუმცა ამ შემთხვევაში ის არ არის საინტერესო, სადაც საქმე ეხება მხოლოდ იმის დასტურს, რომ შუნემანის ზედმიწევნით განხორციელებულ კონცეფციაში სამართლებრივი ვალდებულების მოთხოვნას შესაძლებელია არჰქონდეს გავლენა გარანტიის პოზიციის დადგენაზე (55,357).

სეკუნდარულობის (მეორადობის) თეორიას ტრადიციულ სამართლებრივი ვალდებულების თეორიის მიღმა არ მივყავართ, და ამიტომაც ისინი საფუძველშივე ამავე არგუმენტით ძალას კარგავენ. გამოყენებისას ის გარკვეულ შედეგებში გადადის, თუ გვსურს, რომ ამას ხელი შევუშალოთ, რასაც შუნემანი, როგორც მინიმუმ გარანტიის საკუთარ თავზე აღებისას ცდილობს, ამას მოვახერხებთ მხოლოდ იმით, თუკი სამართლებრივი ვალდებულების კრიტერიუმს წინარე პოზიციას ჩამოვაშორებთ და ფაქტიურად ძალადაკარგულად გამოვაცხადებთ.

4.5 წინასწარი განზრახვა და მიზანი

I არსებობს კი წინასწარ განზრახული და გამიზნული უმოქმედობები?

A.არმინ კაუფმანმა თავის წიგნში „უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ“ (30,66), არაერთი შესანიშნავი თეზისი ჩამოაყალიბა, თუმცა ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს ის თეზისი, რომელიც გვეუბნება, რომ: „არ არსებობს უმოქმედობის წინასწარი განზრახვა“ (30,201). უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი მიდგომებიდან მხოლოდ ერთი-ველცელის პოზიციაა მართებული. სხვა ავტორები არ ადასტურებენ კაუფმანის თეორიას, უმეტესი მათგანი კი სრულებითაც არ აღიარებს მას. ჩვენ შევეცდებით კიდევ ერთხელ სრულად წარმოვადგინოთ პროდა კონტრ არგუმენტები. უფრო მეტიც, ძირითადად შევეცდებით დისკუსია ახალი პერსპექტივით გავაფართოვოთ, რომლებიც ნეგატიური მოქმედების ცნებას ქმედებისა და უმოქმედობის დოგმატური გაერთიანებით ახსნის.

კაუფმანი თავის თეორიაში ეყრდნობა ორ ძირითად მოსაზრებას. პირველი უნდა მივაკუთვნოთ წინასწარ განზრახვის ვოლუნტატიურ (ნების გამომხატველ), ხოლო მეორე კი ინტელექტუალურ მომენტს (30,75).

1. მიზანდასახული უმოქმედობის საკითხი

პირველი მოსაზრება წარმოადგენს ფინალური მოქმედების თეორიის თანმიმდევრულ დასრულებას, რასაც ველცელის კვალი გასდევს. მოკლედ და შემაჯამებლად რომ ვთქვათ, ის შემდეგში მდგომარეობს: განზრახვა წარმოადგენს მიზანდასახულობას. მიზანდასახულობის ძირითად ქვაკუთხედს ქმნის მიზეზშედეგობრივი პროცესის წარმართველი ნება. ნების გარეშე არ არსებობს მიზანდასახულობა, არ არსებობს განზრახვა, არ არსებობს წინასწარ

განზრახული ქმედებით ჩადენილი დანაშაული (30,91). ასევე შესაძლებელია ვისაუბროთ ნებელობით უმოქმედობებზეც. მაგრამ აღნიშნული ნება არ წარმოადგენს მიზნის დასახვას. უმოქმედო პირიარ მართავს მიზეზ-შედეგობრივ პროცესს, მაშასადამე არ გააჩნია აღნიშნულთან დაკავშირებული ნება. ამიტომაც არ არსებობს მიზანდასახული, წინასწარ განზრახული უმოქმედობა (30,96).

თუკი დავუბრუნდებით წინასწარ მოსაზრებებს, გამოდის შემდეგი: კაუფმანის დაშვება არასწორია. ნების მომენტი დანაშაულის ჩადენისათვის არ შეიძლება იყოს კონსტიტუციური და ის უნდა ჩაცხრეს დანაშაულის შემადგენელი ნაწილების სისტემით, იქ სადაც ყველგან მას პრეტენზია ექნება მოქმედებაზე (30,99).

წინასწარი განზრახვა შემოიფარგლება ცოდნის მხარით. მართალია აქ გაცნობიერებული დაუდევრობის კუთხით. აუცილებელი არ არის საქმე ეხებოდეს იმას,

რაც უმოქმედობის შემთხვევაშიც ფუნქციონირებს, როგორც მაგალითად თანხმობის მომენტი, კალკულირებული მაღალი ალბათობის ხარისხი ან ცნობიერების გარკვეული ინტენსივობა (30,77).

მაგრამ თუკი დაშვება არასწორია, მაშინ შედეგსაც არ ექნება დამაჯერებელი ძალა: ნების მომენტს, რომელსაც დანაშაულის ჩადენის დროს თან ახლავს წინასწარი განზრახვა, არ შეუძლია უმოქმედობის დანაშაულისთვის აღნიშნული მნიშვნელობის მინიჭება.

2. სამართლიანობის არგუმენტი არმინ კაუფმანთან

კაუფმანის მეორე არგუმენტიც პირველის მსგავსად არ არის სუფთა ცნებით-დოგმატური ხასიათის მატარებელი (30,102). მის უშუალო მიზანს წარმოადგენს მატერიალური სამართლიანობა. ცნობიერებას, მიზანდასახულობას, კაუფმანი შემდეგი მიზეზის გამო უარყოფს: უმოქმედობის წინასწარ განზრახვა მხოლოდ მაშინ გვექნებოდა, თუკი უმოქმედო პირი მომდევნო მოქმედებებზე იფიქრებდა და ეცოდინებოდა, რომ მას შეუძლია მისი შესრულება. ამგვარ „ფიქრს“, „აქტიურ ცნობიერებას“, ხშირად ყველაზე მძიმე უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაშიც არა აქვს ადგილი. „სიბრალების გარეშე უყურებს, თუ როგორ იხრჩობა ბიჭი. არანაირი მორალური ნება არ აიძულებს მას, რომ გააცნობიეროს გადარჩენის შესაძლებლობები“. „ავტომობილის მძღოლი არ ფიქრობს იმაზე, შეუძლია თუ არა, ან როგორ შეუძლია დაეხმაროს მისი დაუდევრობის გამო ორმოში ჩაგდებულ მსხვერპლს. ის გახარებულია იმით, რომ ერთადერთი მოწმე კვდება“ (30,109). ამგვარ შემთხვევებში მიუხედავად მძიმე დანაშაულისა არ გამოიყენება

წინასწარ განზრახვის სასჯელის ზომები. მაგრამ საჭიროა კი მათი გამოყენება? მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ადგილი არ ჰქონია უმოქმედობის წინასწარ განზრახვას, საჭიროა „თითქოსდა წინასწარ განზრახვით“ შეფასებული იქნას მსგავსი მძიმე კონსტელაციები. ეს გამოიხატება საჭირო მოქმედების განხორციელების გადაწყვეტილების არ ქონაში, დანაშაულის შემადგენლობის მქონე სიტუაციის გაცნობიერებაში (30,125).

თუმცა აღნიშნული მტკიცებულების მოყვანაც არ არის გადამწყვეტი. ამის საპირისპიროდ შესაძლებელია მოყვანილი იქნას სამი რამ“:

ა) კაუფმანი ყურადღებას არ ამახვილებს იმაზე, რომ დანაშაულის ჩადენის წინაპირობასაც შედეგის თავიდან არიდებადობა წარმოადგენს. რაც გვსურს შეგვიძლია არ გავაკეთოთ და აღნიშნული თავიდან არიდების შესაძლებლობა წარმოადგენს

მიკუთვნების ძირითად მიზეზს (30,130). დამნაშავეს რეფლექსიის საშუალებით გაეცნობიერებინა თავის არიდების უნარი: „მე შემძლია შედეგი, რომლის დადგომაც მსურს, ასევე თავიდან ავირიდო იმით, რომ ნების აქტივობას შევაჩერებ“, ან : „მე ნებისმიერ დროს შემძლია შევწყვიტო, რადგანაც არავინ მაიძულებს ამ მოძრაობის შესრულებას“ (30,135). თუმცა ძალზედ სუსტად ფუნქციონირებს ტრადიციული თეორიისათვის შედეგის მიწერა, იმაზე რომ მან უმოქმედობის წინასწარ განზრახვა გამონაკლისის გარეშე დამოკიდებული გახადოს, რომ უმოქმედო დაფიქრდეს თავიდან არიდების შესაძლებლობაზე. როგორც მინიმუმ იმ შემთხვევებში, როდესაც მოქმედების შესაძლებლობა ისეთივე ბუნებრივია, როგორც დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უმოქმედობის შესაძლებლობა (30,141).

ბ) რამდენად მყარია ნეგატიური მოქმედების ცნებიდან მიღებული არგუმენტი, საეჭვოა, თუმცა მისი ღიად დატოვება შეიძლება, თუკი გამოვლინდება, რომ კაუფმანის მიერ აქტუალური ცნობიერების წინასწარი განზრახვის მოთხოვნა ძირეულ გაუგებრობასთან მოვა შეხებაში (30,147).

თავის ნაშრომში „წინასწარი განზრახვის ცნობიერების ფორმის შესახებ“ პლატცგუმერი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ განზრახვის ინტელექტუალისტური ცნება (როგორც ამას არმინ კაუფმანი წარმოგვიდგენს) „ახალი ფსიქოლოგიის შუქზე“ არ დასტურდება. იმ შემთხვევაში, თუკი წინასწარი განზრახვის თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიის ამ მიგნებას ანგარიშს გაუწევს, საჭირო იქნება წინასწარი განზრახვის „რაციოსგან“ გამიჯვნა (49,37-81-95). ამის თვალსაჩინოდ წარმოდგენას ის ახერხებს კვალიფიცირებული ქურდობის მაგალითზე: ის, ვინც ეკლესიაში ან რკინიგზის სადგურში იპარავს, კვალიფიკაციის ამგვარი ნიშნების თვალსაზრისით მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს წინასწარი განზრახვით, თუ ის მისი დანაშაულის ადგილს მოცემულ მომენტში აცნობიერებს (49,97).

სრულიად სხვა გზით, „სისხლის სამართლის ეზოთერულ ფსიქოლოგიაზე“ ხაზგასმით მიდის იმავე პოზიციამდე ბოკელმანი:

„დამნაშავისათვის საკმარისად არის ცნობილი დანაშაულის ობიექტურ გარებობებზე..., თუკი მან იცის და წინასწარ განჭვრეტს მას. მაგრამ აქტუალური ცოდნა იქნებოდა ის ცოდნა, რომელსაც ის რეფლექსიის საგნად აქცევდა“.

„კონკრეტულ საკითხზე დაფიქრება“ არ არის საჭირო, საკმარისი იქნებოდა ცნობიერების შედარებით სხვა ბუნდოვანი ფორმა (16,87).

როქსინი, რომელიც პლატცგუმერის თეორიას ეთანხმება, უშუალოდ ჩვენ პრობლემას სხვა ფორმით წარმოაჩენს. მძლოლი-ამბობს ის, რომელიც ქუჩის კიდზე მძიმედ დაჭრილს ხედავს და გზას აგრძელებს, ე.ი ვერ შეძლო გაეცნობიერებინა, რომ დამავებული მიატოვა (51,633).

საერთოდ არ არის საჭირო, რომ უმოქმედო დამნაშავემ რეფლექსია გააკეთოს მისგან მოსალოდნელ დახმარების რეაქციასა და მის განხორციელებაზე. ხშირ შემთხვევაში არ შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ დახმარება საერთოდ შესაძლებელია. როქსინი ამბობს, რომ: „როდესაც დახმარება, რომელზეც უმოქმედობის სურვილის მქონე გარანტი არაფრის ფასად არ დაფიქრებულა და შეუძლებელი იყო, სახეზე უნდა იყოს, როგორც წინასწარი განზრახვაც, ასევე ადგილი უნდა ჰქონდეს მცდელობასაც“ (51,634).

იმისათვის, რომ გაცილებით ღრმად შევიდეთ თანაცნობიერის პრობლემატიკაში, ამისაშუალებას არ გვაძლევს ნაშრომის ჩარჩოები. თუმცა ეს არ არის ჩვენთვის საზიანო. ვინაიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ვაპირებთ კაუფმანის წინასწარ განზრახვის ცნების მიღებას, არ უნდა ავყვეთ მას მის მიერ მოთხოვნილ „უმოქმედობის წინასწარი განზრახვიდან რადიკალურ შემობრუნებაში“ (30,151). კაუფმანმა ვერ შენიშნა, რომ წინასწარი განზრახვის მისეულ გაგებას, რომელსაც ის აღიარებულად მიიჩნევს, მის მიერ აღმოჩენილ საქმის საწინააღმდეგო შედეგებს არავითარ შემთხვევაში არ აღმოაჩენს მხოლოდ უმოქმედობის სფეროში. ამისათვის მოვიყვანოთ ერთი მაგალითი : იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე განსაკუთრებულ ადელვებულ მდგომარეობაში სხვის ნივთს დაამსხვრევს, მაშინ კაუფმანი იძულებული იქნებოდა უცხოსთან მიმართებით წინასწარ არსებულ განზრახვაზე უარი ეთქვა, თუკი საკუთრების მიმართებაზე არ დაფიქრდებოდა (30,153).

მართლსაწინააღმდეგო შედეგები მოაქვს, როგორც კაუფმანი ფიქრობს წინასწარი განზრახვის ცნების უმოქმედობებზე გადატანას. მაგრამ თუკი ის, მიუხედავად ყველაფრისა მართებული აღმოჩნდება, მაშინ ქედი უნდა მოვიხაროთ მისი უსიამოვნო შედეგების წინაშე, სადაც კი მათ წავაწყდებით, მათ შორის უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევაშიც (30,157). მაგრამ თუ რატომ უნდა იქნას გამორიცხული ისინი კონკრეტულად გაურკვეველია. ყველაზე ხელსაყრელი მაინც იქნება, თუკი კაუფმანის მიერ წარმოდგენილ უთანხმოებას საბაზად გამოყენებულ წინასწარი განზრახვის ცნებას პლატცგუმერის მოსაზრებით ჩავასწორებთ. თუმცა,

ასეა თუ ისე, რას ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად „დანაშაულის გარემოებების ცოდნა“. „თითქოსდა განზრახვა“ და თითქოსდა ცოდნა“, რაც გაიგება ისე, როგორც განზრახვის არ არსებობა და არ ცოდნა, გამოყენებად ვერ გახდის განზრახვის დასჯას.

B. განზრახ უმოქმედობის უარყოფა გრიუნვალდთან

მოცემულ შემთხვევაში მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ გრიუნვალდის მიერ წარმოდგენილი შეხედულება, რომელიც არ ეთანხმება კაუფმანის მიერ უმოქმედობისგანზრახვის უარყოფას, რადგანაც ის მიმართულია „Dolus directus“ და „Dolus eventualis“- ზე, თუმცა ადასტურებს „წინასწარი განზრახვის ტიპის მიზანს“ (165,413). მისი დასაბუთება:

„მიზანი შეიცავს ნების ელემენტს-სამიზნე განხორციელების ნების თვალსაზრისით, რომელიც ზემოქმედებს გარე სამყაროში ხდომილებაზე. ამიტომაც წინასწარი განზრახვის ეს ტიპი არ შეიძლება არსებობდეს უმოქმედობის სფეროში“. ბუნებრივია არ შეიძლება არსებობდეს გამიზნული უმოქმედობა, თუკი გამიზნულობის ცნებას იმთავითვე ისე განვმარტავთ, რომ ის მხოლოდ დანაშაულის ჩადენაზე იყოს მორგებული. ამგვარად მოქმედებს გრიუნვალდი, როდესაც ის, ისე რომ არ თვლის ამის დამტკიცებას საჭიროდ, გარე სამყაროზე მოქმედ ზემოქმედების შედეგს მიზნის ცნებაში აერთიანებს. თუმცა ის, ვინც ამგვარ არგუმენტებს აყენებს, სინამდვილეში მხოლოდ ამას ამბობს, რომ: წინასწარ განზრახული უმოქმედობები არ შეიძლება არსებობდეს, რადგანაც არსებობს მხოლოდ გამიზნული საქმიანობა (165,415).

თუ ჩვენ გადამწყვეტ შეკითხვას დავსვამთ, რას ნიშნავს სისხლის სამართლებრივად „მიზანი“ (ტექნიკური თვალსაზრისით), დავინახავთ რომ გრიუნვალდის მიერ დაშვებული მისი აქტიური ქმედების გადაჯაჭვულობა- სინამდვილეში არ არსებობს. მიზანმიმართულად მოქმედებს ის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია იმ გარემოების განხორციელება, რომლის წინაპირობადაც კანონი გამიზნულ ქმედებას ასახელებს. ამის თანახმად მიზანს წარმოადგენს ის, რაც „მნიშვნელოვანია“ დამნაშავისათვის. ფორმულა, რომელიც თანაბრად ადვიარებული, როგორც მართმსაჯულებაში, ისე ლიტერატურაში (165,416).

თუკი პარალელურად ასევე ხშირად საუბარია „მიზანზე, როგორც მიზანმიმართულ მოქმედების თვალსაზრისზე“, ეს შესაძლებელია გაგებელი იქნას, როგორც მოქმედების მიზანი, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, რომ უნდა ითქვას: თუკი აქტიური

დამნაშავისათვის რაღაც მნიშვნელოვანია, მაშინ ეს იმგვარად მოქმედებს, რომ ის მიზანმიმართულად აქტიური ხდება. თუმცა კარგად თუ დავუკვირდებით „მიზანმიმართული ქმედების“ მოძღვრებიდან არ გამომდინარეობს ის შედეგი, რომლის მიღებაც გრიუნვალდს სურს (165,412).საკითხის ობიექტური განხილვა ადასტურებს ჩვენ შედეგს. გრიუნვალდის მაგალითებს თუ გამოვიყენებთ, შეუძლებელია იმის დანახვა, თუ რატომ არის შეუძლებელი უმოქმედობის შედეგად სისხლის სამართლის დანაშაულის დაფარვის მიზნით მკვლელობა და გამდიდრების მიზნით თაღლითობა. პირველ ქმედებას ახორცილებს ავტომობილის მძღოლი, რომელიც მივარდნილ ქუჩაზე ფეხით მოსიარულეს დაუდევრობით მძიმედ დააშავებს და არაფერსმოიმოქმედებს (165,414).

თავი V. დაუდევრობა და უმოქმედობა

5.1 უმოქმედობის მომენტი დაუდევრობით დანაშაულში

მოქმედების კონცეფცია, რომელიც ქმედებასა და უმოქმედობას შორის ძირითად განსხვავებას უარყოფს, დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულების თვალსაზრისით განსაკუთრებულ გულისყურს მოითხოვს, რასაც ვერ ვხედავთ წინასწარ განზრახული დანაშაულის შემთხვევაში (64,199). დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში აღიარებულია: კერძოდ ის, რომ მათში არსებობს „უმოქმედობის მომენტი“ მაშინაც კი, როდესაც მათი ჩადენა ხდება აქტიური ფორმით. ეს მთლად უდავო არ არის და ისინი, ვინც აღიარებს უმოქმედობის მომენტის არსებობას, თავს არიდებენ დასკვნას, რომ დაუდევრობის დანაშაულებს დაუმატონ უმოქმედობის მეშვეობით მოქმედების კატეგორია (17,322). ჩვენ შემდგომ მას დაწვრილებით განვიხილავთ. პირველ რიგში, აქ საქმე ეხება იმას, რომ დაუდევარი აქტიური ქმედებისათვის ჩვეული ამბივალენტური სახე ნეგატიური მოქმედების ცნების შუქზე გაცილებით მკაფიოდ და უკეთესად დავინახოთ, ვიდრეეს საერთოდ შესაძლებელია.

წინასწარი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის ჩამდენი პირები დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის ჩამდენებისაგან, მარტივად რომ ვთქვათ განსხვავდებიან იმით, რომ მათ კრიმინალური შედეგის დადგომა არ სურთ. თუმცა აქტივობის შედეგად მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა მათ შემთხვევაშიც ფიქსირდება (48,241). ამიტომ დაუდევრობის, ისევე როგორც წინასწარ განზრახვის შემთხვევაში აქტიური ქმედება, შედეგის მიკუთვნების საწყისად შეიძლება გავხადოთ და დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულების შემადგენლობები გაგებული იქნას, როგორც წმინდა ამკრძალავი ნორმები. უპირველეს ყოვლისა გამიზნული მოქმედების თეორია, დაინტერესებულია იმით, რომ მისი მოქმედების ცნებიდან დანაშაულის, რაც შეიძლება ნაკლები ფორმები წარმოსდგეს (უმოქმედობა ამას ახერხებს აღიარების გზით) (48,243).

დღეისათვის ძალზე გაცნობიერებულად მიუთითებს ნებელობით აქტივობაზე, როგორც აქტიურ ელემენტზე. დაუდევრობის შემთხვევაში შედეგს გააჩნია არა მხოლოდ სამართლებრივი მნიშვნელობა, არამედ უფრო მეტიც „მიზეზშედეგობრივ ელემენტს სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მაშინ, თუკი ის გარკვეული უყურადღებო ქმედების ჩადენის შედეგი, კონკრეტულად კი გამიზნული ქმედების შედეგი“ არის (48,244).

წინასწარ განზრახვისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში შედარებით მარტივი ამოსაცნობია, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ მხოლოდ ეს თეორია არ დგება, როდესაც გარეგანი ქმედების არც შინაარსი და არც მიზანია საინტერესო და, როდესაც უყურადღებობით წინა პლანზე ნეგატივი გამოდის, მაშინ ჩნდება ეჭვი, რომ იქნებ საერთოდ არ არსებობდეს აქტიური ქმედების სისხლის სამართალთან დაკავშირების საფუძველი (64,43).

ამგვარად „უმოქმედობის მომენტში“ დაუდევრობა მეტ-ნაკლებად თვალშისაცემ ნარევის ფორმას კი არ იღებს, არამედ ხდება მისი დოგმატურად გადამწყვეტი არსებით ნიშნის დანახვა, რომელიც დაუდევრობას პრინციპულად უქვემდებარებს უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებს (64,80). ამას გვასწავლიდნენ მაგ. რადბრუხი და გრაფ ცუ დონა. რადბრუხისთვის ყოველი დაუდევრობით ჩადენილი დანაშაული, ისევე როგორც არანამდვილი დაუდევრობისას დანაშაული ქმედების განუხორციელებლობას წარმოადგენდა. განსხვავებას ის მხოლოდ იმაში ხედავდა, რომ უმოქმედობის დანაშაულის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა „გარე“, ხოლო დაუდევრობისას „შიდა“ ქმედებას, კერძოდ კი წინასწარ განჭვრეტადი შედეგის დადგომისათვის საჭირო ნების მოქმედებას (187,427). გაცილებით დეტალური არგუმენტაცია წარმოადგინა ცუ დონამ, როდესაც ის წერდა: „ცნების თვალსაზრისით არსებობს მხოლოდ წინასწარ განზრახული ქმედებები. დაუდევარი ქმედება იქნება „Contradictio in adiecto“. ყველა დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულები სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნიშანს წარმოადგენს სოციალურ თანაცხოვრებაში საჭირო სიფრთხილისა და ყურადღების არ გამოჩენაში (187,428).

აღნიშნული პოზიციიდან ნეგატიური მოქმედების ცნების დიდი გზა აღარ არის დარჩენილი. ამას რადბრუხი-დონას თეორიით მივყავართ ორ პუნქტამდე, რა შემთხვევაშიც დასახელებული ვალდებულებები (ნების გამოხატვა, სიფრთხილე) შედარებით უფრო ვრცელ თავიდან არიდების ვალდებულებაში, მხოლოდ ცალკეულ მომენტებად წარმოჩინდება (რადგანაც ყურადღებით ყოფნა), და მეორე მხრივ კი, წინა პლანზე წამოსწევს იმას, რომ აქტიურად დაუდევარი ადამიანი თავისი უმოქმედობის გარანტად უნდა გამოვიდეს, რადგანაც განმაპირობებელი ფაქტორი მოქცეულია საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროს ცენტრში (187,429). ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: რომ, ყველა დაუდევრობით ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს არა ნებელობით, თავიდან არიდებად და სიფრთხილესთან წინააღმდეგობაში მყოფ გაუფრთხილებლობას, რასაც

ადგილი აქვს გარანტიის პოზიციის ფარგლებში.

II. ორაზროვანი ქცევის ცნების განსაზღვრის მნიშვნელობასთან დაკავშირებით თუკი ყოველი გაუფრთხილებელი ქცევა მისი სამართლებრივი არსის შესაბამისად შესაძლებელია აღქმული იქნას (უფრო ზუსტად, უნდა იყოს აღქმული) უმოქმედობად, მაშინ საქმეში შედეგის აქტიური განპირობების შედეგად არაფერი დაშავდება.

აღნიშნული პრობლემა აქტუალური გახდა გერმანიის ფედერალურისასამართლოს მიერ „ველოსიპედისტის შემთხვევასთან“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით, თუმცა მისი დემონსტრირება ასევე შესაძლებელია შემდეგი სამი ცნობილი მაგალითიდან, კერძოდ „აფთიაქარის“, „თხის ბეწვისა“ და „კოკაინის საქმეებით“. აღნიშნული საქმეების საერთო ძირითად კონსტელაციას წარმოადგენს ის, რომ დამნაშავე არ მოქმედებდა სიფრთხილით და მისი ქმედებით ზიანი მიადგა სამართლებრივ სიკეთეს, რაც მეტ-ნაკლები ალბათობით შესაძლებელია მომხდარიყო მართლზომიერი ქმედების შემთხვევაშიც (186,411). აღნიშნულ შემთხვევებშიც ჩვენთვის საინტერესოა „შესავალი პრობლემა“. დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან იმაზე, რომ წინასწარ უნდა იქნას გამოკვლეული, სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ქმედებას თუ უმოქმედობას, და პრობლემის გადაჭრისათვის წარმოადგენენ ნაწილობრივ ძალზე არასანდო კრიტერიუმებს (18,415).

არტურ კაუფმანსა და შპენდელს „ეჭვით“ დანაშაულის ჩადენა სურთ. ბაუმანი კი გვთავაზობს დამოუკიდებელი მიზეზის მოძიებას და უმოქმედობის დადგენას, თუკი „Causa proxima“ უმოქმედობას წარმოადგენს (15,188). ზოგიერთი გადაწყვეტილებას იღებს იმის საფუძველზე, თუ რომელი ქცევის ფორმის შემთხვევაში აქვს ადგილი „ძირითად საკითხს“, ან სად მდებარეობს „წინასწარ განსჯის ძირითადი პუნქტი“, ან „რის წინააღმდეგ არის მიმართული სამართლებრივი პრეტენზია“ (15,191).

შმიდჰოიზერისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია „პატივისცემის მოთხოვნას“, რომელიც მომდინარეობს სამართლებრივი სიკეთიდან. უმოქმედობით ზიანი ადგება სამართლებრივ სიკეთეს, თუკი დამნაშავე უგულვებელყოფს პატივისცემის მოთხოვნას, გაუწიოს ობიექტს სამსახური. იმ შემთხვევაში თუკი ის ჩარევას არ განახორციელებს, მაშინ უნდა გამოვიდეთ დანაშაულიდან. სხვა თვალთახედვის თანახმად განმსაზღვრელია ქმედების „სოციალური აზრი“ და ყოველთვის ემატება „სუბსიდიარულობის თეორია“, რომლის თანახმადაც უმოქმედობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ხელჩასაჭიდი, თუკი სახეზე არა გვაქვს მიზეზ შედეგობრივად დაუდევრობით

განხორციელებული პოზიტიური ქმედება (64,82). მაგრამ თუ რა გზით მივდივართ აღნიშნულ მოსაზრებამდე, სახელდება ორი მეზეზი:

პირველი ეს არის გარანტის ვალდებულების მოთხოვნა. მაურახმა განმარტებისათვის შემდეგი მაგალითი შექმნა : „A აძლევს B-ს ტიფით დაბინძურებულ ტერიტორიაზე ერთ ჭიქა წყალსდასაღევად, ისე რომ ის წინასწარ არ არის გადადუღებული და B არ გაუფრთხილებია ამის შესახებ“. თუ დავუშვებთ უმოქმედობით დანაშაულს, ამოვობს მაურახი, მაშინ A ზრუნვის ვალდებულების არ არსებობის გამო არ შეიძლება დაისაჯოს (42,582). ამასთან: ის, ვინც მოცემულ შემთხვევაში უმოქმედობაზე ილაპარაკებს, მხედველობაში უნდა მიიღოს A-ს სრული უმოქმედობა. ვინაიდან ეს B-ს სიკვდილის თავიდან არ არიდებაში მდგომარეობს და A მისი აქტივობის დამაზიანებელი ზემოქმედება, როგორც გარანტმა, თავიდან უნდა აირიდოს, ის შეიძლება დაისაჯოს არა სათანადო მზრუნველობის გამოჩენის გამო (42,585). საქმე ძირეულ გაუგებრობასთან გვაქვს, როდესაც როქსინს თამაშში შემოაქვს მისი სუბსიდიარულობის თეორია:

„დაუდევრობის, როგორც უმოქმედობის ელემენტის მეშვეობით თეორიულად შეგვეძლო სრულიად გამოგვერიცხა დანაშაულის დაუდევრად ჩადენა, რა შემთხვევაშიც მოქმედებაში აზრს ნაკლებად ჩავდებით. ამის შედეგად დაუდევარი ქმედებებისთვის პასუხისმგებლობა გარანტზე შეიზღუდებოდა“ (186,431).

ის, ვინც უმოქმედობის თეორიას თანმიმდევრულად ბოლომდე მისდევს, შეუძლია გვაჩვენოს, რომ დამნაშავე, თუკი ის, როგორც ეს ოთხ საწყის მაგალითშია- შედეგს პოზიტიური ქმედების შედეგად აყენებს, ყველა შემთხვევაში გარანტს წარმოადგენს.

უეჭველია მოქმედებისა და უმოქმედობის კვალიფიკაცია მნიშვნელოვანი უნდა იყოს მიზეზშედეგობრივი თვალსაზრისით. ეს დასაბუთდება შემდეგნაირად:

თუმცა შედეგის ყველა აქტიური განპირობება არ გამოდგება დანაშაულის გარემოებად. ის, ვინც საკუთარი ნავით შორს წავა, რათა მოგვიანებით შეუძლებელი გახდეს ცუდი მოცურავისთვის დახმარების აღმოჩენა, მკვლელობას ჩადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის გარანტსაც წარმოადგენს. გარანტის თვითკონტროლის ვალდებულება მოცემულ შემთხვევაში არ ასაბუთებს დანაშაულის ამსრულებლობას, რადგანაც ის ძალზე სუსტია მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი განხილვით შეფასებისას (186,445). სად ექმნება დაბრკოლება შეფასებას, ბუნებრივია პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია, თუმცა ის შეეხება სხვა კონსტელაციას და არა ტექსტში

აღწერილს, რომელშიც ნორმალური (საკმარისი „ზომის“) მიზეზ-შედეგობრივი კონტექსტია წარმოდგენილი.

ყველა შემთხვევაში დადგენილია, რომ დამნაშავეს პოზიტიური ქმედება შედეგის *Conditio sine qua non*-ს წარმოადგენს, თუ პირიქით უმოქმედობის დანაშაულიდან გამოვალთ, მაშინ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შემოწმება სასჯელისაგან გათავისუფლებამდე მიგვიყვანს. უმოქმედობა სამართლებრივი თვალსაზრისით მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზეზ-შედეგობრივი, თუკი მოთხოვნილი მოქმედების განხორციელებას შეუძლია გარანტირებულად თავიდან აგვარიდოს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგი (64,82). მოცემულ შემთხვევაში კი სრულიად შესაძლებელია, რომ შედეგი დადგებოდა კონკრეტული ქცევის დროს, ე.ი დადგენილი დისტანციის გადალახვის მიუხედავად, მედიკამენტის ხელახალი მიწოდების დროს ექიმთან კონსულტაციის მიუხედავად, თხის ბეწვის წინასწარ დადგენილი დეზინფექციის მიუხედავად და კოკაინის ნაცვლად ნოვოკაინის მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენების მიუხედავად (64,85). თუმცა ესეც არ არის ასევე მყარი. შეცდომა, რომელსაც ეფუძნება სხვადასხვა შედეგები, მდგომარეობს იმაში, რომ ვითვალისწინებთ მთლიან ხდომილებას, როდესაც მოწმდება აქტიური ქმედების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მაგრამ როგორც კი ყურადღება გადავა უმოქმედობის პერსპექტივაზე, მაშინვე მივმართავთ გარკვეულ ნაწილს. არასწორია ასევე მეორეც. იმ შემთხვევაში, თუკი მაგ. ველოსიპედისტის შემთხვევაში სატვირთო მატარებლის მემანქანის ქცევას უმოქმედობის კვალიფიკაციას მივცემთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ დამნაშავემ არა მხოლოდ არ იმოქმედა იმისათვის, რომ დაეცვა მოთხოვნილი დისტანცია : მან თავიდან არ აირიდა ველოსიპედისტის სიკვდილი, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს შეეძლო. კერძოდ დამუხრუჭებით ან შემოვლითი გზის გავლით (64,88).

თუკი ამას არ მივაქცევთ ყურადღებას და თვალსაწიერს შევზღუდავთ უყურადღებობის ნაწილობრივი მომენტით-წინასწარ დადგენილი დისტანციის არ დაცვა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში აქტიური ქმედების ნორმის დამრღვევი ნაწილი, მ.შ ნებადართული დისტანციის შემოკლება შეგვემოწმებინა მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით. ამგვარად წარმოიქმნებოდა თანხვედრა და სავარაუდოდ არასწორი თანხვედრა, ვინაიდან მიზეზ-შედეგობრივი უარყოფით (მაგ. თავიდან არიდების ფაქტიური შესაძლებლობით) თავს ავარიდებთ აღნიშნული გარემოებების პრობლემატიკას და ვერ შევძლებდით მათ გადაჭრას.

ჩვენი შედეგი შემდეგნაირია : ორმაგი მნიშვნელობის ქცევების შეფასება მოქმედებად და უმოქმედობად მოჩვენებით პრობლემას წარმოადგენს. საგნობრივად მასზე არ არის დამოკიდებული, თუკი კონკრეტულ შემთხვევაში შერჩეულ თეორიას თანმიმდევრულად ბოლომდე მივიყვანთ

5.2 .გარანტის მოვალეობა და ზრუნვის ვალდებულება

A ზოგადი საკითხები

ტრადიციულად ზრუნვის მოვალეობა გაიგება მხოლოდ დაუდევრობის დანაშაულის თანმხლებ ცნებად მაშინ, როდესაც ვალდებულებას ასევე მხოლოდ და მხოლოდ არანამდვილ უმოქმედობის დანაშაულს მივაკუთვნებთ. დაუდევრობით ჩადენილი უმოქმედობის დანაშაული ჩვენს წინაშე სვამს კითხვას, თუ რა ურთიერთობაშია ერთმანეთს ეს ორი ვალდებულება. იქნებ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა გამოვლინებასთან? და ამიტომ ორივე მოვალეობა ერთმანეთში გადადის იქ, სადაც დანაშაულის ორივე ტიპი, რომელთაც ისინი განეკუთვნება, ერთიანდება? სხვადასხვა ნაშრომებში არსებობს მოსაზრებები, რომლებიც აღნიშნულ მიდგომას იზიარებს. ნიზემ მაგ. დაუშვა შესაბამისობის მიმართება : „გარანტის ვალდებულება შეესაბამება ზრუნვის მოვალეობას, რომლის მიზეზიცა და მოცულობაც ყოველთვის გამომდინარეობს დამნაშავის შესაბამისი ქმედებიდან (47,62). იეშევი გვასწავლის, რომ დაუდევრობით ჩადენილი შერეული უმოქმედობის დანაშაულის შემთხვევაში „გარანტის ვალდებულება დაობიექტური ზრუნვის მოვალეობა ერთმანეთს ემთხვევა....(27,421), ასევე გალასიც თვლის, რომ „გარანტის ვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხი მოცემულ შემთხვევაში ემთხვევა ობიექტურ ზრუნვის მოვალეობას“, და რომ „დაუდევარი უმოქმედობის დანაშაულის სფეროში გარანტის ვალდებულება ზრუნვის მოვალეობას წარმოადგენს“. იგივე აზრს მოიცავს კონცეფციაც, რომელსაც როქსინი ავითარებს თავის ნაშრომში „დანაშაულის ამსრულებლობა და დაუდევრობით ჩადენილ დანაშაულებში თანამონაწილეობა“ (52,527). მის მიხედვით ვალდებულებები ერთმანეთს იმდენად შეესაბამება, რამდენადაც ორივე მათგანი დანაშაულის ამსრულებლობის კრიტერიუმს განდევნის და ყველა ვალდებულების დამრღვევს დამნაშავედ გახდის, მიუხედავად სხვათა შესაძლო შედეგთან მიმართებით მონაწილეობისა, რაც მან აქამდე შერეული უმოქმედობის დანაშაულებისათვის აღწერა. რაც შეეხება ასევე მოქმედი სამართლის დაუდევრობით ჩადენილი

დანაშაულის შემადგენლობებს: ისინი წარმოადგენენ „ვალდებულებით დანაშაულებს“ (52,535). პერსონალური ელემენტი, რომელიც დაუდევრობის დანაშაულის ჩამდენს დროის რომელიმე მონაკვეთში მიზეზშედეგობრივი პროცესის მსვლელობაში ჩართული ადამიანების უკონტროლო რაოდენობიდან გამოყოფს, ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ობიექტური ვალდებულების დარღვევას“ (52,537).

ჩვენს ამოსავალ წერტილს კი, პირიქით, წარმოადგენს ორივე ვალდებულების მკაცრი გამიჯვნა. გარანტის ვალდებულება გარანტიის მიცემიდან გამომდინარე სპეციალურ-სოციალურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს ამ კონკრეტული შემთხვევისათვის. ზრუნვის ვალდებულება მიუთითებს გარანტის (და მხოლოდ გარანტის) ვალდებულებაზე, ამის თავიდან არიდების მიზნით გარკვეული მოცულობით ზრუნვის განხორციელებასთან დაკავშირებით (52,527). ის, რომ დაუდევრობით ჩადენილი შერეული უმოქმედობის დანაშაულის შემთხვევაში ერთი ვალდებულება მეორეს „ემთხვევა“ სადავო არის, უფრო მეტიც ამ შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ ისევე, როგორც ქმედების ჩადენით დანაშაულების შემთხვევაში. თავდაპირველად უნდა შემოწმდეს ზიანის ხდომილება საერთოდ შედის თუ არა იმ პირის პასუხისმგებლობის სფეროში (გარანტის ვალდებულება), რომელიც მხედველობაში მიიღება, როგორც მიკუთვნების სუბიექტი. თუკი ეს ასე არ არის (რადგან ეს ადამიანი არც აქტიური განმპირობებელია და არც გარანტს წარმოადგენს), მაშინ შემოწმება დასრულებულია. იმ შემთხვევაში, თუკი პასუხისმგებლობა სახეზეა, მაშინ უნდა დაისვას შეკითხვა, დაარღვია თუ არა გარანტმა თავისი ობიექტური ზრუნვის ვალდებულება? თუკი ესეც ემთხვევა, მაშინ იხსნება გზა დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის შემოწმებისათვის (52,458). თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ერთი კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე: პატარა ბავშვი თამაშის დროს ოთახის ფანჯრიდან გადმოვარდება და დაიღუპება. გვერდით სამზარეულოში დედაა, რომელსაც არაფერზე წარმოადგენა არა აქვს, ელაპარაკება მეზობელს. არც ერთმა ქალმა ხელი არ შეუშალა ბავშვის სიკვდილს და ამიტომ თავდაპირველად განიხილებიან დაუდევრობით უმოქმედობის ფორმით ჩადენილი მკვლელობის მონაწილე პირები (52,527). როდესაც მეზობელი გარანტის ვალდებულების არ არსებობის გამო საქმეს ჩამოსცილდება, დედის მიმართ გარანტის მოსაზრებიდან განიხილება მიკუთვნება. თუმცა ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება იმაზე, რომ დაღუპვის შედეგი მას უსამართლოდ მიეკუთვნა. ამასთან დაკავშირებით გამამართლებელი მიზეზების პარალელურად გადაწყვეტილება მიიღება ობიექტური ზრუნვის მასშტაბიდან გამომდინარე, რომელიც

ყოველთვის გვეუბნება ერთს: სად გადის ნებადართული რისკის ზღვარი. აღნიშნული ზღვარი ჩვენს მაგალითში არ არის ცალსახად გადალახული.

B. როქსინის კონცეფცია დაუდევრობით ჩადენილ დანაშაულებსთვის

1. ობიექტური ზრუნვის ვალდებულების დარღვევა წინასწარ განზრახული დანაშაულების შემთხვევაში.

როქსინი ვარაუდობს, რომ „ობიექტური ზრუნვის ვალდებულების დარღვევა შედეგიანი დანაშაულების შემთხვევაში უბრალოდ დანაშაულის ამსრულებლობას ასაბუთებს, რომლის პარალელურადაც იგივე ვალდებულების დარღვევით შესაძლებელია, ასევე დაუდევრობით ჩადენილი თანამონაწილეობა, რომელიც საქმისდა მიხედვით არასოდეს უნდა იყოს დასჯადი“ და „ყოველთვის მხოლოდ თეორიულ არსებობას უნდა ამტკიცებდეს“ (52,570). ეს რომ მართებული იყოს, მაშინ წინასწარ განზრახული შედეგის განპირობებაზეც იგივე უნდა მოქმედებდეს. რადგანაც ამგვარი დანაშაულები დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულებისაგან განსხვავდება მხოლოდ გრადუალურად, და კერძოდ იმით, რომ წინასწარ განზრახვით შედეგის განმაპირობებელი „ითვალისწინებს“ შედეგის დადგომას (52,573). წინასწარ გამიზნული მკვლელობის წაქეზება როქსინისათვის მხოლოდ თეორიულად არსებობს. ის, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად არსებული მზრუნველობის ვალდებულების დარღვევა პირველ რიგში დანაშაულის ამსრულებლობა იქნებოდა და უშუალოდ დაექვემდებარებოდა მკვლელობის ჩადენის ნორმას. დამნაშავეებს შორის შეთანხმების ცნება, რომელიც როქსინს ასე დამაჯერებლად გამოაქვს ამსრულებლობის კრიტერიუმის დახმარებით ამ სისტემიდან, კვლავ შეიჭრება ვალდებულებით დანაშაულის უკანა კარიდან (52,577).

როქსინს, რომელსაც ამგვარი არამდგრადი შედეგი ვერც გამოაქვს და ვერც ხედავს მას, შეეძლო დაყრდნობოდა აბსოლუტურად დამკვიდრებულ თეორიას. აღნიშნული თეორია კი წინასწარ განზრახვას არ განიხილავს, როგორც დაუდევრობას ყველა მისი ელემენტით. ამის ნაცვლად ის ამტკიცებს, რომ დანაშაულის ორივე ტიპს შორის არსებობს „მიმართება...განსხვავებულობა, შეცდომა ან საერთოდ წინასწარ განზრახვას და დაუდევრობას გააჩნია „კანონიერი ხასიათი“ (52,581). სწორედ აქედან აიხსნება ის თვალშისაცემი ფაქტი, რომ წინასწარ გამიზნული დანაშაულების დროს ან ვალდებულებითი სამართლის წინაპირობებში „ასე იშვიათად სახელდება ობიექტური

ზრუნვის ვალდებულების დარღვევა (52,585).

ამასთან გავრცელებული თეორია არ არის მართებული. უკვე პირველივე მიმოხილვაც კი მის წინააღმდეგ მეტყველებს. როგორ შეიძლება გაცნობიერებული დაუდევრობის განპირობებულ წინასწარ განზრახვაში გადასვლის ფონზე, ერთი მეორისგან არსებითად განსხვავებული იყოს? (16,52).

ხომ ცხადია, რომ ერთადერთი განსხვავება განზრახ დამნაშავის იმ ცნობიერების მაღალ ხარისხში მდგომარეობს, რომ ის არ ასრულებს იმ ობიექტურ ზრუნვის ვალდებულებას, რომელსაც არღვევს დაუდევარი პირი. ის, ვინც მაგ. ხალხით სავსე ქუჩაში მის ირგვლივ ყველა მხარეს ისვრის, ყოველ ჯერზე ლახავს დასაშვები რისკის საზღვრებს, მის მიერ ამ საზღვრების პატივისცემა არ გამოიხატება იმთ, რომ მას ადამიანების მოკვლა უნდა (52,587).

წინასწარ განზრახული დანაშაულის შემთხვევაში არა თუ არსებობს ზრუნვის ვალდებულება, ის კონსტიტუციურიც კი არის. ეს ძალზე ნათლად დაინახა ჯერ კიდევ კრაუსმა. მასთან ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „არ არის სადავო ის, რომ შედეგი მოქმედ პირს უკვე მაშინ მიეკუთვნება, როდესაც ის განხორციელების ნების რეალიზაციად წარმოადგენს და როგორც დამნაშავის ნების შედეგი წინასწარ დასაჩინო იყო. უსამართლობასთან დაკავშირებული პრეტენზიის საგანი თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში ხდება შედეგი იმ წინაპირობით, რომ მართლწესრიგი დამნაშავის პირადი შეხედულებებისა და მოტივებისგან დამოუკიდებლად კონკრეტულ სიტუაციაში სხვაგვარად ქმედებას მოითხოვდა, რაც მამასადამე ნებელობით ქცევას სხვაგვარად წარმოადგენს ვიდრე ობიექტური ზრუნვის ვალდებულების დაზიანებას“ (174,48).

საგნობრივი შედეგით თავად როქსინიც ამ პოზიციას იზიარებს: „მოქმედებები, რომლებიც დაცული სამართლებრივი სიკეთისთვის არ ქმნიან ან მხოლოდ დასაშვებ საფრთხეს ქმნიან, ობიექტურად ვერ განიხილებიან როგორც შედეგისკენ გამიზნულად მიმართული ქმედებები. ამგვარად მართლწესრიგის პოზიციიდან არა რელევანტურია სუბიექტურად ამისკენ მიმართული ნება და არ ასაბუთებს შედეგის კუთვნილებას (52,530). ქირურგი, რომლის პაციენტიც უნაკლოდ *Lege artis* ჩატარებული ოპერაციის მიუხედავად გარდაიცვლება, ასევე სჩადის მოკვდინების ქმედებას, თუკი აღნიშნული შედეგი შეესაბამებოდა მის მიერ მოკვლის ნებას“. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოკვლის ქმედების კანონთან წინააღმდეგობრიობა (და არა თავად მოკვლის ქმედების) შეიძლება იქნას უარყოფილი. ეს ჩვენს მიდგომას შეესაბამება. იმას, რომ როქსინი შედეგებს, რომლებიც მისი დანაშაულის თეორიისათვის აღნიშნული

მოსაზრებიდან ვითარდება ამის შემდგომ ხედავს, ბუნებრივია ვერ მივიღებთ (52,537).

რადგანაც ამ კონტექსტში დანაშაულის ამსრულებლობის შესახებ წიგნში, რომელიც ახლა ციტირებულია, არსებული კონტექსტისგან განსხვავებით, ობიექტური ზრუნვის ვალდებულების დარღვევისგან გამოყოფილია დასაშვები რისკი. ძმისშვილი, რომელიც სულიერად დაავადებულ ბიძას, რომლის მემკვიდრეც არის ის, სასიკვდილოდ უბედური შემთხვევის იმედად ჩასვამს თვითმფრინავში და ამის შედეგად ფაქტიურად უზრუნველყოფს მის სიკვდილს. ისამის გამო არ ჩადის უმართლობას, ვინაიდან ის ბიძის სიცოცხლეს არ აყენებს დაუშვებელი რისკის ქვეშ. აქ მოცემული თეორია არ ადასტურებს დანაშაულის ამსრულებლობას (170,98), მიზეზშედეგობრივი კავშირის ალბათობის სრულ გამორიცხვას, შედეგის ობიექტურად გამიზნულობასა და სხვა კრიტერიუმებს (48,73). თუმცა აღნიშნული კრიტერიუმები ზუსტად არ მიდის გადამწყვეტ პუნქტამდე და კერძოდ იმიტომ არა, რომ ყველა მათგანი გამიზნული შედეგის ყოველგვარ ფასეულობას მოკლებულ ალბათობას ემყარება და ამდენად მათ რისკის ნებადართულობის გადამწყვეტი ნორმატიული მომენტი აკლია. ცხადია ამაში არსებით როლს თამაშობს შედეგის ალბათობის ხარისხი, თუმცა ის ცალსახად გადამწყვეტი არ არის. თვალსაჩინოდ შეგვიძლია წარმოვადგინოთ ყოველივე ეს ორი საქმის გარემოებების შედარებით:

1. A უმიზნებს B-ს, სასიკვდილო გასროლის საფრთხე თითქმის გამორიცხულია, რადგანაც A ცუდი მსროლელია, ხოლო B თითქმის გასულია იარაღით გასროლილი ტყვიის მოხვედრის არეალიდან. ხდება სრულიად დაუჯერებელი შემთხვევა, B-ს ხვდება ტყვია და კვდება.

2. A რინგზე მძიმედ ნაცემ მეტოქეს B-ს არტყამს სახეში. მისი მიზანია B-ს სიკვდილი, თუმცა ის ამავდროულად ორთაბრძოლის წესებს ზედმიწევნით იცავს. B ეცემა და კვდება, როგორც იქამდე ბევრი მომკვდარა, თავის ტვინის დაზიანებით.

პირველ შემთხვევაში A დამნაშავეა წინასწარ განზრახულ მკვლელობაში. მიზანში ამოღებული სროლა ადამიანზე წარმოადგენს საფრთხის შექმნას, რომელიც მიუღებელია მართლწესრიგისათვის. კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად დაბალიც არ უნდა იყოს შედეგის ალბათობა. ამასთან ადამიანის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება კრივის რინგზე სპორტული თვალსაზრისით უნაკლო დარტყმებით-არ ისჯება. მიუხედავად იმისა, რომ მეორე შემთხვევაში B გაცილებით მაღალი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა, ვიდრე პირველ შემთხვევაში, A-მ მეორე შემთხვევაში არ განახორციელა მართლ-

საწინააღმდეგო ქმედება, რადგანაც ყველაფერი მოხდა დასაშვები რისკის ფარგლებში. ის, რომ მას B-ს მოკვლა უნდოდა, არ არის მნიშვნელოვანი. რადგანაც, როგორც კრაუსი მართებულად აღნიშნავს „ყველა თავისუფალია იმაში, რომ მისდიოს თავის უსინდისო მიზნებს მანამ, სანამ ის იცავს ობიექტური ზრუნვის ვალდებულების საზღვრებს“ (174,48). იგივე შემთხვევის შეფასება (შედეგის იგივე ზომის ალბათობით) მაშინვე შეიცვლებოდა, თუკი კანონმდებელი სხეულისა და სოცოცხლის დაცვას ისე გააფორმებდა, რომ A-ს ქმედება აღარ დაიფარებოდა და ამას ის შემლებდა იმ ნორმის შემოტანით, რომ ცალსახა დამარცხებულ მოწინააღმდეგისათვის დარტყმები უნდა შეწყდეს. ამგვარად მეორე შემთხვევაში A ჩაიდენდა წინასწარ განზრახულ მკვლელობას (174,53).

კიდევ უფრო დამაჯერებელია როქსინის მეორე მაგალითი: ქირურგი, რომელიც ოპერაციას ატარებს *Lege artis* და ამასთან იმედი აქვს, რომ პაციენტი მოკვდება. ამგვარი ქმედება არ შეესაბამება ექმის მზრუნველობის ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ სასიკვდილო შედეგის დადგომის ალბათობა არ გაზრდილა (52,545).

იმ შემთხვევაში, თუკი ობიექტური ზრუნვის ვალდებულების დარღვევა გახდება წინასწარ განზრახული სისხლის სამართლის დანაშაულის განუყოფელი წინაპირობა, შეიძლება აღარ იყოს მართებული ის, თუკი როქსინი აღნიშნულ ვალდებულებას „არასისხლისსამართლებრივ სპეციალურ ვალდებულებად“ ჩათვლიდა, რომელიც ზიანის მიმყენებელს პრინციპულად მკვლელად აქცევს.

2. ვალდებულების კრიტერიუმი დაუდევრობის დროს

თუკი როქსინი ვალდებულების კრიტერიუმის დახმარებით მართულ შედეგებამდე მიდის, და ეს ერთის მხრივ დამოკიდებულია იმაზე, რომ დაუდევრობით დანაშაულის ჩადენის ამსრულებლობა ქმედების შემადგენლობის არასაკმარის პირობებში დაუდევრობით თანამონაწილეობის ფუნქციებში გარკვეულ საზღვრებს მოაქცევდა, მეორე მხრივ კი იმაზე, რომ როქსინი კრიტიკულ შემთხვევებში შედეგების გამო თავის მაშტაბებს თანმიმდევრულად არ იყენებს, ისე რომ ამას ვერც კი ამჩნევს. ეს უკანასკნელი მას მხედველობის მიღმა რჩება (52,546).

ა) ლამპე, რომელიც რეგრესის აკრძალვის თეორიას მართებულად მიიჩნევს, ამასთან დაკავშირებით აცხადებს: „იმ შემთხვევაში, თუკი ვიღაც შემთხვევით დატენილ რევოლვერსსხვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას დადებს და მეორე ადამიანი ამ

რევოლუციით საკუთარ თავს დააზიანებს, დასჯადია იარაღის მფლობელი დაუდევრობით მკვლელობის გამო, თუკი მისი ქმედება-ექსტენსიური თეორიის თანახმად-შეფასდება, როგორც დანაშაულის ამსრულებლობა და არა როგორც დახმარება“ (1175,613). როქსინი უბრუნდება ამ წინადადებას და მიიჩნევს, რომ მას გაბატონებული „არსებული დამნაშავის ცნებიდან“ გამომდინარე ...“ბევრი არაფრის დაპირისპირება შეუძლია“. რადგან, „თუკი მხედველობაში მივიღებთ წინასწარ განჭვრეტადობას, სრულიად შესაძლებელია სახეზე გვქონდეს თავიდან არიდებადი განპირობება“ (52, 545-546). ვინაიდან ის რეგრესის აკრძალვას უარყოფს, ის ცდილობს ვალდებულების პრინციპის შედეგის თავიდან არიდებას (წინასწარ განზრახულ თვითმკვლელობაში მონაწილეობის გამო) საკითხის მართებული გადაჭრა გამოიყვანოს „დანაშაულის ამსრულებლობის ვალდებულებების კრიტერიუმიდან. მ.შ მკვლელობა ანუ სიკვდილის გამოწვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოექცეს სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში, თუკი მართლწესრიგი თითოეულ ადამიანს დააკისრებს ვალდებულებას, მისი ქცევა იმგვარად წარმართოს, რომ ის არ გახდეს სხვა ადამიანის თვითმკვლელობის მიზეზი. ის, რომ ამგვარი ვალდებულება ...არ არსებობს, ცალსახად არ გამომდინარეობს თვითმკვლელობის წაქეზებისა და დახმარების დაუსჯელობიდან (52, 547).

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: მართალია, შესაძლებელია არსებობდეს მართლწესრიგი, რომელიც თავისუფლად გადაწყვეტილ სუიციდში მონაწილეობას ვალდებულების საწინააღმდეგოდ არ აცხადებს, თუმცა ჩვენი მართლწესრიგი ამგვარი არ არის. უნდა გვახსოვდეს, რა იფარება როქსინის მტკიცების მიღმა : რომ რაღაც, რადგან ის ვალდებულებას არ ეწინააღმდეგება ნებადართული და მართებულია. მძიმე სულიერ მდგომარეობაში მყოფს, რომელიც შესაძლოა მხოლოდ ადამიანურ მხარდაჭერას საჭიროებდეს, გამართული იარაღის დაუდევრად შენახვა სიკვდილისკენ უბიძგებს (52,548). ეს ვერ თავსდება სამართლებრივი სისტემის აბსოლიტურ რანგში, რომელიც მას ადამიანებმა მიანიჭა. მისი უგულებელყოფა ასევე შესაძლებელია პოზიტიური სამართლიდან. ვინაიდან თუკი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ნებაყოფლობითი სიკვდილისათვის პირობების შექმნ აუკანონობას წარმოადგენს, მაშინ უმნიშვნელო თანამონაწილეობის ფორმები არ შეიძლება წარმოადგენდეს საპირისპიროს. სისხლის სამართალი აქედან ასკვნის, რომ წინასწარ გამიზნულ სიკვდილში თანამონაწილეობა დანაშაულის შემადგენლობისათვის ტიპიური არ არის

და ამდენად არ არის დასჯადი. უნებლიე თანამონაწილეობის ვალდებულების შესაბამისობასთან დაკავშირებული დასკვნა, რომელსაც როქსინი აკეთებს, არ არსებობს. აბსოლუტიზირებული ვალდებულების კრიტერიუმი, პირიქით გვაიძულებდა, რომ მოყვანილ მაგალითში რევოლვერის პატრონს წავუყენოთ ბრალი დაუდევრობით ჩადენილი მკვლელობისათვის (52,546).

ბ) სხვა ადგილას როქსინი საუბრობს იმ სირთულეებზე, რომლებიც გამომდინარეობს წინასწარ განზრახული თანამონაწილეობის დაუსჯელობიდან. ის, რომ დაუდევრობის მიხედვით „წინასწარ გაუთვალისწინებელი შედეგი დასჯადი“ შეიძლება ყოფილიყო, „მაშინ როდესაც იგივე სამართლებრივი სიკეთის წინასწარ განზრახული დაზიანება დაუსჯელი რჩება“, როქსინს არ სურს გამოეხმაუროს. გამოსავალი შესაძლებელია შემოგვთავაზოს არა რეგრესის აკრძალვამ, არამედ სამართლის დარღვევის განსაკუთრებულობაზე მისადაგებულმა ვალდებულების კრიტერიუმმა: არ არსებობს იმგვარი ზრუნვის ვალდებულება, რომლის თანახმადაც საკუთარი ქმედება სხვისი წინასწარ გამიზნული გადაცდომის სასარგებლო იქნებოდა, თუკი ვიღაც ფლობს ფოიერვერკს, მას ყველა შემთხვევაში გააჩნია ვალდებულება ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ ფოიერვერკი არ ააღდეს საკუთარი ან სხვისი უყურადღებობის გამო (52,547).

სხვადასხვა გამონათქვამები მიუთითებს იმაზე, რომ როქსინს ვალდებულების დარღვევის საკითხი შეზღუდულ-დანაშაულის შემადგენლობაზე მიმართულ აზრით სურს წარმოადგინოს, კერძოდ კი იმ კუთხით, „თუ რომელი ქმედებები ექვემდებარება აზრობრივად ცალკეული სასჯელის პირობებს და ამდენად შესაძლებელს ხდის დანაშაულის ამსრულებლობის დასაბუთებას“ (52,548). ეს ნამდვილად, რომ ყოფილიყო ნაგულისხმევი, მთელი არგუმენტაცია ჩაკეტილი წრიდან გავიდოდა და ასეთ სახეს მიიღებდა: დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად იქცევა ის, ვინც არღვევს ზრუნვის ვალდებულებას, მოვალეობის დარღვევა კი არის მხოლოდ იმგვარი ქცევა, რასაც შესაძლებელია გონივრულად მიეცეს დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიკაცია. სადაც ამას გზად ეღობება Argumentum a fortiori, სახეზე არ გვაქვს მოვალეობის დარღვევა, როგორც ამას წინასწარგამიზნული გადაცდომის განუზრახავ შემთხვევაში ხვდებით.

იმ შემთხვევაში, თუკი როქსინის კრიტერიუმს აზრობრივი წონა გააჩნია, საჭიროა მისი სიტყვა- სიტყვით მიღება. ამის შემდგომ მივიღებდით მტკიცებას, რომ წინასწარ განზრახული გადაცდომების თავისდაუნებურად ხელშეწყობა ნებადართულია. მაგრამ

ეს საგნობრივად მცდარი იქნებოდა, რადგანაც ამგვარი ხელშეწყობის არიდების მიზნით სამართლებრივი ზრუნვის ვალდებულებაზე უარის თქმა შეუძლებელია (52,548). მეზობლისათვის, რომელიც ყოველ დამე წუხდება არ უნდა არსებობდეს სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები და გზები, რათა იმოქმედოს ფოიერვერკის ფლობელის წინააღმდეგ, რომელიც უხეში დაუდევრობით მოზარდებს მუდმივი სპექტაკლის მოწყობის საშუალებას სთავაზობს. მაშასადამე ვალდებულების კრიტერიუმს არ გავყავართ აქ წარმოდგენილი თეორიიდან. მას როგორც ექსტენსიური დამნაშავის ცნებას მივყავართ ისეთი წინასწარ განზრახვის გარეშე არსებული ქცევების დასჯადობამდე, რომლებიც წინასწარ განზრახულიც რომ ყოფილიყო მაინც დაუსჯელი დარჩებოდა (52,548).

როქსინს უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ ეს უსამართლო შედეგებია, მაგრამ მათი თავიდან არიდება მარტივად იქნება შესაძლებელი, თუკი არსებული მიდგომა გაითვალისწინებდა იმას, რომ ძირითადი განსაზღვრისას ელიარებინა ამოსავალი წერტილი, რაც რეგრესის აკრძალვის თეორიაში გამართლებულია. ამის შემდეგ მივიღებდით ამგვარ კონცეფციას: დაუდევარ თანამონაწილეს შეზღუდული დოგმატური დამოკიდებულება უნდა მივაკუთვნოთ. პირველ რიგში ეს ემსახურება იმ მიზანს, რომ შესაბამის წინასწარ განზრახულ მონაწილეობასთან შედარების მეშვეობით შევძლოთ იმის დადგენა, თუ რა შემთხვევებში არ შეიძლება იყოს დასჯადი წინასწარ განზრახულ დანაშაულში გაუთვალისწინებელი (არამიზნობრივი) თანამონაწილეობა, ამგვარად ვიღებთ თვითმკვლელობაში დაუდევარი თანამონაწილეობის და წინასწარ გამიზნულ დაუდევრობის დახმარების არდასჯას. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის საჭიროება, რის უარყოფასაც რეგრესის აკრძალვის მომხრეები დისკუსიებში ვერ ახერხებენ-დგინდება დანაშაულის შემადგენლობით და ასე რომ ვთქვათ გადადის „ექსტენსიური დამნაშავის“ ცნებაში (52,548). მისი დოგმატური დამოუკიდებლობა ზეგავლენას ახდენს სასჯელის ზედმიწევნით შეზღუდვაზე, მაგალითად მოთხოვნის საფუძველზე დაუდევარი ხელშეწყობა იქნებოდა შედეგის მიმართ მიზეზობრივი, თუმცა ამგვარი დაუდევრობით სიცოცხლის მოსპობა დაუშვებელია იმაზე მაღალი სასჯელის ზომით დაისაჯოს, ვიდრეწინასწარ განზრახული დახმარება.

აღნიშნული გზით მარტივად არის შესაძლებელი რეგრესის ამკრძალავი თეორიის უპირატესობების გაერთიანება და ორივე მხარის არსებული ნაკლოვანებების გამორიცხვა. ჩვენ ეს შეგვეძლება, მაგრამ როქსინი სამართლიანად აღნიშნავს, რომ

ვალდებულების დარღვევა უსამართლობის კრიტერიუმად უნდა იქნას განსაზღვრული, რადგანაც ბუნებრივია დამნაშავეს ცნების ექსტენსიურად განსაზღვრა არ განაპირობებს იმას, რომ ობიექტური ზრუნვის ვალდებულების დარღვევის ცენტრალური მნიშვნელობა დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობაში მოვაქციოთ (52,544). რა თქმა უნდა: აქ წარმოდგენილი თეორია არ გვაძლევს მყარ საყრდენს იმისათვის, რომ ვალდებულების შეუსრულებლობას დანაშაულის სისტემაში იმდენად ფუნდამენტალურად მივუჩინოთ ადგილი, როგორც ეს როქსინს მიაჩნია აუცილებლად. მისთვის ზრუნვის ვალდებულების დარღვევით დანაშაულის შემადგენლობის ქმედება იკარგება, რადგანაც ის ფიქრობს: „დამნაშავეს დადგენისათვის ვალდებულების დარღვევის საზომიდან ერთდროულად გამომდინარეობს, რომ ის ასევე ქმნის დანაშაულის შემადგენლობის ქმედების განმსაზღვრელ ელემენტს, რადგანაც თუკი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება შემსრულებელს დამნაშავედ ხდის, მაშინ დამნაშავეს კრიტერიუმი მისგან უნდა იყოს აღებული“ (52, 545). დაუდევრობით ჩადენილი სისხლისსამართლებრივი ქმედების სისტემის შექმნისათვის აღნიშნული შედეგი ნაკლებად მართებული მეჩვენება, რადგანაც ის ამბობს, რომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვიღაცას დამაზიანებელი ზემოქმედება საერთოდ არ მოუხდენია, თუ დასაშვები რისკის გადალახვა“ მართებული ქცევით“ მოახდინა, თუმცა განსხვავება ცალსახაა: პირველ შემთხვევაში არ არსებობს არც მოქმედების და არც შედეგის დაბალფასიანობა, მეორე შემთხვევაში უნაკლო ქმედება განაპირობებს დამაზიანებელ შედეგს (52,546). შედეგის ღირებულების არქონა, როგორც წესი არ იზომება უპირატესი ინტერესით, როგორც ამას კლასიკური გამართლების სიტუაციებში ვხვდებით, ან სამართლებრივი სიკეთის თანხმობის შედეგად ის არ შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელოდ. განვიხილოთ შედარებით ახალი დისკუსიის მაგალითი: პირი ავიდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რომელსაც მართავდა მოპასუხე. მოპასუხემ დაიჭირა და მძივედ დააშავა იგი. მან სცადა უკვე დამძვრულ ტრანსპორტში ასვლა, ასე აღწერს მოპასუხე. არასწორად ვმოქმედებთ (ან როგორც მინიმუმ, არ ვახდენთ გონივრულ დიფერენცირებას), როდესაც მძღოლის საქციელს ყოველგვარი დამაზიანებელი შედეგის გარეშე დოგმატურად მართვის პროცესის დონეზე დავაყენებთ, ამიტომაც როქსინი და გამოყენებული თეორია მცდარ გზას ადგას, როდესაც ისინი ობიექტური ზრუნვის ვალდებულებას განიხილავენ, როგორც ვიწრო დანაშაულის შემადგენლობის საკითხს, თუმცა საპირისპირო მოსაზრებაც ასევე ნაკლებად დამაჯერებელია. ჩვენ შემთხვევაში ისე იქნებოდა თითქოს მძღოლს უფლება ჰქონოდა მოსარჩელის, როგორც ყაჩაღის

თავიდან არიდების უფლება ან თითქოს მოსარჩელეს თანხმობა მიეცა მის დაშავებაზე. შესაძლებელია რომ დასაშვები რისკი გავაერთიანოთ უპირატესი ან ნაკლები ინტერესის ზოგად გამართლებულ პრინციპებში, თუმცა განსხვავების ერთიანი აღნიშვნასაკითხს ფარავს. მაღალი ინტერესის დაცვა სულ სხვა რამ არის, ვიდრე *ex ante*, როგორც უსაფრთხო ან ღირებულების შემანარჩუნებელი ქმედება, რაც *ex post* უმჯობესი იყო არ განხორციელებულიყო (მაგ: დიდი ოსტატობით შესრულებული ოპერაცია, რომელიც სრულდება სასიკვდილო შედეგით) (186,412). ზიანის მიყენების შემთხვევაში თანხმობა სხვა რამ არის, ვიდრე უბრალოდ დაზიანების რისკის კონტროლი. საქმე იმაში არ არის, რომ ობიექტური ზრუნვისვალდებულება, რომელიმე კლასიკურ სისტემაში იქნას განთავსებული. უფრო მეტიც ის მდგომარეობა, რომ აღნიშნული ფენომენი არც ერთ კატეგორიაში არ თავსდება, უნდა წარმოადგენდეს სისტემის ახლიდან გააზრების (განაზრების) საბაზს. სხვა შემთხვევაში მოხდება ისე, რომ პრობლემის შედეგები სისტემის შედეგებს შეეწირება (186,413).

ჩვენი შეფასებით: კლასიკური დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დანაშაულის შემადგენლობის ნეგატიურ ნიშნებთან ერთად ქმნის „შედეგის ღირებულების არ ქონის“ საფეხურებს, მხოლოდ მის მიღმა, მამასადამე ტრადიციული გამამართლებელი მიზეზების მიღმა, თავს იჩენს ობიექტური ზრუნვის ვალდებულების დარღვევა. ის განეკუთვნება მისთვის სპეციალურად შესაქმნელ „მოქმედების ღირებულების არ ქონის“ საფეხურს. „შედეგისა და მოქმედების ღირებულების არ ქონა“ ერთობლიობაში ქმნის „უკანონო მოქმედების შემადგენლობას“, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს (186,413).

5.3 უმოქმედობა წინარე ქმედების შემდგომ

I. ძირითადი საკითხები

რა თქმა უნდა თანმიმდევრობითი ცნებები : დანაშაულის ჩადენა-მისი ტოლფასი უმოქმედობა, წინარე ქმედობის შემდგომ ჩადენილი უმოქმედობა- გარანტის დაცვის უმოქმედობა, შეიცავს მიმღებლობას არსებულ მიდგომასთან დაკავშირებით, იმდენად რამდენადაც ის ქმედებასა და უმოქმედობას შორის გამიჯნულობას წარმოადგენს და უარს ამბობს, რომ დანაშაულებრივი ქმედების პირველი სამი გამოვლინების ფორმა მეოთხე მათგანის ქვეშ-შემთხვევებად იქნას წარმოდგენილი.

ამის სასარგებლოდ მეტყველებს მიზანშეწონილობის მიზეზები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად უკვე დასახელებულია. აქ ისღა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩარევა გარანტის ვალდებულების კონტროლის ფარგლებში კვლავ ინარჩუნებს თავის ადგილს. წარმოდგენილი დაყოფა გარეგნულია და დროებითი. ის გამართლებულია იმ განსაკუთრებული პოზიციით, რომელსაც ჩარევა ასრულებს, როგორც სამართლებრივი პრაქტიკის ყოველდღიურობაში, ისე სამეცნიერო ინტერესის ფარგლებში (175,494).

ჩარევა და ნეგატიური მოქმედების ცნება

მაშინ როდესაც უმოქმედობების სხვა ფორმების დასჯისას ფიქრობდნენ, რომ მეტნაკლებად მყარ საფუძველზე მოქმედებდნენ, მხოლოდ გრიუნვალდმა და არმინ კაუფმანმა დააყენეს პირველად ეს ეჭვის ქვეშ.

წინარე ქმედების შემდგომი უმოქმედობა დოგმატიკის მუდმივ თავსატეხ ობიექტს წარმოადგენდა. ჩარევა აღიქმებოდა და აღიქმება, როგორც გადაუჭრელი პრობლემა. ველცელმა მას „გარანტის თეორიის ყველაზე საეჭვო საკითხი“ უწოდა (175,495). ზუსტი განმარტებისა და სისტემატური ადგილის მიჩენის ნაცვლად მიმართავდნენ აფორიზმებს და აპელირებდნენ სამართლიანობის გრძნობითა დაადამიანის ჯანსაღი გონით.

ჩემი აზრით წინათ და ასევე დღეისათვის უმწეო მდგომარეობა იქამდე ვერ გადაილახება, სანამ მოქმედების ცნებებზე ვიქნებით ჩაჭიდებული, რომლებიც აკრძალულ ქმედებასა და მოთხოვნის საწინააღმდეგო უმოქმედობას შორის მკაცრ საზღვარს ავლებს. პირველ რიგში წინარე ქმედების ერთგვარი ღირებულება ცალსახად სისხლისსამართლებრივ დასჯად შემთხვევებში პრინციპულად არ არსებობს. მეორეც, მისი არსებობაც ვერ დაგვეხმარებოდა მთავარი სირთულის გადალახვაში. ერთი საკითხია ქმედების ერთი სახე აქსიოლოგიურად ჰგავს თუ არა მეორეს, ხოლო მეორე საკითხია : შესაძლებელია თუ არა ერთი და იგივე ცნებას და ერთი და იგივე დანაშაულის შემადგენლობას ერთნაირი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცეს (175,496). მაშასადამე ჩვენ უნდა ჩავიდეთ ფუნდამენტში და შევეცადოთ „სამართლებრივი მოვალეობა“ წინარე ქმედების შემდგომ შედეგის თავიდან არიდების მიზნით, უშუალოდ თავად დანაშაულის შემადგენლობიდან გამოვიყვანოთ ისევე, როგორც ვალდებულება, რომ შედეგის დადგომა აქტიურად არ განვაპირობოთ. ნეგატიური მოქმედების ცნება გვიჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია. მის მიხედვით დანაშაულის შემადგენლობები აღწერს შედეგების თავიდან არიდებას და მის თავიდან აურიდებლობას და დამნაშავედ

რაცხავს მხოლოდ მას, ვისაც სოციალურ ცხოვრებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა (გარანტი) ენიჭება (175,495). ამგვარი პასუხისმგებლობის მატარებელი ძირითადად არის ასევე ის, რომლის ქმედებაც შედეგის დადგომას მოასწავებს, მიუხედავად იმისა ეს ქმედება ჯერ კიდევ წინ არის, თუ ის უკვე წარსულში დარჩა, ამგვარი პირი თუკი ის თავიდან არ აირიდებს შედეგის დადგომას, მაშინ ის მას განაპირობებს შედეგის მომტანი დანაშაულის შემადგენლობის თვალსაზრისით, მაშასადამე ქმედების აკრძალვის საწინააღმდეგოდ უმოქმედობის აკრძალვაც არ არის მიზანშეწონილი (175,496).

ამას არ აღიარებს ბოკელმანი. რეფორმასთან დაკავშირებული დისკუსიის ფარგლებში მან ჩამოაყალიბა თავისი პირადი შეხედულება, რომელიც მე აღნიშნულ კონტექსტში ნიშანდობლივი მეჩვენება: „ჩემს ლექციებზე ნახევარ საათს იმის მტკიცებას ვუთმობ, რომ არ არის საჭირო უმოქმედობის კონსტრუქციის ნაჩქარევი ჩამოყალიბება, თუმცა სრულიად დარწმუნებული ვარ აღნიშნული მცდელობის ამაოებაში (16,420). მე წარმატებად ჩავთვლიდი, თუკი შემდეგ შემთხვევებში: წინასწარი მკვლელობის განზრახვით A ესვრის B-ს და სასიკვდილოდ დაჭრილს მიატოვებს, ის კი სამი საათის შემდეგ გარდაიცვლება. ამ შემთხვევას სტუდენტების 51% თუ ჩათვლიდა მკვლელობად, რომელიც მოქმედებით არის განხორციელებული, ხოლო სტუდენტების 49 % ამ შემთხვევას უმოქმედობით ჩადენილ მკვლელობად განიხილავდა. A-მ თავისი გასროლით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა B-ს, ამიტომ ის ვალდებულია მისი სიცოცხლე გადაარჩინოს, ვინაიდან მან ეს არ გააკეთა, ის უნდა დაისაჯოს უმოქმედობით მკვლელობისათვის“ (16,221). მოცემულ მაგალითში სიცოცხლის გადარჩენისათვის A-ს უმოქმედობა მისი სპეციალური პასუხისმგებლობითა და მოკვლის ცნების თავიდან არიდებით სრულდება და ამასთან ერთად ის სრულიად გონივრულად მოქმედებს, როდესაც უპირატესობას ანიჭებს თავიდან არ არიდების ფაზას, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს საბოლოო შედეგს და მის მზერას თავისკენ იპყრობს. შედეგის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს უპირატესობა რომელ ასპექტს მიენიჭება : მოქმედებითს თუ უმოქმედობითს, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. არსებობს ასევე შემთხვევები, როდესაც არასწორი იქნებოდა უმოქმედობის იგნორირება მხოლოდ იმიტომ, რომ დამნაშავე მისი წინარე მოქმედებით ცდილობდა დამდგარიყო შედეგი. ვიღაც გარკვეულ ფსიქიურ მდგომარეობაში ესვრის სავარაუდო მტერს, თუმცა მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ მან error in persona ჩაიდინა, თუკი ის ამ ადამიანის

სისხლისგან დაცლას მშვიდად უყურებს, ასეთ შემთხვევაში უმოქმედობით მკვლელობის დაშვება მკვლელობის ბრალეულობის შემცველობას გამორიცხავდა (16,222). ასევე იქნებოდა, თუკი B-A-ს, რომლისგანაც მან თავდაპირველად მოითხოვა მოკვლა, ქმედების განხორციელების შემდეგ მას გადარჩენას სთხოვდა. სანამ დამნაშავეს შედეგის არიდება შეუძლია, მასზე ვრცელდება შედეგის თავიდან არიდების მოთხოვნა დანაშაულამდე და მას შემდეგ. იმის მტკიცებას, რომ წინასწარი განზრახვით მოქმედების ჩადენას უმოქმედობასთან შედარებით უპირატესობა გააჩნია, არ არის მართებული, ვინაიდან უმართლობისა და დანაშაულის სიდიდეს ასევე ტვირთად აწვება ნების განხორციელების მომენტი. წინასწარ განზრახული შედეგის დადგომის შემთხვევებში, ყველა წესის თანახმად დასჯა უნდა მოხდეს დანაშაულის ჩადენისგამო (რაც de lege ferenda უმოქმედობისათვის ასევე საგნობრივად მნიშვნელოვანი ხდება), თუმცა არსებობს გამონაკლისები, რასაც მაგალითები აჩვენებს (16,223).

რა თქმა უნდა ექვი ჩნდება, როდესაც წარმოდგენილი მოსაზრების სიმრავლით ყველა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულზე მოქმედი დანაშაულის შემადგენლობის შემომსაზღვრელ ინსტრუქციას დავინახავდით. ოელერი გვასწავლის, რომ „წინასწარ განზრახული მკვლელობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში თვითონ დამნაშავეც ამავდროულად იშვიათად აკმაყოფილებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას“ (48,87). სხვა შემთხვევაში დამნაშავე ვალდებული იქნებოდა „უარი ეთქვა მის ჯერ კიდევ განუხორციელებელ განზრახვაზე და არა მკვლელობის აკრძალვის საფუძველზე, არამედ დახმარების გაწევის მოთხოვნის საფუძველზე“ (48,488). თუკი ამას დავეყრდნობით, მაშინ შერეული უმოქმედობის დანაშაულების შემთხვევაშიც ამგვარი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, რადგანაც როდესაც განზრახ დანაშაულის ჩამდენისათვის მსხვერპლის სასარგებლოდ დახმარების გაწევა მიუღებელია, მას ვერც მკვლელობის თავიდან არიდების წინაპირობას ვერ მოვთხოვთ, თუმცა აღნიშნული შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი. შესაძლო სუბიექტურ მოტივებს, ინტერესებსა და სწრაფვებს, რაც მკვლელისათვის ნორმების მორჩილებას შესაძლებელია მიუღებლად აქცევდეს. როდესაც სამართალი დამნაშავეს აკრძალვას უპირისპირებს, მას სთხოვს, რომ შედეგის დადგომის ნება ჩამოიშოროს. ის, რომ დამნაშავე წინასწარ განზრახვაზე ხელს არ იღებს, ვინაიდან მან დანაშაულის ბილიკზე უკვე გარკვეული გზა გაიარა, არაფერს არ ჰფენს ნათელს. უფრო მეტიც, დამნაშავე სანამ მას ჯერ კიდევ შეუძლია უკან დახევა, მუდამ თან ახლავს

მოწოდება უკან დახვევისკენ. მისთვის მხოლოდ კანონის გაგება არის სამართლიანი, რომელიც წინასწარ განზრახული დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში გადარჩენისა და დახმარების გაწევის მოთხოვნას კვლავ ძალაში ტოვებს. ის, რომ აღნიშნული ვარაუდი პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე სავალდებულოა გვაჩვენა ველპმა (64,321). მან თქვა, რომ კანონი მოცემულ შემთხვევაში ორიენტაციას იღებს შედეგის დადგომის თავიდან არიდებაზე, რასაც დამნაშავეს საერთოდ ვერ მოვთხოვთ. გაცილებით მართებული ჩანს ის ვარაუდი, რომ კანონი დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის აკრძალვის დარღვევას პატიობს, თუკი ის ნებაყოფლობით დაემორჩილება სამართლებრივი წესრიგით დადგენილ მოქმედების მოთხოვნებს (64,322).

B. ჩარევა და ნეგატიური მოქმედების ცნება

მოცემულ საკითხში ჩვენი ამოსავალი წერტილიც თითქმის შეესაბამება არსებულ თეორიასა და მართლსაჯულებას. ყველა როგორც „ნაგლერისა და მეცგერის ლაიპციგის კომენტარშია აღნიშნული“, ვინც საკუთარი ქმედებით სხვისი სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხეს შექმნის, ვალდებულია ძალები მოთოკოს და ამგვარად თავიდან აირიდოს შესაძლო ზიანის დადგომა“. დღეისთვის წარსულთან შედარებით უფრო ხშირად ხდება იმის აღიარება, რომ ჩარევიდან გამომდინარე გარანტიის ვალდებულება დამოკიდებულებაშია დანაშაულის გარემოებების ზემოქმედების *neminem laede* -სთან და ამიტომ ისეთივე ძირეულ მოქმედებაზე შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია, როგორც ზემოქმედების თანმხლებ უმოქმედობის ვალდებულებას (27,415). ასე მაგალითად შტრეე ამბობს შემდეგს : „ზიანის მიყენების აკრძალვა საშიში სიტუაციის გამომწვევისათვის ხელის შეშლის აკრძალვაში გადადის, თუკი პასუხისმგებლობის საფუძვლად კვლავაც ზიანის აკრძალვა რჩება“.

ბუნებრივია ეს პრინციპი არ წარმოადგენს იმგვარ მოსაზრებას, რომელთან დაკავშირებითაც შესაძლებელია პრეტენზია არ არსებობდეს. ოელერი შიშობს, რომ აღნიშნულმა არასწორად განსაზღვრულმა სამართლებრივმა ვალდებულებამ შესაძლოა დანაშაულის შემადგენლობის გარანტიის ფუნქციის საყოველთაოობა დაარღვიოს, და ბოლოს ის არ ეთანხმება ველცელს, რომ საგზაო მოძრაობაში სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანებიდან გამოყვანილ იქნას მკვლელობა. ამისათვის „კანონში არ მოიძებნება მცირედი საყრდენი პუნქტიც კი“ (48,91).

სწორია ის, რომ მესამე პირის სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენების შესახებ თეორია კონკრეტიზაციას საჭიროებს, რათა შესაძლებელი იყოს მისი პრაქტიკული სამართლებრივი გამოყენება. უპირველეს ყოვლისა არასწორი იქნებოდა, რომ საფრთხის გამომწვევი ყველა პირი ხელის შეშლის გარანტად გვექცია, თუმცა ამ მხრივ შეიძლება საქმე ეხებოდეს იმას, რომ მთლიანობაში ზოგადი კრიტერიუმების მეშვეობით გამოიკვეთოს კონტურები. იმ შემთხვევაში, თუკი ამოვიღებთ საქმის გარემოებების ცალკეულ ტიპებს, კერძოდ საგზაო მოძრაობისათვის სათანადო ქცევას, შესაძლებელია ამგვარი სახით დანაშაულის გარემოებების და ამგვარი გარემოებების არ მქონე დანაშაულებრივ უმოქმედობებს შორისაც წარმოქმნილი საზღვრები თავისუფალ ნებაზე იყოს დამოკიდებული, როდესაც ავტომობილის დაუდევარი მართვა მძიმედ დაშავებული პირის დაცვისთვის არ წარმოქმნის გარანტის ვალდებულებას, მაშინ დასაბუთებას აღარ ექვემდებარება ის, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს სხვაგვარ ქმედებად იარაღის უყურადღებოდ თამაში (48,92).

კანონით გათვალისწინებული შედეგის თავიდან არიდების საყრდენი, როგორც ამას ოელერი მოითხოვს შესაძლებელია, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ვიპოვოთ. შერეული უმოქმედობის დანაშაულის ძირითად პრობლემას წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ინტერპრეტაცია. შედეგის დადგომის თავიდან არიდების ვალდებულება მისგან უნდა გამომდინარეობდეს (48,93).

პფლეიდერერი თავის წიგნში „წინარე ქმედებიდან გამომდინარე გარანტი“ მიდის იმ შედეგებამდე, რომ ჩარევას, როგორც პრინციპს-საგნობრივადაც და ტერმინოლოგიურადაც უნდა შევეშვათ, მხოლოდ გამონაკლისის სახით უნდა მოქმედებდეს საფრთხის შემქმნელი დელიქტი ვალდებულების განმაპირობებლად, კერძოდ კი მაშინ, როდესაც ის შემდეგი „შემთხვევების“ სათავეშია: მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების დარღვევა, კომერციული მიზნებით მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტების გასაღება, სხვა ადამიანის გამოკეტვა, ბავშვებისა და სულიერად დაავადებული პირებისთვის ისეთი ნივთების გადაცემა, რომლებიც საფრთხიდან გამომდინარე სპეციალურ შენახვას საჭიროებს (179,162). მის თანახმად საკმარისი არ არის, რომ დამნაშავემ „უბრალოდ“ შედეგობრივი პროცესი გამოიწვიოს. „გარანტს მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ის, როდესაც აღნიშნული შემთხვევები განსაკუთრებულ გარემოებებში არის წარმოდგენილი იგივე ან მსგავსი სახით“ (179,150).

საყოველთაოდ მიღებული შეხედულებებიდან უკან დახევა პფლაიდერერს სურს

გამართლოს ექვივალენტობის პრინციპით (179,118). დანაშაულის ჩადენის გარემოებების გამო დანაშაულებრივი უმოქმედობა გათანაბრებული უნდა იქნას აქტიურ ქმედებასთან, და ჩარევის სფეროში მხოლოდ ძირითადი შემთხვევებიდან შეიძლება ვისაუბროთ.

ჩვენი შეხედულებით აღნიშნული მიდგომა იმთავითვე მცდარია. უმოქმედობით დანაშაულის ჩადენა პრინციპში ნაკლებ უმართლობას ნიშნავს, ვიდრე აქტიური ქმედებით დანაშაულის ჩადენა, ამიტომაც ექვივალენტობის კონცეფცია მცდარია, მაგრამ ეს ასევე უნდა დავტოვოთ.

პფლაიდერერის თეორია არ არის მყარი იმ შემთხვევებში, თუკი მხედველობაში მივიღებთ მის ამოსავალს. ის აღიარებს მაგალითად იმ დასკვნას, რომ გარანტად გახდებოდა ის, ვინც სხვა ადამიანს შემთხვევით ესროლა, მაგრამ არა ის, ვინც სხვა ადამიანს წყალში გადააგდებდა (179,150). შემდგომში ის მთელი სერიოზულობით ამტკიცებს, რომ სიცოცხლისათვის საშიში ზიანის მიყენება გარანტის ვალდებულებას ასაბუთებს. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ „ძირითადი შემთხვევები“ სხვა შემთხვევებისგან ასევე აქსიოლოგიური კუთხით გამოიყოფა, ვინც წაიკითხავს პფლაიდერერის ნაშრომს გაუჩნდება გრძნობა, რომ მისი აქამდე არსებული შეხედულებები უფრო შეირყა, რადგანაც სადისკუსიოდ გამოტანილი კონსტელაციების ძირითადი საკითხების გაგება აქსიოლოგიურ მიდგომას მოითხოვს და ნათელს ხდის ჩარევის მოსაზრების გაწელების საფრთხეს, რაც ცალსახად არსებობს, თუ რომელი ფაქტიური საშუალებითა და რომელ სოციალურ სფეროში იქმნება საფრთხე სხვათა სამართლებრივი სიკეთისათვის, ერთნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სამართლის ნორმატიული და ტელეოლოგიური მასშტაბებისათვის. სამართალს არ ძალუძს თავისუფალი ზონების გამოყოფა, რომლებშიც საფრთხის განმაპირობებელ პირს შეეძლება საფრთხის წარმოქმნის თავიდან არიდებისათვის საკუთარი თავის არა კომპეტენტურად განხილვა (175,55).

C. პასუხისმგებლობის სრული უარყოფა ბ.შიუნემანთან

ჩარევის მოსაზრების საყოველთაობის უარყოფას ეხება შიუნემანის კრიტიკა, რომელიც თავის წიგნში „შერეული უმოქმედობის დანაშაულის მიზეზები და საზღვრები“ იმის მტკიცებულების მოყვანას ცდილობს, რომ გარანტის ვალდებულება წინარე ქმედებიდან საერთოდ არ არსებობს. ტრადიციული თეორია,

რომელიც ბუნებრივად მიიჩნევს სრულიად საპირისპიროს, მის პოლემიკაში წარმოჩენილია, როგორც მკვლევარი სულის ჩახშობა, ამგვარად ის საუბრობს „ჩარევის თეორიის საექვო არქაულ კაუზალურ თეორიაზე“. საუბრობს უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატის მართმსაჯულებაში მის გადაუმოწმებელ გამოყენებაზე, სადაც მას „არასოდეს განიხილავდნენ ღიად, საექვო დოგმად“ (55,309). „შემოპარული ნორმების“ მოსპობას და „უმოქმედო პირზე სამართლის თავისუფალ გამოყენებას...რაც ნათელი და ცალსახა გზით nulla poena-ს“ არღვევს, ჩარევის - გარანტიის მიწოდების დაშვებას განსაკუთრებულ შემთხვევებში განიხილავს, როგორც „სამართლის გრძნობის პროდუქტად“- „სისხლის სამართლებრივ მიკუთვნებად არქაულ პრიმატულ და უჩვეულო მექანიკურ საფუძველზე“. ყველაფერს, რაც აქ არის წარმოდგენილი მივყვით თანმიმდევრობით (55,310).

1. ჩარევის პრინციპის ნორმატიულ-თეორიულ გამართლებას შიუნემანი ველპთან პაექრობისას უარყოფს: “ აკრძალვა მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ქმედება, რომელიც ვერ იქნება გამართლებული არ უნდა განხორციელდეს, და მასთან დაკავშირებული დანაშაულის შემადგენლობა გვეუბნება, რომ მისი განხორციელების შემთხვევაში განსაზღვრულია სასჯელის შეფარდება, თუ როგორია სამართლებრივი მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუკი აკრძალული ქმედება მაინც განხორციელდება-ამის თაობაზე აკრძალვა არაფერს გვეუბნება, და რომ მასთან დაკავშირებული დანაშაულის გარემოებები აკრძალვის დარღვევის შემდეგ შედეგის დადგომის არიდებისას უმოქმედობის შემთხვევაში გამოიყენება, ამის შესახებაც არაფერია ნათქვამი“ (55,314).

პასუხისმგებლობის დასაბუთების გაქარწყლების თვალსაზრისით ეს მართებულიცაა და ამავდროულად გამოუსადეგარიც. ბუნებრივია აქტიური ქმედების იზოლირებული აკრძალვა შესაძლებელია მხოლოდ ამ ქმედებას შეეხებოდეს და ის არ შეიძლება ამბობდეს, რომ მის ფარგლებში მოცემული დანაშაულის შემადგენლობა გამოყენებადია აკრძალვის დარღვევის შემდგომ უმოქმედობაზე, მაგრამ მე ამ ანბანური ქეშმარიტების დარღვევა არც კი მიცდია. მე არ განმიხორციელებია შედეგის დადგომისათვის ხელის შეშლა და მისი მოთხოვნის აკრძალვაში გაერთიანება, არამედ მხოლოდ ვთქვით, რომ ტრადიციული და ჩვენი შეფასებით კანონის მართებული გაგების შემთხვევაში აკრძალვისა და მოთხოვნის ერთმანეთისაგან გამოიჯენა არამყარია, რადგანაც დანაშაულის შემადგენლობიდან თავის არიდების ერთიანი მოთხოვნა გამომდინარეობს, რომელიც შესაძლებელია დარღვეულ იქნას წინარე ქმედების შემდგომ, როგორც შედეგის აქტიური განპირობებით, ისე შედეგის

დადგომის თავიდან არიდების უმოქმედობით. ვინაიდან შიუნემანი აღნიშნულ გარემოებებს არ განიხილავს, როგორც მოქმედების აკრძალვას (სხვა შემთხვევაში ის ვერ აღიარებდა შერეული უმოქმედობის დანაშაულებს), არგუმენტაცია ჩიხში შედის (55,314). გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ საგნობრივ შეკითხვას და მხოლოდ მასზე პასუხის გაცემით იქნებოდა შიუნემანი მის მიერ ველპის ტელეოლოგიურ დასკვნასთან მიმართებაში მართალი. საჭირო არ არის იმის კიდევ ერთხელ ხაზგასმა, რომ ნორმის ლოგიკა, ისევე როგორც ენის ბუნებრივი არსი ორივე პასუხის შესაძლებლობას იძლევა (55,315).

2. პასუხისმგებლობის მთავარი მიზეზი შუნემანისთვის მდგომარეობს არა ნორმატიულ-თეორიულ მიდგომაში, არამედ თანასწორობის თეორიის სისტემატიკაში, რომელიც ჩვენ უკვე დეტალურად აღვწერეთ და გავაკრიტიკეთ. ჩამრევის პასუხისმგებლობა მის უმოქმედობაზე დაუშვებელია მის მიმართებით ღირებულებითი უთანასწორობის გამო (55,317). აღნიშნული დედუქცია, იმიტომაც არ არის დასაბუთებული, რომ შუნემანის თანასწორობის დოქტრინის ფარგლებში სავალდებულო არ შეიძლება იყოს აქტუალური ფლობის მოთხოვნა. შიუნემანი არ დავობს იმაზე, რომ მის მიერ შექმნილი მიკუთვნების ფორმულის გარკვეული ნიშნები „როგორც შედეგის საფუძველი სათანადოდ უნდა შეფასდეს, თუკი საერთოდ არსებობს შერეული (არანამდვილი) უმოქმედობის დანაშაულები. ეს ბუნებრივიც არის (55,323).

სადავოა თანასწორობის ფორმულის საგნობრივი სისწორე, რაც ფაქტობრივი თვალსაზრისით უფრო მეტ წინაპირობას მოითხოვს, ვიდრე შედეგის თავიდან არიდების უნარი. იმ შემთხვევაში, თუ არ გვსურს, რომ საგნობრივი პრობლემები აქტიურ დანაშაულთან გადაჭარბებული ანალოგიებით დაგტვირთოთ „მაშინ თანასწორობის სახელმძღვანელო პრინციპს მხოლოდ იმ სპეციალური სოციალური პასუხისმგებლობის აზრი უნდა წარმოადგენდეს, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს შედეგის მიზეზის აქტუალური ფლობიდან“.

იმისათვის, რომ ყოველივე ეს კონკრეტულ მაგალითზე წარმოვადგინოთ, თუკი A,B და C აღმოაჩენენ, რომ A-ს ავი ძალი B-ს მიერ უყურადღებოდ ღიად დატოვებული ჭიშკარიდან A-ს გაექცევა და C-ს პატარა გოგონას თავდასხმით დაემუქრება და მიუხედავად ამისა ჭიშკარი არ ჩაიკეტება და C-ს შვილს ძალი მართლაც უკბენს, მაშინ დასაშვები და შესაბამისი ინტერპრეტაცია იქნება, თუკი პირის უმოქმედობას განვიხილავთ, როგორც წინასწარ განზრახულს ან დაუდევრობით სხეულის დაზიანებას. აღნიშნულის ლოგიკურ მიზეზს წარმოადგენს სამართალში შეტანილი და საზოგადოების წევრებისთვის საერთო ღირებულებისა და ვალდებულების გრძნობა,

რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში სამივეს, თითოეულს კი სხვადასხვა ხარისხით თითქმის ერთნაირ სპეციალურ პასუხისმგებლობას აკისრებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ არ უნდა დაუშვან ბავშვის დაზიანება (55,342).

სხვაგვარადაა საქმე შიუნემანთან. მისი თეორიის თანახმად დადასტურებულია მხოლოდ ძალისმფლობელის A-ს გარანტობა, რადგანაც მას ნამდვილად გააჩნია Causa efficiens-ის მფლობელობა. ახორციელებს თუ არა C შერეული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულს? კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, ვინაიდან შვილზე „ეგზისტენციალურად განპირობებულ“ დაცვის უფლებას შიუნემანი, მხოლოდ დედის შემთხვევაში განიხილავს. ცხადია ის, რომ შიუნემანის თანახმად B უმოქმედობით არ ჩადის სხეულის დაზიანებას (55,343).

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით არათანასწორი განხილვა არ არის გამართლებული, რადგანაც ის, რომ კანონის რედაქციითა და აზრით, შესაბამისი მოთხოვნის გარეშე სათანადო ყურადღებას არ უთმობს სამართლიანობის პოსტულატს, რომელიც სამივე პირის შემთხვევაში ერთნაირ სოციალურ-ეთიკურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სამართლებრივი კუთხითაც. მისი მთავარი საფუძველია დოქტრინალური თეზისი. ამასთან შეუმჩნეველი რჩება ის, რომ ერთიდა იგივე ტიპების (დანაშაულის შემადგენლობის) სხვადასხვა ქვეტიპები არ შეიძლება იყოს ერთგვარი და ის საერთო ნიშნები, რომელთაც ისინი ავლენენ, შესაძლებელია მდგომარეობდეს სოციალურ პასუხისმგებლობაში, რომლისთვისაც შედეგის განმაპირობებელი მიზეზის აქტუალური ფლობა მხოლოდ ერთ-ერთი საფუძველი იქნებოდა მეორის გვერდით (55,345).

3. შიუნემანის მოსაზრება უნდა გავაკრიტიკოთ, რომ ჩარევის პასუხისმგებლობაზე უარის თქმა კრიმინალური პოლიტიკის თვალსაზრისით ასატანი იქნებოდა, რადგანაც ის არ მიუთითებს დასჯადობის მძიმე ხარვეზზე. შედეგზე პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის მას მიაჩნია, რომ არ არის საჭირო გარანტის ჩარევა, რადგანაც ყველა დასჯადი შემთხვევა აიხსნება ან მოქმედებით ან ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალეობით (55,313).

შიუნემანი სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს იმას, რომ ზიანდება სამართლიანობის შეგრძნება, როდესაც დაუდევარი წინარე დანაშაულის ზიანის მიმყენებელი და დახმარების არ აღმომჩენი, მხოლოდ უყურადღებობის გამო დაისჯება, მეორე მხრივ კი დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობა ყველგან არ არის სახეზე. ასე რომ შესაძლებელია ნამდვილი კრიმინალური ქმედება, რომელსაც შესაძლოა მძიმე

შედეგები ახლდეს, მთლიანად დაუსჯელი დარჩეს (55,313).

შიუნემანმა მთლიანი დანაშაული სამართლებრივად უნდა შეაფასოს, როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობა და დაუხმარებლობა.

ასევე იქ, სადაც დაუდევრობა არ ისჯება შედეგები გაუცხოებას იწვევს: მუშა არასათანადოდ ეპყრობა ძვირფას დანადგარს, რომელიც მისთვის არაფერს წარმოადგენს, როდესაც ის აღმოაჩენს, რომ დანადგარი დაზიანდა და მას გამორთავს კი არა, არამედ ყოველგვარი ჩარევის გარეშე მიატოვებს, რადგანაც მას დამსაქმებლისთვის ზიანის მიყენება სურს. თუკი შიუნემანს არ გაუთვალისწინებია ეს შედეგები, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ჩარევის პასუხისმგებლობას უბრალოდ ყურადღებას არ აქცევს, მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ შეესაბამება „შედეგის აქტუალური მფლობელობის მიზეზზე“ თანასწორობის სქემას, მაგრამ თუკი თავის თეორიას მაინც მართებულად მიიჩნევდა, მაშინ თავად მისთვის შეგვეძლო გვესაყვედურა (55,318).

4. ყველაფერს თუ შევაჯამებთ ძნელად ასახსნელია, თუ როგორ შეძლო შიუნემანმა ჩარევამდე მისვლა ამგვარი შთამბეჭდავი და თავისთავად ქმედითი არგუმენტაციით. საკუთარი ქმედებიდან წარმომდგარ საფრთხეზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა არ სრულდება აქტივობის დასრულებასთან ერთად, თუმცა სოციალური ღირებულებისა და ინდივიდუალური მოვალეობის გრძნობის მხრივ ერთი საფეხურით დაბლა ჩამოდის. შეუძლებელია თავის არიდება მფლობელობასა და პასუხისმგებლობას შორის არსებულ შიდა კავშირზე და მოცემულ შემთხვევაში ეს სადავოდ არც არის გამხდარი, რაც უფრო ინტენსიური და აქტუალურია შედეგის ფლობა, მით უფრო ძლიერია განსაკუთრებული პასუხისმგებლობის ღირებულების განცდა. ამას უნდა შეესაბამებოდეს კანონით განსაზღვრული სასჯელის გრადაცია, რაც ისტორიულმა კანონმდებელმა მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის შემადგენლობები ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე გამოიყენა ჩარევის სიტუაციებზე, ეს მაინც ვერ დაინახა, ამიტომაც საგნობრივად მართებულია, როდესაც შიუნემანი ჩამრევის უმოქმედობის გრადაციას ახდენს, რომ ის „ვერავითარ შემთხვევაში ვერ უთანაბრდება პოზიტიურ ქმედებას, თუმცა გაცილებით მეტად იმსახურებს სასჯელს, ვიდრე *des quivis ex populo*-მარტივი წმინდა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები“ (55,315).

ამგვარად აიხსნება შიუნემანის თეორიის შთამბეჭდაობა: მისი არგუმენტები იმ საგნობრივ მიზეზებთან არის შეწონილი, რომლებიც დანაშაულის ჩადენას აქტიური დამნაშავის მიერ პროცესის ფლობის გამო, სასჯელის ზომით გამოაცალკევენს

დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი თავიდან, ამიტომაც არ უნდა გაგვაკვიროვს იმან, რომ შუნემანის აზრით ჩარევის კონსტელაციას კვალიფიკაციით გაეწიოს ანგარიში (55,318).

წინარე ქმედებით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით შუნემანის თეორია სრულიად მიუღებელია მიუხედავად იმისა, რომ მასში არის გარკვეული ჭეშმარიტება. ჩარევის პრინციპი გამოხატავს იმას, რაც ტელეოლოგიკის თანახმად სისხლისსამართლებრივი ნორმებისთვის ბუნებრივია, რომ საკუთარი ქმედების ჯერ კიდევ თავიდან არიდებად ზიანზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობისაგან იმიტომ ვერ გავთავისუფლდებით ჩვენ, რომ თავად აქტიური ფაზა უკვე ჩავლილია.

5.4. რეგრესის აკრძალვა ი. ველპის მიხედვით (Die Lehre vom Regreßverbot)

საკითხის გადასაჭრელად და სიცხადის შესატანად საკმარისი იქნებოდა „რეგრესის აკრძალვის“ დადგენა იმგვარად, რომ გარანტის ვალდებულების კონსტრუქციისათვის გამორიცხული იქნას ყველა წინა ქმედება, რომელიც თავისი მოქმედების შედეგზე სხვა ადამიანის პირად პასუხისმგებლობას მიიღებდა. აღნიშნულმა ფართო საზღვრების დადგენამ მხოლოდ ზედაპირული მოწონება დაიმსახურა. ამგვარად ველცელი შეზღუდვას მნიშვნელოვნად განიხილავს იქ, „სადაც საფრთხის ქვეშ დაყენებასა და შედეგის დადგომას შორის ადგილს იკავებს მესამე პირის პირადი პასუხისმგებლობით აღსავსე ქმედება“ (61,217).

წლების წინ წერდა ბოკელმანი: „სამართლებრივი ნორმა, რომლის თანახმადაც საფრთხის გამოწვევა შედეგის დადგომის თავიდან არიდების ვალდებულებას ასაბუთებს არ გულისხმობს იმგვარ საფრთხეებს, რომლებიც სხვა არაფერია თუ არა დანაშაულის მცდელობა“ (16,134).

ველპის მიერ შესწავლილი იქნა „სხვათა ქმედებების ხელის არ შეშლის“ პრობლემა და მასთან რეგრესის აკრძალვის მოსაზრების სახელმძღვანელო პრინციპამდე აყვანა. მისი გამონათქვამების კვინტენსენცია ის არის, რომ განზრახ დანაშაულების წაქეზებას და ხელშეწყობას, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეუძლიათ გამოიწვიონ შერეული უმოქმედობის დანაშაულები, ამგვარ გამონაკლისს : “ მისთვის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ უმოქმედო პირი თავიდან არიდების შესაძლებლობის მომენტში პოულობს იმ დამოკიდებულებას, რომელიც ქმედებით

დამნაშავესთან წარმოქმნილ ურთიერთობას შეესაბამება“. „ვინაიდან მონაწილეობის არანამდვილობისათვის, მონაწილის განზრახვა უკვე სახეზეა მისი წინარე ქმედების დროს. ის იმ წარმოქმნილი მიმართებით ქმნის კანონით დასჯადი მონაწილეობით ნაგულისხმევ ურთიერთობას“ (64,274).

წინარე ქმედების სახით თანამონაწილეობის შემთხვევაში ის შემოიფარგლება რეგრესის აკრძალვით და მოგვიანებით უმოქმედობის დაუსჯელობით. აქედან გამომდინარე ის არ ქმნის უმოქმედობის თანასწორობისათვის მყარ საფუძველს. ველპი თავადვე უშვებს, რომ ეს „ფორმალურ არგუმენტაციას“ წარმოადგენს, რადგანაც ის, თუკი დაუდევარი მონაწილეობის დაუსჯელობა მატერიალურად დასჯადი ქმედების შეზღუდვას წარმოადგენს, „კანონით გათვალისწინებული რეგულირების შემთხვევითობას პრინციპად აქცევდა“, თუმცა ის ამგვარი არ არის (64,280). მისი თეორია ასევე მატერიალურადაც გამართლებულია, კერძოდ კი დამნაშავეს „პირადი პასუხისმგებლობის“ გამო, რადგანაც ის თავისუფალია იმაში, რომ მის მიმართ წამოყენებული მოტივი უარყოს. ის ყოველთვის უპირისპირდება, როგორც დამოუკიდებელი და თვითმყოფადი სამართლებრივი სუბიექტი. დანაშაულის ჩადენის დიდი ალბათობის შემთხვევაშიც კი არავის სჭირდება თავისი ქმედებისას იმის გათვალისწინება, რომ აზრობრივი და საგნობრივი სუბსტრატი სხვის მიერ ბოროტად იქნას გამოყენებული კრიმინალური ქმედებისათვის (64,282). ინდივიდუალური ქმედების თავისუფლების ამგვარ შეკუმშვას არა მხოლოდ გაუთვალისწინებელი მასშტაბი ექნებოდა, არამედ უსამართლო იქნებოდა მონაწილეობის მიმართ. აქედან გამომდინარე სხვის თავისუფლებაზე არა განზრახ ზემოქმედება არც ვალდებულებებს ეწინააღმდეგება, და არც განსაკუთრებულ ნებართვას საჭიროებს, არამედ ის ყველა პირობებში ყოველთვის „სოციალურად ადეკვატურია“. მიუხედავად ამისა, ყოველ შემთხვევაში ველპის მიხედვით, ყველა ვინც თავისი უფლებით სარგებლობს იმ გარანტის ვალდებულების მატარებელია, რომ მისი ქმედების არა სასურველი, ჯერ თავიდან არიდებადი შედეგების დადგომას ხელი შეეშალოს. ველპის მიერ ამგვარად ხაზგასმულ დამნაშავეს „პირად პასუხისმგებლობას“ გარანტის თეორიის ფარგლებში არაფრის დამტკიცება არ შეუძლია. წინარე ქმედების ხარისხი გარანტის საკითხისათვის არა არსებითი უნდა იყოს (64,283).

მიდგომა, რომ ნებადართული წინარე ქმედება გარანტს მოვალეობას არ აკისრებს, თეორიის ნაწილია. ველპი მას უნდა დათანხმებოდა მისი მონაწილეობის თეორია საგნობრივად მართებული რომ ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე არ არის. სისხლისსამართ-

ლებრივი და სხვა სიკეთის დამცავი ნორმები თავისი მიზნის მიღწევას იმგვარად ცდილობს, რომ ისინი კრძალავს საფრთხეებს, რომლებიც სოციალურად ასატანი რისკის მიღმა არსებობს. სხვა განსხვავებები არ არის გონივრული მიუხედავად იმისა, საფრთხის წარმოქმნა მიმდინარეობს თუ არა (64,284).

სამართალმა იმპერატიულად უნდა მოითხოვოს, რომ მსგავსი ქმედებები სიკეთის დანაკარგის სახიფათო ზონიდან გავიდეს, ამიტომაც ველპის რეგრესის აკრძალვა არ არის თანხმობაში სისხლისსამართლებრივი ნორმების ძირითად პრინციპთან- სიკეთის დაცვასთან (64,285).

ის ფაქტი, რომ ველპი პირადი პასუხისმგებლობის დოგმატურ მნიშვნელობას მცდარად აფასებს, უკვე ამტკიცებს წინასწარ განზრახული მონაწილეობის პოზიტიურ აკრძალვას. მისთვის მხოლოდ თანმიმდევრულია იმის მტკიცება, რომლითაც სისხლის სამართლის კოდექსით „ინკრიმინირებული“ იქნება ქმედება, რომელიც თავისთავად „არ არის აკრძალული“, მაგრამ მართებულია კი ის? ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალს (სისხლის სამართლისგან დამოუკიდებლად) არ შეეძლება „დაუშვებელი“ ქმედებიდან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება, თუმცა ის სწორედ ამას აკეთებს და რაც შეეხება სისხლის სამართალს, აქ დამკვიდრდებოდა ერთობლივი დამნაშავის ცნება, თუკი მონაწილეობა ცალსახად სისხლის სამართლით არ დაისჯებოდა (64,285). არ შეიძლება საუბარი იყოს იმაზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ავტორებმა პენალიზირებით ერთგვარი საგნობრივ-ლოგიკური სტრუქტურები არ გაითვალისწინეს. ველპის საპირისპიროდ, წაქეზება და დახმარება მათი პენალიზირების მიუხედავად მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ ეს ასევე უნდა ვრცელდებოდეს დაუდევრობით მონაწილეობაზე, რადგანაც განზრახვასა და დაუდევრობას შორის გარდამავალი საზღვარი არ შეიძლება განასხვავებდეს უსამართლობას სამართლიანობისგან, არამედ ყველა შემთხვევაში ერთმანეთისგან განასხვავებს დასჯადს დაუსჯელობის უსამართლობისაგან. როგორც ყოველთვის ახლაც ვუბრუნდებით რეგრესის აკრძალვის ძირითად თეორიას. დაუდევარი მონაწილეობა არ შეიძლება დაისაჯოს, როგორც დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის ამსრულებლობა. მისი მონაწილეობის შემდგომ უმოქმედობით წინასწარ განზრახული მონაწილეობა არ შეიძლება წარმოადგენდეს წინარე ქმედებას, რადგანაც ეს ნიშნავს იმას, რომ თვით ცალსახად კანონსაწინააღმდეგო და მაღალი ხარისხით საშიშ წინარე ქმედებას არ ექნებოდა იმის ძალა, რომ ჩამრევი ჩაეყენებინა განსაკუთრებული პასუხისმგებლობის პოზიციაში (64,283).

ვინაიდან რეგრესის აკრძალვა ძირითად პრინციპად დამკვიდრდა, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ საწყის წერტილს: საფრთხის შემცველი, შესაბამისი შედეგის თავიდან არიდების გარანტიის მოვალეობა გააჩნია იმას, ვინც საფრთხე გამოიწვია შესაბამისი შედეგის დადგომისათვის. ეს შესაძლებელია შედეგის მიუხედავად ერთხელ დაგვეხმაროს, რადგან შედეგის ალბათობა იმდენად მცირე იყო, რომ წინარე ქმედებას არ შეიძლება ეწოდოს „საშიში“, თუმცა ერთი შეხედვით, როგორც ჩანს ეს არ არის საკმარისი (64,285). იმ შემთხვევაში, თუკი წინარე ქმედებასა და შედეგს შორის ჩადგება სხვა პირის პირადი პასუხისმგებლობის ქმედება, მაშინ წინარე ქმედების საფრთხის შემცველობის მიუხედავად არ იქნება მართებული შედეგი და მისი უშუალოდ წინმსწრები ხდომილება განხილული იქნას ინსპირატორის ქმედებად, როგორც მის მიერ გამოწვეული ქმედება. არსებობს კი რაიმე ზოგადი კრიტერიუმი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ნამდვილ ჩარევის შემთხვევებს არანამდვილისგან განასხვავებდა?

დანაშაულებრივი შედეგი იმ ადამიანის ქმედებას წარმოადგენს, რომელიც მას უშუალოდ საკუთარი ხელით განაპირობებს, მხოლოდ ის არის, ვისაც ჩვენ შედეგის დადგომის საფრთხის შემქმნელად განვიხილავთ (64,286). მის მიერ სისხლისსამართლებრივი მიკუთვნების სფეროდან სხვები განიდევენ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი თავდაპირველად საშიში ქმედების შედეგად მონაწილეობენ ხდომილებაში, მაგრამ ეს არ შეიძლება მოქმედებდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ქმედება იმდენად საშიშია, რომ ის „დასაშვები რისკის“ ფარგლებიდან გადის, ან თუკი ის ობიექტურად დაუდევარ მონაწილეობას წარმოადგენს, ვინაიდან დაშვებული რისკის გადალახვა ზრუნვის ვალდებულების დარღვევას ნიშნავს და აღნიშნული დებულების აზრი არის ის, რომ მოქმედ პირს მისი ზრუნვის ნაკლებობის შედეგები სამართლებრივად უნდა მიეკუთვნოს, მაშასადამე მან, როგორც გარანტმა ვალდებულება უნდა შეასრულოს (64,286).

საბოლოოდ არსებულ თეორიას ჩვენ განხილულ სფეროში ვუერთდებით, თუმცა დასაბუთების გზა სრულიად სხვა არის, მაშინ როცა არსებული თეორია ზრუნვის ვალდებულების შესატყვისს წინარე ქმედებას აქაც ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში გამორიცხავს, რადგანაც ის არ არის ვალდებულების საწინააღმდეგო. ჩვენთვის გადამწყვეტია ის, რომ უშუალოდ მონაწილე ვალდებულების დარღვევის გარეშე არ შეიძლება განხილული იქნას საფრთხის გამომწვევად. აღნიშნული მიდგომა თავისთავად არ არის წინააღმდეგობრივი. ის ვინც თავის დაცვის მიზნით მთვრალს ესვრის ან ეპილეფსიური შეტევის პირობებში მასთან დასახმარებლად მიმავალ ადამიანს სასიკვდილოდ დააშავებს, მისი უშუალო მიმართება საფრთხესთან დაკავშირებით

განხილული უნდა იქნას, როგორც საფრთხის გამომწვევი, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ საფრთხეს ვალდებულების დარღვევით არ ჩადის (64,287). განხილულ კონსტელაციაში მიმართება პირიქით ირღვევა მონაწილე პირის მიერ. მართალია ეს მას არ გამორიცხავს, მაგრამ ეს საჭიროებს დამატებით ნორმატიულ მომენტს, კერძოდ ზრუნვის ვალდებულების დარღვევას, რომელიც უშუალოდ დაკარგვის კომპენსაციას მოახდენდა.

მოვალეობის საწინააღმდეგო კრიტერიუმის გადამწყვეტ უპირატესობას მისი ელასტიურობა წარმოადგენს. კონკრეტულ გარემოებებს, განსაკუთრებით კი წინარე ქცევის მაღალი ხარისხით საფრთხის შემცველობას შეუძლია ერთ შემთხვევაში იმპერატიულად მოითხოვოს გარანტის მოვალეობის დადასტურება. ის ვინც ნაცნობს მისივე სურვილით დანას გაუყრის, ის ვეღარ შეძლებს თავისივე ქმედების შედეგების განდისტანცირებას, რადგანაც ის განპირობებული წინასწარი განზრახვის ზღურბლს ქვეშ აღმოჩნდება (64,288). მისი ქმედება ვალდებულების საწინააღმდეგოა და შემდგომ გაცნობიერებულ ჩაურევლობას გამიზნულ დახმარებად აქცევს, თუკი ველპი ამგვარი გარემოებებით გამოწვევის გარეშე არაგამიზნულ ქმედებას ვალდებულების დამრღვევად არ მიიჩნევს და „ყველა შესაძლო გარემოებების პირობებში მუდამ სოციალურად ადეკვატურად განიხილავს“ (64,289). ის ქედს უხრის მისი რეგრესის აკრძალვის თეორიის შედეგს. საკითხის ობიექტური განხილვა აღნიშნულ მტკიცებას ვერ დაუშვებდა, თუმცა სხვა შემთხვევებში შესაძლებელია ის გარემოება, რომ შედეგი სხვა პირის პირადი პასუხისმგებლობით მიღებულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ასევე აღნიშნულ გარემოებებსაც უმკლავდება ჩვენი კრიტერიუმი, რადგან თვით მაღალი ხარისხის სოციალურად ადეკვატური საფრთხე დასაშვები რისკის ფარგლებში რჩება. ველპმა შექმნა შემდეგი მაგალითი: „U ათხოვებს T-ს, რომელიც ცნობილია თავისი დაუნდობლობით და უიღბლო ქორწინებაში ცხოვრობს კრიმინალურ რომანს, სრულყოფილი დანაშაულის“ შესახებ. ამის შემდეგ T იღებს გადაწყვეტილებას, რომ მოკლას ცოლი ისე, რომ U მას ამაში ხელს არ შეუშლის“ (64, 286). მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია უარყოფილი იყოს U-ს გარანტის ვალდებულება. ველპის დასაბუთებაში კი ეს არ არის მოცემული. „სხვის თავისუფლებაზე არა წინასწარ განზრახული ზემოქმედება, არავითარ შემთხვევაში არ არის ყოველთვის სოციალურად ჩვეული როგორც ველპი ფიქრობს, არამედ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებულ გარემოებაზეა ასე. ის სოციალურად ადეკვატურია იმ შემთხვევაში თუკი სახეზე არ არის განსაკუთრებულად უჩვეულო გარემოებები (დანართი N2).

თავი VI . უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა კრიმინოლოგიური ასპექტები

6.1. დანაშაულებრივი უმოქმედობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები

ფსიქოლოგიასა და სამართლებრივ მეცნიერებათა ინტეგრირების აუცილებლობა ადამიანის ქცევის პრობლემის გადაწყვეტაში დიდი ხანია მომწიფდა, ამიტომ ჩვენი აზრით სამართლებრივი ქცევის, კერძოდ კი პასიური ქცევის სოციალურ- ფსიქოლოგიური მექანიზმი გამოკვლეულ უნდა იქნას, როგორც სამართლის ფსიქოლოგიით, ასევე სამართლის ზოგადი თეორიის კუთხით (77,31).

ჩვენი ამოცანა დანაშაულებრივი უმოქმედობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების გაანალიზება და გამოკვლევაა. მისი აღწერის სირთულე დაკავშირებულია მთელ რიგ გარემოებებთან.

პირველ რიგში პასიური ქცევის გამოხატვის ფორმასთან, რომელიც უმოქმედობაში გამოიხატება.

მეორე რიგში ადამიანის ფსიქიკური პროცესები ხელმიუწვდომელია უშუალოდ დამკვირვებლისათვის.

მესამე რიგში ქცევის გარე ფორმა შესაძლოა არ ემთხვეოდეს ცნობიერებისაქტივობას, რადგანაც ადამიანის ნებისმიერი ქცევა არის, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სოციალური პროცესების შედეგი.

მეოთხე რიგში თავად ცნობიერება არ შეიძლება იყოს სამართლებრივი რეგულირების ობიექტი.

აქტიური ქმედების ან უმოქმედობის ყოველ მომენტში ადამიანის ფსიქიკა ფუნქციონირებს, როგორც ერთიანი მთლიანი მექანიზმი, მაგრამ თეორიულ დონეზე შესაძლებელია იმ ელემენტების დომინირებადი შემადგენლობის გამოყოფა, რომლებიც კონკრეტული ქცევის ფსიქოლოგიურ პროცესში მონაწილეობენ (73,45). დანაშაულებრივი უმოქმედობის სოციალურ- ფსიქოლოგიურ მექანიზმად ჩვენ მივიჩნევთ გარე, სოციალურ და შიდა ფაქტორებს, რომლებიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავენ მოტივების ფორმირებას (73,46).

პირველ რიგში მივმართავთ გარე და სოციალური პირობების ანალიზს, რადგანაც სოციალური დეტერმინიზმი ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპია, რომლის

მეშვეობით ხდება სამართლებრივი ქცევის განპირობებულობის საკითხის გამოკვლევა. სოციალური გარემო პიროვნების ფსიქოლოგიური ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს (70,61). ის ასევე, იმ სამართლებრივი ცნობიერების ფორმირების საფუძველიც არის, რომლის დონეზე და მდგომარეობაზეც დამოკიდებულია სამართლებრივი ქცევის ფორმა და სახე. პიროვნების ქცევა დეტერმინირებულია მისი გარემო პირობებით და თავად ადამიანი განიხილება, როგორც საზოგადოების გარკვეული სოციალური გარემოს პროდუქტი (70,62). ამ საკითხზე შეხედულებები გამოთქმული იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის მოაზროვნეების ნაშრომებში: პ. ჰოლბახი, ტ. ჰობსი, ი. კანტი, ი. ფიხტე, გ. ფ. ჰეგელი.

უდავოდ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ახალი ეკონომიკური ურთიერთობების, კერძო საკუთრებითი ინტერესების, ქონებრივი უტოლობის გავლენას უმოქმედობის გამოვლენის ხასიათსა და ფორმებზე (191,55). ცვლილებები ეკონომიკურ ცხოვრებაში, რომლებიც სოციალური ფენის შრომისა და ყოფის პირობებზე აისახება, გავლენას ახდენს პიროვნებათა შორის სოციალურ-ფსიქოლოგიურ პროცესების სტრუქტურულ და დინამიურ მახასიათებლებზე. სწორედ ეკონომიკურ პროცესებთან არის დაკავშირებული უმოქმედობის გამოვლინების მრავალი სახე, კერძოდ კი ეკონომიკური დანაშაულები-გადასახადების დაფარვა, თავის არიდებ და ა.შ. სამართალს არ ძალუძს კონკურენცია გაუწიოს ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანის ქცევას განაპირობებენ სამართლებრივ სფეროში, თუ სამართლებრივი ნორმებით დადგენილია ერთი, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობებით-მეორე, გადამწყვეტი როლი ქცევის არჩევისას სწორედ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს ექნება, ამიტომაც აღნიშნული ფორმების პრევენციის მიზნით უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და მას მკაფიოდ გამოხატული სოციალური მიმართულება უნდა მიეცეს (191,58).

პასიური ქცევის მექანიზმში არსებულ სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური პროცესების ურთიერთობის პრობლემების შემუშავება ხელს შეუწყობს მრავალ ჯერ-ჯერობით გადაუჭრელ საკითხების გამომჟღავნებას (191,61). ეს არსებითი ურთიერთკავშირი არ ატარებს დამოკიდებულების ხასიათს და მისგან არ შეიძლება პოლიტიკის, კულტურის, იდეოლოგიის, რელიგიის, ზნეობის სფეროში მიმდინარე მოვლენების გამორიცხვა. დღეს ძნელია სოციალურ-ეკონომიკური სინამდვილის ერთმნიშვნელოვნად დახასიათება, რადგან მას ახასიათებს, როგორც პოზიტიური,

ასევე ნეგატიური ასპექტებიც, მაგალითად: საზოგადოებრივი ღირებულებით-ნორმატიული სისტემის შეცვლა, კორუფცია, ორგანიზებული დანაშაულობა, ბიუროკრატიზმი, ხელისუფლების სტრუქტურების უმოქმედობა და სხვა. ზემოაღნიშნული ფაქტორები გავლენას ახდენენ ადამიანის ცნობიერების, კერძოდ კი სამართლებრივი ცნობიერების ფორმირების პროცესზე და ქცევის მოტივებზე.

ამასთან „სამართლებრივი ცნობიერების დეფორმირება, მისი რღვევა სწორედ იმ მომენტიდან იწყება, როდესაც მანკიერი სახელმწიფო პრაქტიკის ზეგავლენით ადამიანის ცნობიერებაში საფუძველი ეყრება არსებულ უსამართლობასთან შერიგების ჩვევას“ (196,7). საზოგადოებრივ-სამართლებრივი პროცესების მონაწილე პირების პასიური მდგომარეობა იწვევს დანაშაულებრივ უმოქმედობას. თავის მხრივ ზნეობრივი რეგრესი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პირდაპირ პროპორციულია, როდესაც პირი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ სოციალურ ფუნქციებს: არ ეხმარება მშობლებს, ავადმყოფს ან სხვა პირებს, თავს არიდებს გადასახადების გადახდას. პასიური ქცევის ასეთ სახეებთან მხოლოდ სამართლებრივი საშუალებებით ბრძოლა უპერსპექტივოა, ისინი დაკავშირებულია ზნეობრივი და სამართლებრივი ცნობიერების დეფექტთან (196,17).

მნიშვნელოვანია აგრეთვე რელიგიური ცნობიერების იგნორირება არ მოვახდინოთ, რომლის ზეგავლენა ქცევაზე შეიძლება საკმაოდ არსებითი იყოს. ძირითადი ქრისტიანული მცნებები ქადაგებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი საზოგადოებაში - „არ მოკლა, არ მოიპარო, არ იცრუო“.

აქსიომა-„ყოფიერება განაპირობებს ცნობიერებას“ ცნობილია, და მართლაც ხანგრძლივად სხვის კმაყოფაზე ყოფნას შეუძლია პასიური, ინდიფერენტული ცნობიერების ჩამოყალიბება (202,10). მინიჭებული უფლებების არ გამოყენება და დაწესებული სამართლებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა ნიჰილისტურ, ინფანტილურ ცნობიერებას უკავშირდება. სამართლებრივი ნიჰილიზმი, როგორც მოვლენა განიხილება კანონით მინიჭებული შესაძლებლობების განკარგვის უფლებელყოფასთან (202,15). აღნიშნულ პროცესში პირს არ შეუძლია და სურვილიც არა აქვს დაიცვას საკუთარი უფლებები და უფრო მეტიც, ანგარიში გაუწიოს სხვა პირების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სურვილი არა აქვს გამოიყენოს სამართლებრივი საშუალებები თავისი უფლებებისა და თავისუფლებების განსახორციელებლად, სხვაგვარად რომ ვთქვათ ხდება კანონების იგნორირება, ისინი არ სრულდება და არ გამოიყენება, რადგან

ნიჭილიზმი არის ყოველგვარი ნორმის, პრინციპისა და კანონის უარყოფა.

დაკისრებული სამოქალაქო და სამსახურებრივი მოვალეობების უგულვებელყოფას ს. ნ. კოჟევნიკოვი სოციალური პასიურობის განსაკუთრებულ სახესხვაობას უწოდებს (197,21). უფრო მეტად სახიფათოა თანამდებობის პირთა, ხელისუფლების წევრთა ნიჭილიზმი, რაც ბადებს ბიუროკრატიზმს, ფორმალობას სახელმწიფო აპარატში, ასევე აღვნიშნავთ, რომ ეს პროცესები იწვევს მოსახლეობაში უპატივცემულობას, უნდობლობის გრძნობას კანონების მიმართ (197,22).

დამოკიდებულება უფლებებისა და მოვალეობების მიმართ შეიძლება იყოს ინდიფერენტული და გულგრილიც, რაც განუვითარებელ სამართლებრივ ცნობიერებაზე მეტყველებს. სამართლებრივი უცოდინრობა-ინფანტილიზმია (ხარვეზი ცნობიერებაში), რაც ასევე დაკავშირებულია უმოქმედობის გამოვლენის ფორმასთან, მაგრამ უმოქმედობის სუბიექტების ცნობიერების განხილული დეფექტების გარდა შეიძლება არსებობდეს ცნობიერების კონსერვატიული სტერეოტიპებიც, რომლებიც საზოგადოების გარკვეულ ფენებში ვლინდება. ა. ვ. ობოლონსკი, რომელმაც ეს პრობლემა გამოიკვლია მიიჩნევს, რომ „ფსიქოლოგიური კონსერვატიზმი, რომელზეც დაფუძნებულია სოციალური პასიურობა-შემაფერხებელი ძალის ფაქტორია“ (205,16). ის ამ შემთხვევაში იყენებს ცნებას „სიმშვიდის ფსიქოლოგიური ინერციის მატარებელი“ ანუ პასიური სუბიექტები.

არსებით ზეგავლენას ინდივიდის ცნობიერებაზე ახდენს ის სოციალური ჯგუფი, რომელთანაც ის დაკავშირებულია, რისი შედეგიც შეიძლება იყოს კონფორმიზმი ქმედებაში. მოცემული ქცევა ხასიათდება სუბიექტის სუსტი შიდა აქტივობით, როდესაც ის სამართლებრივი ნორმების რეალიზების პროცესში ორიენტირებას ახდენს ლიდერზე, ჯგუფის კოლექტივის სხვა წევრებზე. ჯგუფური ზეწოლის, ცნობიერების დევნას საფუძვლად უდევს მიბაძვა და შთაგონება (205,19).

კონფორმიზმი ფსიქოლოგიაში განსაზღვრულია, როგორც ინდივიდის მიერ საკუთარი ქცევის შეცვლის ტენდენცია სხვების ქცევის შესაბამისად, როგორც პიროვნების გაუცნობიერებელი დამორჩილება ჯგუფის გავლენისადმი, რომელშიც ის არის ჩართული (135,47). ასეთ განმარტებას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რადგან ჯგუფური ზეწოლის აღქმა შეიძლება იყოს არა მხოლოდ პასიური, მექანიკური, ავტომატური, არამედ აქტიურიც, გაცნობიერებული, როდესაც პირს სურს „არ გამოირჩეოდეს“ თავის ჯგუფიდან, ისწრაფვოდეს ქცევის ერთიანობისკენ (135,75).

იურიდიულ ლიტერატურაში წამოყენებულია კონფორმიზმის⁴ განსხვავებული განმარტებები: როგორც დადებითი სტაბილური მოვლენა, ან როგორც ნორმიდან გადახრილი, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული ჯგუფური კონფორმიზმის მოვლენა დამყარებულია ღირებულებების, როგორც ქცევის სოციალურ- ფსიქოლოგიური რეგულაციის მექანიზმში რეგულატორების არ არსებობაზე. უფრო უპირატესად მიჩნეულია რეგულაციის სოციალურ-ღირებულებითი დონე. კონფორმიზმი სოციალურ-სამართლებრივ სფეროში არა საკმარისად განვითარებული სამართლებრივი ცნობიერებისა და სამართლებრივი კულტურის შედეგია, ამიტომ ის სამართლებრივი ურთიერთობის პასიურ, არასაკმარისად ქმედით ფორმას მიეკუთვნება (89,123).

განვიხილეთ რა პასიური ქმედების დამახასიათებელი სამართლებრივი და ზნეობრივი ცნობიერების ყველაზე ტიპური დეფექტები, ახლა მივმართოთ ქცევის რეგულატორის ანუ სამართლებრივი ცნობიერების ელემენტების დახასიათებას.

ცნობილია, რომ სამართლებრივ ცნობიერების სტრუქტურაში გამოყოფენ შემდეგ დონეებს: შემეცნებითი (სამართლებრივი წარმოდგენები, შეხედულებები, ცოდნა), ემოციური (გრძნობები), ქცევითი (ნება, სამართალ განწყობა, ორიენტაციები) (93,87). ზემოაღნიშნული დონეების მიხედვით უმოქმედო სუბიექტის სამართლებრივი ცნობიერების ანალიზის საფუძველზე გამოვყოფთ სიტუაციებს, როცა:

1. პირმა იცის დაწესებული აკრძალვის შინაარსი-ეთანხმება მისი დაცვის აუცილებლობას-უმოქმედობს (მართლზომიერად უმოქმედობს);
2. პირმა არ იცის დაწესებული აკრძალვის შინაარსი-უმოქმედობს (მართლზომიერად).
3. პირმა იცის დაწესებული აკრძალვის შინაარსი-მხარს უჭერს მის დაწესებას (მართლზომიერად უმოქმედობს);
4. პირმა იცის აქტიური სამართლებრივი ვალდებულებების შინაარსი, იწონებს, მაგრამ რაღაც აკავებს მას ამ ვალდებულებების შესრულებისგან (მართლსაწინააღმდეგოდ უმოქმედობს);
5. პირმა არ იცის აქტიური სამართლებრივი მოვალეობების შინაარსი

⁴ კონფორმიზმი-(ლათ.conformism) სათანადო,მსგავსი,-ეს არის სოციალური ქცევის ტიპი, რომელსაც ახასიათებს შემგუებლობა მოვლენათა, ნორმატიული დანაწესებისა და შესაბამისი წესრიგის, მოსაზრებების, ღირებულებებისა და წარმოდგენების პასიური მიღება.

(მართლსაწინააღმდეგოდ უმოქმედობს);

6. პირმა იცის აქტიური ქცევის სამართლებრივი მოვალეობები-არ ეთანხმება მათ შესრულების აუცილებლობას (მართლსაწინააღმდეგოდ უმოქმედობს);

7. პირმა იცის სუბიექტური უფლებები-უარს აცხადებს რაიმე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე პირადი მოტივებით (მართლზომიერად უმოქმედობს);

8. პირმა იცის სუბიექტური უფლებები, არსებული ობიექტური მიზეზების გამო უარს აცხადებს თავისი სუბიექტური უფლების განხორციელებაზე (მართლზომიერად უმოქმედობს);

9. პირმა არ იცის სუბიექტური უფლებები (მართლზომიერად უმოქმედობს) (89,77).

უფლებებისა და მოვალეობების რეალიზების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამართლებრივი ინფორმირებულობა, თუმცა ცნობილია, რომ ცოდნა შეიძლება არც გადაიზარდოს მართლზომიერ ქცევაში (89,81). პრაქტიკა აჩვენებს, რომ სამართლებრივი ნორმების ცოდნა არ არის მათი შესრულების გარანტი. აქ განმსაზღვრელია პიროვნების დამოკიდებულება საზოგადოების, სახელმწიფოს და სამართლებრივი ურთიერთობების სხვა მონაწილეების ინტერესების მიმართ, ხოლო სამართლებრივი დანაწესების, აკრძალვების, ნებართვების არ ცოდნა აუცილებელია განიხილოს, როგორც ქცევის შემაკავებელი ფაქტორი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემეცნებითი აქტიურობის არ არსებობა სამართლებრივ სფეროში განსაზღვრავს სამართალ-პასიურ ქცევას (89,83).

დღეს სამართლებრივად გათვითცნობიერების საერთო მოცულობა სამართალ-დამრღვევებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე კანონმორჩილ მოქალაქეებს. ამასთან მისი მნიშვნელობა სხვადასხვა სამართლებრივ სიტუაციებთან მიმართებაში ერთნაირი არ არის (89,85). პირველ რიგში, კონკრეტული სამართლებრივი ცოდნის გარეშე სამართლის სუბიექტი ვერ შეძლებს ისარგებლოს მინიჭებული უფლებებით. მეორეც, სახელმწიფო კანონების არ ცოდნა მიუღებელია სამართალგამომყენებლისთვის, რადგან ამას მოსდევს იმპერატიული მოთხოვნის დარღვევა, დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა და ბოლოს როგორც ცნობილია კანონის არ ცოდნა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან (89,85).

შეგვიძლია სამართლებრივი ცოდნის ორი ძირითადი მიმართულების გამოყოფა: ან სახელმწიფო აწვდის ინფორმაციას მოქალაქეებს, ან მოქალაქეები აწვდიან. სხვა სუბი-

ექტები გამოხატავენ ინტერესს, შემეცნებით აქტიურობას. გარდა ამისა, აუცილებელია მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებული საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამა, სამართლებრივი განათლების სისტემის შექმნა (89,87).

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ნორმატიულ-სამართლებრივი ინფორმაციის უფრო ფართო ხელმისაწვდომობა, დანერგოს სამართალშემოქმედებით საქმიანობაში მოქალაქეების ჩართვის ქმედითი ფორმები, მხოლოდ ზემო აღნიშნული მიმართულებების რეალიზების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოქალაქეების, საზოგადოების, სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლება, რადგან ის უშუალოდ დაკავშირებულია სამართლებრივ ინფორმირებულობაზე. ამგვარად, სამართლებრივი გათვითცნობიერება თავისი სუბიექტური

უფლებებისა და მოვალეობების, მათი რეალიზების კანონიერი საშუალებებია. მათი არ ცოდნა ზღუდავს ამ თავისუფლებას და იწვევს ამ უფლებების გამოუყენებლობას, ან მოვალეობების შეუსრულებლობას (89,93).

პრობლემის სხვა მხარე შემდეგში მდგომარეობს, რომ შეიძლება შევხვდეთ ე.წ „სუვერენულ პიროვნებებს“, რომლებმაც მხოლოდ თავისი უფლებების შესახებ იციან, მოითხოვენ მათ რეალიზებას და ამავე დროს არ აღიარებენ თავიანთ ვალდებულებებს საზოგადოებისა და მისი წევრების წინაშე (26,39).

მართლაც „რა არ გვსმენია თავისუფლების შესახებ, რომელიც დემოკრატიის განვითარებასთან ერთად გვენიჭება, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროზე ნაკლები ვიცით პასუხისმგებლობის იმ მოცულობის შესახებ, რომელიც თან მოაქვს ამ თავისუფლებას“ (26,49). ამასთან კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ მოვალეობების, მორალური მოთხოვნების საკითხები უფრო მეტად დეონტოლოგიაში, ეთიკის თეორიაში განიხილება, ვიდრე სამართლის მეცნიერებაში. მოვალეობამ სამართლის სფეროში შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა. ეს სამართლებრივი ვალდებულებების დაწესება და დამკვიდრებაა, თვითონ მოვალეობების იდეა ნაკლებად არის გავრცელებული საზოგადოებრივ ცნობიერებაში. აქედან გამომდინარეობს მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ცალმხრივობა, რომელიც ორიენტირებულია უფლებებზე და როგორც წესი მოვალეობის არ შესრულებაზე (194,23).

მოვალეობის გაცნობიერება, რომელსაც პასუხისმგებლობა ეწოდება არის სამართლებრივი ცნობიერების ემოციურ დონეს მიკუთვნებული კატეგორია. პასუხისმგებ-

ლობის გრძნობა ყალიბდება სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების მუდმივი თვისების საფუძველზე, ასე მაგალითად : სხვა პირების უფლებებისა და ინტერესების პატივისცემის მოთხოვნას აქვს ზნეობრივი საფუძველი და საერთო-მოქალაქეობრივი. აგრეთვე სხვა პირების უფლებების მიმართ პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას გულისხმობს (194,21). დემოკრიტე მაგალითად: მოვალეობას სამართლიანობას უკავშირებდა, რადგან მიაჩნდა, რომ სამართლიანობა არის ვალის მოხდა, ხოლო უსამართლობა ვალდებულების შეუსრულებლობა.

აღსანიშნავია, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედი სუბიექტისთვის, რომელიც არ ასრულებს სამართლებრივ მოვალეობას, დამახასიათებელია არა მხოლოდ პასუხისმგებლობის არ არსებობა, არამედ კანონიერების გრძნობის არ არსებობაც (79,57).

თანამედროვე გაგებაში კანონიერების გრძნობა განიმარტება, როგორც ინდივიდის ქცევის თვითრეგულირების საშუალება. ის საშუალებას აძლევს სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტს შეიცნოს და შეაფასოს სამართლებრივი სინამდვილე (89,93).

ცნობილია, რომ სამართლებრივი გრძნობის პრობლემას დიდი ხნის ისტორია აქვს და დაკავშირებულია ლ. პეტრაჟიციკის სამართლის ფსიქოლოგიურ კონცეფციასთან (128,21). ხსენებული თეორიის მომხრეებისთვის დამახასიათებელი იყო სამართლებრივი გრძნობებისა და ემოციებისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება, რომელიც შემდგომში ფსიქოლოგიური კვლევებისადმი სამართლის თეორიის უნდობლობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. სამართალი წარმოადგენს სოციალური სინამდვილის ერთ-ერთ გამოვლინებას და დასაბამს აძლევს გრძნობების, ემოციების, განცდების სახით გამოხატულ ფსიქოლოგიური რეაგირების მოვლენებს, რომელიც გვევლინება როგორც ინდივიდის ცნობიერებაში გარემომცველი სამყაროს ასახვის პირველადი ფორმები. სამართლებრივი ნორმების გრძნობითი აღქმა გამოისახება მათ მიმართ გარკვეულ დამოკიდებულებაში.

გრძნობები ღებულობს სხვადასხვა სოციალურ მიმართულებას და შესაბამისად მათ შეიძლება განსაზღვრონ ქცევის ყველაზე განსხვავებული ფორმებიც, ასე მაგალითად: უპასუხისმგებლო, დაუდევარი, მიმწელობითი მიდგომა ბადებს მართლსაწინააღმდეგო-დანაშაულებრივ უმოქმედობას სამართლებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის სახით. შიშის გრძნობას გარკვეულ გარემოებებში შეუძლია მთლიანად ჩაახშოს სუბიექტის სამართლებრივი ქცევის აქტივობა. იძულებული გახადოს უარი თქვას

აუცილებელი თავდაცვის უფლების გამოყენებაზე (77,83).

გარდა ამისა, სამართლებრივი გრძნობები პიროვნების ქცევის ფსიქიკური რეგულირების უფრო რთული მოვლენების ფორმირების საფუძველსაც წარმოადგენს (განწყობა, ორიენტაცია). განწყობა დ. უზნაძის თანახმად წინ უსწრებს ნებისმიერი ქცევის რეალიზებას. ის ჩნდება ორი აუცილებელი ფაქტორის ურთიერთობის შედეგად: ა) მოთხოვნილებებისა და ინტერესების (სუბიექტური ფაქტორი), ბ) გარემოსი, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანს შეიცავს (ობიექტური ფაქტორი) (142,365). სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ პიროვნებას შეუძლია თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საკუთარი აქტივობის მეშვეობით, რომ მოთხოვნილებები და ინტერესები აქტიურობის სტიმულს წარმოადგენენ (77,87).

„მოთხოვნილება-წერს აკად. დ. უზნაძე, -აქტიურობის წყაროა. იქ, სადაც არ არის არანაირი მოთხოვნილება, საუბარიც არ შეიძლება იყოს აქტიურობაზე“ (142,366).

შესაძლოა კი სიტუაცია, როდესაც უმოქმედობის გზით ადამიანს შეუძლია თავისი მატერიალური, სულიერი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება? ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ პირის უმოქმედობა ან შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესებს (სამართლებრივი აკრძალვების დაცვის სახით) ან ეწინააღმდეგება ამ ინტერესებს (სუბიექტური უფლებების გამოუყენებლობა ან სამართლებრივი მოვალეობების არ შესრულება).

ინტერესის, როგორც ქცევის მადეტერმინირებელი ფაქტორის იდეამ საკმარისი განვითარება მიიღო იურისპრუდენციაში, რისი თქმაც არ შეიძლება სამართლებრივ სფეროში მოთხოვნილებების როლის კვლევის შესახებ. რ. იერინგის თვალსაზრისით „ინტერესი ნავარაუდევია ყოველგვარი ქმედებისას. მოქმედება ინტერესის გარეშე ისეთივე უაზრობაა, როგორც მოქმედება მიზნის გარეშე. ის ფსიქოლოგიურად შეუძლებელია“ (95,42). სამართლებრივი ქცევის სახე და ფორმა განისაზღვრება რაიმე ინტერესების, კერძოდ საზოგადოებრივი თუ პირადი (ინდივიდუალური) ინტერესების რეალიზებით, დაკმაყოფილებით, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. სამართლებრივად მნიშვნელოვანი პასიური ქცევის ჩადენისას ხდება ინტერესების ან კოორდინირება, ან კონფრონტაცია. ჯერ კიდევ ჰეგელი ამახვილებდა ყურადღებას საერთო და კერძო ინტერესების თანაფარდობის საკითხებზე. ის წერდა, რომ

„სახელმწიფო კეთილმოწყობილი და ძლიერი აღმოჩნდება, თუ მოქალაქეთა კერძო ინტერესები შეუერთდება საერთო მიზანს, თუ ერთი ნახულობს თავის დამოკიდებულებასა და განხორციელებას მეორეში. ეს პრინციპი თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია“ (82,24).

სახელმწიფო და საზოგადოებრივ, საზოგადოებრივ და კერძო ინტერესებს შორის არსებული წინააღმდეგობის გადალახვა ან ლიკვიდირება რთული და შესაძლოა ძნელად გადასაწყვეტი ამოცანაა. ამასთან საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ პირად ინტერესებს ადამიანი უფრო სწრაფად და ადვილად აცნობიერებს, ვიდრე კოლექტიურს და საზოგადოებრივს, ასე მაგალითად: ჰობსი ამტკიცებდა, რომ ზრუნვა საკუთარ კეთილდღეობაზე ნებისმიერი ადამიანისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საზოგადოებრივი კავშირები, ამიტომაც ქცევაზე ზემოქმედება უპირველეს ყოვლისა შეიძლება სუბიექტის პირადი ინტერესების გათვალისწინებით და აგრეთვე სამართლებრივი და ზნეობრივი ცნობიერების დონის ამაღლებით, რადგანაც რაც უფრო მაღალია სამართლებრივი და ზნეობრივი ცნობიერება, ინტერესების უფრო ფართო წრით ხელმძღვანელობს პიროვნება ამა თუ იმ ქცევის განხორციელების დროს.

ადამიანის აქტივობის წამქეზებელ როლში გამომსვლელად ობიექტურმა ინტერესმა უნდა გაიაროს ცნობიერებაში და იქცეს სუბიექტურ ინტერესებად. უმოქმედობის სუბიექტის პოზიცია საზოგადოებრივი ინტერესებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში მდგომარეობს და მიმართულია საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე, ისევე როგორც გადასახადების გადახდისგან თავის არიდების უმოქმედობის შემთხვევაში (137,87).

უმოქმედო სუბიექტი ან არ აცნობიერებს საზოგადოების, სახელმწიფოს, სხვა პირების მოთხოვნებსა და ინტერესებს, ან მას არ სურს ანგარიში გაუწიოს, და არც უწევს ანგარიშს მათ. ინტერესების ეს კონფლიქტი საფუძვლად უდევს პიროვნების სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი განდგომის პრობლემას (137,89).

პიროვნების სოციალურ-სამართლებრივი იზოლირება ვლინდება რიგ სოციალურ ფუნქციებზე უარის თქმაში, შეუსრულებლობაში, როდესაც პიროვნება აღარ წარმოადგენს აქტიურ სოციალურ ძალას. უმოქმედობასთან დაკავშირებული სამართლებრივი განდგომა, განცალკევება გამოიხატება მოვალეობებისა და ვალდებულებების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაში, ამიტომაც აუცილებელია საზოგადოებრივი და

კერძო ინტერესების დაახლოების სხვა საშუალებების გამონახვა სამართლებრივი ცხოვრების მონაწილეების სასურველი ქცევის მისაღებად (152,55). ერთ შემთხვევაში აქტიურის, ხოლო სხვა შემთხვევებში-პასიურის. ვალდებული პირის ქცევა მიმართული უნდა იყოს ინტერესების უზრუნველყოფაზე, რადგან „ინტერესი“ არის ის, რაც აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოების წევრებს ერთმანეთთან. სამართლებრივი სუბიექტების დომინირებული, გაბატონებული ინტერესები ასახავენ მათ რეალურ მდგომარეობას საზოგადოებაში, სახელმწიფოში. საზოგადოებრივ ურთიერთობების, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ინტერესებში (152,57).

თანამედროვე პირობებში საკმარისი აღარ არის ადამიანის ქცევის განპირობებულობაზე, მხოლოდ მოთხოვნილებებისა და ინტერესების სისტემის მეშვეობით ვილაპარაკოთ. აღვნიშნავთ, რომ მოთხოვნილებები და ინტერესები განიცდიან ცვლილებებს, რადგან განვითარებადმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა შეიძლება წარმოშოს მოთხოვნილებათა ახალი სახეები, რომელთა საფუძველზე ყალიბდება ინტერესების ახალი ტიპებიც, მაგალითად : კერძო-საკუთრებითი. მნიშვნელოვანია, რომ ისინი არ გადაიზარდოს ეგოცენტრულ ინტერესებში, რომლებიც გარკვეულ სიტუაციებში ტრანსფორმირებას ახდენენ ანტი საზოგადოებრივ განწყობაში (152,71).

მართლაც მოთხოვნილებები და ინტერესები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის ქცევის მამოძრავებელი ძალები, მაგრამ ისინი არ არის სამართლებრივი განწყობისა და აქტიური, ან პასიური ქცევის მოტივების ფორმირების ერთადერთი წყარო.

დანაშაულებრივი უმოქმედობა, როგორც გარე ქცევის ერთ-ერთი ფორმა, არ დაიყვანება შიდა ფსიქიკურ პროცესებამდე, რომლებიც დამახასიათებელია აქტიური ქცევისათვის. ის საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განხილვა ხდება კონკრეტული პირობების ერთობლიობაში, რომლებმაც მოქმედების აუცილებლობა გამოიწვია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უმოქმედობა როგორც გარე აქტი, მიზეზი, თავს ავლენს მხოლოდ მაშინ, როცა ის ჩართულია ობიექტური კავშირის სისტემაში, ურთიერთობის გარკვეულ სტრუქტურაში (77,40). სწორედ სოციალურ-სამართლებრივ სინამდვილესთან, კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან ურთიერთობისას ხდება არა სასურველი ან სავალდებულო, სათანადო გაცნობიერებული ქცევის შეჩერება და პიროვნების ქცევის პოტენციალის ჩახშობა, გარკვეული განწყობის ფორმირება (77,43).

რეაგირებს რა შექმნილ გარემოზე (სიტუაციაზე) პირი იქცევა თავისი ხასიათის, ტემპერამენტის თავისებურებების, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისებების შესაბამისად. სუბიექტების სამართლებრივი ქცევის ტიპოლოგიური თავისებურებები გავლენას ახდენენ ქცევის სახეობის არჩევაზე, მაგრამ წინასწარ არ განსაზღვრავენ მას. ქცევის არჩევის თავისუფლება არ შემოიფარგლება სამართლებრივი ეტალონებით, ნორმებით. შეიძლება ლაპარაკი ზნეობრივად დასაშვები საზღვრების, აგრეთვე ფსიქიკური რეაქციის შეზღუდულობის შესახებ- ეს იქნება მოქმედების გამომწვევი აღზნება ან უმოქმედობის გამომწვევი იმპულსის შეკავება და მაინც პიროვნების, როგორც სამართალ-პასიური ქცევის სუბიექტის ტიპის, დამახასიათებელი თავისებურებების განსაზღვრას დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს (77,51).

დამნაშავე პიროვნების სოციალური ტიპოლოგიის საფუძვლად ა. იაკოვლევი შემდეგ ნიშნებს იღებს: „გარემო პოზიციებიდან პიროვნების განმარტოებულობის ხარისხი“, „ქცევის ხერხის სიმყარე“ (153,33). ავტორს აგრეთვე მოსწონს გ. მინკოვსკის მიერ ჩატარებული პიროვნების ტიპების დიფერენცირება, რომელმაც შემოგვთავაზა სამი ჯგუფი:

- პიროვნების ზემოქმედების მქონე გარე ფაქტორები;
- შიდა პირობები (განწყობა და ორიენტაცია);
- სიტუაცია, რომელშიც ვლინდება ფაქტორების პირველი ორი ჯგუფი (153,77).

კონკრეტული გარემოებების კომპლექსის გავლენის ქვეშ, პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება ჩამოყალიბდეს პასიური ტიპი, რომლისთვისაც ფსიქოლოგიურ დონეზე დამახასიათებელი იქნება : მოთხოვნილებათა შეზღუდვა, პირადი ინტერესების პრიორიტეტულობა, გულგრილობა, აგდებული დამოკიდებულება თავისი სოციალური ფუნქციების შესრულებისადმი, უნიციატივობა, ეგოიზმი, დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა, ინერტულობა.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში პიროვნება განიხილება, როგორც გარკვეული ღირსებების მატარებელი და აღინიშნება, რომ ინდივიდების ფსიქიური თვისებები „ყალიბდება და ვითარდება ქცევის კონკრეტული ფორმების შიგნით და მათზე დამოკიდებულებით. ფსიქიკის ფორმები თავის მხრივ ახალ ფორმებს განაპირობებს“ (131,139).

სამართლებრივად მნიშვნელოვანია უმოქმედობის ფსიქოლოგიური მექანიზმის გამოკვლევისას გავითვალისწინოთ სუბიექტის ფსიქიკაზე ქცევის უკუქმედითი ზეგავლენის ფაქტი, როდესაც ფსიქიკურ პროცესებს შეუძლია არა მხოლოდ მართოს ქცევა, არამედ მასში ჩამოყალიბდეს იმ კერძო სიტუაციიდან გამომდინარე, რომელშიც მოითხოვება მოქმედების ჩადენა ან მასზე უარის თქმა. ა. ლეონტიევი მიიჩნევს, რომ „ინდივიდები გავლენას ახდენენ რა გარე სამყაროზე, ცვლიან მას და ამით ისინი აგრეთვე ცვლიან თავიანთ თავს“ (111,22). სწორედ ლეონტიევი აყენებს საკითხს შიდა და გარე აქტივობის თანაფარდობისა და ურთიერთკავშირის შესახებ (111,24).

ჩვენი აზრით მოქმედება და უმოქმედობა მიზანშეწონილია განვიხილოთ, როგორც ადამიანის გარე ზემოქმედების რეაგირების ორი დამოუკიდებელი ფორმა. პირველ შემთხვევაში-შიდა აღზნება, იმპულსი იწვევს მოქმედებას. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ინტენსიური შიდა საქმიანობა, ფსიქიური აქტივობა ბადებს გარე აქტიურობას. მეორე შემთხვევაში-ფსიქიკაში ამოქმედებული და კონკრეტული სიტუაციით განპირობებული დამუხრუჭების მექანიზმი წინასწარ განსაზღვრავს, წარმოშობს პირის უმოქმედობას.

რეაქცია გარე აქტივობის შეკავებასთან დაკავშირებულია სამართლებრივ განწყობასთან. სამართლებრივი განწყობა გვევლინება, როგორც ინდივიდის მზაობა, აქტიური ან პასიური ფორმით რეაგირება სოციალურ-სამართლებრივ სინამდვილეზე, თუმცა არა თავად ქცევაზე (151,45).

სამართლებრივი განწყობის რეალიზება უსათუოდ მოითხოვს ნებით ძალისხმევას, ამიტომ უმოქმედობის სუბიექტი აუცილებლად უნდა ფლობდეს ნებით თვისებებს და უნდა ჰქონდეს მათი გარე გამოვლენის შესაძლებლობა. ნება ეს არ არის მხოლოდ სურვილისა და მიღწევის უნარი, არამედ საჭიროა უარის თქმის უნარიც. ამავე დროს, როგორც სამართლებრივი პრაქტიკა გვიჩვენებს, იძულებითი ღონისძიებების გამოყენება ყოველთვის არ არის ეფექტური და ასეთი იძულების საფრთხე, დასჯის შიში არ წარმოადგენს ადამიანის ქცევის ყველაზე ქმედით დეტერმინანტს, და როგორც შედეგი შესაძლოა კანონის დარღვევა უმოქმედობის ფორმით.

მოთხოვნილებებისა და ინტერესების, ემოციებისა და გრძნობების, ცნობიერებისა და ნების გარდა, ერთიანი ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმის აუცილებელ

ელემენტს შეადგენს ქცევის მოტივებიც. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ ფსიქოლოგები პირდაპირ უკავშირებენ მოტივაციას ადამიანის ქცევის აქტივობის პრობლემას, ხოლო პასიური ქცევის მოტივაცია გამოკვლეული არ არის (131,141).

მოტივაციის, როგორც ქცევის მოტივის ფორმირების პროცესის პრობლემა არის ერთ-ერთი საკვანძო ნებისმიერი სამართლებრივი ქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებაში. როგორც ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აღინიშნება სწორედ ის, რაც მნიშვნელოვანია ადამიანისათვის საბოლოოდ მისი აქტიური და პასიური ქცევის მოტივებს წარმოადგენს, ხოლო ქცევის მოტივაციის პროცესი შერჩევით ხასიათს ატარებს და მოტივი, რომელიც ჩამოუყალიბდა სუბიექტს, საბოლოოდ დამოკიდებული იქნება მოტივების როლის მქონე ელემენტების შევსებაზე (131,145). ეს შეიძლება იყოს მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა უმოქმედობისას. აკრძალვების დაცვა და არა კეთილსინდისიერი, აგდებული დამოკიდებულება სამსახურისადმი. უპირველეს ყოვლისა კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ, რომ საუბარია ქცევის შემკავებელ და არა წამქეზებელ მოტივებზე, რომლებიც დამახასიათებელია აქტიური ქმედებისათვის. ნ. კუზნეცოვა „თავის არიდებას“ საქმიანობის ანტიმოტივს უწოდებს, რაც სწორად არ წარმოგვიდგენია (106,26).

განსხვავებულ, სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოში სუბიექტის აქტივობას აკავებს სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. შემკავებელ მოტივებს შორის მიზანშეწონილია გამოვყოთ: მართლზომიერი უმოქმედობის და მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობის მოტივები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მაგალითად: ანგარებითი, ეგოისტური,კერძო საკუთრებითი, მცდარად გაგებული ინტერესები, გულგრილი, უპასუხისმგებლო, მიმნებლური დამოკიდებულება, დაუცველობის გრძნობა, დაუსჯელობის გრძნობა (89,63).

უმოქმედობის სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმის ელემენტების ანალიზის შედეგების შეჯამების შედეგად შეგვიძლია რიგი დასკვნების გაკეთება. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი ქცევის არსებული ფორმების ფსიქო-ფიზიკური ბუნება განსხვავებულია: მოქმედება-გარკვეული მოტივით აღძრული მიზანმიმართული პროცესია, ხოლო უმოქმედობა კი არა. სუბიექტის მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია პირველ რიგში, პირის აქტიურობის შემკავებელი გარე ფაქტორებით (89,87).

ქცევის პასიური აქტი, როგორც წესი მოძრაობის გაცნობიერებული და ნებითი

შეჩერებით ხასიათდება, რაც მის ფსიქიკურ აქტიურობაზე მეტყველებს, ამიტომ შეიძლება ლაპარაკი ფსიქიური პროცესის თავისებურებებზე, რომლებიც თან ახლავს სამართალ-პასიურ ქმედებას, თუ აქტიურობა დამოკიდებულია შიდა წინააღმდეგობებზე, რომლებიც განაპირობებენ გარე ზემოქმედებას, მაშინ პასიურობა გარე დეტერმინაციის შედეგია, რადგან მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გარკვეულ სისტემაში, პირისათვის უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭების მომენტიდან (89,91). ფსიქიური რეაქციების ფორმები განსხვავდება არა მხოლოდ გარე ზემოქმედებაზე, გარემომცველ სინამდვილეზე მიმართებით, არამედ სოციალურ გარემოსთან სუბიექტების ურთიერთობის ტიპებშიც: მოქმედების ფორმით ჩადენისას პირი უშუალო ზეგავლენას ახდენს ამ გარემოს რომელიმე ობიექტზე, უმოქმედობისას - კონკრეტული სიტუაცია (გარემო), როგორც სოციალური სინამდვილის გამოვლენა ზემოქმედებას ახდენს სუბიექტებზე, რომლებიც ობიექტური ან სუბიექტური მიზეზების გამო ქცევის პასიურ ვარიანტს ირჩევენ, თუ სოციალურ-სამართლებრივი სინამდვილე ხელს არ უწყობს მართლ-ზომიერი აქტიური ქცევის მოტივების ფორმირებას, მაშინ ის პასიური ფორმით მომხვეჭელობის ფსიქოლოგიას ბადებს, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი არ ავლენენ სურვილს და ინიციატივას თავიანთი უფლებების რეალიზებისათვის და მოვალეობების შესრულებისთვის (89,95).

ამასთან დაკავშირებით გვინდა გამოვთქვათ რიგი წინადადება მიმართული იმ პირობების თავიდან აცილებაზე, რომლებიც ხელს უწყობენ არასასურველი პასიურობის გამოყენებას. ამისთვის აუცილებელია:

1.სამართალ-პასიური ქცევის არსებული ნეგატიური განწყობისა და მოტივების დაძლევა, ინტერესის გაზრდა, როგორც მოქალაქეების, ასევე მოხელეების მიერ უფლებების გამოყენებისა და ვალდებულებების შესრულების მიმართ. საუბარია გარე შემაკავებელი ბერკეტების ეფექტურობის შესახებ, რომლებმაც უნდა შეაკავოს მართლსაწინააღმდეგო ქცევის მოტივების რეალიზების პროცესი. ამის გაკეთება შესაძლებელია სამართლებრივი სტიმულირების მოქნილი სისტემის მეშვეობით. სუბიექტების მართლზომიერი ქცევის, განსაკუთრებით თანამდებობრივი, სამსახურებრივი, პროფესიული შრომითი მოვალეობების შესრულების სფეროში სასიკეთო შედეგების წამახალისებელ ნორმებში განმტკიცების გზით (177,71). დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს სამართლებრივი სტიმულირების აშკარა პრიორიტეტი სამართლებრივ შეზღუდვებთან შედარებით, რომელთა როლი და მნიშვნელობა ხაზგასმულია სამართლებრივ

მეცნიერებაში, ხოლო პრაქტიკაში მათ აქტიურ გამოყენებამდე ჯერ კიდევ შორს ვიმყოფებით.

2. მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის გარანტიების გაძლიერება, რადგან სამართლებრივად რაც უფრო მტკიცედ გრძნობს თავს მოქალაქე, მით უფრო თამამად იყენებს მინიჭებულ შესაძლებლობებს, იცავს თავის უფლებებს და სახელმწიფო ინტერესებს.

3. მოქალაქეთა ღირებულებითი ორიენტაციის, მოსახლეობის სამართალ ცნობიერების, სამართლებრივი ინფორმირებულობის დონის ამაღლება სამართლებრივი აღზრდისა და განათლების მიზანმიმართული პროგრამის განხორციელების გზით (177,72).

4. სამართლებრივი ურთიერთობების, სამართლებრივი პროცესის მონაწილის ქცევის, სამართალ- კულტურის ამაღლება.

5. სამართლებრივი ნორმების მოქმედება მით უფრო ეფექტური იქნება, რაც უფრო მეტად იქნება სახელმწიფოს მიზნები და კანონების დანაწესები მიმართული შიდა რეგულატორებზე, რაც უფრო მეტად არის ისინი ზნეობრივად ორიენტირებული (177,73). პლატონის აზრით: “კანონი არა მხოლოდ უნდა მართავდეს და აიძულებდეს, არამედ არწმუნებდეს კიდევ“. ფიხტე კი თვლიდა, რომ „ადამიანების მეხსიერებაში ჩანერგილი კანონის მუქარა მყარად უნდა დამკვიდრდეს მათ ზნე- ჩვეულებებში და მათში გააძლიეროს თავშეკავება უსამართლო ზრახვების გამოვლენისაგან“.

6. სოციალური გარემოს იმ ფაქტორების გამოვლენა სამართლებრივი ქცევის პროგნოზირების მიზნით, რომლებიც აკავებენ სუბიექტების პოზიტიურ აქტიურობას და აფერხებენ საზოგადოების განვითარებას (177,73).

7. ბოლოს, ყველაზე რთული ამოცანა-კანონმორჩილი პიროვნების ფორმირებაა. მან უნდა იცოდეს და პატივს სცემდეს კანონებს, სხვის უფლებებსა და ინტერესებს. პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს თავისი ზოგად მოქალაქეობრივი, პროფესიული და თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებას.

8. საკუთარი ნება-სურვილით ქცევის თავისუფლების გაფართოება, რომელიც დამახასიათებელია დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, კომპენსირებული უნდა იქნას კანონიერი გარანტიების გაძლიერებით. აუცილებელია სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება, რომელიც ყველა სუბიექტის

აუცილებელი სათანადო ქცევის სამართლებრივი უზრუნველყოფის ფორმაა (177,74).

6.2 პასიური დანაშაულებრივი ქცევის კრიმინოლოგიური ცნება და ხასიათი

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დანაშაულობა ადამიანთა თანაცხოვრების შედეგია. იგი მოიცავს სოციალური საქმიანობის ყველა სფეროს და საბოლოოდ იგი „სოციალური ორგანიზმის განუყოფელი“ ფორმა გახდა (123,6).

დანაშაულობის მახასიათებლების კრიმინოლოგიური კვლევა და მისი პროფილაქტიკური ზომების მომზადება სახელმწიფოებრიობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ერთ-ერთ ნაშრომში ავტორები აღნიშნავენ, რომ „სისხლის სამართლის კრიზისზე საუბრისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი არაადეკვატურობა კრიმინალურ სიტუაციასთან მიმართებით, რომელშიც აღმოცენდა საზოგადოება“ (110,157).

ამგვარად, დანაშაულობის საკითხი მოითხოვს მასზე ქმედითი ზომების მიღებას. ეს კითხვის მხრივ გულისხმობს პრობლემის მეცნიერულად დამუშავებას, მონაცემთა შეგროვებას და საკითხის გადაჭრას.

ერთ-ერთი მახასიათებელი, რომელსაც ლიტერატურაში დანაშაულობის ცნებას უკავშირებენ მისი სტრუქტურულობა არის (70,105). ტრადიციულად მთელი რიგი საკითხების საფუძველზე დაყრდნობით დანაშაულობის ზოგად სტრუქტურაში გამოყოფენ მის სხვადასხვა სახეს. ასეთი საფუძვლები შეიძლება იყოს:

- სოციალურ-მოტივაციური მიმართულება;
- სოციალურ-ტერიტორიული გავრცობითობა;
- სოციალურ-ჯგუფური შემადგენლობა და სხვა ნიშნები, რომლებიც განისაზღვრება მისი მახასიათებლების გათვალისწინებით (70,109).

ადვილად შესამჩნევია, რომ აღნიშნული საფუძვლების უმეტესობა კრიმინოლოგიურ ხასიათს ატარებს, მაშინ როდესაც მეცნიერება ითვალისწინებს კრიმინალურ-სამართლებრივი კრიტერიუმების გამოყენების შესაძლებლობასაც. სწორედ ასეთი კრიტერიუმი უდევს საფუძვლად ჩვენი აზრით პასიური დანაშაულობის გამოყოფას.

მსგავსი კლასიფიკაცია დანაშაულობის კრიმინალურ-სამართლებრივ და კრიმინოლოგიური მახასიათებლების აღნიშვნით ჯერ კიდევ იშვიათია მეცნიერებაში, თუმცა

ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ „დანაშაულობის სხვადასხვა სახის გამოყოფა შეიძლება გაგრძელდეს თითქმის უსაზღვროდ, სულ ახალი და ახალი კრიტერიუმების მოძიებით“ (87,498). ამის თაობაზე პროფ. ნ. კუზნეცოვა მიუთითებს, რომ „კრიმინოლოგიის და სისხლის სამართლის დაპირისპირება სრულიად უსაფუძვლოა. მეცნიერება დიდი ხანია გაერკვა მათ თავისებურებებში“ (102,47). ამ აზრს სავსებით შეიძლება დავეთანხმოთ, ასე მაგალითად : თავისი არსით სისხლის სამართლის პროცესუალური ნიშანი, რომელიც დანაშაულობათა კლასიფიცირების საფუძველს წარმოადგენს ბევრი რამით ემთხვევა დანაშაულობის კრიმინოლოგიურ მახასიათებლებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი მიდგომაა დამახასიათებელი პასიური დანაშაულობის პროცესის გამოყოფისათვის.

კლასიფიცირების კრიმინალურ-სამართლებრივი კრიტერიუმების მიუხედავად სავსებით შესაძლებელია მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობის საერთო კრიმინოლოგიური სურათის აგება. ცოტა წინსწრებით ვიტყვით, ეს იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ რაოდენობრივ- ხარისხობრივი, სტრუქტურული და სხვა კრიმინოლოგიური მახასიათებლების ერთობლიობა განვიხილოთ, როგორც დანაშაულობის ცალკე დამოუკიდებელ სახედ -პასიურ დანაშაულობად (89,77).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პასიური დანაშაულობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მთლიანი დანაშაულობის შემადგენელი ნაწილი, რომლის ჩადენაც უმოქმედობის ფორმით ხდება და დაკავშირებულია სპეციალურ ნორმატიულ მოვალეობასთან.

პასიური დანაშაულობის გამოყოფის კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს მიერ მოყვანილ დეფინიციას, სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს გვაძლევს. კონსტრუქციის მსგავსი მოუქნელობა და მოცულობა პასიური დანაშაულობის კრიმინოლოგიურ მახასიათებლებთან დაკავშირებით გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. ისინი მეტისმეტად „მრავალფეროვანია“ და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს მიეკუთვნება. პასიური ქმედებების მრავალი კრიმინოლოგიურად მსგავსი სახე, რომეთა გამოკვლევა და პროფილაქტიკა გარკვეულწილად ერთი ტიპის არიან, მოცემულია საქართველოს სსკ-ის სხვადასხვა თავში.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი შეიცავს 29 შემადგენლობას, რომლებიც ჩადენილია მხოლოდ უმოქმედობის ფორმით (მუხლები:

128, 129, 130, 207, 207¹, 215, 217, 218, 220¹, 279, 294, 349, 356, 357, 358, 359, 371, 375, 376, 377¹, 377², 380, 381¹, 381², 383, 389, 390, 390¹, 391).

გამოთვლის შედეგებში შეუთანხმებლობის მიზეზს ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივი უმოქმედობის აღწერის განსაკუთრებული სტილი წარმოადგენს. კანონმდებელი თავისი სიტყვებით თითქმის არასდროს პირდაპირ და საკმაოდ იშვიათად არაპირდაპირ გვატყობინებს დანაშაულებრივი ქმედების ფორმის შესახებ (138,43). ამასთან დისკუსიები არ ნელდება დანაშაულებრივი უმოქმედობის ხერხის საკითხზე, რაც ასევე ზრდის სამართლის სადაო ნორმების პროცენტს ფორმასთან მიმართებაში. ვთქვათ საქმე გვაქვს აქტიური ხერხით ჩადენილ უმოქმედობასთან. ამასთანავე დამატებით მიზეზს, რომლის გამოც ვერ ხერხდება ერთმნიშვნელოვნად კანონშიმოყვანილი სიტყვათა წყობა, წარმოადგენს ნორმის დისპოზიციის ორაზროვნად აღქმა, ამიტომაც ხშირად საჭირო ხდება გარე წყაროებისადმი მიმართვა, მაგრამ მათი მრავალსახეობა ყოველთვის ვერ გვეხმარება ჭეშმარიტების დადგენაში (138,45). ნორმის ტიპური ბლანკეტურობა შეუთანხმებლობის ერთ-ერთი მიზეზია. ამგვარად საუბარი შეიძლება მხოლოდ სისხლის სამართლის იმ ნორმებზე, რომლებიც უმოქმედობისთვის ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას (138,45).

ისევე, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის ნებისმიერი სახე, პასიური დანაშაულობა რთულ, ისტორიულად ცვლად მოვლენას წარმოადგენს, რომელიც გარკვეული კანონზომიერებით ანუ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განმეორებითი თავისებურებებით ხასიათდება. თავიანთ ერთობლიობაში ასეთი თვისებებით ინფორმაციის ბაზისს ქმნიან, რომელიც უმოქმედობის თავიდან არიდების სისტემის შემუშავების შესაძლებლობას იძლევა (138,91).

ჩავატაროთ პასიური დანაშაულობის მახასიათებლების კვლევა მისთვის დამახასიათებელი კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვანი ნიშნების-დანაშაულის მაჩვენებლების გამოსავლენად. ამ მაჩვენებლებთან მიმართებაში არსებობს სავსებით მკაფიო განსაზღვრულობა და გრადაცია რიცხოვრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

გარდა ამისა, პასიურ დანაშაულობას თავისი რეგიონალური სპეციფიკა აქვს, რომელიც კონკრეტული ტერიტორიის, დემოგრაფიის, კულტურული ტრადიციების და ა.შ თავისებურებებით განისაზღვრება. ამის თაობაზე ა. ხრისტიუკი წერს:

„სოციალური სიტუაციით განპირობებულ დანაშაულობის, მათი სპეციფიკის და

რეაქციების შესწავლის რეგიონალური დონის წინ წამოწევა სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს ანალიტიკოსების არა მხოლოდ მეცნიერულ აზროვნებაში, არამედ პროფესიულ ფსიქოლოგიაშიც“ (146,3).

პასიური დანაშაულობის მდგომარეობის შეფასებამდე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მის დონეზე მსჯელობა მხოლოდ გახსნილი დანაშაულების მიხედვით არის შესაძლებელი (138,121). ამასთან ერთად უნდა ვთქვათ, რომ პასიური ქმედებების მნიშვნელოვანი ნაწილი არ აღიქმება, როგორც დანაშაული დაზარალებულების მხრიდან და მაშასადამე სამართალდამცავი ორგანოების ყურამდე არ მიდის. ა. ოგჩინსკი და ო. ჩებოტარიოვა მსგავს დანაშაულობას ინტრუზიულს⁵ უწოდებს, რომელიც ბოლომდე არ არის გაცნობიერებული საზოგადოების მიერ, როგორც კრიმინალური მოვლენა (123,81). ამავე დროს ასეთი დანაშაულობა „სოციალური ურთიერთობების სისტემაში შეღწევას ახდენს და ცვლის მათ სტრუქტურას და არსებითი როლის თამაშსაც იწყებს“ (123,82).

უმოქმედობასთან დაკავშირებული საქმეების ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ პასუხისმგებლობა პასიური დანაშაულებრივი ქცევის ფაქტებზე, მხოლოდ ისეთ აშკარა შემთხვევებში დგება, როდესაც არ მოითხოვება მტკიცებულებითი ბაზა და მ.შ საგამოძიებო სამუშაოს ჩატარება. უპირველეს ყოვლისა იმ დანაშაულებზე, რომლებსაც თან სდევს სხვადასხვა სახის შედეგი: სიკვდილის ფაქტი, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი ანუ ისეთ შემთხვევებში, როდესაც უმოქმედობის ან მისი შედეგების დამალვა შეუძლებელი ხდება.

ლ. ბოგდანოვა მსგავს მაგალითებზე სტრუქტურული ანალიზის მეთოდს იყენებს. ეს უკანასკნელი გულისხმობს ავტორის აზრით მაღალ და დაბალლატენტური ელემენტების გამოყენებას.

პირველს მიეკუთვნება ისეთი ქმედებები, რომელთა დაფარვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს (თვითმკვლელობის სახით შენიღბული მკვლელობები, უბედური შემთხვევები და ა.შ). დაბალლატენტურ მკვლელობებს ავტორი მიაკუთვნებს იმ ქმედებებს, რომლებსაც აშკარად დანაშაულებრივი ხასიათი აქვს (მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მკვლელობა სხვადასხვა მექანიკური

⁵ ინტრუზიული-(ლათ.Intrusio) წარმოადგენს ტექნიკურ ტერმინს და ნიშნავს დედამიწის ქერქში მაგმის შეჭრის პროცესს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ინტრუზიული ქანები, ეგრეთ წოდებული სიღრმის ქანები

დაზიანებებით და ა.შ), თუ ჩვენ ჩავატარებთ მსგავს ანალიზს პასიურ დანაშაულობასთან მიმართებაში, არა სანუგეშო დასკვნამდე მივალთ. პასიური დანაშაულობა თავიდან ბოლომდე „დაბალლატენტური ელემენტია“. ჩვენი მონაცემებით შესწავლილი სტატისტიკის საერთო მოცულობიდან პასიური ქმედებების მხოლოდ მცირე პროცენტი იყო გახსნილი სამართალდამცავი ორგანოების მიერ აშკარად არსებული შედეგების არ არსებობისას, რომლებიც დანაშაულებრივი უმოქმედობის ეჭვს ბადებენ.

სტატისტიკური მონაცემების დაბალ პროცენტულობა და უმეტეს შემთხვევაში სტატისტიკის არ არსებობა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, საზოგადოებრივი წარმოდგენის დეფორმირებას ახდენს და ართულებს მის ჭეშმარიტ საფრთხის შეცნობას (73,111). როგორც ჩანს პასიური დანაშაულობის ზრდის დონის ტემპი მთლიანობაში დანაშაულის ზრდის დონის ტემპებს არ აღემატება. უფრო მეტიც, შეიმჩნევა მისი პერიოდული დაცემა. ეს თითქოს სასიკეთო ტენდენციაზე მიუთითებს პასიური დანაშაულობის მდგომარეობის საერთო დინამიკაში, თუმცა ყველაფერი ასე მარტივად არ არის (73,112).

სტატისტიკის ანალიზი მიუთითებს პასიური დანაშაულობის ნაკლებად საშიში ნაწილის ზრდის მაღალ ტემპებზე, რომელიც დღევანდელი მომენტისთვის უფრო გავრცელებულია, ვიდრე პასიური ქმედებები სხვა გაცილებით მძიმე შემთხვევებში.

პასიური დანაშაულობა ტალღისებრ ხასიათს ატარებს თავისი განვითარების მიხედვით. შეინიშნება პრაქტიკულად მონაცვლეობითი აღმასვლა და ვარდნები სიტუაციის განვითარებაში (73,115).

ამგვარად პასიური დანაშაულობის საზოგადოებრივად საშიში თვისება თანდათან თავის რიცხოვრივ შემადგენლობაში გადადის, რაც რა თქმა უნდა არ წარმოადგენს პრობლემის გადაჭრას. არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ფონზე ჩვენ ვხედავთ ზემოაღნიშნული ტენდენციების უფრო ღრმა განვითარებას. ამ ტენდენციებს შესწევს უნარი არა სასიკეთოდ აისახოს პასიური დანაშაულობის თავიდან აცილების პროცესზე. დასრულებული დანაშაულების საერთო რაოდენობის გარდა პასიური დანაშაულობის მოცულობის კატეგორია, აგრეთვე მართლსაწინააღმდეგო პასიური ქმედების ჩამდენ პირთა შესახებ ინფორმაციის მიღებას გულისხმობს. ტრადიციულად გამოვლენილ პირთა რაოდენობა სასამართლოში შემოსული სისხლის სამართლის საქმეების საერთო რიცხვს აღემატება (იხ. დანართი N3).

თავის მხრივ კი მსჯავრდებულ პირთა რიცხვი სასამართლოში დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების საერთო რაოდენობაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

ამ მხრივ პასიურ დანაშაულობას თავისი თავისებურებები გააჩნია. პასიური დანაშაულებრივი ქმედებები მოცემული მაჩვენებლის მიხედვით, როგორც წესი სერიოზული სხვაობით არ გამოირჩევა (94,63). ეს ბევრ რამეში დამოკიდებულია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ საფუძველთან, რადგანაც ყოველ პირს ენიჭება მისი სოციალური როლის შესაფერისი მოვალეობის პაკეტი და მათი რეალიზების რესურსი. ამასთან დაკავშირებით მოვალეობების უმეტესობა ღრმად სუბიექტურ ხასიათს ატარებს (94,64).

ამასთან პასიური დანაშაულობის საერთო მოცულობაში უმოქმედობის, არც თუ ისე ბევრი მაგალითია, რომლისთვისაც დამახასიათებელია დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ და მ.შ სტატისტიკური რიცხვის გაზრდა, როგორც წესი ეს არის საშუალო ზომის საწარმოებისთვის დამახასიათებელი ქმედებები-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში (94,77). ჩვეულებრივ ასეთი სახის სისხლის სამართლის საქმეებში ფიგურირებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილეა მთავარი ბუღალტერი. თავის მხრივ მცირე ბიზნესის წარმოებისთვის დამახასიათებელია ხელმძღვანელის ერთპიროვნული პასუხისმგებლობა. ასე თუ ავიღებთ, გადასახადების გადახდისგან თავის არიდების ფაქტებს, მაშინ დიდი დასაბეგრი ბაზის მქონე მსხვილი და საშუალო საწარმოები უფრო გულმოდგინე შემოწმებასა და კონტროლს ექვემდებარებიან (94,78).

ზემოაღნიშნული მიზეზით მსხვილი და საშუალო წარმოების საწარმოებისთვის უფრო დამახასიათებელია დაბალლატენტური პასიური დანაშაულებრივი ქმედებები მძიმე შედეგებით, რომელთა დაფარვა საკმაოდ რთული ან პრაქტიკულად შეუძლებელია.

რეალურ სამართალდარღვევთა საერთო რიცხვი 5-6 ჯერ აღემატება დანაშაულების ჩადენასთან გამოვლენილ პირთა რიცხვს. პასიური დანაშაულობა ამ საკითხში სტაბილურობით ხასიათდება, თუმცა აღნიშნული მუდმივობა მხოლოდ დაბალლატენტურ პასიურ ქმედებებს შეესაბამება, რომლებიც განხილული რეგიონების სტატისტიკაში დომინირებს (94,87).

მთლიანობაში სტატისტიკური მონაცემების შეფასებისას საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ პასიური დანაშაულობის სტატისტიკური სურათი შორს არის მის რეალურ მასშტაბებისგან. მეცნიერების აზრით გამოვლენილი პასიური დანაშაულებრივი ქმედებების წილი რეალურად ჩადენილ დანაშაულებში მინიმალურია. ამაზე შეიძლება მსჯელობა უმოქმედობის ცალკეული მაგალითების მიხედვით,

რომლებიც „ქვეყანაში სოციალური სიტუაციის მადიფერენცირებელ ნიშანს ან თავისებურ ინდიკატორს“ წარმოადგენენ“ (69,7).

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქ-ოს. სისხლის სამართლის კოდექსში არის ნორმები, რომლებსაც უკვე წლებია ნულოვანი სტატისტიკა აქვთ, ეს ნორმებია: სსკ-ის. 215-ე მუხლი „საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქ-ში. დაუბრუნებლობა“, სსკ-ის. 217-ე მუხლი „საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა“, სსკ-ის. 279-ე მუხლი „გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება“, სსკ-ის. 294-ე მუხლი „ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება“.

ამგვარად სამართალდამცავი ორგანოებისგან ფარული, რაც რჩება პასიური დანაშაულებრივი ქმედებების მნიშვნელოვანი რაოდენობაა. ეს თავის მხრივ ნიშნავს, რომ რაოდენობრივი მახასიათებლები და მაჩვენებლები პასიური დანაშაულობის ზრდის მთლიან რეალურ სურათს არ ასახავენ, თუმცა დანაშაულობის მთელი მოცულობის შემადგენლობაში მისი წილის და ნახვის შესაძლებლობას იძლევა (94,95).

პასიური დანაშაულობის საზოგადოებრივი საფრთხის დახასიათების გაგების შესაძლებლობას მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები იძლევა. განსაკუთრებული ადგილი კი მის სტრუქტურას უკავია. უკანასკნელს კი გააჩნია თავისი სპეციფიკა.

უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა ცალკეული ფორმები 2016 წ. დანაშაულის დასახელება

| | |
|---|--|
| 1 | განსაცდელში მიტოვება |
| 2 | გადასახადებისაგან თავის არიდება |
| 3 | დანაშაულის შეუტყობინებლობა |
| 4 | დეზერტირობა |
| 5 | სამსახურებრივი გულგრილობა |
| 6 | მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობა |

6.3 უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა დეტერმინაციის თავისებურება

მოცემული პარაგრაფის თემად განხილული გვექნება დანაშაულებრივი უმოქმედობის დეტერმინაციის პრობლემა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ მას პასიური დანაშაულობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მხარეს ვუწოდებთ. ამ სამყაროში უმიზეზოდ არაფერი არ წარმოიქმნება და ნებისმიერი საგანი შეიძლება გახდეს ენერჯის ან რაიმე შედეგის გამომწვევი. ასევე აქვს პასიურ დანაშაულებრივ ქცევასაც თავისი სათავეები.

დეტერმინაციის საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში (78,11). ამჟამად მხოლოდ მიზეზობრივ კავშირზე 15-ზე მეტი თეორიაა, ხოლო რუსეთსა და ევროპაში 50-ზე მეტი, ამიტომაც გასაკვირი არ არის ის, რომ მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ მივიდნენ ერთიან აზრამდე, როგორც თავად პრობლემის, ასევე ტერმინთა სისტემის გაგებაში, რომლის ჩარჩოებშიც ის აღნიშნულია (78,12).

ს. კურგაშოვი წერს, რომ „დონეების ხარისხობრივ განსხვავებასთან დაკავშირებით ხარისხობრივად განსხვავდება დეტერმინაციის ხასიათიც“ (109,73). ზოგი მეცნიერი კვლევის ინდივიდუალური დონის მომხრეა და აღნიშნავს, რომ „რაოდენ ყოველმხრივ არ უნდა განვიხილოთ ეს პრობლემა, ყველაფერი მაინც ინდივიდუალურ დონემდე დაიყვანება, სადაც დიდ მნიშვნელობას იძენს პიროვნული საფუძველი. მისგან გამომდინარეობს მიზეზებიც და ყველაფერი რაც დანაშაულობასთან არის დაკავშირებული“ (70,4-5). სხვა ავტორები კი ფსიქიური მიზეზობრიობის პრობლემატიკის მომხრენი არიან: „თანამედროვე მიღწევები მოწმობენ მიზეზობრივი კავშირის გავრცელების აუცილებლობაზე არა მხოლოდ მატერიალურ მოვლენებზე, არამედ სუბიექტის ქცევის ფსიქიკურ სფეროზეც“ (104,45).

რუსი მეცნიერები ვ.ნ კოსარევი და ი.ვ. მაკაგონი უპირატესობას ანიჭებენ სოციალურ გარემოს, „რომლის ელემენტს დანაშაულობა წარმოადგენს“ (199,18). „ადამიანის ქცევის წყარო პიროვნებაში კი არა, მის კეთილდღეობის შექმნასა და განაწილებაში, ანუ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მდგომარეობს“ (199,91), როგორც ჩანს მეცნიერებაში არ არსებობს ერთიანი აზრი მართლსაწინააღმდეგო ქმედების დეტერმინაციის საკითხებზე. პასიურ დანაშაულობასთან მიმართებაში აღნიშნული პრობლემა იმითაც რთულდება, რომლებიც მიზეზსა და შედეგს შორისხისტი კავშირის დროს წარმოიქმნება.

აქტიური ქმედების შემთხვევაში დამნაშავე პირის ენერჯია უშუალოდ შედეგისკენ არის

მიმართული და მასზე ზემოქმედებას ახდენს, ხოლო მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობის შემთხვევაში ყველაფერი არც თუ ისე მარტივია. განსაკუთრებით სისხლის სამართლის ფორმალურ შემადგენლობებში, სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველად არა ზიანის მიყენება, არამედ მისთვის აუცილებელი პირობების შექმნა იგულისხმება.

სანამ მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობის დეტერმინანტების უშუალო ანალიზს შევუდგებოდეთ, უმჯობესია თავდაპირველად მოვნიშნოთ ის საზღვრები (დონეები), რომელთა ფარგლებშიც ჩატარდება ჩვენი კვლევა:

- ინდივიდუალური დონე;
- სოციოლოგიური დონე.

გავარკვიოთ ის პირობები, რომლებიც ხელსუწყობენ დანაშაულებრივი უმოქმედობის გამოვლენას და გავყოთ ისინი ორ ჯგუფად:

- სოციალურ-ფსიქოლოგიური პირობები;
- გარემო პირობები.

მაშასადამე, კრიმინოლოგიაში გამოიყოფა რამდენიმე დონე, რომელთა საზღვრებშიც შეიძლება პროცესებისა და მოვლენების გაანალიზება, რომლებიც თავის მხრივ ხელსუწყობენ პასიური დანაშაულობის გენეზისს (109,123).

ზემოაღნიშნული დონეებიდან პირველს ინდივიდუალური დონე წარმოადგენს. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ დონეს შემთხვევით არ მიენიჭა ასეთი სახელი. მთელი მიზეზობრივი კომპლექსიდან საჭიროა გამოიყოს პიროვნება, როგორც დანაშაულის პირველ საწყისი მიზეზი. განსაკუთრებით კი უმოქმედობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საფუძველია პირის ინდივიდუალური თავისებურებები, ამიტომაც შემთხვევითი არ არის ის, რომ სწორედ პასიურ დანაშაულობაში უფრო მეტად არის ასახული სამართლიანი უთანასწორობის პრინციპი, ვიდრე სხვა დანაშაულებში (104,33).

ამგვარად, დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური დონის ჩარჩოებში პასიური დამნაშავის სოციალურ-სამართლებრივ პორტრეტს.

პასიური დამნაშავის სოციალურ-სამართლებრივი პორტრეტის ანალიზმა ზოგადი დახასიათების გარდა, ერთი არც თუ უმნიშვნელო დეტალი გამოავლინა. საუბარია თუ

რამდენად გამოვლინდება ამა თუ იმ პიროვნებაში მისი პასიური საწყისი (აქტიურობის დაბალი დონე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება შრომით და ზოგად სოციალურ მოვალეობების მიმართ, თვითგანვითარებისკენ სწრაფვის არ არსებობა) მის ქცევასთან მიმართებით, როგორც კვლევამ აჩვენა ზოგიერთ შემთხვევებში პიროვნების პასიური თვისება ქმედების ფორმის ჩარჩოებით შემოიფარგლება და პრაქტიკულად არ ვრცელდება შიდა ფსიქოფიზიოლოგიურ თავისებურებებზე, ინდივიდის ცხოვრების წესზე ან ღირებულებებზე (152,63). უმოქმედობა დანაშაულებრივი მიზნების მიღწევის ინსტრუმენტის როლს თამაშობს. სხვა შემთხვევებში ადგილი აქვს პასიური კრიმინოტიპის ნიშნების უფრო მკაფიო გამოვლენას, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს პირის სოციალურ-მორალურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე (94,83). უმოქმედობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქმედების ფორმის ჩარჩოებით. ის თავის ასახვას პოულობს ინდივიდის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასეთ პირებს შეიძლება აწოდოთ პასიური დამნაშავეები (94,84).

პრაქტიკაში შეიძლება გამოიყოს პასიური დამნაშავეები, რომლებიც არიან აქტიურობის დაბალი კოეფიციენტით. ამ კატეგორიამ არ მიიღო ფართო გავრცელება უმოქმედობის მართლწინააღმდეგობის განსაკუთრებული პირობების გამო. ასეთი პირებისათვის დამახასიათებელია მოვალეობის შესრულებისგან თავის არიდება, რომელთა ფლობაც განპირობებულია ინდივიდის სოციალურად სასარგებლო თვისებების მინიმალური ნაკრებით (94,97). უმეტეს შემთხვევაში ინდივიდის სოციალურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა მამის ან დედის როლით ან შვილების მხრიდან შრომისუუნარო მშობლებზე ზრუნვით შემოიფარგლება. როგორც აღნიშნული კვლევა გვიჩვენებს, პასიურ დამნაშავეთა ჩამოთვლილი ჯგუფებიდან თითოეულ მახასიათებლებს თავისი ნიშანი შეესაბამება, რომელიც უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებთან მიზეზობრივი კავშირის დადგენის შესაძლებლობას იძლევა (104,53). განსაკუთრებული ადგილი პასიური დამნაშავეის პიროვნების კრიმინალურ-სამართლებრივ ნიშნებიდან მის მართლსაწინააღმდეგო ქცევის მოტივს უკავია.

დანაშაულებრივი უმოქმედობის ანალიზმა შესაძლებელი გახადა ასეთი მოტივაციის ხასიათისა და შინაარსის დადგენა. უკანასკნელი კი ბევრად არის დამოკიდებული ინდივიდის აქტიურობის საერთო კოეფიციენტზე (89,74). ასე მაგალითად: პასიური დამნაშავეებისთვის აქტიურობის მაღალი კოეფიციენტით არის დამახასიათებელი მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობით დანაშაულების ჩადენა ანგარებით ან იშვიათად

„სხვა პირადი ინტერესებით“, რომლებიც ორიენტირებულია საკუთარი მოთხოვნილებების აბსოლიტურ პრიორიტეტზე. შესაბამისად როგორც კვლევა გვიჩვენებს, პასიური დამნაშავის ანგარებიანი ქმედება დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ თვისებებზე და მოთხოვნილებებზე (89,79).

პირველი მათგანი შესაძლებლობას გვაძლევს პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რატომ ირჩევს ზოგიერთი პირი თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დანაშაულებრივ გზას, ხოლო სხვა კი კანონიერ საშუალებას? საბოლოო ჯამში არ შეიძლება ყველაფერი, მხოლოდ მოთხოვნილებამდე დავიყვანოთ.

პრობლემის კვლევა გვიჩვენებს, რომ პასიური დამნაშავის ღრმა დეფორმაცია ხდება არა მხოლოდ მოთხოვნილებების ჰიპერტროფირების გამო. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება, რომ არ დავეთანხმოთ. „ადამიანის ქცევა ყოველთვის პიროვნული და არა სიტუაციური გარემოთი წარმოიშობა. დაუშვებელია დამნაშავის პიროვნების,, ზედმეტი ფსიქოლოგიზირება. კრიმინოლოგია უნდა ამოდიოდეს სოციალურის და ფსიქოლოგიურის დიალექტიკური ერთობიდან (89,53).

პასიური კრიმინოტიპის ქვეტიპებისთვის დამახასიათებელია შედარებით განსხვავებული მოტივაცია. ეს უკანასკნელი კი ბევრს რამეში დაკავშირებულია უმოქმედო პირის სხვა კრიმინალურ-სამართლებრივ მახასიათებლებთან. ასე მაგალითად: პასიური დამნაშავეებისთვის აქტიურობის სტანდარტული კოეფიციენტით დამახასიათებელია უპასუხისმგებლო და დაუდევარი დამოკიდებულება მოვალეობების რეალიზებისადმი. მსგავსი ქცევის ძირითად მიზეზს თავად ვალდებულება წარმოადგენს, რომლის შესრულება სუბიექტისთვის უმეტეს შემთხვევაში არანაირ სტიმულს არ შეიცავს, დაკავშირებულია დროისდაკარგვასთან, ფიზიკურ დატვირთვასთან და ა.შ.

მოვალეობების შესრულება ბევრად არის დაკავშირებული სოციალურ მოტივაციაზე, მორალურ ღირებულებებზე და ფასეულობებზე. აქედან უმეტეს პროცენტს შეადგენენ პირები საქმიანი აქტიურობის მცირე კოეფიციენტით, რომელიც აღინიშნება როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე პასიური დამნაშავეების შემადგენლობასთან მიმართებაშიც (94,96).

ი. ანტონიანი მოთხოვნათა დაცვისადმი მოტივაციის არ არსებობას ადამიანის სოციალური ადაპტაციის დარღვევასთან აკავშირებს, რომელსაც კარგად ესმის თუ რას მოითხოვს მისგან გარემოცვა, მაგრამ არ სურს ამ მოთხოვნების შესრულება და

საზოგადოების მიმართ სოციალურ- ანტაგონისტურ წინააღმდეგობების პირობებშია (69,81).

პასიური დამნაშავეებისთვის დამახასიათებელია აგდებული დამოკიდებულება სამოქალაქო და შრომითი მოვალეობების მიმართ. მთლიანობაში კი მათი სრული იგნორირებაც. სოციალური ნორმები და წესები მისთვის მოტივაციის ძალას კარგავენ. აქტიურობის ყოველდღიურობის პირობებში მოვალეობების რეალიზების პროცესზე ვრცელდება სულ უფრო დაბალი დონე, რომლის დროსაც მისი შესრულება თანდათან შეუძლებელი ხდება. ქცევითი მოტივაციის რაციონალური დონე პასიური დამნაშავეებისთვის სულ უფრო ნაკლებად ვლინდება (208,71). სხვა ნიშნებითაც მათ კრიმინალურ-სამართლებრივ დახასიათებას, ასევე ნეგატიური შეფერილობა აქვს.

პასიური დამნაშავეის სოციალურ-დემოგრაფიულ, მორალურ და ზნეობრივ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, ასევე თავისი თავისებურებები აქვთ, რომლებიც მიზეზობრივი კავშირის აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა, ისევე როგორც კრიმინალურ-სამართლებრივი მახასიათებლების შემთხვევაში, ასევე მსგავსი თავისებურებებით შეიძლება გავმიჯნოთ საზოგადოებისგან და მის გარემომცველ სოციალურ გარემოსგან განრიდების ხარისხის მიხედვით (208,72).

პასიური დამნაშავეის განხილული ქვეტიპისათვის მთლიანობაში დადებითი ნიშნების ფონზე დამახასიათებელია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა დაფარვა ან სხვა ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული არალეგალური საქმიანობა ა.შ.

ამგვარად, მთლიანობაში პასიური დამნაშავეის ინდივიდუალური თავისებურებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობის დეტერმინაციაში. პრაქტიკაში იშვიათად ხდება დანაშაულის შემადგენლობების და პიროვნების ინდივიდუალური თვისებების გადანაწილება, რომლებიც დამახასიათებელია პასიური კრიმინოტიპისთვის. სუბიექტური საწყისი განსაზღვრავს არა მხოლოდ ამა თუ იმ მოვალეობის განხორციელების პოტენციალს და პასიური ქცევისმართლწინააღმდეგობის საფუძველს, არამედ დანაშაულებრივი უმოქმედობის დეტერმინაციის პროცესსაც.

პასიურ დანაშაულობითი მიზეზის სოციოლოგიურ დონეს ტრადიციულად შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი სფეროები: სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, სულიერი (89,88).

აღნიშნული სფეროების ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს მისი მოსაზღვრე წყაროები,

ისეთები როგორცაა: იდეოლოგია, კულტურა, ისტორიული მემკვიდრეობა (89,91).

დანაშაულობა ქმედების მიზეზთა ერთობლიობის შედეგია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, მმართველობითი და სულიერ-ზნეობრივი (70,15). ვფიქრობთ, რომ პასიური დანაშაულობაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ანტისაზოგადოებრივი ქცევის არსებით ფაქტორს მეცნიერები უწოდებენ სოციუმის კრიმინოგენობას და სოციალიზაციის მექანიზმის დარღვევის შედეგს (70,16). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ობიექტურ-სოციალური მიზეზები ერთ-ერთი მთავარი როლის თამაშს იწყებენ დანაშაულებრივი დეტერმინანტების კომპლექსის ჩამოყალიბებაში მის ყველა დონეზე. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს ზემოაღნიშნული სფეროების კვლევის მიზანშეწონილობას პასიური დანაშაულობის მადეტერმინირებელი ფაქტორების გამოსავლენად.

სოციალურ სფეროს, პასიური დანაშაულობის მიზეზების სოციოლოგიური დონის ჩარჩოებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია, რაც შემთხვევითი არ არის. სოციალური დეტერმინაცია კრიმინოლოგიის თეორიაში საკვანძო პრობლემაა და ადგილი აქვს გარემო პირობებზე დანაშაულობის სოციალური დამოკიდებულების მთელ კლასიფიკაციებს, კერძოდ, ვ.ს. ვასილევს გამოყოფს: „საყოველთაო, განსაკუთრებულსა და ცალკეულ სოციალურ დამოკიდებულებას“. განვიხილოთ მათგან მხოლოდ ისინი, რომლებიც ჩვენი აზრით პირდაპირ დეტერმინირებენ პასიურ დანაშაულობაზე.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ დანაშაულობა იმ საზოგადოების თავისებურებებით განისაზღვრება, რომელშიც მისი ბირთვის შემადგენელი პირები არიან (70,25). ამ თვალსაზრისით პასიური დანაშაულობა არა მხოლოდ მისი მადეტერმინირებელი ფაქტების მთელი ჯაჭვის შედეგს წარმოადგენს, არამედ მისი ყოფის გარკვეულ თვალსაზრისო მაგალითს. ამგვარად განვიხილავთ რა სოციალურ დეტერმინანტებს მიახლოვებულს ცალკეული პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის მახასიათებლებთან, აუცილებელია აღვნიშნოთ საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობის გამოვლენაც (78,39). ამასთან აღნიშნული ნიჰილიზმი ეხება სოციალურად სასარგებლო სფეროებს, ისეთი როგორცაა: განათლება, შრომა, საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება და პირიქით, ასევე ნიჰილისტური ძალისხმევისაგან თავის არიდება: ალკოჰოლის, ნარკოტიკების მოხმარება, ვირტუალური თამაშები და ა.შ. ამავე ფონზე ხდება

დამოკიდებულების აგება პასიური დანაშაულობის მიმართაც (78,43).

აუცილებელია იმის კონსტატირება, რომ დანაშაულებრივი უმოქმედობა ჩვენ დროს რეალურად არ აღიქმება, ხოლო მისი შედეგები სათანადოდ არ არის შეფასებული. საზოგადოებამ დაკარგა ინტერესი სოციალურად მნიშვნელოვანი საქმიანობის მიმართ და ამასთან არ ახსოვს, რომ მედლის მეორე მხარეს არის პიროვნების შიდა და გარე პასიურობა და მაინც მსგავს სიტუაციას არ შეიძლება პასიური დანაშაულობის პირველ მიზეზი დაერქვას. ნდობის, სტიმულის დაკარგვას და გამორჩენის მაქსიმირებას სხვა სახეობით ჩვეულებრივი მიზეზები აქვთ, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

1. ეს არის შეფასების ხარისხის რეალური არ არსებობა. ისეთი საწყისები, როგორც არის: საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის დონე, სწრაფვა სოციალურად სასარგებლო საქმიანობისადმი და ა.შ (89,111).

ადამიანური ღირებულებების სისტემა ბევრად არის დაკავშირებული ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებთან. აუცილებელია ფიქრი პრიორიტეტული სოციალური პროექტების რეალიზებაზე, ანაზღაურების გაზრდა და ა.შ. მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით სახელმწიფო ქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც უბიძგებს ადამიანს აქტიური საქმიანობისკენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

2. რაც უნდა აღინიშნოს არის მოთხოვნილების სტრუქტურის შესახებ საკითხის კავშირი მის დაკმაყოფილების ხერხებთან, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში მოქალაქეთა კეთილდღეობის სახსრების ლეგალური შეზღუდვა იწვევს მარგინალობასა და დანაშაულის ზრდას.

3. არის ის, რომ არსებითი წინააღმდეგობა არ უნდა იყოს სასაქონლო-ფულად ურთიერთობების სისტემაში. არსებითი სხვაობა არ უნდა იყოს ინდივიდის სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსს შორის (89,114).

4. არის კადრების პრობლემა, რომელთა მომზადება წარმოებს შრომის ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინების გარეშე. ამის შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ შეუძლია სამსახურის პოვნა სპეციალობით, რაც თავის მხრივ ალტერნატიული დასაქმების სფეროში არა პროფესიონალიზმს იწვევს.

5. ეს არის მოსახლეობის ღირებულებითი ორიენტაცია და მორალურ ზნეობრივი თვისებების შეცვლა. მოქმედების სრული თავისუფლება და მორალური თავისუფლების

ფსიქოლოგია დასაბუთებულია, როგორც ხელშეუვალი უფლება იყო შენი თავის ერთგული და არაფრად ჩააგდო საზოგადოების მიერ თავს მოხვეული წესები. ეს ყველაფერი კი ნამდვილად არ მიუთითებს მაღალ- მორალურ ღირებულებებსა და პრინციპებზე (89,115).

გადავიდეთ დანაშაულებრივი უმოქმედობის ეკონომიკური მიზეზების ანალიზზე.

ერთ-ერთ ასეთ მიზეზს ეკონომიკური ურთიერთობების ჩრდილოვანი განვითარება წარმოადგენს. შრომის „არაფორმალურ“ ბაზარზე ჭარბად არის თაღლითობის ყველანაირი ფორმები, რომლებიც თავისი არსით დაკავშირებულია დანაშაულებრივ უმოქმედობასთან, მაგალითად: მოვალეობების არასათანადოდ ან არაჯეროვნად შესრულება, გადასახადებისგან თავის არიდება და ა.შ (191,51).

პასიური დანაშაულობის ერთ-ერთ მიზეზს ასევე გადასახადების დიდი რაოდენობა, საგადასახადო წესების სირთულე და ბიუროკრატია წარმოადგენს ჰიპერინფლაცია, უმუშევრობის მაღალი დონე, არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა და ხარვეზები მაკონტროლირებელი ორგანოს საქმიანობაში გავლენას ახდენს, როგორც თითოეული მოქალაქის, ასევე ეკონომიკური სუბიექტის ქცევაზე. უმოქმედობა ზოგიერთის გადარჩენის და ზოგისთვის უკანონოდ მოპოვებული კაპიტალის ხერხი ხდება (191,52).

პოლიტიკური სფერო და მასთან დაკავშირებული იდეოლოგია დღევანდელ დღეს ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების ყველაზე მეტად კრიტიკის ქვეშ მოქცეული დარგია.

პასიური დანაშაულობის კონკრეტულ მიზეზებს შორის, ასევე აუცილებელია დასახელდეს სუსტი იმპერატიული კონტროლი. მასთან მიმართებაში მისი დეტერმინაციის პრობლემა დაკავშირებული უნდა იყოს სუსტ კონტროლთან პრაქტიკულად ხელისუფლების მთელი ვერტიკალის საქმიანობაზე და აგრეთვე ზედამხედველობასთან თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებაზე (94,69).

სამართლებრივი სფერო საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. პასიური დანაშაულობის დეტერმინანტები, რომლებიც სათავეს სამართლებრივ სფეროში იღებენ, საკმაოდ მრავალფეროვანია. ასეთი მრავალსახეობა არა მხოლოდ სამართალს ეხება სიტყვის პირადაპირი მნიშვნელობით, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებსაც.

ერთის მხრივ ადგილი აქვს თანამედროვე საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ანომიას ან უზნეობას მოქალაქეთა ქცევაში, როდესაც ამ უკანასკნელთ არ სჯერათ სამართლის ნორმებისა და მორალის, ადვილად იხრებიან მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობისკენ და მეორეს მხრივ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების არ ცოდნა პირდაპირ დეტერმინირებს უმოქმედობაზე (89,133).

დანაშაულებრივი უმოქმედობის სხვა სამართლებრივი დეტერმინანტები დაკავშირებულია საკანონმდებლო საქმიანობასთან და თავად სამართლის ხარისხობრივ დონესთან (94,77).

ცნობილია, რომ სამართლებრივი ხარისხი კანონის ეფექტური და სტაბილური მოქმედების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. ამავე დროს მიიჩნევა, რომ ძირითადი წყარო სახელმწიფო ნების აღსრულებაა (68,51). იმის თქმა კი, რომ შედეგების მიღწევა, მათ შორის ნაკისრი მოვალეობების შესრულება, რომლებიც კანონშია გაწერილი მისი სამართლებრივი საშუალებებით, მათი წინააღმდეგობრივი რეგლამენტაციით არ ხერხდება და ავიწყდებათ მათ ეს პასიური დანაშაულობის სხვა დეტერმინანტები დაკავშირებულია კანონმდებლის შენელებულ ცვლილებებზე სოციალურ ურთიერთობაში, იმ სფეროებშიც კი, რომლებიც ტრადიციულად გამოირჩევიან დინამიურობით, მაგალითად: კანონმდებლობა საგადასახადო დანაშაულებებისთვის. სამართლის არასრულყოფილება, მისი ბუნდოვანება, კვ ალიფიკაციის პრობლემები, უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისმგებლობის შესახებ რიგი ნორმების განუსაზღვრელობა, ზოგჯერ კი ასეთის არ არსებობა, პრაქტიკაში მხოლოდ ავსებენ არასახარბიელო სურათს.

სულიერი სფერო და მისგან გამომდინარე დეტერმინანტები დაფუძნებულია იმ ურთიერთობებზე, რომლებიც საზოგადოების სულიერ-ზნეობრივ ცხოვრებას ასახავენ: კულტურას, იდეოლოგიას, რელიგიას, მორალს. მთლიანობაში წარმოადგენს რა საზოგადოების ქვესისტემას, სულიერი სფერო დაკავშირებულია და გარდუვალობით რეაგირებს იმ ცვლილებებზე, რომლებიც მის ქვესისტემებში ხდება: ეკონომიკა, პოლიტიკა, სამართალი და ა.შ (73,116). ამ თვალსაზრისით მათი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ გავიგოთ, თუ რით ცხოვრობს დღეს საზოგადოება, არამედ მომავალში მათი სულიერი განვითარების პროგნოზიც გავაკეთოთ. ამ ფონზე ბევრმა ე.წ სოციალურმა სტიმულმა და მოტივმა თავისი აქტუალობა და ამასთან ერთად საზოგადოებრივად სასარგებლოსაქმიანობამ „ჰიპოთეზური იმპერატივი“ დაკარგა (73,121).

კულტურა და ტრადიცია, რომლებიც ადამიანის ეგოისტური ბუნების შემაკავებელი მექანიზმის როლს თამაშობდნენ, აღარ ასრულებენ თავის ფუნქციას. პიროვნებაში, რომელიც ადრე ერთიანი კოლექტივის ნაწილს წარმოადგენდა, განკერძოების, შიდა უძლურებისა და ურთიერთვალდებულებების დაკარგვის მექანიზმი ამუშავდა. ამაზე მიუთითებენ კონკრეტული კვლევებიც (117,91).

დანაშაულობის პრობლემის განხილვისას საკმაოდ ხშირად გვიწევს მოსმენა იმ პირობების შესახებ, რომელთა ფარგლებშიც ის არსებობს და ვითარდება. პირობებს ისევე, როგორც მიზეზებს კრიმინალური ქცევის იმ დეტერმინანტების ერთიან სისტემას მიაკუთვნებენ, რომლებიც ერთობლივად მოქმედებენ. ამგვარად პასიური დანაშაულობის დეტერმინანტის ანალიზი სავსებით ლოგიკურად გულისხმობს მისი გენეზისის პირობებისკენ მიმართვას (78,72).

მთლიანობაში გარე და შიდა გარემოს მდგომარეობის დამახასიათებელი სოციალური პირობები ტრადიციულად კრიმინოლოგიაში განიხილება ნიადაგის სახით, რომელზეც აღმოცენდება დანაშაულები. გ. ავანესოვი აღნიშნავს:

„როგორც პირობებია, ისეთივეა დანაშაულობებიც“. ზემოაღნიშნული დეტერმინანტების გამიჯვნაში პრაქტიკულად არ წარმოიქმნება პრობლემები (70,63). „პირობები-ისეთი საზოგადოებრივი მოვლენებია, -წერენ ნ.ფ. კუზნეცოვი და ვ. ლუნევი, რომლებიც უშუალოდ არ იწვევენ დანაშაულის ჩადენას, მაგრამ მიზეზის ფორმირებისა და მოქმედების მექანიზმისთვის თავისებურ „საპოხს“ წარმოადგენენ“, და მაინც ავტორებს მიაჩნიათ, რომ „აღნიშნულ დეტერმინანტების გამოყოფას პირობითი ხასიათი აქვს, რადგან ისინი მჭიდრო კავშირში არსებობენ“ (110,169).

ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი თვალთახედვა სამართლიანია, ისეთი გარემოებების დამახასიათებელი კრიმინოგენური სიტუაციების მიმართ, რომლებიც შესაძლოა ამა თუ იმ მომენტში კონკრეტული დანაშაულის, როგორც პირობებად, ასევე მიზეზებად იქცეს. ამ ფაქტორებზე დაყრდნობის ფილოსოფიაში აგებულია თეორია, რომელიც პრინციპში უარყოფს მიზეზებისა და პირობების განსხვავებას---კონდიციონალიზმი.

განვიხილოთ პარაგრაფის დასაწყისში აღნიშნული პასიური დანაშაულობის მადეტერმინირებელი პირობების ჯგუფები.

დანაშაულობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ პირობებს მიეკუთვნება სოციუმის საზოგადოებრივი და ჯგუფური შეგნების ჩამომყალიბებელი წინააღმდეგობები, აგრეთვე

შეხედულება იმ გარემოებებზე, რომლებიც ახასიათებს ცალკე აღებულ დამნაშავეს, ჩვენს შემთხვევაში უმოქმედობის სუბიექტს.

პასიური დანაშაულობის განვითარების შემდეგ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პირობას პროფესიონალიზმი ანუ პროფესიონალური მომზადების არ არსებობა წარმოადგენს (200,114). აღნიშნული პრობლემა მწვავედ პირადი უდისციპლინობით და შიდა კონტროლის არ არსებობით მოვალეობების შესრულების იმ სფეროებშიც კი, რომლებიც ტრადიციულად დისციპლინისა და პასუხისმგებლობის საიმედო გარანტად ითვლებოდა, ასე მაგალითად: ნ. ე. კუზნეცოვა სამხედრო სამსახურში წარდგენების ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამხედრო სამსახურის არა სათანადოდ გავლა იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ „სამხედრო მოსამსახურეთა პირად უდისციპლინობასთან ერთად არასათანადოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ასეულის მეთაური, ოცეულის მეთაური და სამხედრო ნაწილის სხვა თანამდებობის პირები“ (200,115).

ერთ-ერთ პირობას, რომელიც პასიური დანაშაულობის დეტერმინირებას ახდენს კორუფცია წარმოადგენს. ამ უკანასკნელის გავლენის სფეროში ყველაზე მრავალფეროვანი სოციალური ურთიერთობებია მოქცეული.

პასიურ დანაშაულობასთან მიმართებაში უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს მის ისეთ ფორმას, როგორც არის „ქრთამი“: საჩუქრის მიღება კარიერული წინსვლისთვის. ა. ნაუმოვი ასეთ კორუფციას „ადმინისტრაციულს“ უწოდებს (203,50). მის მიმართებაში პრობლემა განსაკუთრებით რთულდება მისი ეთიკური შეფასებით და დამოკიდებულებით, რომელიც მეტად განსხვავებულია საზოგადოებაში. რა თქმა უნდა ეს დანაშაულებრივად ითვლება, მაგრამ ამგვარად „ადმინისტრაციული კორუფცია“ სულაც არ აღიქმება ყველას მიერ, როგორც პასიური დანაშაულობის განვითარების პირობა, არამედ ის აღიქმება როგორც მორიგი „ადმინისტრაციული ბარიერი“ (203,51).

პასიური დანაშაულობის გაზრდის საფრთხეს მისი მომეტებული ლატენტურობა იწვევს, რაც მისი განვითარებისა და ზრდის დამოუკიდებელ პირობას წარმოადგენს. სწორედ ინტრუზიული დანაშაულობა წარმოადგენს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების მიზეზს.

როდესაც საუბარია პასიური დანაშაულობის მადეტერმინირებელ პირობების პრობლემებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენა მოსახლეობის შეგნებაზე. „ინფორმაციული ზემოქმედების თანამედროვე

ტექნოლოგიები-წერს დ.გ. პოპოვი-ადამიანის დეზორიენტირების, მისი ქცევის მისგან შეუმჩნევლად მართვის შესაძლებლობას იძლევა“ (206,29), თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პრობლემა არა იმდენად თავად ტექნოლოგიების განვითარებაში მდგომარეობს, რამდენადაც იმ შინაარსში, რომელსაც ისინი ატარებენ ზემოზმედების პროცესში. ერთი მხრივ თანამედროვე საინფორმაციო პოლიტიკა ქმნის გამოუვალობის, შიშისა და ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობის ატმოსფეროს, რის შედეგადაც ადამიანს ეკარგება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისა და ცხოვრების აქტიური წესის ყოველგვარი სტიმული (206,30). მეორეს მხრივ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საკმაოდ ენერგიულად ეწევიან მიღებული ზნეობრივი ნორმების იგნორირებას და დესტრუქციულ გავლენას ახდენენ მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

პრობლემის ზემოაღნიშნული ხედვის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი

დასკვნები:

პიროვნების, როგორც პასიური დანაშაულობის დეტერმინაციის წყაროს ანალიზი უნდა მოხდეს იმ თვალსაზრისით, აქვს თუ არა მას სამოქმედო მოტივები და სტიმული. ეს უკანასკნელი კი უმოქმედობასთან მიმართებით ყოველთვის არ არის დაკავშირებული რაიმე პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, რაც გარკვეულწილად მისი დეტერმინაციის სპეციფიკას წარმოადგენს. ასეთი სოციალურად სასარგებლო სტიმული და მოტივები დამოკიდებულია დაკნინებულ სულიერ-ზნეობრივ მდგომარეობაზე და სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობაზე, მის ტრადიციებზე. უკანასკნელს უკიდურეს გამოხატვას სწორედ პასიურ-დანაშაულებრივი ინდივიდუალიზმი და ეგოცენტრიზმი წარმოადგენს, რომელიც უპირისპირდება სხვა ადამიანის პიროვნებასა და საზოგადოებას მთლიანობაში (137,86). არ უნდა გამოგვრჩეს აგრეთვე ანგარებითი მოტივი, რომელზეც უმეტეს შემთხვევაში დაფუძნებულია თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის ფაქტები. მატერიალურ დანახარჯების, დროის და აგრეთვე ფიზიკური დატვირთვის ეკონომია ხშირად უმოქმედობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია (137,89).

ამასთან ერთად არსებობს უმოქმედობის საერთო მიზეზები, რომლებიც გარკვეულწილად დაკავშირებულია დამნაშავის პიროვნებასთან, რომელთა შორის შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მიზეზები: მოვალეობების რეალიზებისადმი ინტერესის არ არსებობა, აგდებული დამოკიდებულება საერთო სამოქალაქო და სამართლებრივ

მოვალეობებთან მიმართებით, დაუსჯელობის რწმენა (73,171).

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან პასიური დანაშაულობის ყოველ დეტერმინანტს თავისი ქვემიზეზები გააჩნია.

ამასთან ერთად პასიურ დანაშაულობის მიზეზები არ შეიძლება მათ ინდივიდუალურ დონემდე- დამნაშავის პიროვნებამდე დავიყვანოთ. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში ადგილი აქვს სუბიექტური და ობიექტური საწყისის - სოციალურ გარემოს და სამართლებრივი ურთიერთობების არსებით დეფორმაციას. მოცემულ მდგომარეობის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს უმოქმედობის შემდეგი მიზეზები: სოციუმის ნიჰილისტური განწყობა საერთო სამოქალაქო და შრომითი მოვალეობების მიმართ, სოციალურ-შრომით სამართლებრივი ურთიერთობების სისტემის არსებითი დეფორმაცია, ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ლეგალური ხერხების შეზღუდულობა, დაბალი ხელფასი მზარდი მოთხოვნილებების საპირისპიროდ, უყურადღებობა, პროფესიული მომზადების დაბალი დონე, წინააღმდეგობები მოვალეობების რეალიზების ხერხებისა და საშუალებების საკანონმდებლო რეგლამენტაციაში.

პასიური დანაშაულობის განვითარების პირობების განხილვისას აუცილებელია, ასეთი პირობების ორი ჯგუფის გამოყოფა:

- სოციალურ-ფსიქოლოგიური პირობები: ალკოჰოლიზმი, აზრტული თამაშები, უდისციპლინობა, თვითკონტროლის არ არსებობა;
- გარემო პირობებთან დაკავშირებით აღსანიშნავია: ადმინისტრაციული კორუფცია, პასიური დანაშაულობის ინტრუზია, ხარვეზები უმოქმედობის პროფილაქტიკის სისტემაში, შეცდომები ორგანიზაციულ-მმართველობით სფეროში, კორპორატიული ეთიკა და ა.შ

6.4. ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგები

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში „უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების“ უკეთ შესწავლის მიზნით შევიმუშავეთ სტრუქტურირებული კითხვარი, გავითვალისწინეთ მონაწილეთა შერჩევისკრიტერიუმი და ჩატარდა გამოკითხვა.

ჩვენს მიერ გამოკითხული იქნა 100 მედიცინის მუშაკი და შევეცადეთ კითხვარის

მეშვეობით გაგვეგო რესპოდენტთა აზრი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე.

კითხვარი A-სამედიცინო პერსონალის ანკეტირება

1. თქვენი აზრით, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიომიზებით გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა ისჯება დისციპლინარული წესით, ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი ფორმით?

გამოკითხულთა 25% მიიჩნევს, რომ დასჯის საფუძველი არის დისციპლინარული პასუხისმგებლობა, 45% ადმინისტრაციული წესით, ხოლო 30%-ი სისხლისსამართლებრივი ფორმით.

2. საქართველოს სსკ-ის 130-ე მუხლში (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება) რა სახის დახმარების გაწევაზეა საუბარი?

რესპოდენტთა 61%-ს მიაჩნია-სამედიცინო, 18%-ი მიიჩნევს მორალური დახმარების გაწევაზეა საუბარი, ხოლო 10% მიიჩნევს, რომ სხვა სახის დახმარებაზეა საუბარი.

3. ყოფილა თუ არა თქვენს პრაქტიკაში ვინმე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული საქ-ოს. სსკ-ის. 130-ე მუხლით ?

გამოკითხულთაგან 4%-მა დადებითი პასუხი გაგვცა, 65%-მა უარყოფითი პასუხი გაგვცა, ხოლო 30%-მა სხვა სახით (დისციპლინარული).

4. თქვენი აზრით, რა სახის გარემოებაშია ავადმყოფის დაუხმარებლობა საპატიო გარემოება ?

რესპოდენტთა 36%-ს მიაჩნია უკუჩვენებელი დაავადება, 23%-ს დაუძლეველი ძალა, ხოლო 41% უჭირს პასუხის გაცემა

5. თქვენი აზრით შესაძლებელია თუ არა პასუხისმგებლობის დაკისრება სიცოცხლისათვის შეუთავსებელ მდგომარეობაში მყოფი პირის დაუხმარებლობისათვის?

რესპოდენტთა 43%-ი თანხმობას აცხადებს, 30%-ი უარყოფითად, ხოლო 26%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

6. თქვენი აზრით არასამუშაო საათებში, ექიმის მიერ, გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა ითვლება თუ არა საპატიო მიზეზად?

გამოკითხულთა 41%-ი დადებითად პასუხობს, 35%-ი უარყოფითად, ხოლო 24%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

გამოკითხვა მიზნად ისახავდა დაგვეზუსტებინა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს

სამედიცინო სფეროს პერსონალს კონკრეტული შემადგენლობის შესახებ.

საინტერესოა მათი მოსაზრება სსკ-ის 130-ე მუხლის თაობაზე, თუ რა სახის სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება ექიმს და რა კატეგორიის პასუხისმგებლობა გამომდინარეობს აღნიშნული მუხლიდან.

ამდენად 100 გამოკითხულ მედიცინის მუშაკიდან 70% ვერ აცნობიერებს თუ რა სახის სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება ექიმს და რა სახის პასუხისმგებლობა მოყვება ავადმყოფის დაუხმარებლობას. რესპოდენტთა უმეტესობას მიაჩნიათ, რომ მათი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ დისციპლინარული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით.

ასევე ჩვენ მიგვაჩნია, რომ სსკ-ში გათვალისწინებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებლობის საკითხი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიო მიზეზით გადაუდებელი დახმარების არ გაწევისთვის.

ამდენად გამოკითხვამ მნიშვნელოვნად შეგვიწყო ხელი ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ერთიან სისტემაში მოგვექცია და შესაბამისად აგვესახა სადისერტაციო კვლევაში.

თავი VII . უმოქმედობის დასჯადობა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში

7.1 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობისათვის ა.შ.შ : კანონის მოკლე მიმოხილვა და კრიტიკა

უმოქმედობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ორ განსხვავებულ სიტუაციაში. პირველი, ასეთი პასუხისმგებლობა ხშირად პირდაპირ დანაშაულის განმარტებებშია დაწესებული, რომლებიც სჯის გარკვეული ქმედების შეუსრულებლობას (220,23).მაგალითად, საგადასახადო დეკლარაციის წარუდგენლობა სამართალდარღვევაა. ასევე მშობლებს აქვთ კანონიერი მოვალეობა იზრუნონ შვილებზე. მშობელს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, მაშინ, როდესაც მის ამ მოვალეობის შეუსრულებლობას სიკვდილი მოჰყვება.

უმოქმედობით გამოწვეულ სამართალდარღვევას თან ახლავს მოქმედების სავარაუდო მოვალეობა (221,55). ასეთი დანაშაულების ილუსტრაციაა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ადანაშაულებს მძღოლს ავარიაში მონაწილეობის შემდეგ გაუჩერებლობისას (Cal. Veh. Code §20,001), წვევამდელის გამოუცხადებლობას გაწვევისას (50 U.S.C. app §462), გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დეკლარაციის არ წარდგენისას (L.R.C. §7203), მშობლის მიერ ბავშვის ჯანმრთელობის უგულვებელყოფას და გარკვეული გადამდები დაავადებების შეუტყობინებლობას (MO.ANN.STAT. §568.040.1,TENN.CODE ANN. §39.4-102).

შეერთებულ შტატებში არის ზოგადი, თუმცა კლებადი არაკლეთილგანწყობა, დადებითი მოვალეობების დაწესებისა და ამ მოვალეობების შეუსრულებლობის დასჯაზე (50,662).

შემოთავაზებულია სხვადასხვა ახსნა-განმარტება უმოქმედობის კრიმინალიზაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, რთულია იმ ძალისხმევის განსაზღვრა, რომელიც უნდა დაიხარჯოს მოვალეობის შესასრულებლად (50,661). მეორეს მხრივ, მოვალეობის ფუნქციების განსაზღვრისას თანდაყოლილ გაურკვეველობას მივყავართ დანაშაულის შესახებ სპეკულაციამდე და ამით უფრო სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, ვიდრე დადებითი ქცევის მოთხოვნით აღკვეთილი ზიანი (50, 826-38). მესამე, იმის გამო, რომ „გავრცელებული მიდგომები მკვეთრ განსხვავებას აყენებს აშკარა ქმედებასა და პასიურობას შორის”, საკანონმდებლო ორგანოს არ შეუძლია იგნორირება გაუკეთოს ზნე-ჩვეულებებს და არც უნდა განხორციელდეს ისინი საჭირო საზღვრებს მიღმა (172, 208).

როდესაც დანაშაული განისაზღვრება დადებითი ქცევის თვალსაზრისით, მოქმედი პირი მაინც შეიძლება იყოს დანაშაულზე პასუხისმგებელი იმ ზოგადი პრინციპების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებს პასუხისმგებლობას უმოქმედობისათვის. მაგალითად, მკვლელობა განისაზღვრება ჩვეულებრივ იმით, რომ ბრალდებული „კლავს“ სხვას (119, 350). მიუხედავად ამისა, ადამიანი უმოქმედობით შეიძლება პასუხისმგებელი მკვლელობაზე.

მოქმედების შეუსრულებლობა შეიძლება ჩაითვალოს საჭირო ქმედების შემცველად, თუ უმოქმედობა იწვევს სიკვდილს იმ გარემოებებში, როდესაც ადამიანს აქვს მოქმედების მოვალეობა და აქვს უნარი შეასრულოს ეს მოვალეობა (Commonwealth v. Cali, 247 Mass.20, NE. 510).

A . უმოქმედობა, როგორც აუცილებელი მოქმედების შემცველი

უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაწესდეს ნებისმიერი დანაშაულისთვის იმ თეორიით, რომ ქცევის შეუსრულებლობა, რომლის შესრულებაც ადამიანის მოვალეობაა და მას ამის შესრულების უნარი აქვს, დანაშაულის განმარტებით საჭირო ქცევის ადექვატური შემცველია (Commonwealth v. Welansky, 316. Mass. 383,55 NE. 2d 902).

მოვალეობის შეუსრულებლობა არ ანაცვლებს დანაშაულის განმარტების რაიმე დამატებით ელემენტს. ყველა სხვა ელემენტი დამოუკიდებლად უნდა დადასტურდეს. ბევრი კოდექსი ცდება იმის გამო, რომ ცალსახად არ არის ჩამოყალიბებული ფუნდამენტური დებულება, რომელიც მოითხოვს უმოქმედობის ჩანაცვლებას ქცევით. სისხლის სამართლის კოდექსის §2.01 მოდელი, რომელიც არეგულირებს ამ ზოგად საკითხს, ადგენს მხოლოდ იმას, რომ : „დანაშაულის ჩადენის გამო პასუხისმგებლობა არ შეიძლება იყოს დაფუძნებული უმოქმედობაზე, თუ ...უმოქმედობის მოქმედების შესრულების მოვალეობა სხვაგვარად არის დადგენილი კანონით“ (220,190). ეს ფორმულირება მიგვანიშნებს იმაზე, რომ პასუხისმგებლობა შეიძლება დაწესდეს მაშინ, თუ მოვალეობა დაწესებულია კანონით.

სამწუხაროდ, პასუხისმგებლობა არასაკმარისია კანონიერების პრინციპის დასაკმაყოფილებლად, რომელიც მოითხოვს, რომ არ არსებობდეს სასჯელი დანაშაულის გარეშე (172, 27-47).

სასჯელადსრულების კოდექსის ტერმინი „ქცევის“ განმარტება, რომელიც მოიცავს „მოქმედებას ან უმოქმედობას“ (119,67), ასევე მიუთითებს იმაზე, რომ მოვალეობის შესრულების უმოქმედობა წარმოადგენს საჭირო ქცევის ადექვატურ შემცველს. რა თქმა უნდა, ეს განმარტება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაულის განმარტება იყენებს ტერმინს „ქცევას“. როდესაც დანაშაულის განმარტება იყენებს ფრაზას , როგორცაა „იწვევს სიკვდილს“ (119, 79), აკრძალული ქცევის აღსაწერად განმარტება არ გამოიყენება.

კაუზალობის მოთხოვნა

ეს გამომდინარეობს მოქმედი პირის უმოქმედობის შეზღუდული ეფექტიდან-როგორც მხოლოდ დანაშაულის განმარტებითი მოთხოვნილი ქცევის შემცველი, რომელმაც უნდა აჩვენოს, რომ მოქმედი პირის უმოქმედობამ გამოიწვია აკრძალული შედეგი, მაგრამ მიზეზობრიობის ცნებას ძალიან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს უმოქმედობის კონტექსტში, ვიდრე ქმედების შემთხვევაში.

ზოგადად ითვლება, რომ მოქმედი პირის ქცევამ გამოიწვია შედეგი, როდესაც :

(1) ქცევა „არის წინმსწრები, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია“ (119,85).

(2) შედეგი „არ არის ისე შორეული ან შემთხვევითი, რომ სამართლიანი გავლენა მოახდინოს მოქმედი პირის პასუხისმგებლობაზე ან მისი დანაშაულის სიმძიმეზე“ (119, 88).

პირველ მოთხოვნას ჩვეულებრივ უწოდებენ „გარეე“ ან „საქმის ფაქტობრივი მხარის“ მოთხოვნას (37, 248). ის მოითხოვს იდენტიფიცირებად ფიზიკურ მიზეზობრივ ჯაჭვს ქცევასა და შედეგს შორის. მეორე აღწერილია, როგორც „ახლო მიზეზის“ მოთხოვნა (37, 275). ის მოითხოვს, რომ ფიზიკური მიზეზობრივი ჯაჭვი იყოს საკმარისად ძლიერი და მოკლე, რათა იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლიანი საფუძველი (Commonwealth v. Almeida, 362 Pa. 596, 68A. 2d 595).

მიზეზობრივი ჯაჭვის ცნება, რომელზედაც დაფუძნებულია მოთხოვნილება, გულისხმობს ჯაჭვის მიზეზშედეგობრივი რგოლების სერიას, ანუ დადებით ქცევას, საიდანაც შედეგი არის იდენტიფიცირებადი, რომელიც თავის მხრივ იწვევს სხვა შედეგს და ა.შ. უმოქმედობები არ ექვემდებარება იმავე კონცეპტუალიზაციას (172, 195).

შეიძლება ვისაუბროთ უმოქმედობასა და შედეგებს შორის გარეშე ურთიერთობებზე, მაგრამ მნიშვნელობა მკვეთრად განსხვავდება შემადგენლობის კონტექსტში გარეშე მნიშვნელობისაგან. მოქმედმა პირმა ბავშვი შეიძლება შეკვეთით მოკლას, ბალიშით დაახრჩოს, ან უმოქმედობით, იმის გამო რომ ბავშვი არ იკვებება და შიმშილობს. მოქმედი პირის მიერ ბავშვის არ გამოკვება, რა თქმა უნდა, ბავშვის გარდაცვალების მიზეზია.

მამასადაამე, მიზეზობრივი მოთხოვნა თითქმის უსარგებლოა, როგორც ტექსტი უმოქმედობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. სანაცვლოდ, კანონი უნდა ეყრდნობოდეს სავარაუდო მიზეზის მოთხოვნას და დანაშაულის განმარტების სხვა მოთხოვნებს, კერძოდ, დამნაშავეთა გონებრივი მდგომარეობის მოთხოვნებს (50, 661). რათა დადგინდეს, თუ რომელი პირი ვერ აჭმევდა ბავშვს, და უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი

მის სიკვდილზე.

მოვალეობის მოთხოვნა

უმოქმედობის პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონით არის დაწესებული მოქმედების კონკრეტული მოვალეობა. მოვალეობა უნდა იყოს კანონიერი. მხოლოდ მორალური მოვალეობა ზოგადად არასაკმარისია, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი (37,183). მოვალეობა არ უნდა შეიქმნას სისხლის სამართლის საკანონმდებლო აქტით. მართლაც, მას ყველაზე ხშირად აშშ-ში. სამოქალაქო კანონმდებლობა აწესებს (221,55). თუმცა ეს სამოქალაქო სამართალდარღვევას დანაშაულად არ აქცევს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვალეობის დარღვევა ემსახურება მხოლოდ დანაშაულის ქცევის მოთხოვნის ჩანაცვლების უმოქმედობის დაშვებას. დანაშაულის განმარტების ყველა სხვა ელემენტი ჯერ კიდევ უნდა დადასტურდეს.

უმოქმედობის კუთხით განსაზღვრულ დანაშაულში ნაგულისხმევი მოვალეობის გარდა (37,12), მოქმედების მოვალეობა შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერი რაოდენობის წყაროდან :

1. ურთიერთობაზე დაფუძნებული მოვალეობა

ჩვეულებრივ კანონის თანახმად, ადამიანს ეკისრება მოვალეობა დაეხმაროს სხვას, რომლებიც გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობაში არიან მასთან (37,184), მაგალითად ისეთში როგორიცაა მშობლების მოვალეობა შვილების წინაშე, ქმრების მოვალეობა დაეხმარონ ცოლებს.

2. მიწის მესაკუთრის მოვალეობა

მიწის მესაკუთრეს ხშირად ეკისრება მოვალეობა დაიცვას ისინი, ვინც მის მიწაზე მოდის. მიწის მესაკუთრის მოვალეობის საზომი დამოკიდებულია მის პიროვნებასთან ურთიერთობაზე და განისაზღვრება პირის მიწაზე შესვლის წესით (37,193). საერთო სამართალი ასეთ პირებს სამ კატეგორიად ყოფს : სამართალდამრღვევებს, ლიცენზიანტებს და მოწვეულებს (37, 197), უმაღლესი მოვალეობა ეკისრებათ მოწვეულებს, ყველაზე დაბალი მოვალეობა ეკისრებათ დამრღვევებს.

შეზღუდული გამონაკლისების გარდა, არავითარი მოვალეობა არ ეკისრება დამრღვევს, გარდა იმის, რომ თავი შეიკავოს „თვითნებური და ბოროტი განზრახვის მქონე ქცევისგან“.

ვინმეს შენობაში საკუთარი მიზნებისთვის შესულ ლიცენზიანტს უფრო დიდი მოვალეობა ეკისრება, ვიდრე მიწის მესაკუთრეს. მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიანტმა შეიძლება არ მოითხოვოს მისთვის შენობების უსაფრთხოება, და წავიდეს ყველანაირ რისკზე, რაც არ უნდა შეექმნას (Compare Restatement or Torts 860), მიწის მესაკუთრემ მაინც უნდა გამოიჩინოს

გონივრული სიფრთხილე ლიცენზიანტის დასაცავად. მიწის მესაკუთრე ასევე ვალდებულია ლიცენზიანტი გააფრთხილოს ფარული, საშიში პირობების შესახებ, რომლის შესახებაც მიწის მესაკუთრემ იცის. თუმცა, არ არის სავალდებულო უცნობი საფრთხეების შემოწმებისა და მათი არსებობის გამხელისა.

ყველაზე დიდი მოვალეობა ეკისრება მოწვეულს, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ საჯარო მოწვეულს ან საქმიან ვიზიტორს (§332). მოწვეული პირი არის ის, ვინც შენობაში შედის მესაკუთრის მოწვევით, გამოხატული ან პოტენციური ბიზნესისთვის, და რომელიც საქმეს იჭერს მიწის მესაკუთრესთან. მიწის მესაკუთრეს ეკისრება მოვალეობა მოწვეულის მიმართ დაიცვას იგი იმ საფრთხისგან, რომლის შესახებაც მიწის მესაკუთრემ იცის ან უნდა იცოდეს. ამდენად, მიწის მესაკუთრე ვალდებულია გამოიჩინოს გონივრული ყურადღება, მისი შენობის შესაძლო საფრთხეების შესამოწმებლად (§393).

პირები, რომელთა წინაშეც მოვალეობა ეკისრებათ, შეიძლება მაინც განსხვავდებოდნენ მათი სტატუსის მიხედვით, მაგრამ განსხვავებები არ არის დადგენილი ფორმალური დოქტრინით. ისინი წარმოიქმნება იმის გამო, რომ „შესაბამი ზრუნვა“ ბუნებრივად მოითხოვს ნაკლებ ზრუნვას უცნობი დამრღვევის მიმართ, ვიდრე მოვეული ადამიანის მიმართ.

3. ხელშეკრულებაზე დაფუძნებული მოვალეობა

მოვალეობა შეიძლება დაეკისროს მოქმედ პირს სახელშეკრულებო ვალდებულებებით მსხვერპლის ან მესამე მხარის წინაშე. მაგალითად, ექიმს ან მედდას აქვს მოვალეობა, იზრუნოს თავის პაციენტზე (37,186). რკინიგზის მიერ დაქირავებული პირი ვალდებულია გადასასვლელზე მემანქანეების დასაცავად აცნობოს მატარებლის მოახლოება (State V. Benton, 38 Del.1,187.A2d 609).

4. საკანონმდებლო აქტზე დაფუძნებული მოვალეობა (გარდა დანაშაულის ჩადენისა)

ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი ცალსახად ითვალისწინებს დახმარების ვალდებულებას დაეხმაროს ვინმეს გასაჭირში (37,188). გავრცელებული მაგალითია „ავტოსაგზაო შემთხვევის ადილის დატოვების“ საკანონმდებლო აქტი, რომელიც ავარიაში მონაწილე მძღოლს ავალდებულებს ამ შემთხვევის ადგილზე გაჩერებას და დახმარების გაწევას (იხ.CAL. VEH. CODE § 20,001) (217.480).

5. ნებაყოფლობით აღებულ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული მოვალეობა

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, არ არსებობს მოქმედების მოვალეობა, თუ არ წარმოიქმნება ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი ურთიერთობიდან ან საკანონმდებლო აქტიდან, მოვალეობა შეიძლება დაწესდეს გარკვეულ სიტუაციებში, როდესაც პირი

ნებაყოფლობით იღებს პასუხისმგებლობას სხვაზე (50,662). მაგალითად, როგორც კი ადამიანი დაიწყებს საფრთხის ქვეშ მყოფი ადამიანის გადარჩენას, მას ეკისრება მოვალეობა გადაარჩინოს ის (37,201). ანალოგიურად, როდესაც ადამიანი იღებს პასუხისმგებლობას ბავშვის ან ფსიქიურად ავადმყოფი ადამიანის მიმართ, ის ვალდებულია დაიცვას ეს ადამიანი.

მოქმედების მოვალეობა ასევე შეიძლება წარმოიშვას ურთიერთნდობისგან (37,207). კანონი იცავს მოლოდინს, რომ საგანგებო ვითარებაში შეზღუდული რწმენა ან ნდობა დაფასდება. ამრიგად, მათი ერთობლივი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, მთამსვლელს შეიძლება დაეკისროს მოვალეობა, როდესაც მისი თანამგზავრი ნაპრალში ჩავარდება (37,210). ანალოგიურად მოთხილამურეს, რომელიც ხედავს, რომ მისი თანამგზავრი მოთხილამურე უმწეოდ წევს იზოლირებულ ფერდობზე, შეიძლება ჰქონდეს მოვალეობა იმოქმედოს ურთიერთნდობის საფუძველზე (164,370).

6. საფრთხის შექმნაზე დაფუძნებული მოვალეობა

პირს, რომელსაც სხვაგვარად შეიძლება არ ჰქონდეს მოქმედების მოვალეობა, შეიძლება დაეკისროს, თუ ის არის მსხვერპლის საფრთხის გამომწვევი პირობების მიზეზი. მაგალითად, როდესაც ადამიანი ძარცვავს სხვას, რომელიც ძლიერ ნასვამ მდგომარეობაშია და ტოვებს მას გზატკეცილზე, შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მსხვერპლის უსაფრთხო ადგილას არ დატოვების გამო, თუ მას შემდეგ სატვირთო მანქანა დაეჯახა (Henderson V. Kibbe, 431 US.145). ზოგიერთი საქმე იქამდეც მივიდა, რომ ადამიანი გულუბრყვილოდ ან შემთხვევით ქმნის სიტუაციას, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვას. მაგალითად, როდესაც პირი მავნებლების წინააღმდეგ კანონიერად აგებს ხაფანგს, მაგრამ არ ათავისუფლებს შემთხვევით ხაფანგში მოხვედრილ ძაღლს, ის შეიძლება დაისაჯოს ცხოველების მიმართ ჩადენილი სისასტიკისათვის (Green V. Cross, 103 TLR. 279).

7. გადარჩენის ზოგადი მოვალეობა

ზემოთ აღწერილი განსაკუთრებული ურთიერთობებისა და პირობების მიღმა, ამერიკული კანონმდებლობა ტრადიციულად არ აწესებს გადარჩენის ზოგად მოვალეობას (37, 190). ასეთი ვიწრო შეხედულება პირის ქმედების კანონიერი მოვალეობის შესახებ შეიძლება მიეწეროს გარდაუვალ გაურკვეველობას, რომელიც დამახასიათებელი იქნება გადარჩენის ზოგადი მოვალეობის განსაზღვრისათვის და სამთავრობო შეზღუდვებისთვის ინდივიდუალური თავისუფლების კუთხით (37,191).

ამასთან აშშ ორმა შტატმა დააწესა ზოგადი მოვალეობა, მეორე ადამიანის ზიანისგან გადარჩენისა, თუ ეს შეიძლება მოხდეს მაშველისათვის საფრთხის შექმნის გარეშე (37,179).

D. შესაძლებლობების შესრულების მოთხოვნა

ისევე, როგორც მართმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპები კრძალავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როდესაც მოქმედი პირის ქცევა, რომელიც წარმოადგენს დანაშაულს, არანებაყოფლობითია (37,182), ეს არის პასუხისმგებლობის დაცვა იმ უმოქმედობის გამო, როდესაც მოქმედ პირს არ შეუძლია საჭირო მოქმედებების შესრულება (იხ. Port Huron V. Jenkinson, 77 Mich, 414, 43 N.W. 923). პირი არ არის დამნაშავე დანაშაულში, თუ მისი პასუხისმგებლობა არ არის დაფუძნებული ... ისეთი მოქმედების შესრულების უმოქმედობაზე, რომელიც მას ფიზიკურად შეუძლია. ამდენად, სიღარიბეში მყოფ მშობელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება მშვიერი ბავშვისთვის საკვების მიუწოდებლობის გამო, თუმცა მშობელი ვალდებულია დახმარებისთვის მიაკითხოს სოციალური მომსახურების სააგენტოს (იხ. Stehr V, State, 92 Neb. 755, 139. N.W. 676).

1. ქმედუნარიანობის საზომი

A. „ფიზიკურად“ უნარიანი

უმოქმედობის პასუხისმგებლობის დებულებების უმეტესობა მოითხოვს, მოქმედი პირისგან, ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც მას ფიზიკურად შეუძლია (119,77). თუმცა მნიშვნელობა „ფიზიკურად“ გაურკვეველია. ფაქტობრივად იურისდიქციები, რომლებიც სხვაგვარად მიჰყვებიან უმოქმედობის პასუხისმგებლობის ფორმულირებას შლის „ფიზიკურ“ შეზღუდვას (Ohio Rev. 6 De ANN. §2901.21 p.1982). ეს შეიძლება განიმარტოს, როგორც პასუხისმგებლობის დაკისრება, მოქმედი პირისათვის, რომელიც ფიზიკურად ქმედუნარიანი იყო, თუმცა ფსიქიკურად ქმედუნარო იყო რაიმე ქმედების შესასრულებლად, მაშინაც კი, როდესაც მოქმედების ასეთი გონებრივი უუნარობა აშკარა ფსიქოლოგიური აშლილობის შედეგია (Bratty V. Attorney Gen. for N.Ir).

ისევე, როგორც ნებაყოფლობითობის საკითხი ჩადენილი დანაშაულის დროს აღიარებს ფსიქიკურ და ფიზიკურ დარღვევებს, ასევე უნდა იყოს ქმედუნარობის საკითხი უმოქმედობის შემთხვევებში.

A. ქმედუნარობა v. ქმედუნარიანი

მიუხედავად იმისა, რომ შესრულების შესაძლებლობის მოთხოვნა ხშირად აღწერილია, როგორც ქმედუნარობის დაცვა (37,163), იარლიყი „ქმედუნარო“ რაღაც მცდარი ტერმინია.

საყოველთაოდ მიღებული სტანდარტი რომელიც ეხება მეცნიერულ შესაძლებლობას, რომ ვინმემ შეძლოს ქმედებების შესრულება არ არის ობიექტური, არამედ უფრო ინდივიდუალურია: შეეძლო თუ არა ამ მოქმედ პირს მოქმედების განხორციელება.

ასეთი სტანდარტი შეიძლება რეალურად ძალიან ლიბერალური იყოს. შეიძლება ითქვას, რომ როგორც დანაშაულის ჩადენის ნებაყოფლობითობის შემთხვევაში, საზოგადოებამ შეიძლება როგორც წესი, უარი თქვას ბრალდებულის ყოველი ინდივიდუალური სისუსტის გამართლების საფუძვლად აღიარებაზე. როგორც საზოგადოება მოითხოვს დანაშაულის ჩადენისათვის შინაგანი და გარეგანი ზეწოლის მინიმალურ შეზღუდვას, ასევე შეიძლება საზოგადოებამ სათანადოდ მოითხოვოს ძალისხმევის მინიმალური დონე კანონით მოთხოვნილი ქმედების შესასრულებლად (50,659). მოქმედი პირის პიროვნული ქმედუნარობა უნდა იყოს აღიარებული, როგორც დაცვის საშუალება, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის აკმაყოფილებს ნებაყოფლობითობის მოთხოვნის ანალოგიურ მოთხოვნას ჩადენილი დანაშაულისათვის ან აქვს ისეთი ზოგადი საბაზი, როგორიცაა სიგიჟე ან ძალდატანება.

C.სიფრთხილე მონაწილე პირისთვის

ნორმატიული ფორმულირებები, რომლებიც ფოკუსირებულია მხოლოდ იმაზე, თუ „უნარი“ გააჩნია მოქმედ პირს (50,87), როგორც ჩანს, მოითხოვს, რომ მოქმედმა პირმა გააკეთოს ყველაფერი, რაც შეუძლია, მიუხედავად არსებული საფრთხისა. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ არის სიტუაციები, როდესაც მოქმედ პირს აქვს მოქმედების უნარი, მაგრამ არ აკეთებს, თუ საფრთხე საკმაოდ დიდია (50,660). სავარაუდოდ, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მშობლის მიმართ, რომელიც არ უხტება მატარებელს წინ და არ სწირავს საკუთარ სიცოცხლეს ბავშვის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. აუცილებლად არსებობს კონკურენტი ინტერესების გარკვეული დაბალანსება, რაც კეთდება მაშინ, როცა დასაბუთებული დაცვა ჩნდება.

შეიძლება ითქვას, რომ მოქმედმა პირმა არ უნდა შეასრულოს მოქმედების მოვალეობა, როდესაც ეს უფრო დიდ ზიანს მიაყენებს.საფრთხის გამო შეზღუდვის გარდა, ქმედებების მასშტაბი, რომლის განხორციელებაც მოქმედ პირს ევალება, უნდა იყოს დაკავშირებული და შეზღუდული იმ მოვალეობის ბუნებასთან და მოცულობასთან, რომელიც წარმოშობს მოქმედების მოვალეობას (50,669).

სხვა ინტერესებისთვის ზიანის მიყენება მოქმედების მოვალეობის შესრულებისას

ზემო განხილულის მსგავსად კონფლიქტი-მაშველის საფრთხის დაბალანსება მსხვერპლის საშიშროებასთან -წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მოქმედი შეიძლება დაექვემდებაროს

უმოქმედობის პასუხისმგებლობას, თუ ის არ იმოქმედებს (50,118), მაგრამ შეიძლება დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას სხვა ჩადენილ დანაშაულებებზე, თუ ის იმოქმედებს (219,175). ცხადია, კანონმა უნდა აირჩიოს ის კურსი, რომლის გავლა სურს მოქმედ პირს და დააკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის გადაუხვევს ამ კურსს. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო აქტი იშვიათად გამოიყენება, მექანიზმი უკვე არსებობს, რომელსაც შეუძლია მოიქცეს ისე, რომ ზიანი მიაყენოს სხვა ინტერესებს, ანუ ჩაიდინოს სხვა დანაშაულები, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას აქვს ასეთი დანაშაულის გამართლების დაცვის საშუალება (50,112). დამამტკიცებელი არგუმენტაცია მისგან მოითხოვს აჩვენოს, რომ მისი საქციელით თავს აარიდებს უფრო დიდ ზიანს, ვიდრე ის იწვევს (219,183). დამატებითი წესი, რომელიც საჭიროა ურთიერთსაწინააღმდეგო ვალდებულებების პრობლემის თავიდან ასაცილებლად, უნდა იყოს ის, რომ როდესაც მოქმედება, ჩვეულებრივ, საჭიროა უმოქმედობის პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ წარმოადგენს დანაშაულს და არ არის გადაფარული აღიარებული დასაბუთებული დაცვით, მოქმედი პირი არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი უმოქმედობაზე. როგორც ჩანს ეს არის კიდევ ერთი გამონაკლისი იმ მოთხოვნიდან, რომ მოქმედმა გააკეთოს ყველაფერი, რაც ფიზიკურად შეუძლია.

პირი არ არის დამნაშავე დანაშაულში, რომელიც დაფუძნებულია მოქმედების შეუსრულებლობაზე, თუ იგი ფიზიკურად ქმედუუნაროა ან სხვაგვარად არ იყო შესაძლებელი ამ მოქმედების შესრულება (219,203), თუ მისი წარუმატებლობა არ არის მისი ძალისხმევის ან მონდომების შედეგი, თუ მას უარს ეუბნებოდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთებულ დაცვაზე, რომელიც გამოწვეული იყო იმ ქმედებებით, რომელიც მან ვერ შეასრულა (219,204).

7.2 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობისთვის ინგლისურ სამართალში

A.კანონიერი მოვალეობის მოთხოვნები

უმოქმედობა ზოგადად ნაკლებად დანაშაულებრივია.... თუმცა ცხადი გახდა, რომ საჭიროა ბრძოლა ზოგიერთ ფუნდამენტურ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მოითხოვოს სახელმწიფომ პიროვნებისგან, თუ მიიღწევა პროგრესი უმოქმედობის კრიმინალიზაციაში კანონის უზენაესობის ფარგლებში (11,76).

ფუნდამენტური საკითხი, რომელიც ეშვორთმა მტკიცედ წამოაყენა, კერძოდ, როგორ უნდა მოხდეს უმოქმედობის სწორად კრიმინალიზაცია კანონის უზენაესობის ფარგლებში, აწუხებდა ინგლისის სასამართლოებსა და მკვლევარებს თაობების განმავლობაში (11,77). გაცილებით ნაკლებად გარკვეული იყო შესაბამისი სქემატური შაბლონი კანონიერი მოვალეობის მოთხოვნის ან ეფექტური კრიმინალიზაციის სტანდარტიზაციის დასაბუთებულად დანერგვისთვის. გარდა კანონიერი მოვალეობისა და უმოქმედო ქცევის პასუხისმგებლობის. რომელიც შემოიფარგლება წესდებისა და ხელშეკრულების სფეროებით.

პრაგმატულად მნიშვნელოვანი განვითარება მოხდა საერთო სამართალში. ინგლისის სისხლის სამართალი მოწმე გახდა სასამართლო წესით შექმნილი „პასუხისმგებლობის ვალდებულებების“ პრევენციის მიზნით ზიანის თავიდან ასაცილებლად სამართლებრივი მოვალეობების არაჩვეულებრივი ინსტრუმენტული გავრცელებისა (59,76). ეშვორთმა მიიღო სოციალური პასუხისმგებლობის ჩარჩო: „საზოგადოებრივი ცხოვრების კოოპერატიული ელემენტები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება სამართლიანი იყოს მოქალაქეებისთვის მოვალეობის დაკისრება, დაეხმარონ სხვა ინდივიდებს გარკვეულ სიტუაციებში“ (159,77). ამ სიტუაციების ბუნება, სადაც მოქმედების დადებითი მოვალეობები ლეგიტიმურად უნდა იყოს გამოყენებული და ახალი ადაპტური ჩარჩოები, სიცხადის უზრუნველსაყოფად. სიმესტერი ამტკიცებდა, რომ ეს იქნებოდა „იმ იდეის პატივისცემის უარყოფა, რომელმაც ადამიანის პრაქტიკული არჩევანი უნდა განსაზღვროს საკუთარი მიზნებითა და ღირებულებებით“, თუკი ადამიანს დაეკისრება „გაუფრთხილებლობით პასუხისმგებლობა იმ ზიანის გამო, რომელიც მასთან არ არის დაკავშირებული“ (183,311). ეს წარმოადგენს ინდივიდუალური ავტონომიის ძალიან შეზღუდულ კონსტრუქციას. ამის საპირისპიროდ, რაზი ავტონომიას უფრო ფართო კუთხით განიხილავს, რომ სახელმწიფომ შეიძლება გაფართოებულ გარემოებებში აიძულოს ინდივიდები მიიღონ ზომები საზოგადოების პარამეტრებისა და შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად (46,416). ანალოგიურად დევლინი ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის კანონი უნდა იქნას გამოყენებული ამორალური ქცევის წინააღმდეგ, რომელიც სცდება საერთო მორალს და შეიძლება ზიანი მიაყენოს საზოგადოებას.

ფლეტჩერი იმეორებს, რომ დანაშაულთა გადარჩენის უმედეგო უარყოფა დაკავშირებულია „კანონიერების პრინციპისადმი მიზეზობრივ დამოკიდებულებასთან“, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ კომუნიტარულ დამოკიდებულებასთან (163,1449).

ინგლისის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დებატები ქცევის უმოქმედობის პასუხისმგებლობის შესახებ, ისეთივე დიდი მოცულობითაა წარმოდგენილი, როგორც ადრე

ეს იყო წარმოდგენილი ამერიკულ იურისპრუდენციულ პრინციპებზე. სასამართლო კანონმდებლობამ, უმოქმედობის შესახებ, შექმნა არასრულყოფილი, დამაბნეველი და ხშირად წინააღმდეგობრივი ლანდშაფტი. ინგლისურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ინდივიდებს არ ატყობინებენ იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და როგორ მოელიან მათ მოქმედებას პოტენციური პასუხისმგებლობის ვალდებულებების ერთობლიობისას (59,151). ეს კრიტიკა თანაბრად გამოიყენება ყველა დანაყოფისათვის : საოჯახო და საყოფაცხოვრებო მოვალეობები, ნებაყოფლობითი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, საჯარო თანამდებობა და საშიში სიტუაციების შექმნა. იგი ვრცელდება უფრო ხანგრძლივი სახელშეკრულებო სამართლებრივი მოვალეობების გაუგებრობაზე. საზიანო შედეგი ის არის, რომ, ის თითოეულ „მონაწილეს“ აფიქრებინებს მათი შესაძლო პასუხისმგებლობის ვალდებულებების კრიმინალურობაზე, სათანადო შესაძლებლობის გარეშე, გადალახეს თუ არა მათ კრიმინალური ზღვარი. არსებობს მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც, სავარაუდოდ, ნაწილობრივ უგულებელყოფილია ანგლო-ამერიკული უმოქმედობის პასუხისმგებლობაში, კანონიერებისა და სამართლიანი გაფრთხილების პრინციპები. კანონიერების ცნება გამოხატულია შემდეგ მაქსიმუმში : Nullum Crimen sine lege, nulla poena sine lege-არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე. თანმხლები გარემოება არის დანაშაულის განმსაზღვრელი ელემენტების მკაცრი ინტერპრეტაცია და გაურკვეველი კონსტრუქციული დანაშაულის ინგრედიენტების შემზღვეველი ადაპტაცია. როგორც რობინსონი თავდაჯერებულად ამტკიცებს, ეს მნიშვნელოვანი პრინციპი ემსახურება სასამართლო სისტემაში კონსტრუქციის კანონის პროპაგანდას კანონმდებლობით და საერთო სამართლის დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც ზოგადად ემხრობოდნენ ცალკეულ ბრალდებულს (189,107). გარდა ამისა, არსებობს მკაცრი კონსტრუქციის სტანდარტიზაცია ყველა სისხლის სამართლის დანაშაულის შედგენისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული და აღსრულდეს ჩვენი სასამართლოების მიერ სიცხადით და შეთანხმებულად (189,108).

B.სამართლებრივი მოვალეობები, რომლებიც იწვევს სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის პასუხისმგებლობას.

საკანონმდებლო მოვალეობის მოთხოვნები უარყოფს საერთო სამართლის კანონიერების მოთხოვნებს და დამაჯერებელ შეხედულებებს, რომელსაც შეიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი. ნიმუში, რომელიც ანგლო-ამერიკულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ საკითხის სიზუსტის შესაფასებლად, არის განყენებული იურიდიული რჩევის ტესტი-შეუძლია თუ არა ბრალდებულს, საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატის გამოყენებით გაარკვიოს, დააკისრებს თუ არა მას პასუხისმგებლობას გარკვეულ

გარემოებებში? როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა კანონიერი დებულების ინტერპრეტაციის კონტექსტში სისხლის სამართლის კანონი არ უნდა იქნას განმარტებული ზედმეტად ბრალდებულის საზიანოდ (იხ.17 EHRR 397 ECTHR 1994), მაგრამ დამაჯერებლობის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელი უნდა იქნას, სად შიძლება პირმა გაიგოს შესაბამისი დებულების ფორმულირებიდან და საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს განმარტებით, რა ქმედებები და უმოქმედობები აკისრებს მას პასუხისმგებლობას.

ინგლისურ კანონმდებლობაში არ იყო სურვილი მრავლობით ფაქტების წარმოდგენისას ამ ფუნდამენტურ საკითხებში სათანადო ჩარევისა, კანონიერი მოვალეობისა და უმოქმედობის მოთხოვნების ფარგლებში უხეში გაუფრთხილებლობით მკვლევლობისათვის საერთო კანონმდებლობაში (185,207). მთავარ პრობლემად რჩება ის, რომ არ არსებობს გარე კრიტერიუმები, რომლითაც განიხილება „უხეში“ გაგება ამ არსებული დანაშაულის ფარგლებში ან რაიმე სიზუსტე პასუხისმგებლობის ვალდებულებებთან მიმართებაში, რაც ეხება ზიანის მნიშვნელოვანი რისკის ნებაყოფლობით დაშვებას/შექმნას.

ნებისმიერი ცალკეული ბრალდებულის მიმართ სამართლიანი გაფრთხილების არარსებობის მიღმა, მაგნე გვერდითი ფაქტორია ის, რომ ნაფიც მსაჯულთა წევრებს, როგორც „მორალურ“ არბიტრებს ეძლევათ უფლება განსაზღვრონ არსებული პრინციპები და შესაბამისად შეუძლიათ არა მხოლოდ იმის დადგენა, ჩადენილია თუ არა დანაშაული, არამედ დანაშაულის შემადგენელი ელემენტების ინტერპრეტაციული განმარტების დადგენაც. ნაფიც მსაჯულებს მოეთხოვებათ გაითვალისწინონ დაუდევრობის ხარისხი, რომელიც დაკავშირებულია უმოქმედობის ქცევასთან, რაც ბრალდებულის ქცევას საკმარისად დანაშაულებრივს ხდის. განვიხილოთ პიტკუდის პოსტულაციის სახით ილუსტრაცია, რომელიც ადაპტირებულია სიმესტერის შეფასებით (59,210), ურთიერთდამოკიდებულებისა და სინერგიული კავშირის შესახებ სამოქალაქო სამართლის ვალდებულებებისა და აღსასრულებელ სახელშეკრულებო მოვალეობებს შორის სისხლის სამართალში. პარამედიკოსმა ექიმმა, ხელი მოაწერა COVID-19 თან დაკავშირებულ ახალ გახანგრძლივებულ ხელშეკრულებას ჯანდაცვის ორგანოსთან, რომელიც შეიცავს პირობას, რომელიც მისგან მოითხოვს მას ჩაერიოს ხალხის გადარჩენაში, მაშინაც კი, როცა სამსახურში არ არის და შორს არის საავადმყოფოდან. ასეთ განლაგებულ სცენარში, ექიმის მიერ ვინმეს გადარჩენა ოჯახთან ერთად სეირნობისას შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევა, მაგრამ ცალმხრივად და მთლიანობაში არ უნდა იყოს სისხლისსამართლის დანაშაული საკანონმდებლო დებულებების არ არსებობის შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებენ სამართლიანი გაფრთხილებისა და კანონიერების პრინციპებს.

C. სამართლებრივი მოვალეობები : საოჯახო და საყოფაცხოვრებო ვალდებულებები

პასუხისმგებლობის კონტურები საოჯახო და საყოფაცხოვრებო ვალდებულებების სფეროში, რომელიც ქმნის სამართლებრივ მოვალეობებს, გაურკვეველი რჩება ინგლისურ სამართალში. ეშვორთი ამტკიცებდა, რომ უმოქმედობის პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას თუ არსებობს „დამოკიდებულებების მოწესრიგებული ურთიერთობა“, და რადგან საქმეები პირველ რიგში ეხება სიტუაციურ წყაროებს, სადაც ბრალდება არის უმოქმედობით გამოწვეული მსხვერპლის სიკვდილი, კონტექსტურად ჩვენ ვაფასებთ სიცოცხლის შენარჩუნების მოვალეობას და შეუტყობინებლობას (11,123).

ნათელია, რომ მშობლები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ შვილების სიცოცხლეს. მშობელმა უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც გონივრული იქნება ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად. ეკისრება თუ არა ბავშვს შესაბამისი მოვალეობა, მშობლის სიცოცხლის შესანარჩუნებლად? ამ საკითხზე პრეცედენტული უფლებამოსილება არ არსებობს, მაგრამ ლოგიკურია, რომ ასეთი მოვალეობა დაეკისროს ბავშვს როცა ის ათ წელს გადასცილდება და მოქმედებას შესძლებს. შესაძლოა ცოლ-ქმარი ვალდებული იყვნენ დაიცვან სხვისი სიცოცხლე, თუ მოვალეობა დაფუძნებულია ახლო ურთიერთობაზე, ჩნდება კითხვა, როდის დასრულდება ასეთი მოვალეობა (11,117). იმ ვარაუდით, რომ ზრუნვის მოვალეობა რეალურად არსებობს ცოლ-ქმარს შორის, შესაძლებელია, რომ ერთ-ერთმა მეუღლემ გარკვეულ ვითარებაში გაათავისუფლოს მეორე შემდგომი ზრუნვის ვალდებულებებისგან.

მშობლის სამართლებრივი მოვალეობის მიღმა, ინგლისურ საერთო სამართალში განსაზღვრებები კონცენტრირდება „ურთიერთდამოკიდებულებაზე ან სტატუსზე“. არსებობს დილემა იმის შესახებ, თუ რა სტატუსის მოვალეობა ავალდებულებს ინდივიდს იმოქმედოს, რაც გულისხმობს სიცოცხლის დაცვის მოვალეობას და შეტყობინების ვალდებულებას (159,43).

სახიფათო სიტუაციის შექმნა და გადარჩენის სამართლებრივი მოვალეობა : კეთილ სამართლებრივი კანონები.

უმოქმედო ქცევა კრიმინალიზდება იქ სადაც ლეგიტიმურობა და ნორმატიულობა ერთმანეთის პროპორციულია. ნებისმიერი ასეთი კრიმინალიზაცია უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების პრინციპს. განხილული საერთო სამართლის იურდიული მოვალეობების ტიპოლოგიის ფარგლებში, უკიდურესი დილემური არჩევანი ურთიერთკავშირშია მიმართული იმის თაობაზე, არის თუ არა პირების მიერ წარუმატებლობის გადარჩენის მცდელობა კრიმინალი, რის დროსაც შეიქმნა მრავალგვარი სახიფათო სიტუაციები (169,419). კრიმინალიზაციის მკაცრი შეხედულება, როგორც სმიტი აცხადებს, უბრალოდ მოითხოვს

ქცევის არაკრიმინალური ნორმის დამრღვევ ქმედებას (184,94). მაგალითად, ზრუნვის ზოგადი მოვალეობა და, ზოგადად ნებისმიერი საშიში მოქმედება საკმარისი იქნება პასუხისმგებლობისთვის : ნებისმიერი ქმედება, რომელიც მოჰყვება მოვლენების სახიფათო თანმიმდებრობას, საკმარისია მანამ, სანამ არსებობს დანაშაული, რომელიც შეიძლება ჩადენილი იყოს უმოქმედობით, ხოლო უმოქმედო პირი ფლობდა შესაბამისი დანაშაულის ბრალეულ ელემენტს (184,95).

სახიფათო სიტუაციებში გადარჩენის რაიმე ზოგადი მოვალეობის წინააღმდეგ წარმოდგენილი არგუმენტები ნათლად იქნა ჩამოყალიბებული რობინსონის მიერ კომენტარებთან ერთად: (1) მაშველები მოტივირებული უნდა იყვნენ ალტრუიზმით და არა კრიმინალიზაციისა და სახელმწიფოს მიერ დაწესებული ჯარიმების შიშით. (2) ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი, რომელიც გამოწვეულია მორალიზმით და არა ნორმატიული და პროპორციული სამართლებრივი განმარტებით, ვერ იქნება სამართლიანი გაფრთხილებისა და კანონიერების სტანდარტი. (3) საზოგადოებრივი კონსესუსის ნაკლებობა მიზანშეწონილობის ზნე-ჩვეულებებთან დაკავშირებით რელიგიური/მორალური ღირებულებები, რომლებზეც დაფუძნებულია გადარჩენის მოვალეობა (189,104). (4) შეუსაბამოა „ფიზიკური“ ქმედებებით და არა უმოქმედობით გამოწვეული ჩარევის მოთხოვნა და (5) ნებისმიერი საკანონმდებლო პასუხი უსამართლოდ დააზარალებს თავისუფლების უფლებებსა და ინდივიდუალური ავტონომიის ღირებულებას (189,105).

როგორც რობინსონი აცხადებს, მიუხედავად ალტერნატიული პერსპექტივებისა, რომელიც იწვევს უმოქმედობის კრიმინალიზაციას, ეს შეშფოთება შეიძლება გადაიფაროს სხვა სოციალურ-პოლიტიკური საქმეებით: ის გადაფარულია მთავრობის ინტერესით მისი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე და მთავრობის პრეროგატივით დაადგინოს მოვალეობები მოქალაქეების პრივილეგიის გამოყენებისას (189,105). საკითხავია როგორ უნდა ამოვიცნოთ შემთხვევები, როდის გადაკვეთა ცალკეულმა მოქმედმა პირმა (ან შექმნა) სახიფათო მდგომარეობა და როგორ განვსაზღვროთ ის ნაბიჯები, რომლებიც საჭიროა კრიმინალიზაციისგან თავის დასაღწევად.

როგორც გომეზ-ალლერი აცხადებს, ინდივიდს აქვს დასდებითი მოვალეობა იმოქმედოს სისხლის სამართლის კანონით და კრიმინალიზაციის შესაბამისი ინტენსივობით (169,44).

ზიანის ხუთი სიტუაციური წყარო და შესაბამისი პასუხისმგებლობის კონტურები შეიძლება შემდეგნაირად დაიშალოს: (A) როდესაც ცალკეული მოქმედი პირი „შემთხვევით“ იწვევს საფრთხეს და შემდეგ აქვს მოვალეობა თავიდან აიცილოს შემდგომი ზიანი. (B) როდესაც ცალკეული მოქმედი პირი შემთხვევით ახორციელებს საფრთხეს და შემდეგ აქვს მოვალეობა

თავიდან აიცილოს შემდგომი ზიანი (C) მოპასუხის მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სისტემური წარუმატებლობა, რათა დაიცვას სხვები ზიანისგან, ვიზეც ისინი პასუხისმგებელი არიან, განსაკუთრებით, როგორც დამსაქმებელს ან მიმწოდებელს. (D) როდესაც ბრალდებულს ეკისრება პასუხისმგებლობა სხვების დაცვის კუთხით, ან მათი მხრიდან კონტროლის ან ჰეგემონიის გზით, ან სხვებისთვის მოქმედების ავტონომიის ჩამორთმევისას, მათ შორის ოჯახის და საყოფაცხოვრებო ვალდებულებების ფარგლებში და (E) სადაც ზიანი ხდება თავდაპირველი შემთხვევის სიტუაციური წყარო, რომელსაც მოჰყვა ბრალდებულის შემდგომი უმოქმედობა (169,117).

A.შემთხვევით მიყენებული ზიანი და ზედამხედველის ბრალეულობა.

ემვორტის აზრით: უბედური შემთხვევის გამომწვევი პირის არსებობა და შესაძლებლობა არა მხოლოდ მიუთითებს იმ ინდივიდზე, როგორც პირზე, რომელმაც უნდა მიიღოს ზომები, არამედ ამტკიცებს, რომ მათი შეუსრულებლობა უნდა გულისხმობდეს არსებული სამართალდარღვევის ჩადენას (11,76). ამ ინდივიდს როგორც „მოვალეს“ აკისრია ვალდებულება და მოიცავს მიახლოებით მიზეზობრიობის სტანდარტიზაციას : დადებით პასუხისმგებლობას და მიზეზობრიობის უფრო „პირდაპირ“ გამოყენებას, ვიდრე ზიანის მნიშვნელოვანი რისკის შექმნის სხვა ტიპოლოგიაში, რომელიც არ არის გაუმჯობესებული (169,425).

ამგვარად, მაშინ როდესაც უცნობი, რომელიც ცეცხლმოკიდებულ სახლს ჩაუვლის შეიძლება უსაქმოდ დადგეს და აღფრთოვანებული იყოს სანახაობით, ხოლო პირი, რომელმაც გამოიწვია ხანძარი (თუმცა შემთხვევით) ეკისრება მოვალეობა, გადადგას ეფექტური გამოსასწორებელი ზომები, ხოლო თუ ამას არ შეასრულებს ეს გამოიწვევს სისხლისსამართლის პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისთვის (45,32). ცალკეულ მოქმედ პირს აქვს ზიანისგან თავის არიდების პასუხისმგებლობა, სინქრონულობა სხვების თვითდაცვის თვალსაზრისით. ეს გამოწვეულია მათი მხრიდან კონტროლის ან სხვების მოქმედების ავტონომიის მოხსნით, მათ შორის საოჯახო და საყოფაცხოვრებო ვალდებულებების სფეროში. ამ დაყოფის ეპიცენტრი არის ის, რომ მოპასუხე არსებითად უკანონოდ იტაცებს სხვა პირის თვითდაცვის საშუალებებს ან აქვს ავტონომია და ჰეგემონია სტატუსურ ურთიერთობებზე (169,441).

არსებობს პასუხისმგებლობის ყველაზე პრობლემური სიტუაციური წყარო შეფასებისთვის სახიფათო სიტუაციების შექმნის ანალიზში: თავდაპირველი შემთხვევითი ზიანის მიყენება და შემდგომი უმოქმედობა. არსებობს შემთხვევების მთელი რიგი, როდესაც ხდება თავდაპირველი უბედური შემთხვევა, რასაც მოჰყვება ცალკეული მხარის მიერ დახმარების

გაწევა. მოვალეობის წყარო ხშირად აღიქმება არა როგორც მიზეზობრიობის სამართლებრივი პრიზმით, არამედ როგორც პოლიტიკის კუთხით (164,367). ჰიუზი ამტკიცებდა, რომ ეს პოლიტიკა საუკეთესო შემთხვევაში ამორფულია (უფორმო, გაურკვეველი), რომელსაც არ ჰყავს ხელმძღვანელობა, რათა განისაზღვროს აღსასრულლებელი მოვალეობები : „აღიარებული სამართლებრივი მოვალეობების კლასიფიკაცია, ალბათ, არც ამომწურავია და არც ექსკლუზიური, მაგრამ ის მიუთითებს იმ სფეროზე, რომელშიც ყველაზე ხშირად გვხვდება უმოქმედობის დანაშაულები და პოლიტიკა, რომელიც საფუძვლად უდევს მათ შექმნას (171,600). ჰიუზი ვარაუდობს, რომ დანაშაულის შემცირების პოლიტიკის გრადაცია იქნება კრიმინალის სიცოცხლის გადარჩენა ნებისმიერი წარუმატებლობის შემთხვევაში, სადაც მსხვერპლის საშიშროება აშკარაა მოქმედი პირისთვის და საჭირო პრევენციული ქცევა მცირედ ან საერთოდ არ შეიცავს რისკს.

ფრენკელი მხარს უჭერს „გარეგან აღიარებულ“ სამართლებრივ მოვალეობას, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს (164,390). ასეთი გარეგანი აღიარება არის გამსჭვალული კირხჰაიმერის მიერ კომუნალური ღირებულების სტრუქტურების მიღებით, რომლებიც ეფუძნება პრევენციულ ქცევაში ნებისმიერ ჩართვას (173,55). რა თქმა უნდა, უფორმო პოლიტიკის მოსაზრებებისა და კომუნალური ღირებულებების სტრუქტურების გავრცელების სირთულე არის რწმენის ან სამართლიანი გაფრთხილების ნაკლებობა, იმის შესახებ, თუ როდის და რატომ ჩავდივართ დანაშაულს გადარჩენის მარტივ შემთხვევებში.

ზამანი, როგორც რესტორნის მფლობელი, არის პირველი ბრალდებული ინგლისურ კანონ-მდებლობაში, რომელიც მსჯავრდებულია არაგანზრახი მკვლელობისათვის (დაუდევრობით) ბიზნეს პრაქტიკაში მომხმარებლებისთვის პროდუქციის მიწოდებისას სისტემური წარუმატებლობებით (176,583). აღმოჩნდა, რომ ინდური რესტორნის მფლობელს ეკისრებოდა მზრუნველობა (კანონიერი მოვალეობა) მსხვერპლის მიმართ, რომელმაც პირდაპირ უთხრა რომ ჰქონდა ალერგია არაქისზე და რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მათი საკვები არ შეიცავდა არაქისს, მაგრამ სამწუხაროდ ის გარდაიცვალა. ბრალდებულს, როგორც მესაკუთრეს, რომელმაც ვერ მოახერხა რაიმე ეფექტური კონტროლის მექანიზმის დანერგვა, მიესაჯა ექვს წლიანი პატიმრობა. დადგინდა რომ ქცევის დაუდევრობით მოვალეობის დარღვევას სისტემატურად ჰქონდა ადგილი.

7.3 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობისთვის ფრანგულ სამართალში

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 223-6 მუხლის თანახმად : ნებისმიერი პირი, რომელიც განზრახ თავს იკავებს საფრთხის წინაშე მყოფი პირისთვის დახმარების გაწევისგან, როდესაც მას შეეძლო ეს დახმარება გაეწია პირადად ან დახმარების გამოძახებით, ისე რომ არ დაეყენებინა საფრთხის ქვეშ არც მისი თავი და არც სხვები, ექვემდებარება ჯარიმას ან ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას (217,171). თუმცა, სასამართლოებმა ტექსტი სიტყვასიტყვით არ განმარტეს. დახმარების გაწევა იშვიათად არსებობს საფრთხის გარეშე და მხოლოდ საფრთხის შესახებ შეტყობილება, სასამართლოების აზრით, შეიძლება იყოს არაეფექტური დახმარება. ამრიგად წარმოიშვა კონტურული პრობლემები.

გარდა ამისა, დადგენილი ტექსტი არ განსაზღვრავს „საფრთხეს“ და არც იმას აკონკრეტებს, თუ როგორ გაიგო მოპასუხემ, რომ პირი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. ასევე არ არსებობს რაიმე აუცილებელი პირობა, რომ საფრთხის ქვეშ მყოფი პირი რეალურად განიცდიდეს ზიანს მოპასუხის ვერ გადარჩენის შემდეგ. ამრიგად, როგორც დავინახავთ, ბრალდებული, რომელიც თავს იკავებს საფრთხის ქვეშ მყოფი პირის გადარჩენისგან, არ შეუძლია დაასაბუთოს თავდაცვის სახით, რომ ვინმემ გადაარჩინა ეს ადამიანი ან რომ ადამიანი სასწაულებრივად გადაურჩა საფრთხეს ან ზიანს. ხარვეზი, რომელიც ავსებს საფრანგეთის სამაშველო საკანონმდებლო აქტს არის არსებითი დანაშაულის ჩადენა უმოქმედობით. საერთო სამართალმა დიდი ხანია აღიარა, რომ ბრალდებული შეიძლება იყოს დამნაშავე მკვლელობაში ან სხვა არსებით დანაშაულში, თუ ბრალდებულს ეკისრებოდა მოვალეობა აკრძალული ქცევის ან შედეგის აცილებისა (37,284). სასამართლოები და სამართლის კომენტატორები დიდი ხანი იბრძოდნენ იმის დასადგენად, თუ რა ურთიერთობები, საკანონმდებლო აქტები ან ვალდებულებები აკისრებს მოპასუხეს მოქმედების მოვალეობას. არ არსებობს მოქმედების ზოგადი მოვალეობა, მაგრამ თუ სასამართლო დაადგენს მოვალეობას, მაშინ არ არსებობს ბარიერი, რომელიც ხელს უშლის პასიური ბრალდებულის გასამართლებას არსებით დანაშაულზე. მეორეს მხრივ, საფრანგეთის კანონმდებლობა არასოდეს ცნობდა არსებით პასუხისმგებლობას, რასაც სამოქალაქო სამართლის იურისტები „უმოქმედობით გამოწვეულ ქმედებას“ უწოდებენ (18,121). ამრიგად, მშობლები რომლებიც უყურებენ თავიანთი შვილების დახრჩობას, როგორც წესი არ შეიძლება დაისაჯონ მკვლელობის დანაშაულისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანომ შეიძლება დასაჯოს ისეთი გადაცდომები, როგორიცაა გადასახადების გადაუხდელობა ან ანგარიშის წარუდგენლობა.

საფრანგეთის მთავარი გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფს პასუხისმგებლობას უმოქმედობის გამო, არის მეოცე საუკუნის დასაწყისის ცნობილი საქმე პუატიეს ტუსადი ქალის (La Sequestree). იმ საქმის დრამატულმა ფაქტებმა, რომლებიც იმ დროს ფართოდ გავრცელდა პრესის მიერ და შემდგომში უკვდავყო მწერალმა ანდრე ჟიდემ თავის ნოველაში La Sequestree de Poitiers (10,3), გამოავლინა დიდი ხარვეზი საფრანგეთის სისხლის სამართალში.

დატუსადებული ქალი ბლანშ მონიე იყო პუატიეს უნივერსიტეტის ლიბერალური ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის ქალიშვილი. 1870-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ის ოცდაათ წელს გადაცილებული იყო, მსხვერპლი მშობლების სახლში განმარტოვდა. როგორც ჩანს, მან ეს გააკეთა საკუთარი ინიციატივით, რადგანაც სჯეროდა, რომ მან შეარცხვინა ისინი, რადგან ჰქონდა ურთიერთობა მამაკაცთან. იმ მომენტში როდესაც ის განმარტოებული იყო, მსხვერპლი ფსიქიკურად კომპეტენტური ჩანდა. მას დედა აწვდიდა საკვებს. თუმცა დედამ დაზარალებულს სათანადო ზრუნვა არ გაუწია. პოლიციამ, რომელიც ანონიმური წერილით იქნა გაფრთხილებული, მსხვერპლი გადაარჩინა 1901 წ. გაზაფხულზე. მსხვერპლი, თითქმის ოცდაათი წლის განმარტოების შემდეგ ფსიქიკურად შეირყა და ენით აუწერელი სიბინძურის პირობებში ცხოვრობდა. დაზარალებულის მდგომარეობამ, რომელიც პრესის ფოტოებში გამოქვეყნდა ბუნებრივია გამოიწვია ფართო აღშფოთება.

პუატიელი ტუსადის საქმეში ბრალდებული იყო არა დედა-ის გარდაიცვალა ქალიშვილის გათავისუფლებიდან რამდენიმე კვირაში (10,83)-არამედ მსხვერპლის ზრდასრული ძმა, მარსელ მონიე, რომელიც ცხოვრობდა ცალკე სახლში, დედის სახლის მოპირდაპირე მხარეს. ადგილობრივმა პროკურორმა ძმას ბრალი წაუყენა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბრალდებულს თხუთმეტ თვიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბრალდებულის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულება იყო ათიოდე ახალგაზრდა ქალის ჩვენება, რომლებიც მუშაობდნენ მოხალისედ მსხვერპლის დედასთან. მათ დაადასტურეს არა მხოლოდ დაზარალებულის სავალალო მდგომარეობა, არამედ ბრალდებულის ხშირი, თუნდაც ყოველდღიური ვიზიტი დედის სახლში.

მარსელ მონიეს ბრალდებამ განარისხა პროფესორი მორის. ე. გადსონი, რომელიც იმ დროისთვის საფრანგეთის ერთ-ერთი წამყვანი კრიმინალისტი იყო, რომელმაც დაცვის მხარეს გაუწია კონსულტაცია, გამოაქვეყნა ბროშურა, სადაც აკრიტიკებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. იგი წერდა, თუ როგორ შეიძლება იყოს ბრალდებული პირი, რომელმაც არაფერი „დაარტყა“, „დაჭრა“ ან „არანაირი ძალადობა ან თავდასხმა“ არ ჩაუდენია. მაშასადამე, მონიეს მიერ დის გაჭირვებიდან გადარჩენა არ

არღვევდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნებს. სწორედ ამ მსჯელობამ დაარწმუნა სააპელაციო სასამართლო გამოეტანა გამამართლებელი გადაწყვეტილება მონიესათვის.

ამდენად, დანაშაულის ჩადენა უმოქმედობით არასოდეს გამხდარა საფრანგეთის სისხლის სამართლის ნაწილი, თუმცა საფრანგეთის კანონმდებლობა აღიარებს, რომ დაუდევრობით გამოწვეული მოქმედება შეიძლება მოიცავდეს ქმედებებს ან უმოქმედობას, და ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც საერთო კანონი ბრალდებულს დამნაშავედ ცნობს დანაშაულში, რადგან მას ეკისრებოდა მოქმედების მოვალეობა, შეიძლება წარმატებით დასაჯონ საფრანგეთში, თუ არსებობს შესაბამისი სამართალდარღვევა, რომლისთვისაც დაუდევრობა საკმარისია დანაშაულისთვის (32,157). ეს მიდგომა, რომლის განვითარებისთვის საფრანგეთის სასამართლოებმა ცოტა რამ გააკეთეს, განიხილავს ბრალდებულის უმოქმედობას, როგორც დაუდევრობის უფრო ფართო კურსის ნაწილს.

საფრანგეთში თანამონაწილეობის პასუხისმგებლობა გაცილებით ვიწროა, ვიდრე საერთო სამართლის უმეტეს კანონმდებლობაში. ბრალდებულის თანამონაწილედ გასასამართლებლად, კოდექსი მოითხოვს, რომ პროკურატურამ დაამტკიცოს, რომ ბრალდებული დაეხმარა, ან ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას (218,61). ეს მტკიცებულება უნდა მოიცავდეს „დამამტკიცებელ აქტს“, უმოქმედობა არ არის საკმარისი თანამონაწილის პასუხისმგებლობისთვის (162,124). ამდენად, საკმარისი არ არის, რომ ბრალდებული, რომელიც იმყოფება დანაშაულის ადგილზე მანამდე დათანხმდა დახმარებოდა მთავარ მოქმედ პირს.

საფრანგეთში, ფერმერმა, რომელმაც იცოდა, რომ მისი ძროხა ინფიცირებული იყო, მიჰყიდა იგი ადგილობრივ ყასაბს, რომელმაც ძროხის დაკვლა ფერმერის შენობაში დაიწყო, ხოლო ოჯახის სხვა წევრები უყურებდნენ. ყასაბი შემდგომში ძროხის მიერ გადადებული ინფექციისგან გარდაიცვალა. სასამართლომ გაასამართლა ფერმერი გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის, მაგრამ დაადგინა, რომ ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც ჩუმიდ აკვირდებოდნენ ყასაბის ფატალურ მისიას, არ შეიძლება მსჯავრდებულნი იყვნენ ამ დანაშაულისთვის, მიუხედავად მათი ცოდნისა საფრთხის შესახებ, რადგან მათ არ ჩაუდენიათ ამის დამადასტურებელი ქმედება (162,84). გასაკვირი არ არის, რომ ამ ხარვეზებში მოხვედრილი საქმეები, რომლებიც არ მოიცავს გადარჩენის ზოგად მოვალეობას, წარმოადგენს პრაქტიკის ნაწილს საკანონმდებლო აქტის მიხედვით.

გადარჩენის მოვალეობა საფრანგეთის სისხლის სამართალში შეიტანეს 1941 წელს. ამ წელს საფრანგეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილი დაიკავეს გერმანიის ნაცისტურმა ჯარებმა, ხოლო მარშალ პეტენი, რომელმაც 1940 წ. აღიარა საფრანგეთის დამარცხება და დათანხმდა

ზავს გერმანიასთან, იყო სახელმწიფოს მეთაური საფრანგეთის ქალაქ ვიზის მთავრობაში. ზავის შეთანხმების შემდეგ საფრანგეთის პარლამენტი დაიშალა ომის გამო და პეტენი ახორციელებდა უფლებამოსილებას დეკრეტით გამოცემული კანონმდებლობით (162,121).

შეტყობინების მოვალეობა, რომელიც ეხება მხოლოდ მძიმე დანაშაულს ან დანაშაულს-არ შეიცავს დამნაშავის იდენტიფიცირების მოვალეობას (43,62). გარდა ამისა, დანაშაულის შესახებ შეტყობინება სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება „სასარგებლო“ დანაშაულის შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შეზღუდვისთვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის ასაცილებლად. დასრულებულ დანაშაულებებთან დაკავშირებით, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი შეუტყობინებლობისთვის იმ სიტუაციებში, როდესაც მოპარული ნივთები აღმოუჩენელი რჩებოდა, მაგრამ მათ არ აქვთ შემუშავებული პრევენციული სამართალი იმის შესახებ, თუ როდის არის საჭირო შეტყობინება მომავალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და ბოლოს სასამართლოებმა კეთილშობილურად განმარტეს ოჯახის წევრების შეტყობინების მოვალეობისგან გათავისუფლება (43,125).

დახმარების მოვალეობა, შეტყობინების მოვალეობისგან და დანაშაულის პრევენციის მოვალეობისგან განსხვავებით ფართოდ იქნა განმარტებული სასამართლოების მიერ. სამართალდარღვევას, როგორც ეს ნორმატიული ტექსტით არის განსაზღვრული (218,43), აქვს ოთხი ძირითადი ელემენტი. პირველ რიგში, ადამიანი საფრთხის ქვეშ უნდა იყოს. მეორე, ბრალდებულმა არ უნდა გასწიოს დახმარება, ან პირადი ჩარევით ან დახმარების გამოძახებით. მესამე, ბრალდებულს უნდა შეეძლოს დახმარების გაწევა საკუთარი თავის ან სხვების საფრთხის გარეშე. მეოთხე ბრალდებულის მიერ დახმარების არ გაწევა უნდა იყოს განზრახ ჩადენილი. როგორც დავინახეთ, მეოთხე ანუ სუბიექტური ელემენტი, რომელიც სასამართლოებმა განსაზღვრეს, რათა მოპასუხეს სცოდნოდა საფრთხის შესახებ, ემსახურებოდა დახმარების მოვალეობის გაფართოების ძირითად შეზღუდვას. ეს შეზღუდვა კი ხშირად არაეფექტური აღმოჩნდა (44,176).

A. პირველი ელემენტი : ადამიანი საფრთხის ქვეშ

დანაშაულის პირველ ელემენტში კოდექსი არ განსაზღვრავს არც „პირს“ და არც „საფრთხეს“. „პიროვნების“ განმარტებამ რამდენიმე პრობლემა შექმნა. სასამართლომ საკმაოდ უღიმამოდ დაადგინა, რომ გვამი არ არის ადამიანი. ამრიგად, არ შეიძლება ბრალი წაეყენოს, თუ საფრთხის ქვეშ მყოფი პირი უკვე გარდაცვლილი იყო, როდესაც ბრალდებულმა დახმარება არ გაუწია, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა ბრალდებულმა სიკვდილის შესახებ (43,235). ამ ინტერპრეტაციით, სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ შეპრწუნებული იყო ბრალდებულის „ამორალური საქციელით“, გაამართლა მძლოლი, რომელიც დაეჯახა და

მოკლა მსხვერპლი და შემდეგ გაიქცა ისე რომ მსხვერპლის მდგომარეობის შესახებ არაფერი უკითხავს (162,251). შემდგომში საკასაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ ინტერპრეტაციას, დაეთანხმა ქვედა ინსტანციას სასამართლოს, რომ დანაშაულის მატერიალური ელემენტი არ არსებობს, თუ მსხვერპლი გარდაცვლილი იყო (162,253).

გარდა ამისა მომაკვდავისთვის დახმარების გაწევა შეიძლება მასთან ერთად ყოფნით და ნუგეშით, როგორც საკასაციო სასამართლომ აღიარა მთავარ პრეცედენტში, მომაკვდავი ადამიანის მიტოვება (Cass. Crim., March 23, 2001 D. Jur. 371 J.C.P.7584).

საფრთხის ერთადერთი სახეა ის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის სერიოზული დაზიანება ან ფიზიკური ჯანმრთელობის სერიოზული დარღვევა (44,280).

B. მეორე ელემენტი : არდახმარება (დაუხმარებლობა)

ბრალდებულის მიერ დახმარების გაწევის მეორე ელემენტთან დაკავშირებით, დანაშაულის განმსაზღვრელი ტექსტი, როგორც ჩანს, ბრალდებულს სთავაზობს არჩევანის გაკეთებას „პირადად მოქმედებას“ ან „დახმარების გამოძახებას“ შორის. შესაბამისად ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ბრალდებულს, რომელიც რეაგირებს საფრთხეზე და ატყობინებს მას დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირებს ან ხელისუფლებას, მაგალითად, პოლიციას ან ადგილობრივ სამაშველო სამსახურს. მიუხედავად იმისა, რომ გაწეული დახმარება არ უნდა იყოს ეფექტური საფრთხის ქვეშ მყოფი პირის გადარჩენის თვალსაზრისით, ეს უნდა იყოს გონივრული რეაგირება სიტუაციის აუცილებლობის გათვალისწინებით (44.91).

ეს მიდგომა მოითხოვს, რომ ბრალდებულმა რეაგირება მოახდინოს საშიშროებაზე სათანადო ფორმით, ანუ მოახდინოს რეაგირება ისე, როგორც გონივრული ადამიანი მოიქცეოდა იმ სიტუაციაში (44,92). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსხვერპლის საფრთხის ცოდნა დანაშაულის ელემენტია. სასამართლოებმა მსგავსი წესები გამოიყენეს მსჯავრდებულების მიმართ, რომელთა რეაგირება საშიშროებაზე გულგრილი არ იყო, მაგრამ განსხვავებული იყო გონივრული ადამიანისგან. მაგალითად, მშობლებმა დაარღვიეს გადარჩენის მოვალეობა, როდესაც თავიანთი რელიგიური მრწამსის შესაბამისად ლოცულობდნენ მძიმე ავადმყოფი ბავშვის გამოჯანმრთელებისთვის და არ მიმართეს სამედიცინო დახმარებას (იხ. Cass Grenoble, April 9, 1954 J.C.P. 8139). მშობლების რწმენა ლოცვის ეფექტურობის შესახებ მათი შვილის გადასარჩენად, რომელიც მათ იცოდნენ, რომ იყო მძიმედ დაავადებული, შეუსაბამო იყო, რადგან სასამართლოს აზრით, ეს მხოლოდ მათი „მოტივი“ იყო, რომ არ გაეწიათ ეფექტური დახმარება. მეორეს მხრივ, მშობლები არ არღვევენ გადარჩენის მოვალეობას, თუ მათ გააჩნიათ ინტელექტის ნაკლებობა იმის ცოდნისთვის, რომ მათ შვილს სჭირდება დახმარება.

C.მესამე ელემენტი : არანაირი რისკი (საფრთხე)

მესამე ელემენტზე-გადარჩენის საფრთხეზე-ნორმატიული ტექსტი საკმაოდ მკაფიოა : არ შეიძლება იყოს დანაშაული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სავარაუდო მაშველს შეუძლია დახმარების გამოძახება ან პირადად ჩარევა, მაშველის ან მესამე პირის „საფრთხის გარეშე“ (168,26).

სიტყვასიტყვით აღებული ციტირებული ფრაზა ფაქტობრივად არღვევს გადარჩენის მოვალეობას. ყოველი გადარჩენა, როგორც კანონის ადრეული განმმარტებლები აღიარებენ, გარკვეულ საფრთხეს შეიცავს (44,103). ყველაზე ძლიერი მოცურავეც კი შეიძლება დაიხრჩოს, ან კუნთი დაეჭიმოს გადარჩენის დროს, მაგრამ გასაკვირი არ არის, რომ სასამართლოებმა ტექსტი სიტყვასიტყვით არ აღიქვეს, მაგრამ მათ არაფერი გააკეთეს იმის დასადგენად, თუ რა რისკებზე უნდა წავიდეს მაშველი.

ეს გონივრული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სავარაუდო მაშველის პირად გარემოებებს, მოითხოვს მეტი რისკის გაწევას პროფესიონალებისგან, როგორცაა პოლიციელები და ექიმები, ვიდრე არაპროფესიონალებისგან. ამრიგად, ექიმებს არ შეუძლიათ უმოქმედობისგან დასაცავად გამოიყენონ ისეთი ჩვეულებრივი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მედიცინის პრაქტიკასთან, როგორცაა გადამდები დაავადებების მქონე პირების რისკები ან სახლში გამოძახების საფრთხე (167,73).

დანაშაულის ეს ელემენტი ეხება საფრთხის არსებობას, მაგრამ არა ბრალდებულის საპასუხო ქმედებას. ბრალდებულმა უნდა „იციოდეს“ რომ ადამიანი საფრთხეშია, მაგრამ არ უნდა იციოდეს, რომ საჭირო დახმარება საფრთხისგან თავისუფალია. გონივრულობა არის სტანდარტი და სუსტმა, შეშფოთებულმა ან უცოდინარმა ბრალდებულმა უნდა გაუძლოს იმ რისკებს, რასაც გონივრული ადამიანი (168,47).

D.მეოთხე ელემენტი : საფრთხის ცოდნა

დანაშაულის მეოთხე ელემენტთან დაკავშირებით ბრალდებულის ცოდნა საფრთხის შესახებ-მოეთხოვება თუ არა ბრალდებულს რეალურად იციოდეს საფრთხის სიმძიმე , სასამართლოები მერყეობენ. ბევრ სიტუაციებში საკმარისია, რომ ბრალდებულმა იციოდეს, როგორც განმმარტებლები აღიარებენ, ეს უკანასკნელი მიდგომა ფაქტობრივად ანაცვლებს დაუდევრობის სტანდარტს, იმ განზრახვას, რომელიც ერთი შეხედვით მოითხოვება ნორმატიული ტექსტით (167,43). მიუხედავად ამისა, სასამართლოები მიმართავენ ამ მიდგომას იმ ბრალდებულების მიმართ, რომლებიც პირადად არ იმყოფებოდნენ საფრთხის შემთხვევის ადგილზე, მაგრამ გამოიძახეს თვითმხილველებმა საფრთხის წინაშე მყოფი პირის დასახმარებლად. ამ საქმეებში პირველ რიგში, სამედიცინო პერსონალი იგულისხმება .

თვითმხილველები, რომლებსაც არ აქვთ სამედიცინო მომზადება, ბუნებრივია იძახებენ მათ და არა დილეტანტებს, რადგან დახმარება გაუწიონ ავადმყოფს ან დაშავებულს. ამ შემთხვევებში სასამართლომ ბრალდებულს დააკისრა მოვალეობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ექიმას არ შეუძლია უარი თქვას „სწრაფად მოსვლის შესახებ“ მოთხოვნაზე, მიუხედავად იმისა, ექიმს მიჩნია, რომ მოხსენებული საქმე არ საჭიროებს მის პირად ჩარევას (167,54).

პატარა ქალაქის მერმა თხრილში მწოლიარე ველოსიპედისტი იპოვა. მას ეგონა, რომ ველოსიპედისტი მთვრალი იყო. მან იგი „კომფორტულად“ გადაიყვანა გზის პირას, ბალახიან ფერდობზე. მერი რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა რომ შეემოწმებინა ველოსიპედისტის მდგომარეობა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ის იქ აღარ იყო. აღმოჩნდა, რომ სხვა გამვლელებმა ნახეს, რომ ველოსიპედისტი კვნესოდა და შოკში ჩავარდნილი დახვდათ, საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ჭრილობებისგან გარდაიცვალა (168,91). მერი მაინც გაამართლა ქვედა ინსტანციის სასამართლომ. საკასაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ მერმა იმ მოტივით რომ არ იცოდა დაზარალებულის საფრთხის სიმძიმე უდანაშაულოა (168,92).

როდესაც პროფესიონალი მუშაობს პაციენტის დასახმარებლად ან გადასარჩენად, ცოდნა ნიშნავს რეალურ ცოდნას და დაუდევრობით გამოწვეული წარუმატებლობა საჭირო მკურნალობის უზრუნველსაყოფად ხასიათდება როგორც „მცდარი დიაგნოზი“ ან „შეცდომა მსჯელობისას“ და არა როგორც გადარჩენა (167,63).

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის პროცესში ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად ვრცლად გადმოგვეცა ყველა ის ძირითადი ასპექტი, რომელიც ახასიათებს უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებს. როგორც კვლევამ გვიჩვენა, დანაშაულებრივი უმოქმედობის სოციალური არსის გენეზისი და მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები სპეციალური სამართლებრივი მოვალეობების შესრულებაზე განპირობებულია უამრავი ფაქტორით, რომელთაგან მთავარს სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი წყობის ფორმა და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პარადიგმების ტრანსფორმაცია წარმოადგენს. ამასთან ერთად, სოციუმს საკუთარი მობილურობა და რესურსები გააჩნია თავისი ქცევის საფუძვლების მოსამზადებლად, რამაც საბოლოო ჯამში არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს დანაშაულებრივი უმოქმედობის საკანონმდებლო პროცესებზე.

სახელმწიფო ფორმირების პროცესის ჩასახვამ და ფორმაციამ პიროვნების სამართლებრივი სტატუსის შესაბამისი სპეციალურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნორმების ზრდა გამოიწვია საკანონმდებლო აქტებში.

ფორმისა (მოქმედება) და შინაარსის (უმოქმედობა) პრობლემის ჩარჩოებში შეიძლება მისი განვითარების რამდენიმე ეტაპის გამოყოფა:

პირველი ეტაპი დანაშაულებრივი ქცევის აქტიურ მხარეზეა დაფუძნებული, მისი ყოველგვარი პასიური ელემენტის ჩართვის გარეშე, რომელსაც ჯერ არა აქვს კრიმინალურ-სამართლებრივი ხასიათი.

მეორე ეტაპი, უმოქმედობიდან გამომდინარე, დაკავშირებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების რღვევის შეგნებასთან და ქმედების პასიური ფორმის საკანონმდებლო ბაზის განმტკიცების მომზადებასთან.

მესამე ეტაპი უმოქმედობის შემადგენლობის თეორიისა და მისი ნორმატიული ატესტაციის პროცესების ურთიერთკავშირს წარმოადგენს, მათ შორის ქმედების ჩარჩოებშიც, რომელიც ქმედების შემადგენლობის ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს.

1. პასიური ქმედების ფორმის შემთხვევაში დადებით ხასიათს უნდა ატარებდეს მისი ხერხის პრობლემის გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, თვით სისხლისსამართლებრივი პასიურობის

ნორმატიულ-სოციალურ კატეგორიად აღიარების კონტექსტში, რაც უმოქმედობის პრობლემის მეთოდოლოგიურად სწორი განმარტების საშუალებას იძლევა.

2. უმოქმედობის უძრაობის ხასიათი ანუ ენერჯის არარსებობის აღქმა სრულიად არ ასახავს მის სისხლისსამართლებრივ არსს. ამავდროულად უმოქმედობის ზედმეტად ნორმატივიზაცია, მისი აღიარება აბსოლუტურ ნორმატიულ კატეგორიად, სრულიად არ პასუხობს დანაშაულის შემადგენლობის კლასიკურ სწავლებას და უმოქმედობის სპეციფიკის არსს.

3. უმოქმედობის სისხლისსამართლებრივი, ობიექტური მახასიათებლების ვიწრო სოციალური შემადგენლობით შეცვლა მიუღებლად მიგვაჩნია. უმოქმედობის ფაქტობრივი მხარის საკითხი უნდა გადაწყდეს მისი შემადგენლობის პრიზმაში, რაც პირის შესახებ ქცევის მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს გულისხმობს. ამგვარად, უმოქმედობა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამართლებრივი (ნორმატიული) დომინანტის ნიშნებს დავუკავშიროთ, რაც მის შემადგენლობაში განსხვავებული ნიშნების მოძიებას არ გამორიცხავს.

4. პასიური დანაშაულებრივი აქტის აღნიშნული ნიშნებისა და მახასიათებლების საფუძველზე შეიძლება უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შემდეგი განსაზღვრების შემოთავაზება:

უმოქმედობა- ეს არის მართლსაწინააღმდეგო ქცევის, დროსა და სივრცეში დამოუკიდებელი განკერძოებული აქტი (აქტების ერთობლიობა), რომელიც სპეციალურ-სამართლებრივი მოვალეობის შესრულებლობის ,შესრულებისაგან თავის არიდების ან არასათანადოდ შესრულების ხერხს წარმოადგენს.

5. დანაშაულებრივი უმოქმედობის სოციალური (ნორმატიული) ბუნება, მისი ნიშნების სპეციფიკურ შინაარსს განსაზღვრავს მოქმედებისა და უმოქმედობის კატეგორიების საერთო თვისებების თვალსაზრისითაც, ასე მაგალითად: უმოქმედობის ნორმატიული ბუნების დახასიათებისას შეიძლება გამოიყოს მისი შემდეგი თვისებურებები:

- სათანადო ქცევის მოლოდინში გამოხატული მომატებული სოციალურობა;
- სავალდებულო ნორმის დარღვევა;
- ვალდებული სუბიექტის აუცილებელი ჩართუ საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში;
- მოვალეობის შესრულებისგან თავის არიდებისა და აგრეთვე მატერიალურ ობიექტებზე;
- (საგნებზე) ზემოქმედების ხერხის შეფარდებისა და მისი გაგების ხასიათი;
- ნორმატიული უმოქმედობის შინაარსის არაერთგვაროვნება;

- უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა მიმართ სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების (მომზადება, მცდელობა, თანამონაწილეობა) გამოყენების განსაკუთრებული ტექნიკა;
- აქტიურ ქმედებებთან შედარებით პასიური დამნაშავის ნების არაერთნაირი ობიექტური განვითარება.

6. პასიური ქცევის მრავალსპექტიანი ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც აერთიანებს თავის თავში როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ მომენტებს, დარგთა შორის დონეზე აუცილებელია აღიარებულ იქნას როგორც მართლსაწინააღმდეგო, ასევე მართლზომიერი უმოქმედობის არსებობის შესაძლებლობა. მართლზომიერი უმოქმედობა, აქტიური მოქმედების პირდაპირი აკრძალვის შემთხვევაში შეიძლება შეადგენდეს ან ავსებდეს კიდევ მოვალეობის სათანადოდ რეალიზების მექანიზმს.

7. პასიური ქცევის ნაირსახეობის გამოყოფას საფუძვლად უნდა ჰქონდეს იმ ქმედების შესრულების ხარისხი, რომლებიც მოვალეობის საგანს შეადგენენ. აღნიშნული კრიტერიუმის და ტერმინოლოგიის ბაზაზე, რომელიც უმოქმედობის სამართლებრივ (ფორმალურ) და აგრეთვე პრაქტიკულ მხარეს პასუხობს, შეიძლება საუბარი სრულ ან ნაწილობრივი პასიური ქცევის შესახებ. სრულ უმოქმედობაში გთავაზობთ ვიგულისხმობთ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა, რომელიც დაკავშირებულია მოვალეობების შემადგენელი მოქმედების აბსოლუტურ იგნორირებასთან. ნაწილობრივ უმოქმედობაში გთავაზობთ ვიგულისხმობთ მოვალეობის არასათანადოდ ან აუცილებელი (საკმარისი) მოცულობის ქმედებით შეუსრულებლობა.

8. საქართველოს სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის ნორმების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა ვისაუბროთ მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობის შემდეგ სახეობებზე, რომელთა გამოვლენას საფუძვლად უდევს მოვალეობების შესრულებისგან თავის არიდების ხერხის საკანონმდებლო განმტკიცების კრიტერიუმი:

- კლასიკური უმოქმედობა ანუ პასიური თავისარიდება დაკისრებული მოვალეობებისგან;
- აქტიური თავის არიდება ანუ უმოქმედობა მოქმედების გზით;
- თავის არიდების პასიური და აქტიური ფორმების რთული შერწყმა (კომბინაცია).

მოქალაქეთა მოვალეობების სათანადოდ შესრულების მახასიათებლების გამოკვლევა სპეციალურ სამართლებრივ მოვალეობებთან მიმართებაში

შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს მოვალეობის არასათანადოდ შესრულება, როგორც ქმედებების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია დაკისრებულ მოვალეობებთან და მიმართულია მის შესრულებაზე, მაგრამ დაბალი დონის (სუბიექტის, საგნის, შესრულების ხერხის) ან აუცილებელი (საკმარისი) მოქმედების მოცულობის არასაკმარისობაზე.

9. უმოქმედობის მართლწინააღმდეგობის საფუძვლების პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია შემდეგი კატეგორიების გამოყოფასთან:

- სისხლის სამართლის კანონისა და მოვალეობების, როგორც პასიური ქცევის კრიმინალიზაციის სამართლებრივი საფუძვლის შესრულების შესაძლებლობასთან;
- მოვალეობების განმტკიცების კონკრეტული წყარო, როგორც სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფაქტობრივი საფუძველი, რომლისგანაც გამომდინარეობს მოქმედების ვალდებულება;
- მოვალეობების სოციოლოგიური მახასიათებლები (მორალი, ტრადიციები და ა.შ), როგორც მათი განმტკიცების საფუძველი.

10. უცხოური კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ უცხო ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის სპეციალური ნორმით. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უმოქმედობისთვის დგება იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა და სამართლებრივი შესაძლებლობა სათანადოდ იმოქმედოს. პასიური დანაშაულობის გამოყოფას საფუძვლად უნდა ედოს კრიმინალურ- სამართლებრივი კრიტერიუმი, კერძოდ კი, მოვალეობის შესრულების ხარისხი და ქმედების ორი ფორმის აღნიშვნის შესაძლებლობა. აღნიშნულ კრიტერიუმზე დაყრდნობით გთავაზობთ პასიური დანაშაულობა განისაზღვრება, როგორც უმოქმედობის ფორმით ჩადენილი ხელყოფის ერთობლიობა, რომლის ობიექტს სამართლებრივად დადგენილი მოვალეობის სათანადოდ შესრულების საზოგადოებრივი ურთიერთობები წარმოადგენს.

პასიურ დანაშაულობის რაოდენობრივ-ხარისხობრივი, სტრუქტურული და დინამიური მახასიათებლების კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნოთ როგორც მაღალლატენტური, ინტრუზიული დანაშაულობა. გამოვლენილი პასიური დანაშაულებრივი ქმედებების წილირეალურად ჩადენილ დანაშაულებათა რიცხვში მინიმალურია.

11. კვლევის შედეგად შევქმენით დეტერმინანტების ფართო კომპლექსური მოდელი,

რომელიც პასიური დანაშაულობის გენეზისს განაპირობებს.

ინდივიდუალურ დონეზე უმოქმედობის მიზეზები შემდეგ პროცესებს უნდა დავუკავშიროთ:

- ზოგად-სამოქალაქო მოვალეობების მიმართ სოციალური ნიჰილისტური განწყობის განვითარება;
- კეთილდღეობის ძირითადი წყაროს (მექანიზმის) და პიროვნების (ოჯახის, კოლექტივის და ა.შ) პოზიტიური პოზიციის განვითარების დაკარგვა;
- შრომითი ბაზრისა და სოციალურ-შრომით სამართლებრივი ურთიერთობების სისტემის საშიში დეფორმირება;
- ინტერესის და სტიმულის არარსებობა სათანადო მოვალეობების შესრულებისადმი;
- უგულვებელყოფელი დამოკიდებულება სამართლის ნორმების, მორალისა და მოვალეობების მიმართ, როგორც მათი გამოვლენის ერთ-ერთი ფორმის მიმართ.

სოციალურ სფეროში პასიური დანაშაულობის მიზეზებია:

- მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხის და მასთან დაკავშირებული პრიორიტეტული სოციალური პროექტების რეალიზების რეალური შეფასების არარსებობა;
- წინააღმდეგობები ფულადი ურთიერთობების სისტემაში;
- პროფესიული მომზადების დონე მისი მოვალეობების გაგებისა და შესრულებისათვის;
- მოსახლეობის ღირებულებითი სისტემის კრიმინალური დეფორმაცია;
- გართობისა და მავნე ჩვევების სფეროსადმი ძლიერი მიდრეკილება.

ეკონომიკურ სფეროში პასიური დანაშაულობის მიზეზებს განეკუთვნება:

- საგადასახადო წესების სირთულე და უკონტროლობა;
- უმუშევრობის მაღალი დონე;
- შიდა ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ბარიერები;
- ხარვეზები მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობაში;
- ეკონომიკური სიტუაციის არასტაბილურობა.

პოლიტიკურ სფეროში პასიური დანაშაულობის მიზეზებს წარმოადგენს:

- უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულებისთვის საშუალო და უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელი პირების რეალური სამართლებრივი პასუხისმგებლობის არარსებობა;
- სუსტი იმპერატიული კონტროლი შესრულებული მოვალეობების მიმართ;
- მაკონტროლებელი ორგანოს ფორმალიზმი.

სამართლებრივ სფეროში პასიური დანაშაულობის მიზეზებია:

- სამართლებრივი და ეთიკური აღზრდის დეფორმაცია;
- სამართლებრივი სისტემის არაეფექტურობა მოქალაქეთა სივრცეში;
- მოვალეობების რეალიზების სამართლებრივი ხერხებისა და საშუალებების რეგლამენტში არსებული წინააღმდეგობები;
- კანონმდებლის არადროული რეაგირება სოციალურ ურთიერთობებში სიღრმისეულ ცვლილებებზე;
- ზოგადი არასრულყოფილება;
- უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის შესახებ რიგი ნორმების ბუნდოვანება და გაურკვეველობა.

პასიური დანაშაულობის სოციალურ-ფსიქოლოგიური პირობებია:

- ალკოჰოლიზმი;
- ნარკომანია;
- უდისციპლინობა;
- თვითკონტროლის არარსებობა.

პასიური დანაშაულობის გარემო პირობებს განსაზღვრავენ ასევე:

- კორუფცია;
- დანაშაულობის ინტრუზიული ხასიათი;
- პროფილაქტიკური ღონისძიებების არარსებობა;
- დაუსჯელობის სინდრომი (განცდა);
- შეცდომები საორგანიზაციო-მმართველობით სფეროში;

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დესტრუქციული გავლენა და ა.შ.

სამართლებრივ სფეროში მოითხოვება მეცნიერთა რაც შეიძლება მეტი რიცხვის ჩართვა საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებისათვის. აღნიშნული სისტემა უნდა განვითარდეს მოქალაქეთა უმოქმედობით შეღავათი უფლებების (ინტერესების) აღდგენის, მიყენებული ზიანის სრული კომპენსაციისა და აგრეთვე პასიური დამნაშავესათვის ეკონომიკურად არარენტაბელობის საკანონმდებლო პირობების შექმნის ჭრილში.

მორალურ-ზნეობრივ სფეროში მოითხოვება ბალანსის მიღწევა : კულტურის, ტრადიციულ და მოდერნისტულ მიმართულებებს შორის. საჭიროა ისეთი საზოგადოებრივი კლიმატის ჩამოყალიბება, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს პასუხობს.

12. პასიური დანაშაულობის თავიდან აცილების სპეციალურ-კრიმინოლოგიური დონის ჩარჩოებში და სოციალურ ჯგუფებთან დასაქმების ობიექტებთან მიმართებაში მიზანშეწონილია შემდეგი ზომები:

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის პროფილაქტიკის ეროვნული პროგრამების შემუშავება;
- საგადასახადო დანაშაულებთან და გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ხერხებისა და სქემების მეცნიერული კვლევა. მის საფუძველზე გამოძიების მეთოდის შემუშავება;
- სამხედრო სფეროში ზომიერი სოციალური კონტროლის პოლიტიკის გატარება;
- მოვალეობების შესრულებისა და მაღალი საშიშროების ობიექტებზე სამუშაო წარმოების ზედამხედველობის გამკაცრება და მეთოდების გადახედვა.

პასიური დანაშაულობის ინდივიდუალური პრევენციის ჩარჩოებში ზემოქმედების ამა თუ იმ ზომის არჩევა დამოკიდებული უნდა იყოს პიროვნების ქმედებაში პასიური კრიმინოტიპის ნიშნების ქმედითი აქტიურობის დონის გამოვლენაზე. როგორც კვლევამ აჩვენა, ქმედითი აქტიურობის დაბალი კოეფიციენტის მქონე პასიური დამნაშავეების მიმართ უმოქმედობის პროფილაქტიკისათვის ეკონომიკური ზემოქმედების სანქციების შემდეგი სახეებია უმჯობესი: ჯარიმა, მატერიალური ზარალის კომპენსაცია, ქონებაზე ყადაღის დადება, კომერციული საქმიანობის გაგრძელების აკრძალვა და ა.შ.

ქმედითი აქტიურობის სტანდარტულ-საშუალო კოეფიციენტის მქონე პასიურ დამნაშავეებთან მიმართებით გამოყენებული უნდა იქნას ქცევის თავისუფლების შეზღუდვის საერთო სამართლებრივი ზომები და პირის სოციალურ-შრომითი ადაპტაციის

ზომები.

ქცევის თავისუფლების შეზღუდვის საერთო სამართლებრივი მოვალეობების შესრულების სახელმწიფო იძულების მექანიზმის როლს უნდა თამაშობდეს: საყვედურის ან საჯარო სანქციების დაკისრება, გაფრთხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, სანქციების გამკაცრება და ა.შ. ხოლო სოციალურ-შრომითი ადაპტაციის ზომები დაკავშირებული უნდა იყოს სოციალურად სასარგებლო კავშირების დამყარებასთან და დახმარების გაწევასთან: თანამშრომლობა, შრომითი სწავლება, მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მონაწილეობა მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის სახელმწიფო პროგრამებში, სოციალურად სასარგებლო კავშირების განვითარება, ასევე პასიური დანაშაულობის რიგი მიზეზების კონტექსტში, რომლებიც დამახასიათებელია სოციალურად სასარგებლო ქმედითი აქტიურობის დაბალი დონის მქონე პირებისთვის, ცალკე ყურადღებას იმსახურებს პრევენციის შემდეგი ზომები: სასწავლო პროგრამების კურსის გავლა, ინდივიდუალური ზედამხედველობა მოვალეობების შესრულებაზე და ა.შ.

13. ასევე სოციალური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სსკ-ის 130-ე მუხლში „ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება“ დამოუკიდებელი შემადგენლობის სახით გათვალისწინებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებლობის საკითხიც, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიო მიზეზით გადაუდებელი დახმარების გაუწევლობისათვის.

14. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სსკ-ის 130-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მუხლი 130. ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება:

1. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა, რასაც ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

2. სამედიცინო დაწესებულების მიერ არასაპატიო მიზეზით საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა.

ასევე საინტერესოა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ეხება. ჩვენი აზრით, აღნიშნული ნორმა არ გამოხატავს სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობას, მით უმეტეს იმის ფონზე, რომ აღნიშნული საფრთხის

შემქმნელ დელიქტს წარმოადგენს და მას მატერიალური შემადგენლობა არა აქვს, ამიტომაც აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ, რომ მოხდეს აღნიშნული ნორმის დეკრიმინალიზაცია.

სსკ-ის 31-ე მუხლი პირს აკისრებს ყველა ზომის მიღების მოვალეობას სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. თვით ტერმინი „ყველა ზომა“ ფართო დეფინიციაა და საჭიროებს უფრო დაკონკრეტებას.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსკ-ის 31-ე მუხლში „ყველა ზომის“ ცნება დაზუსტდეს და გამოყენებულ იქნეს ფორმულირება „ყველა შესაძლო ზომა“.

15. სსკ-ის. 371-ე მუხლი „მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა“, როგორც პრაქტიკაში, ასევე თეორიაშიც ბუნდოვანი და სადავოა. შეგვიძლია თუ არა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენად მივიჩნიოთ შემთხვევა, როცა პირი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ჩვენების მისაცემად.

ჩვენების მიცემაზე უარი შეიძლება ჩადენილ იქნას მაშინ, როცა პირი სპეციალურად თავს არიდებს ჩვენების მიცემას, დამალვის ან/და საცხოვრებლის შეცვლით და იმის დადასტურება, რომ პირმა დასჯადი ქმედება ჩაიდინა, პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაბამისად, რეკომენდებულია ცვლილებების გზით დაზუსტდეს, რომ ჩვენების მიცემაზე თავის არიდება სათანადო წესით გაფრთხილებული პირის მხრიდან, შეიძლება ჩადენილ იქნას, მხოლოდ კითხვებზე პასუხების გაცემაზე უარის თქმის გზით.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ა) არ არსებობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა, თუ როდის უნდა დაიწყოს სსკ-ის. 370-ე „ცრუ ინფორმაცია, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა ან არასწორი თარგმანი, 375-ე „დანაშაულის დაფარვა“ და 376-ე „დანაშაულის შეუტყობინებლობა“ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნა.

შესაბამისად, ჩემი რეკომენდაციაა, რომ პროკურორებმა არ დაიწყონ სისხლისსამართლებრივი დევნა აღნიშნულ დანაშაულებზე მანამდე, სანამ პირის მიმართ ძირითად საქმეზე არ იქნება მიღებული სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება.

16. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე თავში განთავსებულია 131-ე და 132-ე მუხლები „შიდსის შეყრა“ და „განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების შეყრა“. შიდსი ანუ „შემძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი“ განიმარტება როგორც დაავადება, რომელიც ვითარდება ორგანიზმის ინფიცირების შედეგად. აღნიშნული დაავადება მიეკუთვნება უკურნებელ დაავადებათა რიცხვს, მაგრამ გარდა აღნიშნული

დაავადებისა, სამყაროში ბევრი სხვა უკუზრუნებელი დაავადებებიც არსებობს, ამიტომაც კანონმდებლის გამოყოფა და ხაზგასმა დაავადების ტიპზე არასწორად მიგვაჩნია, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა თუკი სსკ-ის. 131-ე მუხლის სათაური შემდეგნაირად იქნება ჩამოყალიბებული: მუხლი 131. „უკუზრუნებელი ინფექციური დაავადებების შეყრა“.

17. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (საქ-ოს. სსკ მუხ.332-ე) შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც აქტიური მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც. აღნიშნული მუხლის ნორმას თუკი დაემატება შემდეგი ფრაზა, უფრო სრულყოფილი გახდება:

1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობა ან მისი ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

როგორც ვხედავთ, სსკ-ის მუხ. 332-ე არის მოქმედებით ჩადენილი დანაშაული, რომელიც დასრულებულია კონკრეტული ქმედების განხორციელების შემდეგ, მაგრამ აღნიშნული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც აქტიური, ისე პასიური ქმედებით ანუ უმოქმედობით, რაც მოქმედ სსკ-ის აღნიშნულ მუხლში არ არის გამოხატული.

18. ასევე საინტერესოა შევეხოთ ტერმინ „თავის არიდებას,, ,რომელიც კარგად არის დამკვიდრებული და აქტიურად გამოიყენება კანონმდებლის მიერ. სწორედ ამ მიზეზით ის მოითხოვს ერთგვაროვან ინტერპრეტაციას. ეს ტერმინი ყველაზე ზუსტად გამოხატავს კრიმინალური ქცევის შესაბამის ტიპს და კანონმდებლის მიერ გამოიყენება მსგავსი უმოქმედობის შესახებ. „თავიდან არიდება“ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ უმოქმედობის ფორმით, ხოლო მისი სუბიექტის აქტიური მხარე უნდა განიმარტოს, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი. დანაშაულებრივი უმოქმედობის მსგავსი ტიპების ანალიზისას (თავიდან არიდება, განსაცდელში მიტოვება და ა.შ) მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული

„მოქმედების ფორმისა“ და „მოქმედების სახის“ ურთიერთობა მისი ჩადენის მეთოდთან, რომელშიც ამ ქცევის ფიზიკური პარამეტრები თანდათანობით სუსტდება. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, „თავის არიდება“ შეიძლება ფორმულირებული იქნას მხოლოდ დანაშაულის განვითარების ფორმალურ სტადიაზე, რის შედეგადაც საქ. სსკ 218-ე მუხლის „გადასახადისათვის თავის არიდება“ მოითხოვს კორექტირებას სისხლის სამართლებრივი შედეგის გამორიცხვით.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. კაკაბაძე ზ. 1987. ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა: თბილისი.
2. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები : თბილისი.
3. მონტესკიე შ.ლ. 1994. კანონთა გონი :თბილისი.
4. ნაჭყებია გ. 1975.ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში: თბილისი.დისერტაცია
5. ნაჭყებია გ. 2001. ბრალი როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია: თბილისი.
6. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. 2009.ავტ. კოლექტივი: თბილისი.
7. ტურავა მ. 2013. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი: თბილისი.
8. წერეთელი თ. ტყემელიაძე გ. 1969. მოძღვრება დანაშაულზე : თბილისი.
9. წერეთელი თ. 2006. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში : თბილისი

უცხოენოვანი ლიტერატურა

10. Andre G.1976. La Sequestree de Poitiers.Adelphi
11. Ashworth A.2013. Positive Obligations in Criminal Law. Oxford :Hart Publishing
12. Ambos K. Duff A. Roberts J.Weigand To.2020. The Core Concepts in Criminal Law and Criminal Justice. University Press
13. Baumann J. Weber.Mitsch.Eisele.2016. Strafrecht Allgemeiner Teil. 12 Aufl Giesecking .
14. Beling. E. 1906. Die Lehre vom Verbrechen. Tübingen (e-book)
15. Baumann. J. 1968. Lehrbuch Strafrecht Allg. Teil. Aufl.5 Bielefeld
16. Bockelmann P.1961. Betrug verübt durch Schweigen in: Festschrift für Eberhard Schmidt zum 70: Göttingen.
17. Binding K. 2018. Die Normen und ihre Übertretung : Wentworth Press.
18. Decimao O. Detraz S. Verny E. 2020. DROIT PENAL GENERAL. LGDJ.
19. Freund G.2008.Strafrecht.Allgemeiner Teil.Springer-Lehrbuch

20. Fletcher G.P.1998. Basic Concepts of Criminal Law: Oxford.
21. Fletcher G.2000. Rethinking Criminal Law. Oxford University Press
22. Gallas W.1968. Beiträge zur Verbrechenslehre : Berlin
23. Hafer E.2010. Lehrbuch des Schweizerischen Strafrechts (Reprint springer)
24. Heinrich B.2012. Strafrecht Allgemeiner Teil : 3 Aufl. Stuttgart.
25. Hardwig W. 1957. Die Zurechnung Ein Zentralproblem des Strafrechts : Hamburg.
26. Hollowell J.H. 1954. The Moral Foundation of Democracy: Liberty.
27. Jescheck H.H. Weigend T. 1996. Lehrbuch des Strafrechts :5 Auf.
28. Jakobs G.1976. Schuld und Prävention.Tübingen
29. Kutalia L.G.2011.Handlungslehre.Göttingen. (e-book).
30. Kaufmann Arm.1959. Die Dogmatik der Unterlassungsdelikte. Göttingen (e-book)
31. Kaufmann Arth.1995. Das Schuldprinzip. Verlag Keip
32. Kolb P. Leturmy L. 2020. Droit pénal général. Gualino
33. Larenz K. 1992.Methodenlehre der Rechtswissenschaft : Berlin Heidelberg.
34. Lang-Hinrichsen D.2009. JR. Zum Handlungsbegriff im Strafrecht. Gruyter (online erschienen).
35. Larenz K.1987. Lehrbuch des Schuldrechts: München.
36. Larkin J.Paul.2015.Regulatory Crimes and Mistakes of Law defence (heritage.org).
37. Lafave R.Wayne. 2017. Criminal Law. West Publishing
38. Metzger E. 2014. Strafrecht, ein Lehrbuch: Berlin.
39. Metzger E.1979. Vom Sinn der strafrechtlichen Tatbestände, in: Festschrift Träger:Berlin (Reprint Scietia Verlag).
40. Mayer H.1967. Strafrecht: Stuttgart.
41. Maihofer W.1961. Der soziale Handlungsbegriff, Eb. Schmidt-Festschrift : Göttingen.
42. Maurach R.1971. Deutsches Strafrecht Allgemeiner : Stuttgart.
43. Merle R. Vitu A. 1997. Droit Penal General. Cujas
44. Rassat M.L 2018. Droit pénal spécial. Dalloz

45. Reed A. Fitzpatrick. 2009. Criminal Law. London :Sweet and Maxwell, 4 Ed.
46. Raz J.1986. The Morality of Freedom. Oxford University Prerss
47. Niese E.1951. Finalität, Vorsatz und Fahrlässigkeit: Tübingen.
48. Oehler D.1959. Das objektive Zweckmoment in der rechtswidrigen Handlung: Berlin
49. Platzgumer W.1964. Die Bewusstseinsform des Vorsatzes: Eine strafrechtsdogmatische Untersuchung auf psychologischer Grundlage: Berlin/Heidelberg.
50. Perkins P.Boyce R.1982.Criminal Law. Edition by Perkins, Rollin M.
51. Roxin C.2003. Allgemeiner Teil, Band II: Besondere Erscheinungsformen der Straftat: München.
52. Roxin C.2015. Täterschaft und Tatherrschaft. 9. Auflage :Hamburg.
53. Rudolphi H.1966. Die Gleichstellungsproblematik der Unechten Unterlassungsdelikte und der Gedanke der Ingerenz: Göttingen.
54. Schröder H. 2019. Strafgesetzbuch, kommentar : 30 aufl. CHBeck
55. Schünemann B.1971. Grund und Grenzen der unechten Unterlassungsdelikte: Göttingen (online erschienen 2022).
56. Schmidts Eb.1970. Der Arzt im Strafrecht: Leipzig.
57. Stratenwerth G.1973. Bemerkungen zum Prinzip der Risikoerhöhung. De Gruyter (e-book).
58. Stefani G. Levasser G. Bouloc B. 2003. Droit pénal General. Dallaz
59. Simester A.P. Sullivan G R.2019. Criminal Law. Hart Publishing
60. Traeger L.2022. Das Problem der Unterlassungsdelikte im Straf- und Zivilrecht :Marburg (Reprint).
61. Welzel H.1989. Das Deutsche Strafrecht :De Gruyter.
62. Wolf E.A.1964. Der Handlungsbegriff in der Lehre vom Verbrechen :Heidelberg.
63. Wolf E.A.1965. Kausalität von Tun und Unterlassen : Heidelberg.
64. Welp J.1968. Vorangegangenes Tun als Grundlage einer Handlungsäquivalenz der Unterlassung.Duncker Humblot (e-book).
65. Williams G.1978. Textbook of Criminal Law. Publishing Stevens
66. Zaczyk R.1989.Das Unrecht der Versuchten Tat. duncker Humblot (e-book).

67. Атальянц М.А. 2010. Способ совершения преступления и его уголовно-правовое значение: Москва.
68. Алексеев С.С. 1972. Проблемы теории права : Москва.
69. Антонян Ю. М. 2002. Преступность в федеральных округах Российской Федерации: М.: ВНИИ МВД РФ.
70. Аванесов, Г.А. 2010. Преступность и социальные условия: М. : ЮНИТИ-ДАНА.
71. Антонян Ю. М. 2011. Особо опасный преступник: Проспект.
72. Беляев Н.А. 1986. Уголовно-правовая политика и пути ее реализации : Ленинград.
73. Бойко А. И. 2003. Преступное бездействие: СПб.
74. Белогриц-Котляревский Л.С. 1903. Учебник русского уголовного права: Общая и особенная части : Киев.
75. Бабий Н.А. 2010. Уголовное право Республики Беларусь: Общая часть : Минск.
76. Бартошек М. 1989. Римское право : М.: Юридическая литература.
77. Беспалов Б.И. 1984. Действие (психологические механизмы визуального мышления): Моск. ун-та.
78. Волков Б.С. 1975. Детерминистическая природа преступного поведения: Казань: Изд-во.
79. Галустян Н.В. 2005. Правовая активность личности в механизме формирования социально-полезного поведения : Ростов.
80. Гришаев П.И. 1961. Объективная сторона преступлений : М- Всесоюз. юрид. заоч. ин-т.
81. Гредескул Н.А. 2009. К учению об осуществлении права : Харьков.
82. Гегель Г.В.Ф. 2012. Сочинения. Том 08 : Москва.
83. Дагель П.С. Котов Д.П. 1974. Субъективная сторона преступления и ее установление : Воронеж: Изд-во Воронеж. ун-та.
84. Дурманов Н.Д. 1948. Понятие преступления : М. Л.: Издательство АН СССР.
85. Дурманов Н.Д. 1955. Стадии совершения преступления по советскому уголовному праву: Москва.
86. Дурманов Н.Д. 1945. Общие основания учения о причинной связи в уголовном праве- Вопросы уголовного права : Москва.
87. Демин М.В. 1977. проблемы теории личности (социально-философский аспект) :

Изд.Московского университета.

88. Долгова А.И.2002. Криминология: Москв.
89. Есипова И.А.1998. Правовое бездействие : Волгоград.
90. Кожевников С. Н.1993. Правовая активность: Москва.
91. Зарян, Д. Г.2006. Объективная сторона правонарушения : Тольятти.
92. Здравомыслов б.в. 1999. Уголовное право Российской Федерации. Общая часть : Москва.
93. Зелинский А.Ф. 1986. сознаваемое и неосознаваемое в преступном поведении : Харьков.
94. истомина ю.в. 2007. Бездействие государственных служащих и способы преодоления противоправности : воронеж.
95. Иеринг р.1881. Цель в праве : СПб. (e-book).
96. Коржански н.и.1976. Объект и предмет уголовно-правовой охраны : Москва.
97. Ковалев м.и. 1991. Проблемы учения об объективной стороне состава преступления: Изд- во Красноярского университета.
98. Кудрявцев В. Н.1960. Объективная сторона преступления : М.: Госюриздат.
99. Кудрявцев В. Н.1986. Закон, поступок, ответственность. : М.: Наука.
100. Кудрявцев В. Н.1978. Право и поведение : М.: Юридическая литература.
101. Кунаков п.а. 2007. Участие субъектов гражданского общества в обеспечении правопорядка как форма проявления социально-правовой активности: ВЮИ.
102. Кузнецова н.ф.1958. Значение преступных последствий для уголовной ответственности: М.: Госюриздат.
103. Козаченко и.я. 2008. Уголовное право : Москва.
104. Козлов а.п. 1989. Причинная связь и бездействие в уголовном праве : Красноярск.
105. Кузнецов з.в. 1970. Человек, причинность, право : ЛГУ.
106. Кузнецова н.ф.1984. механизм преступного поведения : М. : Госюриздат.
107. Карташов в.н.1989. Юридическая деятельность в социалистическом обществе: Ярославль.
108. Кузнецова Н.Ф.1984. Проблемы криминологической детерминации: Москва.
109. Кургашов С.И.2007. криминология : Москва.

110. криминология .2004. Москва.
111. Леонтьев А.Н.1975. Деятельность. Сознание. Личность : М.: Политиздат.
112. Макашвили В.Г.1957. Уголовная ответственность за неосторожность : Москва.
113. Малинин в.б.1984. Обоснование уголовной ответственности за бездействие : СПб. 107.
114. Малинин в.б.1999. Причинная связь в уголовном праве : СПб.
115. Матвеев Г.К.1976. Основания гражданско-правовой ответственности: Москва.
116. Михайлов н.ф.2007. Способ совершения преступления и его уголовно-правовое значение : Краснодар
117. Матузов н.и.1986. Правовая система и личность :Изд-во Саратовского ун-та.
118. Мотовиловкер Е.Я.1987. Теория регулятивного и охранительного права : Воронеж.
119. Макаренко А.С.1958. В7: Изд-во. М.: Академия педагогических наук.
120. Номоконов В.Л.1989. Преступное поведение :механизм детерминации, причины, ответственность : Москва.
121. наумов А.В.2010.Российское уголовное право : Издательство Проспект.
122. Орзих М.Ф.1975. Личность и право : Москва.
123. Овчинский В.С. 2001. XXI век против мафии : ИНФРА-М.
124. Прохоров Л.А.1999. Уголовное право : Москва.
125. Прусаков, А.Д. 2008. Действие и бездействие как формы юридически значимого поведения: Саратов.
126. Познышев С.В.1912. Основные начала науки уголовного права : Моск. ун-та.(e-book).
127. Пионтковский А.А. 1961. Учение о преступлении по советскому уголовному праву: Москва.
128. Петражицкий Л. И.2017.Теория права и государства в связи с теорией нравственности : Москва.
129. Рарог А.И. 2001. Субъективная сторона и квалификация преступлений : Москва.
130. Рыбаков В.Лю 1993.Проблемы формирования гражданско-правовой активности (вопросы теории и практики) : Саратов.
131. Рубинштейн С.Л. 1976. Проблемы общей психологии : Москва.

132. Сборник документов по истории СССР. Эпоха социализма. Выпуск 5. 1946-1958. Учебное пособие : Москва.
133. Симонова, Ю.И. 2011. Бездействие как форма совершения преступных посягательств : Челябинск.
134. Сергиевский Н.Д. 1880. О значении причинной связи в уголовном праве : Ярославль. (e-book).
135. Социальная психология .1975. Москва.
136. Тихонов К.Ф. 1967. Субъективная сторона преступления : Саратов.
137. Тер-Акопов А.А. 1980. Бездействие как форма преступного поведения : Москва.
138. Тер-Акопов А.А. 2003. Преступление и проблемы нефизической причинности в уголовном праве : Москва.
139. Тимейко Г. В. .1977. Общее учение об объективной стороне преступления. Изд-во Ростовского ун-та.
140. Таганцев Н. С. 1994. Русское уголовное право : Москва.
141. Уголовное право. Общая часть. 2008. отв. ред. И. Я. Козаченко : Москва.
142. Узнадзе Д.Н. 1966. Психологические исследования : Москва.
143. Феиербах А. 1810. Уголовное право : Москва. (e-book).
144. Филимонов В.Д. 2004. Норма уголовного права : СПб.
145. Фон Вригт Г.Х. 1986. Логико-философские исследования. Избранные труды : Москва.
146. Христюк А.А. 2011. Противодействие организованной преступности на региональном уровне : Москва.
147. Церетели Т.В. 1963. Причинная связь в уголовном праве : Москва.
148. Церетели Т.В. 1957. Причинная связь в уголовном праве : Тбилиси.
149. Шаргородски м.д. 1947. Преступления против жизни и здоровья: Москва.
150. Шаргородски м.д. 1947. причинная связь в теории права : Москва.
151. Шербаков Н.В. 1986. Правовая установка и социальная активность личности : Москва.
152. Янова, Л. С. 2007. Социальное бездействие и преодоление его негативных последствий: Москва.

153. Яковлев А.М.1971. Преступность и социальная психология : Москва.
154. Якобсон П.М.1969.Психологические проблемы мотивации поведения человека: Москва.
- პერიოდული გამოცემები
155. წერეთელი.თ. 1955. აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება.მნათობი N10.
156. კუხიანიძე ლ. 2015.დანაშაულებრივი უმოქმედობის დოგმატური ასპექტები. გრ. რობაქიძისსახ. უნევერსიტეტი “აკადემიური მაცნე“.
157. კუხიანიძე ლ. 2018. მიზეზის პასიური ხასიათით განპირობებული მიზეზობრივიკავშირის თავისებურებები უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში. გრ. რობაქიძის სახ. უნევერსიტეტი “აკადემიური მაცნე“.
158. ცქიტიშვილი თ. 2012.მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში.სამართლის ჟურნალი.
159. Ashworth A.1989.The Scope of Criminal Liability. The Law Quaterly Review
160. Ashworth A.2011.Public Duties and Criminal Omissions.Journal of Commonwealth Criminal Law
161. Beynon H. 1987.Causation, Omission And Complicity. Crim L.R.
162. Decocq A.1994. Inaction Abstention, et Complicité par aide ou Assistance.JCP.
163. Fletcher G.1994. On the Moral Irrelevance.University of Pennsylvania Law Review
164. Frankel Lionel H. 1965.Criminal Omissions: A Legal Microcosm. Wayne Law Review (www.heinonline.org)
165. Grünwald G.1958. Zur gesetzlichen Regelung der unechten Unterlassungsdelikte. ZStW 70 S.412.(online erschienen 2009 De Gruyter).
166. Geilen G. 1961.Garantenpflichten aus ehelicher und eheähnlicher Gemeinschaft, FamRZ S. 153. (beck-online.beck.de)
167. Guillon À.1956. L'omission de Porter secours et la profession Medicale. JCP.
168. Gore F.2003. L'omission de porter secours.
169. Gomez-Aller JD. 1984.Criminal Omissions. New Criminal Law Review Journal 170 . Hirsch H.J. 1962. Ssoziale Adäquanzund unrechtlehre. ZStW 74 S.78. (www.deepdyve.com)
171. Hughes G.1958.Criminal Omissions. (core.ac.uk)
172. Hall J.1960.General Principles of Criminal Law. Indiana law Journal.

173. Kirchheimer OF.1942.Criminal Omissions.Harvard Law Review (www.jstor).
174. Krauß D. 1964. Erfolgsunwert und Handlungsunwert im Unrecht. ZStW 76 S. 155. (online erschienen 2009).
175. Lampe E.J.1959. Täterschaft bei fahrlässiger straftat . ZStW 71 S.579. (online erschienen 2009).
176. Leavens A.1988. A Causation Approach. California Law Review.
177. Mccarty F.B.1995.Crimes of Omissions in Pennsylvania (Heinonline.org).
178. Monzein P. 1971.La Responsabilite Penale du Medecin. Decalog
179. Pfleiderer K.1968.Die Garantenstellung aus vorangegangenem Tun,Strafrechtliche Abhandlungen, Neue Folge, Band 2, Berlin .(Duncker Humblot e-book).
180. Puppe I.2009. Die Beziehung zwischen sorgfaltswidrigkeit und Erfolg bei den Fahrlässigkeitsdelikten. De Gruyter (online erschienen).
181. Puppe I.2009. Der Erfolg und sein kausale Erklärung im Strafrecht. De Gruyter (online erschiene).
182. Puppe I.2009. Zurechnung Wahrscheinlichkeit.De Gruyter (online erschienen).
183. Simester Andrew P.1995. Why Omissions are Special.Legal Theory
184. Smith JC.1984. Liability for Omissions in Criminal Law. (onlinelibrary.wiley.com)
185. Taylor R.D.2019. The Contours of Involuntary Manslaughter. (core.ac.uk)
186. Roxin C.1962. Pflichtwidrigkeit und Erfolgbei fahrlässiger Delikten, ZStW74 S.411. (online erschienen 2009).
187. Welzel H. 1958 .Zur Problematik der Unterlassungsdelikte, JZ S. 494. (online www.jstor.org).
188. Williams G. 1991.Criminal Omissions. Thomson Reuters.
189. Robinson P.H.1984.Criminal Liability for Omissions. NY Law School Review
190. Врублевский, Е. 1971. Бездействие и причинность. Правоведение № 1.
191. Горяинов К. К., Кононенко В. И., Кудрявцев С. В.1985. Взаимодействие социально-экономических и социально-психологических процессов в генезисе преступности. Сов. государство и право №12 .
192. Деттенборн Г. 1979. Мотивация преступного поведения и ее значение для типологии несовершеннолетних, совершающих преступления // В кн.: Типология личности и индивидуальное предупреждение преступлений . Москва.

193. Кудрявцев В.Н. 1967. Противоправное бездействие и причинная связь // Сов. государство и право. № 5. С. 28–35 .
194. Кудрявцев В. Н., Малейн Н. 1980. Правовое поведение, его субъекты и пределы. Правоведение. № 3 . С. 31- 39.
195. Козаченко И., Курченко В. 1991. Как установить причинную связь . Соц. законность № 4. Москва .
196. Кузнецов Э.В. 1994. Кризис современного правосознания. Правоведение № 3.
197. Кожевников С.Н. 1980 . Социально-правовая активность личности . Сов. гос. и право, С. 20-27.
198. Косарев В.Н. 2009. Современная криминология о причинах и условиях преступности. Современное право. № 8. с. 89-91.
199. Косарев В.Н., Макогон И.В. 2009. Причинный механизм формирования корыстного поведения. Рос.следователь. № 14. С. 18-20.
200. Кузнецов Н.Е. 2009. Ненадлежащее исполнение обязанностей командирами подразделений как одна из причин нарушений обязанностей военной службы. Право в Вооруженных Силах - Военно-правовое обозрение № 8. - С. 115.
201. Матвеев Г.К. 1962. Теоретические вопросы причинности бездействия. Советское гос-во и право №10 С. 61.
202. Матузов Н.И. 1994. К вопросу о суверенитете личности. Правоведение № 4 С. 3-14.
203. Наумов А. 2010. Коррупция: причины возникновения, влияние и методы борьбы. Следователь №8(148) С. 50.
204. Овчинников С.Н. 1984. Принцип детерминизма в методологии правоведения. Правоведение № 2 С. 35-39.
205. Оболонский А.В. 1987. Консервативные стереотипы сознания как тормоз перестройки и средства их преодоления. Сов. гос. и право №10 С. 13-21.
206. Попов Д.Г. 2009. Прогнозирование поведения людей путем воздействия на общественное мнение. Юрид. Психология № 3. - С. 29.
207. Симонова Ю.И. 2009. Понятие уголовно-правового бездействия требует уточнения. Современное право № 8 С. 95- 99.
208. Тер-Акопов А.А. 1976. Определение сущности бездействия. Сов. гос. и право № 12. - С. 70-74.
209. Туманов В.А. 1989. О правовом нигилизме. Сов. гос. и право №10.-С. 20-24.


210. Ханнанов Р.А. 1978. Правовая природа бездействия и каузальность. Сов. гос. и право № 4. - С. 124-128.
211. Шаргородский М.Д. 1956. Некоторые вопросы причинной связи в теории права. Сов. гос. и право № 7.
212. Шаргородский М.Д. 1962. Детерминизм и ответственность. Правоведение № 1 С.40-
213. Эдельгауз Е.М. 1962. К вопросу о понятии свободы воли в уголовном праве. Правоведение № 4 С. 140 – 144.

საკანონმდებლო აქტები


214. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. იურისტის ბიბლიოთეკა. თბილისი 2016.
215. Уголовный кодекс Австрии. СП. 2004.
216. Уголовное уложение (Уголовный кодекс) Федеративной Республики Германия. СП. 2015.
217. Cal. Penal Code (Leginfo.Legislative.ca.gov)
218. The French penal Code of 1994. 1999. Rothman
219. Model Penal Code.1985. The American Law Institute
220. Texas Penal Code.2017.Kiindle edition. (E-book)
221. N.Y. Pub.Health Law.1977. Mckinney
222. Health and Safety Code. California Legislative Information (www.leginfo.ca.gov)

დანართი N1


დიაგრამა N 1




დიაგრამა N2




დიაგრამა N3




დიაგრამა N4



დიაგრამა N5




დიაგრამა N6



დიაგრამა N 7

თქვენი აზრით არასამუშაო საათებში გადაუდებელი დახმარების გაუნწვლობა ითვლება თუ არა საპატრო მიზეზად ?



დანართი N2

2014-2016 წლების სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მარკენებელი უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში

